

გიორგი თავაძე, ირმა ქავთარაძე,  
დეურ ჩოხახიძე, დავით მენაბდე

*წიგნი ეძღვნება საქართველოში  
ენერგეტიკის რეგულირების  
დამკვიდრების 10 წლისთავს*

## ენერგეტიკის რეგულირება:

თეორია და პრაქტიკა

თბილისი 2006

UDC (უაკ) 620.9  
ე-672

ნაშრომში გაშუქებულია ენერგეტიკის რეგულირების თეორიები, მათი წარმოშობისა და, შესაბამისად, პრაქტიკაში ასახვის ეტაპები. ამასთან, განხილულია რეგულირების პრაქტიკის საკითხები. განალიზებულია ამ საკითხზე უხცოვანთში არსებული გამოცდილება; დაწვრილებით წარმოდგენილია ენერგეტიკის რეგულირების მოდელები დიდი ბრიტანეთის, იტალიის, გერმანიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების მაგალითზე; მთავარი ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების პირველ შედეგებს და ტენდენციებს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ამ მხრივ არსებულ პრობლემებს და სამომავლო ამოცანებს. მას თან ერთვის საქართველოს ენერგეტიკის რეგულირების ამჟამად მოქმედი ოფიციალური დოკუმენტები.

წიგნი განკუთვნილია ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი

მიხეილ ჯიბუტი

რეცენზენტი

რომან გოცირიძე

ISBN 9940-65-82-3

# შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან.....	5
შესავალი .....	7
ნაწილი 1. ენერგეტიკის რეგულირების თეორიული საფუძვლები.....	9
თავი 1. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება.....	9
თავი 2. ენერგეტიკის რეგულირების სტრატეგიული მიზნები.....	16
თავი 3. რეგულირების პრინციპები და რეგულირების გავლენა მაკროეკონომიკურ მახასიათებლებზე.....	22
თავი 4. მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის ფაქტორები.....	37
თავი 5. მონოპოლიების რეგულირებიდან ლიბერალიზაცი- ამდე.....	49
ნაწილი 2. ენერგეტიკის რეგულირების გამოცდილება უცხოეთში .....	55
თავი 1. რეფორმები ევროკავშირის ქვეყნების ენერგოსის- ტემებში.....	55
თავი 2. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერ- გეტიკის რეგულირების შედარებითი ანალიზი.....	77
თავი 3. ენერგეტიკის რეგულირების საზღვარგარეთული მოდელები .....	108
3.1. დიდი ბრიტანეთი და უელსი.....	108
3.2. იტალია.....	123
3.3. გერმანია.....	140
3.4. იაპონია.....	151
3.5. დასკვნა .....	161

ნაწილი 3.	ენერგეტიკის რეგულირება საქართველოში.....	164
თავი 1.	ეკონომიკური რეფორმები ენერგეტიკაში.....	164
	1.1 დარგის განვითარების ტენდენციები რეფორმამდელ პერიოდში.....	164
	1.2. რეგულირების აღმოცენება და პირველი შედეგები.....	169
	1.3 პრივატიზაცია.....	193
თავი 2.	ენერგეტიკის განვითარება 2001-2005 წლებში.....	209
	2.1. ელექტროენერგეტიკა.....	210
	2.2. ბუნებრივი გაზის სექტორი.....	217
თავი 3.	თანამედროვე ტენდენციები ენერგეტიკის რეგუ- ლირებაში.....	225
	3.1 ტარიფი: მარტივი და რთული.....	225
	3.2 ტარიფი თანამედროვე ეტაპზე.....	236
	3.3 ამოცანები ლიცენზირების სფეროში.....	251
	3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	267
	3.5 საკანონმდებლო ცვლილებები და სამომავლო გეგმები.....	284
ნაწილი 4.	საქართველოს ენერგეტიკის რეგულირების ოფიციალური დოკუმენტები.....	291
	1. კანონი “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრი- ვი გაზის შესახებ”.....	291
	2. კანონი “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგუ- ლირებელი ორგანოების შესახებ”.....	351
	3. სემეკის დადგენილებები ტარიფების შესახებ.....	369
	1. ელექტროენერგეტიკის ტარიფები.....	369
	2 ბუნებრივი გაზის ტარიფები.....	380

## რედაქტორისაგან

დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა რედაქტორობა. პატივია ავტორთა მხრიდან შემოთავაზების გამო, ხოლო პასუხისმგებლობა მკითხველთა წინაშე. რედაქტორმა უნდა მისცეს ნიშანი საზოგადოებას წიგნის საჭიროების თაობაზე.

წინამდებარე წიგნი საჭიროა რამდენიმე უმთავრესი მიზეზის გამო. წიგნის ავტორები მაღალი პროფესიონალები და საქმეში ჩახედული ხალხია. ამასთან, ისინი თავისი საქმიანობით დაკავშირებული არიან ენერგეტიკის სფეროსთან, იქ მიმდინარე პროცესებთან. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ გარკვეული პოზიცია, რომელიც ენერგეტიკის მარეგულირებელი ინსტიტუციების პოზიტიური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს და მასშივე ხედავენ დარგის სამომავლო განვითარებას. ავტორები აქცენტს აკეთებენ იმ დადებით შედეგებზე, რაც მიღწეულ იქნა ენერგეტიკის რეგულირების მეთოდით.

ამასთან, ავტორებს არ აქვთ მოცემული ნეგატიური გამოცდილების ანალიზი, რაც იმითაა კომპენსირებული, რომ ისინი არც იმ პოზიციებს აკრიტიკებენ დაუნდობლად, რომელიც არ ემთხვევა მათ მოსაზრებებს. ნათქვამიდან გამომდინარე, წიგნი საჭიროა იმათთვის, ვინც იზიარებს მასში გამოთქმულ პოზიციებს და უფრო საჭიროა იმათთვის, ვინც ამ პოზიციებს არ იზიარებს.

წიგნი მკითხველს აწვდის ისეთ მასალას, რომელიც სხვადასხვა დროს შეიძლება ცნობილი იყო მხოლოდ ვიწრო წრისათვის, ან რომელიმე სამსახურისათვის. ამ ინფორმაციის საჯარო მიმოქცევაში გამოტანა მნიშვნელოვანია მეცნიერ-მკვლევართათვის, საკითხის შემსწავლელთათვის, თუ სხვა მიზნით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

რედაქტორი მიეკუთვნება იმ პირთა კატეგორიას, რომელიც ბევრ პრინციპულ საკითხში არ ეთანხმება ავტორთა მოსაზრებას, თუმცა ამის განსახილველად სხვა შემთხვევა იქნება გამოყენებული ამ წიგნზე დაყრდნობით. მკითხველთა ინტერესის გასაღვივებლად მივანიშნებ ზოგიერთ მათგანზე: ენერგეტიკულ სფეროში კონკურენტული გარემო ხელოვნურადაა შეზღუდული; სატარიფო პოლიტიკა

არ ეფუძნება ერთიანი ფასების პოლიტიკას; ტარიფების რეგულირების საზოგადოებრივი საფუძველი – ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ კანონი არ არსებობს; ტარიფების დადგენის მეთოდითა და ტარიფებისადმი ინდივიდუალური მიდგომა წინააღმდეგობრივია; დარგის რეფორმა გაჭიანურებულია დროში და სხვ.

ავტორებს მოცემული აქვთ რეკომენდაციები, განსაკუთრებით პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით, რომელთა საჭიროება მნიშვნელოვანია ენერგეტიკაში მიმდინარე პრივატიზების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

ნაშრომის საჭიროებას, პრაქტიკული თვალსაზრისით, ზრდის დაწარმის, რომელშიც თავმოყრილია ენერგეტიკის მარეგულირებელი ოფიციალური მასალა.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ დარწმუნებული ვარ ქვეყანაში ენერგეტიკაზე საყოფაცხოვრებო კამათი „ფიდერებსა“ და „მე-9 ბლოკზე“, აუცილებლად შეიცვლება ენერგეტიკის კონცეპტუალურ-სამეცნიერო საკითხებზე სჯაბაასით და ამაში წინამდებარე ნაშრომი თავის წვლილს შეიტანს.

პროფესორი მიხეილ ჯიბუტი

## შესავალი

ენერგეტიკის რეგულირება პოსტსოციალისტური სამყაროსათვის ახალი საჩქეა. მას არ შექმნიდა და ვერც შექმნიდა ცენტრალიზებულ-დირექტიული მართვის სისტემის მქონე სახელმწიფო: მისი მმართველობის სტილი და ორგანიზაციული წყობა გამორიცხავდა ეკონომიკის რეგულირების მსგავს „რბილ“, საბაზრო სტრუქტურების შესატყვის არაპოლიტიზებულ ფორმას. ამიტომ, საქართველოსათვის, საერთოდ ეკონომიკისა და კერძოდ კი ენერგეტიკის რეგულირების ეფექტიანი საქმიანობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია.

ენერგეტიკის რეგულირება ბევრ ქვეყანაში ხორციელდება. ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოს მსგავსად, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიები მოგვიანებით შექმნეს ან ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ. ზოგან მათ უკვე ასწლიანი ისტორია აქვთ, მაგრამ ამ ქვეყნებშიც კი ყველასათვის ნათელი როდია, რატომ და რისთვის არსებობენ ეს კომისიები, რას საქმიანობენ, ვის ინტერესებს ახორციელებენ ან რა შესაძლებლობის მატარებელნი არიან.

მარეგულირებელ კომისიას სახელმწიფო ქმნის იმ დარგებსა და სფეროებში, სადაც არსებობს მონოპოლიის განსაკუთრებული სახეობა – ბუნებრივი მონოპოლია, რომლის არსებობა საზოგადოებისათვის ან ხელსაყრელია (უპირატესად იმის გამო, რომ ამით მიიღწევა რესურსების დაზოგვა) ან – გარდაუვალი (მისი დაშლა შეუძლებელია ან საზიანო). თუ მონოპოლიის საქმიანობა სახელმწიფომ არ დაარეგულირა, იგი გამოიყენებს თავის ეკონომიკურ ძალას ბაზარზე ზემოქმედებისათვის, – შეზღუდული ოდენობით მიაწვდის მომხმარებელს პროდუქციას, ამ პროდუქციაზე დააწესებს მაღალ ფასს და მიიღებს ხელოვნურად გადიდებულ მოგებას. ყოველივე ამით იგი დააზარალებს საზოგადოებას.

მარეგულირებელი კომისიების სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია. უკვე XIX საუკუნის ბოლოს იგი დაწინაურდა თავისი საბაზრო სტრუქტურების განვითარებით. გაძლიერდნენ მონოპოლიებიც. კონკურენცია რომ არ შესუსტებულეყო, სახელმწიფომ საჭიროდ მიიჩნია ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირება, მიიღო მსოფლიოში პირველი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა. მალევე შეიქმნა

მარგულირებელი კომისიებიც. ისინი იმთავითვე იყვნენ დამოუკიდებელი რაც მათ აძლევდა და დღესაც აძლევს პოლიტიკური ზეწოლის თავიდან აცილების, საქმის ეფექტიანი, არაბიუროკრატიული გაძლიერების შესაძლებლობას. სახელმწიფო განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს, რის შემდეგაც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ.

მოგვიანებით, ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების ამერიკული გამოცდილება სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. საქართველოში პირველი მარგულირებელი კომისია, 1997 წელს შეიქმნა ენერგეტიკაში. ენერგეტიკის მდგომარეობა დიდად განსაზღვრავს მთელი ეკონომიკის მდგომარეობას და მზარდ როლს ასრულებს ეკონომიკურ განვითარებაში, ენერგორესურსებით მოსახლეობის საიმედო და ხარისხიანი მომარაგება კი სასიცოცხლოდ აუცილებელია. კონკურენცია ენერგეტიკაში ბუნებრივად არის შეზღუდული დარგის ტექნოლოგიური თავისებურებების გამო. ამიტომ ბაზრის იმედზე ამ დარგის მიტოვება დაუშვებელია.

როგორ უნდა რეგულირდებოდეს ბუნებრივი მონოპოლია, როგორ უნდა გვესმოდეს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა კომისიათა მიერ? ამ და ბევრ სხვა კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა შეუძლებელია მსოფლიოში დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის გარეშე. საფუძვლიანად უნდა იქნეს გაანალიზებული საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების თითქმის ათწლიანი შედეგებიც. უნდა გაკეთდეს ახლად შემოღებული რეგულირების ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეების ობიექტური შეფასება და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ კუთხითაა წარმოდგენილი. მასში კომპლექსურადაა გაშუქებული ენერგეტიკის რეგულირების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხები. ავტორები იმედოვნებენ, რომ წიგნი სასარგებლო იქნება ენერგეტიკის რეგულირების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.



# ნაწილი 1. ენერგეტიკის რეგულირების თეორიული საფუძვლები

## თავი 1. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება

ენერგეტიკა მონოპოლიის, კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიის თვალსაჩინო წარმომადგენელია ზოგადად, ცნება „მონოპოლია“ განიმარტება როგორც სიტუაცია ბაზარზე, როცა ერთი კომპანია (ფირმა, მწარმოებელი) ფლობს ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე არსებულ ყველა, ან თითქმის ყველა სახის პროდუქტს ან მომსახურებას. როგორც წესი, ასეთი სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონკურენტებისათვის ბაზრის მოცემულ სეგმენტზე შესასვლელად არსებობს ხელოვნური ან ბუნებრივი ბარიერები. ეს სხვა ფირმებს ან კომპანიებს ხელს უშლის განახორციელონ ოპერაციები და იგივე ან მსგავსი სახის მომსახურება შესთავაზონ იმავე სეგმენტის მომხმარებლებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მწარმოებლის („მონოპოლისტის“) მიერ შეთავაზებული პროდუქცია ან მომსახურება ბევრად ნაკლებია, ვიდრე პროდუქციის ან მომსახურების მოცულობა, რომელიც მაქსიმალურად გააუმჯობესებდა საზოგადოებრივ კეთილდღეობას. მონოპოლიურ სიტუაციაში შეთავაზებული პროდუქციის ან მომსახურების მოცულობა არის აღნიშნული პროდუქციის მოთხოვნაზე ბევრად ნაკლები. ეს, შესაბამისად, იწვევს მასზე მოთხოვნის ზრდას, ხელს უწყობს მონოპოლისტ კომპანიას დააწესოს პროდუქციის თვითღირებულებაზე ბევრად მაღალი ფასები და მიიღოს იმაზე ბევრად დიდი მოგება, რაც შესაძლებელი იქნებოდა კონკურენტული ბაზრის არსებობისას.

მონოპოლიურად მაღალი ფასების არსებობის პირობებში, მომხმარებლის შესაძლებლობა, შეიძინოს სასურველი პროდუქტი ან მომსახურება, მცირდება; შესაბამისად, ნაკლები პროდუქცია ან მომსახურება იყიდება, ნაკლები იწარმოება. ყველაფერი ეს კი, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, სახელმწიფო ცდილობს დააწესოს სხვადასხვა შეზღუდვები ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე მონოპოლიური სიტუაციის დროს უარყოფითი შედეგების თავიდან

ასაცილებლად და სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით შექმნას კონკურენტული გარემო, ანუ, მოხსნას ის ბარიერები, რაც ხელს შეუშლის სხვა კონკურენტ ფირმებსა და კომპანიებს, დაუბრკოლებლად შევიდნენ ბაზრის იმავე სეგმენტზე, ანუ სიტუაცია არეგულიროს.

ზოგადად, ეკონომიკურ რეგულირებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და იგი თავისი მიზნობრივი სახით მე-19 საუკუნის ინგლისში იღებს სათავეს. მაშინ იქ რეგულირებას ექვემდებარებოდა ტვირთების გადაზიდვები, კავშირის საშუალებები, პურპოდუქტების ბიზნესი და სხვ. ყველაზე ადრეული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იყო გარკვეული სახის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე ფასების რეგულირებასთან, 1871 წელს მიიღეს ინგლისში და იგი ზორბლის შესანახი ელექვატორების ფასის ზედა ზღვარს აწესებდა. აშშ-ში კი სახელმწიფოს მხრიდან პირველი რეგულირებადი სფეროები ნაყინის წარმოებისა და ეტლებით გადაზიდვის საფასურის რეგულირება იყო.

ამასთან, ეკონომიკაში არსებობს სიტუაციები, როდესაც საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის (მომხმარებლებისათვის) კონკურენტულ გარემოზე მეტად უფრო ეფექტიანია ისეთი სიტუაცია, სადაც გარკვეული სახის პროდუქციის ან მომსახურების მიმწოდებელ ბაზარზე არის მონოპოლისტი და არა რამდენიმე კონკურენტი ფირმა ან კომპანია. ბაზრის მოცემულ სეგმენტზე მონოპოლისტის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია გარკვეული ტიპის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, მომხმარებლისათვის მიზანშეწონილი (ხელმისაწვდომი) ფასების შენარჩუნების აუცილებლობით. ბაზარზე შექმნილ ასეთ მდგომარეობას „ბუნებრივ მონოპოლიას“ უწოდებენ.

კლასიკური ეკონომიკური გაგებით ბუნებრივი მონოპოლიის ცნება განისაზღვრება როგორც მონოპოლიის სპეციფიკური ტიპი, როდესაც მოცემული სფეროს მონოპოლისტს შეუძლია მით უფრო შეამციროს პროდუქციის (მომსახურების) ფასი, რაც უფრო მეტი პროდუქციის (ან მომსახურების) წარმოებისა და მიწოდების საშუალება აქვს მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივი მონოპო-

ლია არის სიტუაცია, როდესაც ერთი ფირმა მუდმივად მიისწრაფვის გახდეს ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე პროდუქციის ერთადერთი მიმწოდებელი, იმ მიზეზით, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების „ბუნება“ განაპირობებს ერთი მწარმოებლის ან მიმწოდებლის მეტ ეფექტიანობას ბაზარზე, ვიდრე მსგავსი სახის პროდუქციისა და მომსახურების რამდენიმე მიმწოდებლისა. ანუ, როდესაც ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში ორი ან სამი კონკურენტი ფირმა ცდილობს ბაზრის ბუნებრივად მონოპოლიურ სეგმენტზე შესვლას, ბაზარზე აუცილებლად ხდება ბუნებრივი გადარჩევა და მოცემული სახის პროდუქციის მიმწოდებელთაგან გადარჩება მხოლოდ ერთადერთი.

მაგალითად, რა თქმა უნდა, არაეფექტიანი იქნებოდა, თუკი ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ფირმა ააშენებდა ელექტროენერჯის გამანაწილებელ რამდენიმე ქსელს, რომლებიც ერთსა და იმავე ტერიტორიას ფარავენ და ერთი და იმავე მომხმარებლამდე მიდიან, ან გაიყვანონ გაზის რამდენიმე მილსადენი, რომელიც ერთი და იმავე მიმართულებით მიდის. რა თქმა უნდა, უმჯობესია განსაზღვრულ ტერიტორიაზე აშენდეს ელექტროენერჯის ერთი გამანაწილებელი ქსელი ან გაყვანილ იქნეს გაზის ერთი მილსადენი (საჭიროების შემთხვევაში, უფრო დიდი დიამეტრის) და მას ოპერირება გაუწიოს ერთმა ფირმამ.

როგორც მოყვანილი მაგალითიდანაც ჩანს, თეორიულად ბუნებრივ მონოპოლიებად შეიძლება განვიხილოთ ენერგეტიკა, წყლის განაწილება, ტელეკომუნიკაციების სფერო, რკინიგზა და სხვ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეულ სფეროებში არსებობს განსხვავება. მაგალითად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ელექტროენერჯის წარმოება უკვე აღარ მიიჩნევა ბუნებრივ მონოპოლიად, რადგან ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტების უმრავლესობას სხვადასხვა კომპანიები ფლობენ და, შესაბამისად, ცდილობენ კონკურენტებთან შედარებით იაფი და ხარისხიანი პროდუქცია აწარმოონ. ბევრ ქვეყანაში მრეწველობის ეს სფერო, ფაქტობრივად, დერეგულირებულია და სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ზეწოლას

განიცდის. ამ ტენდენციას ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების განვითარებაც. თანამედროვე მსოფლიოში ელექტროენერჯის მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ ჰიდრო და თბოენერჯიების მეშვეობით, არამედ ქარის, ზღვის, მზისა და სხვა ალტერნატიული სახეობის ენერჯის წყაროებიდანაც. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა ტელეკომუნიკაციების სფეროში, ვინაიდან ციფრული და სატელიტური ტექნოლოგიების განვითარებამ მომხმარებლებს საშუალება მისცა არჩევანი გააკეთონ სასურველი მომსახურების რამდენიმე გზით მიღებას შორის. მაგალითად, ჩვეულებრივ, ქალაქის მცხოვრებს შეუძლია არჩევანი გააკეთოს საკაბელო და სატელიტურ სატელეფონო სისტემებს შორის. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ნებისმიერი სფერო, რომელიც თეორიულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბუნებრივად მონოპოლიური ხასიათის მატარებლად, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შემთხვევაში ბევრად უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ვიდრე დერეგულირების შემთხვევაში. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების მთავარი დანიშნულება მონოპოლიურად მაღალი ფასებისა და ცუდი სერვისისაგან მომხმარებელთა დაცვაა.

როგორც აღინიშნა, ეკონომიკის გარკვეული სფეროები, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული დარგები (ენერგორესურსების წარმოება და განაწილება, კომუნალური მომსახურება, წყალმომარაგება, ტელეკომუნიკაციები და სხვ.), ბუნებრივად მონოპოლიურ დარგებს წარმოადგენენ. ამასთან, სწორედ აღნიშნული სფეროებია საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციისა და მომსახურების მიმწოდებლები და სწორედ მათ გამართულ ფუნქციონირებაზე დამოკიდებული თითოეული ადამიანის ცხოვრების დონე, ჯანმრთელობა, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო პოლიტიკური ძლიერება.

ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დარგების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ანუ, ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომ-

სახურების საბოლოო მომხმარებლებამდე მაღალხარისხიანად მიწოდების უზრუნველყოფა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ უნდა მოახერხოს სახელმწიფომ ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება?! ეკონომისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ გამოსავალი ბუნებრივად მონოპოლიური სფეროების სრული დერეგულირება და ლიბერალიზაციაა. ამ თეორიის თანახმად, ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე პირობებში, ბუნებრივი მონოპოლიების სწორი რესტრუქტურულიზაციის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია სრულყოფილი კონკურენტული გარემოს შექმნა, ვინაიდან მაქსიმალური ეკონომიკური შედეგი მხოლოდ სრულყოფილი კონკურენციისას მიიღწევა და არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების არანაირი აუცილებლობა. ამ თეორიის მიმდევართა აზრით, თავისუფალი კონკურენციის პირობებში დარგი თვითონ ქმნის თავისი კვლავწარმოებისათვის საჭირო პირობებს.

მეორე მხრივ, არსებობს მყარად დასაბუთებული და პრაქტიკულად დადასტურებული თეორია, რომლის მიხედვითაც მიიჩნევენ, რომ ტექნოლოგიური განვითარების მაღალმა დონემ, მართალია, შესაძლებელი გახადა კონკურენტული გარემოს ბუნებრივი მონოპოლიების მხოლოდ ცალკეულ სეგმენტებში შექმნა, მაგრამ დანარჩენი სეგმენტები კვლავაც ტიპურ ბუნებრივ მონოპოლიებად რჩებიან. შესაბამისად, რჩება სახელმწიფოს მხრიდან მათი მკაცრი რეგულირების აუცილებლობაც.

ენერგეტიკის, კერძოდ, ელექტროენერგეტიკის რეგულირების პირველი პრეცედენტი მე-19 საუკუნის აშშ-ში გაჩნდა. იმ დროს იქ ელექტროენერგეტიკის განვითარების პირველი წლები ქაოსური იყო და ერთ ტერიტორიას ან პატარა ქალაქს, ელექტროენერჯის რამდენიმე მწარმოებელთან ერთად, რამდენიმე კონკურენტი გამანაწილებელი კომპანია ემსახურებოდა. ხშირი იყო ერთი მიმართულებით გამავალი სხვადასხვა კომპანიის მფლობელობაში არსებული სადენები. მაგალითად, მაშინ პატარა ქალაქ ჩიკაგოსათვის ელექტროენერჯის მიწოდებას 29 კონკურენტი მწარმოებელი და გამანაწილებელი კომპანია უზრუნველყოფდა.

„ეროვნული ელექტროენერჯის ასოციაციის“ პრეზიდენტი სამუელ ინსული, პირველი ადამიანი იყო, რომელმაც შეამჩნია, რომ ელექტროენერგეტიკას ახასიათებდა მაღალი ფიქსირებული დანახარჯები და დაბალი ცვალებადი ხარჯები. იგი მიხვდა, რომ უფრო მეტად მომგებიანი და ეფექტიანი იქნებოდა შედარებით დიდი და მძლავრი ელექტროსადგურის აშენება, ვიდრე მრავალრიცხოვანი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მეშვეობით ქალაქის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა. 1898 წელს ინსულმა მუნიციპალიტეტის წინაშე წინადადება დააყენა ელექტროენერგეტიკის სფეროს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რეგულირების აუცილებლობის შესახებ. სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს ელექტროენერგეტიკის რეგულირების ისტორია.

როგორც დაახლოებით ასწლიანმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, საუკეთესო შედეგის მიღწევა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით მომხმარებელთა მოთხოვნების ყველაზე ეფექტიანად დაკმაყოფილება კონკურენტული და მონოპოლიური გარემოს გონივრული შეხამებით მიიღწევა. ასეთი შეხამება კი სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ჩარევის, ანუ, რეგულირების გარეშე შეუძლებელია.

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების მთავარი დანიშნულება ბაზრის არაეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებაა. ბაზარი არაეფექტიანად ფუნქციონირებს მაშინ, როცა მის მონაწილე სუბიექტებს არ შეუძლიათ მომხმარებლისათვის დამაკმაყოფილებელი მომსახურებისა და პროდუქციის შეთავაზება, როდესაც მომხმარებლები არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას, რომელიც მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება, ან, როდესაც მათ, უბრალოდ, არჩევანის გაკეთების საშუალება არ გააჩნიათ ბაზარზე არსებული მონოპოლიური სიტუაციის გამო. მაგალითად, ელექტროენერჯის წარმოებისა და მიწოდების ცენტრალიზებული სისტემისას (როცა ბაზარზე ერთადერთი მწარმოებელი და მიმწოდებელია) და კონკურენციის არარსებობის პირობებში მიმწოდებლის მხრიდან ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნოლოგიების განახლებას, ელექტროენერჯისა და მიწოდების მომსახურების გაუმ-

ჯობესებას. მომხმარებელსაც საშუალება არა აქვს მოძებნოს ელექტროენერჯის ალტერნატიული მომწოდებელი, რომელიც მის მოთხოვნებს უკეთ დააკმაყოფილებდა.

რეგულირებად შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან „ზეწოლის“ ნებისმიერი ფორმა, რომელიც მონოპოლიურ ბიზნესებს აიძულებს შეცვალონ თავიანთი ქმედება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციის მიზნით. ამ გაგებით, ბუნებრივ მონოპოლიებში კონკურენტული გარემოს შექმნაც რეგულირების ერთ-ერთი ფორმაა, რადგან სწორედ „ხელოვნურად“ კონკურენტული გარემოს შექმნა და კონკურენციისაგან წარმოშობილი ზეწოლა აიძულებს მონოპოლიურ ბიზნესებს მეტი იფიქრონ და იმოქმედონ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ბუნებრივ მონოპოლიებში კონკურენტული გარემოს შექმნა რეგულირების მიზანი კი არაა, არამედ რეგულირების მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

კონკურენციის არარსებობის ან „შუქმდებლობის“ პირობებში სწორედ რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მონოპოლისტების მიერ გატარებული ფასების პოლიტიკა და დაწესებული ტარიფები იყოს საკმარისად დაბალი მომხმარებლებისათვის და სრულიად საკმარისი ძირითადი ფონდების კვლავწარმოებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე ეფექტიანი (და აუცილებელი) საშუალება მათი რეგულირებაა. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება იყო და რჩება როგორც აუცილებელი და ყველაზე ეფექტური მექანიზმი იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან კონკურენტული გარემოს შექმნას და უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონეზე. რეგულირების მასშტაბები, მიმართულებები, საშუალებები და ამოცანები კი ეკონომიკური ცნობიერების, ტექნოლოგიებისა და საბაზრო მოთხოვნების სწრაფი ცვალებადობის კვლადაკვალ სულ უფრო ვითარდება და ფართოვდება.

## თავი 2. ენერგეტიკის რეგულირების სტრატეგიული მიზნები

ენერგეტიკის რეგულირების სტრატეგიული მიზნების გარკვევისათვის მიზანშეწონილია განვსაზღვროთ რა სურთ რეგულირების პროცესში მონაწილე მხარეებს, ანუ, განვსაზღვროთ რა სურთ მომხმარებლებს, მარეგულირებელ ორგანოებს და რეგულირების სუბიექტებს – ბუნებრივად მონოპოლიურ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს.

ნებისმიერ ადამიანს რომ შევეკითხოთ, რა მოთხოვნებს უყენებს იგი ქვეყნის ენერგეტიკას, აუცილებლად მივიღებთ საკმაოდ მარტივ პასუხს. მას სურს, რომ იგი უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი ელექტროენერჯითა და ბუნებრივი გაზით მისაღებ ფასებში.

რეგულირების ობიექტებს სურთ, რომ მათ ჰქონდეთ ბაზარზე თავისუფლად შესვლის შესაძლებლობა, კონკურენცია იყოს სამართლიანი და ბაზრის ყველა მონაწილეს ჰქონდეს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის წყაროებით თანაბრად სარგებლობის უფლება; აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი მოგების მიღება.

მარეგულირებელ ორგანოს სურს, რომ მისი რეგულირების არეალში მოქცეული სფეროებისაგან საზოგადოება მაქსიმალურად დაკმაყოფილებული იყოს. ენერგეტიკისათვის დამახასიათებელი ბუნება და თავისებურებები განსაზღვრავს მარეგულირებელი ორგანოს რამდენიმე უმთავრეს მიზანს. ესენია:

- ენერჯის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ნებისმიერი მომხმარებლისათვის, მიუხედავად ადგილმდებარეობისა და სოციალური ფენისა;
- ენერჯიაზე სამართლიანი და მიზანშეწონილი ტარიფების შენარჩუნება;
- ენერგეტიკის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულ მდგომარეობაში ყოფნისა და მისი კვლავ-წარმოებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა;



– ენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილებისას გარემოს ეკოლოგიური დაზიანებისა და დაზიანებისაგან დაცვა.

ელექტროენერგეტიკა უნიკალურია იმით, რომ იგი ძალიან რთულად სამართავი და კომპლექსური დარგია. მაგალითად, არ შეიძლება ელექტროენერჯის დასაწყობება მისი სიჭარბის შემთხვევაში და შემდეგ, დეფიციტის დროს, გამოყენება. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობა განსხვავებულია მოხმარების სხვადასხვა პერიოდში (დღე-ღამის მიხედვით და სეზონურადაც). მიუხედავად ამისა, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდება როგორც მოხმარების დაბალი დონისას, ასევე პიკური მოხმარების საათებშიც. აღნიშნული გარემოებების მხოლოდ ტექნიკური მხარეც კი განაპირობებს ელექტროენერგეტიკული სისტემის კოორდინირებული მართვის ან რეგულირების აუცილებლობას.

ელექტროენერგეტიკის რეგულირების ტრადიციული მიზნები და ამოცანები, ძირითადად, ელექტროენერჯიაზე ფასების დადგენით შემოიფარგლებოდა და იგი აშშ-ში მე-20 საუკუნის პირველივე წლებიდან განვითარდა, მარეგულირებელი ორგანოების დაფუძნების პარალელურად. ელექტროენერჯის მწარმოებელსა და გამანაწილებელს შესაძლებლობა ჰქონდათ, მხოლოდ იმდენი მოგება მიეღოთ, რაც მათ ძირითადი ფონდების კვლავწარმოების შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, ელექტროსისტემის სუბიექტები ვალდებული იყვნენ მომსახურება გაეწიათ ნებისმიერი მომხმარებლისათვის იმ ტერიტორიაზე, რომლებსაც ისინი ფარავდნენ. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირების ეს მეთოდები ორიენტირებული არ იყო კონკურენტული გარემოს შექმნისა და ფუნქციონირების ხელშეწყობაზე.

ეკონომიკური ხედვის, ტექნოლოგიებისა და საბაზრო მოთხოვნების ცვლილებებისა და განვითარების კვალობაზე დროთა განმავლობაში რეგულირების ამოცანები და ფუნქციებიც შეიცვალა და განვითარდა, თუმცა მისი ძირითადი მიზანი, ენერჯის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ენერჯიაზე სამართლიანი და მიზანშეწონილი

ფასების შენარჩუნება, უცვლელი დარჩა. ელექტროენერგეტიკული მრეწველობის განვითარების საწყის ეტაპზე მიჩნეული იყო, რომ ელექტროენერგეტიკის ბუნებრივად მონოპოლიური ხასიათის გამო მაქსიმალური ეფექტის მიღწევა მხოლოდ ერთი რეგულირებადი მონოპოლისტის არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ელექტროენერჯის წარმოება (გენერაცია), გადაცემა და განაწილებაც ერთი სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ ხორციელდებოდა. იგი უშუალოდ ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა (მათ შორის, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში). ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ფასები სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად კონტროლირებადი იყო, ადგილი ჰქონდა ელექტროენერჯიაზე მონოპოლიურად მაღალი ფასების დაწესებას. ამას განაპირობებდა ის, რომ მონოპოლიური მდგომარეობა ცნება გარანტირებული მონოპოლიური მოგების მიღებას გულისხმობს, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების ხარისხის მიუხედავად.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდა სწორი რესტრუქტურისა და შიდა ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეული მონოლითური სფეროების დანაწილება (გენერაციის, გადაცემის, განაწილების, დისპეტჩერიზაციის განმხორციელება და სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო კომპანიებისათვის გადაცემა). ამან კი ბუნებრივი მონოპოლიების შესახებ თეორიაში გარკვეული კორექტივები შეიტანა.

ასე, რომ ეკონომიკური შეხედულებებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ელექტროენერგეტიკული სისტემის რესტრუქტურისა და ლიბერალიზაციის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ელექტროენერგეტიკული სისტემის ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული რეფორმების ტალღა. ეს პროცესი მოგვიანებით, 90-იანი წლების ბოლოსათვის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც გავრცელდა და დღესაც მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს.

რეფორმის მთავარი მიზანი მდგომარეობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სუბიექტების ისეთი სტიმულებით უზრუნველყოფაში, რომლებიც მათ უბიძგებენ იმოქმედონ არა მონოპოლისტური, არამედ საბაზრო მიდგომებიდან გამომდინარე. ასეთი სტიმულების შექმნა კი მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ. ამისათვის აუცილებელია მოქნილი ფასების პოლიტიკის შემუშავება და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა სახელმწიფოს გავლენისა და როლის შემცირება ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედ სუბიექტებზე (რაც, ძირითადად, ამ სუბიექტების პრივატიზებაში გამოიხატა) და ელექტროენერგეტიკის შედარებით უფრო ბუნებრივად მონოპოლიური სეგმენტების კონკურენტუნარიანი სეგმენტებისაგან განცალკევება.

აქვე მიზანშეწონილია განვიხილოთ შესაძლო თეორიული მოდელები, რომელთა არსებობა ელექტროენერგეტიკის ბუნებრივად მონოპოლიური სფეროს რესტრუქტურისა და ლიბერალიზაციის პირობებში არის შესაძლებელი. აღნიშნული მოდელები შეიძლება შემდეგი სახით იქნეს ილუსტრირებული:

მოდელის დასახელება	ბაზრის ტიპი	კონკურენციის დონე
მოდელი I	მონოპოლია	კონკურენცია არ არსებობს
მოდელი II	ერთი შემსყიდველი	კონკურენცია მხოლოდ გენერაციის სფეროშია
მოდელი III	რამდენიმე შემსყიდველი	კონკურენცია გენერაციისა და საბითუმო მიწოდების სფეროშია
მოდელი IV	სრული კონკურენცია	კონკურენცია საბითუმო და საცალო მიწოდების სფეროშია

თეორიულად, რა თქმა უნდა, მომხმარებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველაზე ეფექტურად დაკმაყოფილების შესაძლებლობა ცხრილში მოცემული IV მოდელის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. მაგრამ, როგორც განვითარებული ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, აშშ) გამოცდილებამ აჩვენა, ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ პირობებში ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სრულყოფილი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუძლებელია. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ასევე დაადასტურა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში საკმაოდ კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული რესტრუქტურის შედეგად მიღწეულ იქნა ენერგეტიკის სფეროს გარკვეულ სექტორებში სხვადასხვა ხარისხის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, სრულყოფილი კონკურენციის მიღწევა, რაც რესტრუქტურის ხარისხის დაწყების დროს იყო ნავარაუდები, შეუძლებელი აღმოჩნდა. მეტიც, იმ სექტორებშიც კი, სადაც კონკურენციის ხარისხი შედარებით მაღალი იყო, რეგულირების აუცილებლობა კვლავაც დარჩა.

ასე, რომ ელექტროენერჯის გამანაწილებელ სისტემაშიც კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება ბევრად უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე ეს თავიდან თეორიულად იყო ნავარაუდები. ეს იმან გამოიწვია, რომ ელექტროენერგეტიკას ახასიათებს ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურა და ამ სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტების სრული განცალკევება (დამოუკიდებლობის მინიჭება) ბუნებრივ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ვერტიკალურად ინტეგრირებულ სისტემებში კონკურენციაში მონაწილეობის შესაძლებლობა დამოკიდებულია გაზის მილსადენით ან დენის მაღალი ძაბვის სადენით სარგებლობის შესაძლებლობაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბაზრის ყველა მონაწილე სუბიექტს საშუალება ჰქონდეს, თანაბარ პირობებში ისარგებლონ ენერჯის წყაროებით. ამიტომ საჭიროა მუდმივი რეგულირება, რათა დადგინდეს ენერჯის წყაროებით სარგებლობის წესები და დარგისათვის დამახასიათებელი სხვა სპეციფიკური ან ტექნიკური მოთხოვნები. ასე, რომ ბუნებრივი მონოპოლიები, რომლებიც ასოცირდებიან

მილსადენტან და ელექტროსადენტან, კვლავაც საჭიროებენ ფასების, შემოსავლების, მომსახურების პირობებისა და ხარისხის კონტროლს, რათა აღიკვეთოს მათი მონოპოლიური ბუნების გამოვლინება.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მეტ-ნაკლებად თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნა ენერგეტიკის გარკვეულ სფეროებში შეუძლებელია. სწორად განხორციელებული რესტრუქტურისა და მარეგულირებელი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის შემთხვევაში, გარკვეულ სეგმენტებზე შესაძლებელია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება. რესტრუქტურისა და ლიბერალიზაციის პროცესი კი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა წარმატებითა და ტემპებით მიმდინარეობს. ცენტრალური ევროპის ქვეყნებში განხორციელებული წარმატებული რესტრუქტურისა და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარე რესტრუქტურის პროცესების ანალიზი ამ ნაშრომის მომდევნო თავებში არის განხილული. მანამდე კი მიზანშეწონილია მოკლედ მიმოვიხილოთ მარეგულირებელი ორგანოების ზოგადი ფუნქციები და ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა ხორციელდებოდეს მათი საქმიანობა.

### **თავი 3. რეგულირების პრინციპები და რეგულირების გავლენა მაკროეკონომიკურ მახასიათაებლებზე**

ზოგადად, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციები შეიძლება რამდენიმე პუნქტით ჩამოვყალიბოთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად პრიორიტეტულად იყოს მიჩნეული ენერგეტიკული სისტემის რეფორმის მიმდინარეობის სტადიების შესაბამისად.

ეს ფუნქციებია:

- ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისათვის მოქმედების სამართლიანი და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა;
- მომხმარებლების ინტერესების დაცვა;
- ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის წარმოებისა და განაწილების სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად ენერგეტიკული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- განახლებადი და ალტერნატიული სახის ენერჯის გამოყენების გაფართოების ხელშეწყობა;
- ენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილებისას გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებისა და დაზიანებისაგან დაცვა.

მარეგულირებელი ორგანო საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის უნდა მოქმედებდეს გარკვეული პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპებია:

- დამოუკიდებლობა;
- კონსულტაციები ენერჯის მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან;
- პრობლემების გადაწყვეტის თანმიმდევრულობა;

- სიტუაციის პროგნოზირებადობა;
- კომუნიკაბელობა;
- კომპეტენტურობა;
- თვითშეფასების უნარი;
- გამჭვირვალობა (საჯაროობა);
- ელასტიურობა.

ყველა ზემოაღნიშნული პრინციპი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოქმედებისა და ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მარეგულირებელი ორგანოს მთავარი მიზნის – საზოგადოების მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

განვიხილოთ თითოეული პრინციპი ცალ-ცალკე.

## 1. დამოუკიდებლობა

რეგულირებაზე საერთოდ და კონკრეტულად მარეგულირებელ ორგანოზე საუბრისას ერთ-ერთი პირველი და ძირითადი საკითხი მისი დამოუკიდებლობაა. ეფექტური მარეგულირებელი ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს იმათთაგან, ვის რეგულირებასაც იგი ახორციელებს და დაცული უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან. მას სრული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს არეგულიროს ბაზრის მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღება-გატარება. იგი უფლებამოსილი უნდა იყოს (ჰქონდეს რწმუნება და იურიდიული ბაზა) ეფექტურად არეგულიროს მისი რეგულირების არეალში მოქცეული სფეროები. მარეგულირებელი ორგანო კარგად უნდა ფინანსდებოდეს და დაფინანსების წყარო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

დამოუკიდებლობის პრინციპი არის აუცილებელი ელემენტი რეგულირების ობიექტებში ნდობის მოპოვებისათვის. ეს ნდობა კი იმ შემთხვევაში იქნება, თუკი რეგულირების ობიექტები დაინახავენ, რომ გადაწყვეტილებები არა პოლიტიკური და ფინანსური ინტერესების გამო, არამედ საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე მიიღება.

დამოუკიდებლობის პრინციპი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაც, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამის პრაქტიკულად მიღწევა ძალიან ძნელია, რადგან, როგორც წესი, ენერგეტიკული სფეროს გამართულ ფუნქციონირებაზე ქვეყნის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სიძლიერეც არის დამოკიდებული. შესაბამისად, ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა ბერკეტი, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება გავლენა მოახდინოს მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებებზე მისთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ბუნებრივია, არ შეიძლება ვისაუბროთ სახელმწიფო ორგანიზაციაზე, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ქვეყანაში გატარებული პოლიტიკისაგან. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გაცნობიერებას, რომ მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა საჭიროა არა იმისათვის, რომ მან ხელისუფლების მოსაზრებასა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებები მიიღოს, არამედ იმისათვის, რომ განხორციელდეს ბაზრის ეფექტური და სამართლიანი რეგულირება. მთლიანობაში რეგულირების ეფექტურობა განისაზღვრება არა მარეგულირებლის გამიჯვნის ხარისხით პოლიტიკის შემქნელისაგან, არამედ ბაზარზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, არჩევანის გაზრდით, ფასების გონივრულობითა და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხის გაზრდით.

მრავალ ქვეყანაში ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების საკონტროლო პაკეტებს სახელმწიფო ფლობს. ასეთ შემთხვევაში, თუკი მარეგულირებელი თავისუფალი არ იქნება ხელისუფლების გავლენისაგან, რა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდება ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის არსებობა, რაც საბოლოოდ ისევ მონოპოლიური ბაზრის შექმნამდე მიგვიყვანს. სწორედ ასეთი დამოუკიდებლობა იგულისხმება მარეგულირებელი ორგანოს „დამოუკიდებლობის“ პრინციპში და არა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან, რომლის მიღწევაც მხოლოდ თეორიულად თუ არის შესაძლებელი.



## 2. კომუნიკაბელობა

ეფექტური კომუნიკაბელობა ერთდროულად საგანმანათლებლოც არის და ინფორმაციულიც. იგი ხელს უწყობს მარეგულირებელი ორგანოების ინიციატივების უკეთ გაგებას და სწორად აღქმას რეგულირების ობიექტების მხრიდან. შესაბამისად, მეტი ურთიერთგაგების შემთხვევაში, შეთავაზებული ინიციატივების განხორციელებაც ნაკლები პრობლემებისა და დაბრკოლებების გარეშე არის შესაძლებელი.

მარეგულირებელი ორგანო ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს ბაზრის სუბიექტებს შესაბამისი და დროული განმარტებებით, რეგულირების მეთოდებისა და ახალი ინიციატივების შესახებ.

*გამოყოფენ კომუნიკაციის რამდენიმე სახეს:*

- ა. მარეგულირებელსა და რეგულირების ობიექტებს შორის უწყვეტი და ეფექტური კომუნიკაცია. აქ იგულისხმება, რომ რეგულატორი რეგულირების ობიექტს მუდმივად უნდა აწვდიდეს ამომწურავ ინფორმაციას რეგულირების არეალში მოქცეულ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც რეგულირების ობიექტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში შედის;
- ბ. ხელმისაწვდომი და მარტივი კომუნიკაცია. ეს გულისხმობს რეგულირების ობიექტებისათვის საჭირო ინფორმაციის ადვილად აღსაქმელი ფორმით მიწოდებას;
- გ. დროული კომუნიკაცია. იგი გულისხმობს რეგულირების ობიექტებისათვის საჭირო ინფორმაციის მანამ მიწოდებას, ვიდრე მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნება მიღებული და იმ ფორმით მიწოდებას, რომელიც რეგულირების ობიექტს სტიმულს მისცემს, ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ამასთან, მას საკმარისი დრო უნდა ჰქონდეს საკითხის განხილვისა და დასკვნების გამოტანისათვის;
- დ. შესაბამისი კომუნიკაცია. აქ იგულისხმება რეგულირების ობიექტისათვის კონკრეტული და მისთვის საინტერესო ინფორმაციის

და არა ზოგადი ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც შეიძლება ყურადღების კონცენტრაცია ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე მოახდინოს.

### 3. კონსულტაციები ენერჯის მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან

კონსულტაციები მარეგულირებელ ორგანოს, რეგულირების ობიექტსა და მომხმარებლებს შორის ეფექტური და მანევრირებადი რეგულირების სისტემის ჩამოყალიბების საფუძველია.

მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან რეგულირების ობიექტებთან და მომხმარებლებთან კონსულტაციები ხელს უწყობს მას უკეთ გაერკვეს საერთოდ დარგის და მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტების წინაშე არსებულ პრობლემებში; მეორე მხრივ, ასეთი მრავალმხრივი კონსულტაციები რეგულირების ობიექტსაც და მომხმარებლებსაც საშუალებას აძლევს გამოთქვან თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები რეგულირების არსებული ან მომავალი მეთოდების შესახებ, მარეგულირებლებს შესთავაზონ რეგულირების ალტერნატიული და უფრო ეფექტური გზები. თუმცა, რეგულირების ალტერნატიული მეთოდების განხილვის შესაძლებლობა არ არის ერთადერთი შედეგი, რაც რეგულირების სუბიექტებს შორის კონსულტაციების შედეგად მიიღწევა. ასეთი კონსულტაციები იძლევა რეგულირების სისტემის ხარისხისა და ეფექტურობის შეფასების საშუალებასაც.

კონსულტაციები მარეგულირებელ ორგანოს საშუალებას აძლევს სწორად განსაზღვროს ინიციატივის ან ახალი მარეგულირებელი აქტის ამოქმედების დრო. მაგალითად, ახალი მარეგულირებელი წესის ან მეთოდის პრაქტიკულად განხორციელება მიღებისთანავე შეუძლებელია, ამიტომ უნდა გაიმართოს წინასწარი კონსულტაციები რეგულირების ობიექტებთან, რაც მარეგულირებელ ორგანოს ნორმატიული აქტის მიღებასა და მის პრაქტიკულად ამოქმედებას შორის ყველაზე ეფექტური და მიზანშეწონილი შუალედის დადგენის საშუალებას მისცემს.

მარეგულირებელსა და რეგულირების ობიექტს შორის სშირი კონსულტაციები ხელს უწყობს ღია და გამჭვირვალე ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ურთიერთნდობის გამყარებას. ამასთან, სშირი კონსულტაციები სრულყოფილი და ტევადი ინფორმაციული ნაკადების გაცვლის საშუალებას იძლევა, რაც სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

#### **4. პრობლემის გადაწყვეტის თანმიმდევრულობა**

მარეგულირებელი ორგანოს მიერ საკითხების დამუშავება უნდა ხდებოდეს ეტაპობრივად და თანმიმდევრულად, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეტაპები პირობითად შეიძლება მოცემულ იქნეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პრობლემის იდენტიფიცირება;
2. პრობლემის გადაჭრის შემთხვევაში მისაღწევი სასურველი შედეგის (ან შედეგების) ჩამოყალიბება;
3. პრობლემის გადაჭრის გზებისა და მეთოდების დამუშავება;
4. საეარაუდო შედეგების გავლენის შეფასება მთლიანად დარგზე;
5. განმარტებებისა და დასკვნების მომზადება საკითხთან დაკავშირებით;
6. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებს შორის;
7. გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელება და მონიტორინგი.

#### **5. სიტუაციის პრობნოზირებადობა**

რეგულირების პროგნოზირების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რის საშუალებითაც რეგულირების ობიექტებს საშუალება ეძლევათ წინასწარ შეიმუშაონ თავიანთი საწარმოების პერსპექტიული განვითარების გრძელვადიანი გეგმები და განსაზღვრონ მომავალი ინვესტირების შესაძლო სფეროები.

მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ძირითადი ფონდებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლავწარმოების აუცილებლობა და, შესაბამისად, დარგის განვითარების პერსპექტივებისა და მოსალოდნელი საპროგნოზო ცვლილებებისათვის უნდა მოამზადონ რეგულირების ობიექტები.

ასევე პროგნოზირებადი უნდა იყოს კონკრეტულ დარგთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკაში შესაძლო ცვლილებები ან მოცემული სფეროს განვითარების პერსპექტივები და ის მოსალოდნელი პროცესები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გენერაციის ობიექტების მიერ წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების ფასებზე, ტექნიკურ მხარეზე, ხარისხზე და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული ცვლილებების პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით არასტაბილური ეკონომიკის ან სწრაფი ტექნოლოგიური ან პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებებისას, მაგრამ ასეთი გამონაკლისები რაც შეიძლება იშვიათი უნდა იყოს, თუკი საერთოდ დარგის სასურველ განვითარებაზე ლაპარაკი.

მთავარი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც დარგში მოსალოდნელი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება არის შესაძლებელი, წარმოადგენს საკითხებისადმი ანალიზური მიდგომა, ანუ მარეგულირებელ ორგანოში შემოსული ინფორმაციების პერმანენტული ანალიზის საფუძველზე დარგში მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირება.

## 6. ელასტიურობა

ელასტიურობა მოიცავს რეგულირების მექანიზმების ერთობლიობას და გულისხმობს შესაძლებლობას დროდადრო დაიხვეწოს რეგულირებისადმი მიდგომები გარემო პირობების ცვლილებების ადეკვატურად. ხშირ შემთხვევებში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მარეგულირებელი ორგანოები დაფუძნებისა და ლეგიტიმაციის შემდეგ ერიდებიან შემუშავებული რეგულირების მეთოდების გადახედვას და ცდილობენ თავიანთი გავლენა რეგულირების ობიექტებზე სულ უფრო გაზარდონ; ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება კონკურენ-

ტულ გარემოზე და, შესაბამისად, ხელს უშლის დარგის სასურველ განვითარებას.

ელასტიურობის უზრუნველყოფის მთავარი მექანიზმი გულისხმობს მზადყოფნას რეგულირების ალტერნატიული მეთოდებისა და მექანიზმების შესასწავლად; აგრეთვე, მარეგულირებლის მხრიდან იმის გაცნობიერებას, რომ ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე პირობებში ნებისმიერ დარგთან დაკავშირებით სიტუაციები სწრაფად იცვლება; შესაბამისად, იცვლება დარგის განვითარებისადმი სახელმწიფოს მხრიდან წაყენებული მოთხოვნები, რაც რეგულირების მიზნებისა და მეთოდების კორექტირებას და ცვლილებებთან მორგებას მოითხოვს. ამიტომ, აუცილებელია, მარეგულირებელმა ორგანომ, გარემო პირობების ცვლილებების შეაბამისად, მუდმივად დაამუშაოს რეგულირების ახალი და ადეკვატური მეთოდები. ამის მიღწევა კი არსებული გამოცდილების გაანალიზების, დარგში მიმდინარე პროცესების, პერსპექტივებისა და სტრუქტურის მუდმივ შესწავლას მოითხოვს.

## 7. კომპაქტინტეგრაცია

მარეგულირებელი ორგანოს ეფექტურად ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება და პროფესიონალი, კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტება. შესაბამისი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის მქონე კადრების გარეშე მარეგულირებელი ორგანო შეიძლება რეგულირების ობიექტის გავლენის ქვეშ მოექცეს და რეგულირების ობიექტებმა თავს მოახვიონ თავიანთი მონოპოლიური შეხედულებები. ამის მიზეზია ის რომ ბუნებრივად მონოპოლიურ ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი სუბიექტი, დარგის მონოპოლიური ბუნების გამო, მუდმივად მიისწრაფვის ბაზარზე დომინანტი მდგომარეობის მოსაპოვებლად.

მარეგულირებელ ორგანოებს უნდა შეეძლოთ ინფორმაციის მიღება რეგულირების ობიექტების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია კონკრეტული იყოს და ეხებოდეს რეგულირების ობიექტის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ოპერაციებს, ან კონკრეტულად მათ ფუნქციებს. ინფორმაციის მოთხოვ-

ნისას აუცილებელია ზღერის დაცვა იმ ინფორმაციას შორის, რომელიც აუცილებელი და საჭიროა რეგულირების სწორად განხორციელებისათვის და იმ ინფორმაციას შორის, რომელიც ამა თუ იმ კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი, დრო და მეთოდოლოგია ზუსტად და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება.

კომპეტენტური, შესაბამისი ტექნიკური და თეორიული ცოდნის მქონე კადრები აუცილებელი პირობაა სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. არაკომპეტენტური კადრების პირობებში რთულდება სწორი და საჭირო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა, ასევე მისი დამუშავება. რეგულირების სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბოლო წლების განმავლობაში მარეგულირებელი ორგანოების (როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში) საქმიანობაში შეინიშნება ეგრეთ წოდებული „ინფორმაციული ასიმეტრიულობის“ სინდრომი. ეს იმაში გამოიხატება, რომ მარეგულირებელი ორგანოები რეგულირების ობიექტების საქმიანობასა და დარგში მიმდინარე პროცესების შესახებ ბევრად ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ, ვიდრე თვითონ რეგულირების ობიექტები და მარეგულირებლები „ზედმეტად“ დამოკიდებულნი არიან რეგულირების ობიექტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. ეს რეგულირების ობიექტებს საშუალებას აძლევს ირიბი ზემოქმედება მოახდინონ მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებებზე თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ ასეთი გავლენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მარეგულირებელი ორგანოს დაკომპლექტება შესაბამისი ტექნიკური და თეორიული ცოდნის მქონე კადრებით. ამისათვის კი აუცილებელია მარეგულირებელი ორგანოების ხელმძღვანელობამ მუდმივად უზრუნველყოს კადრების გადამზადებისა და პროფესიული დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, თანამშრომლებისათვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება.

## 8. თვითშეფასების პრინციპი უნარი

თვითშეფასების პრინციპი გულისხმობს მარეგულირებელი ორგანოების ვალდებულებას – შეიმუშაონ თავიანთი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მექანიზმები. ეს მექანიზმები მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მკაფიოდ განსაზღვრას და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მიზეზების ნათლად ჩამოყალიბებას.

აღრიცხვისა და თვითშეფასების პრინციპი ასევე გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ რეგულირების ობიექტს ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე შეეძლოს მარეგულირებელი ორგანოს იმ თანამშრომლებთან ურთიერთობა, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ. ეს მარეგულირებელი ორგანოების ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას რეგულირების ობიექტების შეხედულებების, მათი მოსაზრებების თაობაზე არა მარტო რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, არამედ საერთოდ არსებული რეგულირების სისტემის შესახებ. ყოველივე ეს კი მათ დაეხმარება იმის შეფასებაში, თუ რამდენად ეფექტური და შედეგიანია მათი საქმიანობა, რა საკითხები საჭიროებს დამატებით განხილვას და რა ცვლილებები შეიძლება იქნეს შეტანილი რეგულირების არსებულ მეთოდებში.

## 9. გამჭვირვალობა (საჯაროობა)

გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან რეგულირების ობიექტების მუდმივად ინფორმირებას მარეგულირებელ ორგანოში მიმდინარე პროცესების, მიზნების, მონაცემებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მარეგულირებელმა ორგანომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა უზრუნველყოს გახსნილობა და გამჭვირვალობა ყველა ეტაპზე, ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ. ასეთი გახსნილობა ხელს უწყობს რეგულირების ობიექტების ნდობის მოპოვებას და მარეგულირებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმტკივნეულოდ შესრულების შესაძლებლობას.

თუკი ზემოაღნიშნული პრინციპები მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის ორგანული ნაწილი გახდება, მხოლოდ ასეთ შემთხვე-

ვაში იქნება შესაძლებელი დასახული ამოცანებისა და მიზნების სწრაფად, ეფექტურად და უმტკივნეულოდ განხორციელება.

მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობამ სასურველი შედეგები რომ მოიტანოს, იგი უნდა ემსახუროდეს მოსახლეობის ინტერესებს. ეკონომიკური თეორიის თანახმად, რეგულირების ეფექტურობის მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის წმინდა სარგებელი (ე.ი. სარგებელს მინუს ხარჯი), რომელსაც მიიღებს მოსახლეობა მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის შედეგად.

ენერგეტიკული მომსახურების საწარმოს რეგულირების აუცილებლობა დასაბუთებულია ბაზრის ნაკლოვანებით, ან იმით, რომ ზოგიერთი საწარმოს საქმიანობა, სოციალური თვალსაზრისით, ყოველთვის არ არის სასურველი. აქედან გამომდინარე, მარეგულირებელი ორგანოს ძირითადი ამოცანაა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მიღება, ტარიფების მიმართ სათანადო პოლიტიკის გატარება და სხვ.

ტარიფების სრულყოფის მიზნით გასატარებელი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ენერგეტიკული მომსახურების საწარმოს საქმიანობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მოიცავს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა ან გარემოს დაცვის ამოცანის გადაწყვეტა.

ეფექტური რეგულირება უზრუნველყოფს საიმედო ენერგომომარაგებას საკმარისი მოცულობით და მინიმალური დანახარჯებით. ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნების დაცვა. იმისათვის, რომ რეგულირება ეფექტური იყოს, მარეგულირებელ ორგანოს უნდა გააჩნდეს სამართლიანობის თვისება. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ენერგეტიკულ სექტორში შემავალი სხვადასხვა მხარის კანონიერი ინტერესების დასაბუთებული და სამართლიანი გაწონასწორება;
2. რეგულირების ნათელი და გასაგები წესები და სახელმძღვანელო პრინციპები;
3. სწრაფი რეაგირება მომხმარებელთა საჩივრებზე;



4. ისეთი სიტუაციების თავიდან აცილება, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება მოკლევადიანი პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე;
5. გადაწყვეტილებების მიღება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პირობებში;
6. პასუხისმგებლობის მაღალი დონე;
7. ინფორმაციის ეფექტური შეგროვება და მის გავრცელებაზე სწრაფი რეაგირება;
8. თანამშრომლების კომპეტენტურობა და ავტორიტეტი;
9. აქტიური პოზიცია და მზადყოფნა გამაფრთხილებელი ღონისძიებების მისაღებად.

მარეგულირებელმა ორგანომ უნდა დანერგოს დამოუკიდებელი კონტროლის მექანიზმი, რომელიც გათვალისწინებულია არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. იგი მარეგულირებელ ორგანოს საშუალებას აძლევს, გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა ტარიფების მიმართ, როგორც ენერგეტიკული მომსახურების საწარმოების, ისე მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა და პრობლემებისადმი სწრაფი რეაგირება ასევე აუცილებელი თვისებებია მოქმედი მარეგულირებელი ორგანოსათვის. პასუხისმგებლობა დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ტარიფის განხილვისა და გადასინჯვის პროცესში, აგრეთვე იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლითაც დაკავებულია მარეგულირებელი ორგანო. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ინფორმაციის გამოქვეყნება მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებებისა და მისი დასაბუთებულობის შესახებ, ასევე ამ ორგანოს აუდიტორული შემოწმების შედეგები.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად მარეგულირებელი ორგანოების სწრაფი რეაგირება განისაზღვრება იმით, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ მოკლე დროში. როგორც წესი, ამისათვის საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების სხვა სტრუქტურების ჩარევის მინიმუმამდე დაყვანა. რეგულირების ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს ისეთი სიტუაციების აცილება, რომელშიც

რეგულირებადი საწარმო იძულებულია დახარჯოს მნიშვნელოვანი რესურსები სასამართლო განხილვებისათვის და ნორმატიულ-პროცედურული ხასიათის დაუსაბუთებელი წინააღმდეგობების გადასალახავად. ენერგეტიკული მომსახურება მომხმარებლებისათვის სასარგებლო იქნება, თუ მათ არ მოუწევთ ზედმეტი „რეგულირების ხარჯების“ დაფარვა.

დიდია ენერგეტიკის რეგულირებისა და ქვეყნის განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთგავლენა. რეგულირებაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს:

- საწარმოთათვის მკაცრი საბიუჯეტო ჩარჩოების (საბიუჯეტო დოტაციების ლიკვიდაცია, გადაუხდელობის შემთხვევაში ენერგომომარაგების შეწყვეტა, ჩათვლების აკრძალვა და გადასახადების გადახდის გადავადება და ა.შ.) შექმნას;
- ძველი და ახალი საწარმოებისათვის საქმიანობის ერთნაირი წესებისა და პირობების უზრუნველყოფას;
- იმ კრედიტორებისა და აქციონერების დაცვას, რომლებიც აქციების მცირე წილს ფლობენ;
- უცხოელი ინვესტორებისათვის საქმიანობის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- რეფორმების სოციალური შედეგების შესამსუბუქებელი მიზნობრივი სუბსიდიების განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელი ფაქტორებია:

- არასაკმარისად მკაცრი საბიუჯეტო ჩარჩოების არსებობა;
- ძველი საწარმოების დაცვა ახალი კონკურენტებისაგან;
- ოლიგარქიის მიერ სახელმწიფო დაწესებულებების დაუფლება;
- კრედიტორების, მცირე აქციონერებისა და უცხოური ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების იგნორირება;
- დაუფიქრებელი ქმედებები და სუბსიდიების არასაკმარისი მოცულობა;

- ზარალიანი საწარმოების არსებობა და მათი უფასო ელექტროენერგიით უზრუნველყოფა;
- გადაუხდელი გადასახადები და ენერგეტიკული ვალების არსებობა. ამით იზრდება საბიუჯეტო დეფიციტი და ირღვევა მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
- კორუმპირებულ მაღალჩინოსნებსა და „ბიზნესმენებს“ შორის ალიანსების დაფინანსება, ენერგეტიკული დარგიდან გამოწურული სახსრების ხარჯზე;
- ენერგომომარაგების არამდგრადობა და კორუფციის განვითარება, რომელიც ხელს უშლის მცირე და საშუალო კერძო საწარმოების განვითარებას და აფრთხობს უცხოელ ინვესტორებს.
- ენერგეტიკული დარგის რეფორმა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სტიმულს. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს:
- ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ერთმანეთისაგან გამოყოფა;
- ელექტროენერგიის მწარმოებელი და გამანაწილებელი საწარმოების გაყიდვა მყარი რეპუტაციის მქონე უცხოელ ინვესტორებზე;
- ენერგოკვებისაგან ნებისმიერი არგადამხდელის გათიშვა;
- ელექტროენერგიის იმპორტისა და ექსპორტის ლიბერალიზაცია;
- ელექტროგადამცემი ხაზების მფლობელისათვის ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის (ექსპორტ-იმპორტის) უფლების აკრძალვა;
- მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მომწოდებლის დამოუკიდებლად არჩევის საშუალების მინიჭება;
- ელექტროენერგიის ფასის რეგულირების დროს პოლიტიკური ზეწოლის ნეიტრალიზება.

სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას:

- რეგულირების ორგანოების დამოუკიდებლობის ხელყოფა;

- ყველა მომხმარებლის, მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოების მხრიდან ენერჯის საფასურის გადაუხდელობა;
- ენერგეტიკულ საწარმოთა ფორმალური რესტრუქტურისა;
- საექვო რეპუტაციის, ან საექვო გადახდისუნარიანობის მქონე ინვესტორზე ენერგეტიკული საწარმოს გაყიდვა;
- ენერგეტიკულ რესურსებზე საექსპორტო და საიმპორტო მონოპოლიების შექმნა;
- საბაზრო რისკისაგან სახელმწიფო გარანტიებით დაცვა;
- ერთი მომხმარებლის ბაზრის შემოღება, ანუ კონკურენციის არარსებობა.

ეს უკანასკნელი (ერთი მომხმარებლის ბაზრის მოდელი):

- სახელმწიფო საწარმოს აიძულებს გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს ახალი სიმძლავრეების მოცულობა, აგრეთვე ინვესტორისათვის შექმნას საბაზრო რისკისაგან დაცვის გარანტიები;
- ხელს უშლის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რადგან ერთი დამკვეთი ნაკლებად არის დაინტერესებული უფრო ხელსაყრელი პირობების შერჩევაში;
- გამანაწილებელ კომპანიას ინტერესს უკარგავს ამოილოს ენერჯის საფასური მომხმარებლიდან და იგი გადასცეს მწარმოებელს;
- სახელმწიფოს უქმნის იმის პირობას, რომ ჩაერიოს ელექტროსადგურების მართვასა და შემოსავლების გადანაწილებაში.

## თავი 4. მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის ფაქტორები

ქვეყანაში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც:

1. გარანტია ხელისუფლების მხრიდან, რომ მას სურვილი აქვს და შეუძლია მიუკერძოებლად დაიცვას ინვესტორებისა და მომხმარებლების უფლებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილებები;
2. ინვესტორების დარწმუნების მექანიზმი, რომ პოლიტიკური კონიუქტურისა და პოლიტიკური კლიმატის ცვლილების შემთხვევაში მათი ინტერესები შელახული არ იქნება.

*ისმის კითხვები:*

რა ფაქტორებითაა განპირობებული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა?

შესაძლებელია თუ არა მიუკერძოებელი და სამართლიანი რეგულირება, მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის გარეშე?

მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის აუცილებლობას, სხვა ფაქტორებთან ერთად (ფინანსური დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება), განაპირობებს სამი ძირითადი ფაქტორი. ესენია:

1. პოლიტიკური ფაქტორი;
2. ეკონომიკური ფაქტორი;
3. ქვეყნის კულტურა, ტრადიციები და ხალხის მენტალიტეტი.

**პოლიტიკური ფაქტორი**

მარეგულირებელი ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან და შეეძლოს გადაწყვეტილებების არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით მიღება. მაგალითად, ელექტროენერჯიაზე ტარიფების აწე-

ვა არც ერთ ქვეყნის არც ერთი პოლიტიკოსისათვის ან ხელისუფლებისათვის პოპულარული გადაწყვეტილება არ არის. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილებები უარყოფითად აისახება ხელისუფლებაში არსებული პოლიტიკური ძალების რეიტინგზე. შესაბამისად, პოლიტიკოსები (ხელისუფლების წევრებიც და ხელისუფლებისათვის მებრძოლი პარტიებიც) ყოველთვის ცდილობენ მარეგულირებელ ორგანოს თავს მოახვიონ ეკონომიკურად არამიზანშეწონილი, მაგრამ პოლიტიკური ქულების დასაწერად მეტად ეფექტური გადაწყვეტილებები ინვესტორისათვის არასამართლიანად დაბალი ტარიფების დაწესებით. ამიტომ ვდგებით ისეთი მექანიზმის არსებობის აუცილებლობის წინაშე, რომელიც ხელს შეუშლის პოლიტიკური ზეგავლენის მარეგულირებელ ორგანოზე გავრცელებას. ასეთი მექანიზმი კი მარეგულირებელი ორგანოს ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფაა (ან ხალხის მენტალიტეტი, რის შესახებაც ქვემოთ იქნება აღნიშნული). დამოუკიდებლობა კი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომელიც ხელისუფლების რომელიმე პოლიტიკურ ძალას აუკრძალავს (საშუალებას არ მისცემს) ზემოქმედება მოახდინოს მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებაზე. იმისათვის, რომ ინვესტორებმა ქვეყანაში კომფორტულად იგრძნონ თავი, მარეგულირებელ კომისიას უნდა შეეძლოს პოლიტიკურად „არაპოპულარული“ გადაწყვეტილებების მიღება.

მარეგულირებელი ორგანოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა ისედაც ძალიან რთული საკითხია, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანოების კომისიის წევრები ქვეყნის პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ ინიშნებიან, რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ პარტიას მიეკუთვნებიან და, შესაბამისად, კომისიის წევრების შერჩევაც (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) პროფესიონალიზმთან ერთად პოლიტიკური ნიშნითაც ხდება. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური ზეგავლენისაგან თვითონ კომისიის სრულიად განთავისუფლება, ფაქტობრივად, წარმოდგენილია. ამასთან, დამატებითი ბერკეტის შექმნა, რომელიც იურიდიულ (კანონიერ) საშუალებას მისცემს ხელისუფლებას (ან მის მეთა-

ურს), პირდაპირი ზემოქმედება მოახდინოს მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაზე, დაუშვებელია. ამან, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, შესაძლოა მკვეთრად უარყოფითად იმოქმედოს დარგში საინვესტიციო კლიმატზე და, საერთოდ, დარგის განვითარებაზე.

მარეგულირებელი ორგანოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან განთავისუფლების აუცილებლობა, აგრეთვე, გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ შესაძლებელია ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებას მოჰყვეს დარგის განვითარების სტრატეგიის, ინვესტორებთან დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება. როგორც წესი, ასეთ მკვეთრ ცვლილებებზე ინვესტორები (ბაზარი) უარყოფითად რეაგირებენ, რადგან მათ ბაზარზე შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღეს არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით და განვითარების სტრატეგიული გეგმები და ინვესტირების სფეროები არსებული ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიკური მიდგომების გათვალისწინებით დასახეს. დამოუკიდებელი და ავტონომიური მარეგულირებელი ორგანო ინვესტორებზე ასეთი უარყოფითი პოლიტიკური გავლენების შესუსტების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

## ეკონომიკური ფაქტორი

როგორც ცნობილია, მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ენერგობაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველყოფაა. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ბაზრის სუბიექტების ბაზარზე თავისუფლად შესვლისათვის სამართლიანი პირობების შექმნა. სამართლიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ მარეგულირებელი ორგანო ვალდებულებებით დატვირთული არ იყოს ენერგობაზარზე მოქმედი სუბიექტების მიმართ, ანუ, ვალდებული არ იყოს სახელმწიფო კომპანიების, კერძო კომპანიებისა და მომხმარებელთა მიმართ. სამივე ინტერესთა ჯგუფს თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნია და სწორედ ამ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის შემთხვევაში შეიძლება მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობა ჩაითვალოს წარმატებულად.

როგორც განვიხარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო კვლავაც რჩება ენერგობაზრის მონაწილე უმსხვილესი კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტების მფლობელად. თუ ხელისუფლებას საშუალება ექნება პირდაპირი (იურიდიული) ზემოქმედება მოახდინოს მარეგულირებელ ორგანოზე, მაშინ იგი აუცილებლად შეეცდება მარეგულირებელი აიძულოს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც სახელმწიფო კომპანიებს ჩააყენებს უფრო უკეთეს მდგომარეობაში კერძო კომპანიებთან შედარებით, რაც, რა თქმა უნდა, არასამართლიან და არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს შექმნის. ასეთი გარემო, შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედებს დარგის საინვესტიციო მიმზიდველობაზე და ინვესტორებს აიძულებს გადახედონ თავიანთ ეკონომიკურ (საინვესტიციო) პოლიტიკას ასეთ ქვეყანაში. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ეფექტური და მნიშვნელოვანი ბარიერია დამოუკიდებელი, ავტონომიური მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ვალდებული არ არის („არ ეშინია“) ხელისუფლების წინაშე და თავისი საბაზრო გადაწყვეტილებების განსახორციელებლად იგი აღჭურვილია შესაბამისი საკანონმდებლო და იურიდიული ბაზით.

### ქვეყნის კულტურა, ტრადიციები და ხალხის მენტალიტეტი

თეორიულად და პრაქტიკულადაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მარეგულირებელი ორგანო ფუნქციონირებდეს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ანუ, მარეგულირებლის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი შეზღუდული იყოს. ეს შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს დარგობრივი სამინისტროს (მინისტრის) ანგარიშვალდებულებაში, რეგულირების მეთოდებისა და რეგულირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სამინისტროსთან შეთანხმების აუცილებლობაში და სხვ. ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, რეგულირების სისტემაში იქმნება კიდევ ერთი დამატებითი რგოლი, რომლის ფინანსურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მოსაზრებებს ინვესტორებმა ანგარიში უნდა გაუწიონ (შესაბამისად, არის დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების გაჩენის საფრთხე) და, მეორე მხრივ, ჩნდება საშიშროება, რომ მარეგულირებელი ორგანო დაკარგავს „ლეგიტიმუ-



რობის“ ხარისხს. „ლეგიტიმურობა“ გულისხმობს მარეგულირებლის აღიარებას იმათ მხრიდან, ვინც შეიძლება გავლენა მოახდინოს მასზე. ასევე, ლეგიტიმურობა არის ის, თუ როგორ აღიქვამენ მარეგულირებელ ორგანოს დაინტერესებული პირები და რეგულირების ობიექტები.

აღნიშნული პრობლემა, ალბათ, განსაკუთრებით თავს იჩენს პატარა ქვეყნების რეალობაში. საქართველოს სინამდვილეშიც, სადაც კორუფციულთან ერთად ძალიან ძლიერია ნათესაური და მეგობრული ურთიერთობები. შესაბამისად, ხალხის უმეტესობას (რომელთა წარმომადგენლებიც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაშიც არიან) ნათესავის ან მეგობრის განაწყენებას თანამდებობრივად არასწორი გადაწყვეტილების მიღება ურჩევნია (რომ არაფერი ვთქვათ, კორუფციის მასშტაბებსა და ძალაზე). ასეთ პირობებში დიდია რისკი იმისა, რომ თუკი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია რომელიმე დარგობრივი სამინისტროს წინაშე, მიიღებს რეგულირების ობიექტისათვის არასასურველ, მაგრამ ეკონომიკურად სამართლიან და მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას, რეგულირების ობიექტი ეცდება გამოსავალი დარგობრივ სამინისტროში იპოვოს, ანუ, იგი ეცდება სხვადასხვა გზებითა და ხერხებით მარეგულირებელ ორგანოზე ზეწოლა მოახდინოს სამინისტროს, როგორც მარეგულირებლის ზედამხედველობის მხრიდან და არა სამართლო გზით, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. ანუ, მარეგულირებელი ორგანოს ლეგიტიმურობის ხარისხი, ე.ი. რეგულირების ობიექტების მხრიდან იმის რწმენა, რომ მარეგულირებელი ორგანო (კომისია) უმაღლესი ორგანოა, რომელიც ენერგობაზარს არეგულირებს და რომელზეც ზეწოლის მოხდენა შეუძლებელია, მცირდება. ამ დროს რეგულირების სისტემას – *რეგულატორი – რეგულირების ობიექტი – მომხმარებელი* – კიდევ ერთი დამატებითი რგოლი ემატება დარგობრივი სამინისტროს სახით.

რა თქმა უნდა, საქართველოში (ასევე, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მსგავსი დონის ქვეყნებში) უფრო დიდი ალბათობაა იმისა, რომ შესაბამისი სამინისტროს (რომელიც ზედამხედ-

ველობს მარეგულირებელი კომისიის საქმიანობას) რომელიმე ხელმძღვანელმა ზეწოლა ან რაიმე ფორმით ზემოქმედება მოახდინოს მარეგულირებელ კომისიაზე, ვიდრე განვითარებული ევროპული ქვეყნების ანალოგიური სამინისტროს წარმომადგენელმა; საფრთხე ძლიერდება მით უფრო, თუ მას მარეგულირებელი ორგანოს ზედამხედველის სტატუსი ექნება. ეს არა მარტო საქართველოს, არამედ განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა. მარეგულირებელი ორგანოს სრული ავტონომიურობა ამ უარყოფითი ტენდენციის პრაქტიკულ რეალიზაციას აფერხებს.

გარდა ამისა, კომუნისტური ეპოქის გავლენებით მოსახლეობას ჩამოყალიბებული არა აქვს „გადამხდელის“ მენტალიტეტი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, სახელმწიფო *გააღდებელია* ისინი უზრუნველყოს უფასო (ან თითქმის უფასო) ელექტროენერგიით ან სხვა რაიმე სახის მომსახურებით. შესაბამისად, პარტიათა პოლიტიკური პროგრამების უმეტესობა პოპულისტურ და არარეალურ განცხადებებზეა აგებული; ამის შედეგად მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლება დიდი წნეხის ქვეშ ექცევა და, რიგ შემთხვევებში, იძულებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული მეტ-ნაკლებად კანონიერი თუ უკანონო ბერკეტები და მარეგულირებელ ორგანოებს ეკონომიკურად არაგონივრული და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებისაკენ უბიძგონ. აღნიშნული მოვლენა, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ძალიან სახიფათოა, რადგან სატარიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ენერგოსისტემის კვლავწარმოებისათვის საჭირო სახსრების დარგში მობილიზება, ენერგეტიკის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიული გეგმების შესაბამისად. ასეთი სატარიფო და საფასო პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელება კი მხოლოდ სწორი ეკონომიკური გათვლებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზეა შესაძლებელი.

ამასთან, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბება და მათი სრული ლეგიტიმაციის ხელშეწყობა ხელისუფლებას საშუალებას აძლევს თავი აარიდოს ეკონომიკურად გაუმარ-

თლებელი გადაწყვეტილებების მიღებას და „პასუხისმგებლობა“ მარეგულირებელ ორგანოს დააკისროს. სწორედ აღნიშნული გზა აირჩია ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ (იტალია, საფრანგეთი, აშშ, ინგლისი, ავსტრალია და ა.შ.), რომელთა ენერგოსისტემები საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებენ და ყოველგვარი სოციალურად დაძაბული ფონის გარეშე ვითარდებიან.

მარეგულირებელი ორგანოს დაფინანსების საკითხი უშუალო კავშირშია მის დამოუკიდებლობასთან. ჭეშმარიტად დამოუკიდებელ ორგანოს, ცხადია, დაფინანსებაც დამოუკიდებელი უნდა ჰქონდეს; ადრე, როცა მართვის ფუნქცია ყველა სფეროში მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო, სწორედ იგი ახდენდა შესაბამისი ორგანიზაციების დაფინანსებას. ახლა, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბების შემდეგ, შესაბამისი ქვეყნების მთავრობათა დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ კომისიებისათვის ფინანსური დამოუკიდებლობაც მიენიჭებინა.

მარეგულირებელი კომისიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში დიდია კომისიის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე, რაც ესოდენ აუცილებელია მისი ნორმალური მუშაობისათვის. საკუთარი ბიუჯეტი განსაკუთრებით საჭიროა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კომისიებისათვის, სადაც, სახელმწიფო ბიუჯეტის სიმწირისა და არასტაბილურობის გამო, მარეგულირებელ ორგანოებს საშუალება არა აქვთ, მიიზიდონ კომპეტენტური და ავტორიტეტული სპეციალისტები.

ბიუჯეტიდან მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების მოწინააღმდეგეთა აზრით, არ შეიძლება ამ დროს რეგულირება იყოს აბსოლუტურად კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი, რადგან მარეგულირებელი ორგანოები ფინანსურად დამოკიდებული არიან რეგულირების ობიექტებზე. აქ პასუხი შეიძლება ერთადერთი იყოს. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყანაში, კანონმდებლობის თანახმად, მარეგულირებელი კომისიის მუშაობაში საჯაროობის დაცვა აუცილებელია, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში ყველა მიღებული გადაწყვეტილება ბათილია. მამსადაძე, მოქმედებს ისეთი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოს სხლომე-

ბის საჯაროობას და საკითხის გადაწყვეტაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას. აქ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევა, შეიძლება ითქვას, გამორიცხულია. თუკი ასე მაინც მოხდება, საკითხი გასაჩივრდება და სასამართლოში გადაწყდება. სახელმწიფო დაფინანსების დროს კი საეჭვოა ეს მოხდეს.

სხვათაშორის, ასეთივე წესით საჯარო სხდომაზე განისაზღვრება რეგულირების საფასურის სიდიდე, რომელიც შემდგომ იუსტიციის სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს.

ცენტრალიზებული პოლიტიზებული რეგულირების პირობებში საკითხის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია მომხმარებლების მხრიდან ზეწოლაში გადაიზარდოს; ეს კი ხელისუფლებისაგან პოპულისტური გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს შექმნიდა. შედეგად, რეალური საფუძვლის გარეშე შემცირდებოდა, მაგალითად, ტარიფები, ხოლო ამით ლიცენზიატებისა და მთლიანად დარგისა და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები შეილახებოდა. დამოუკიდებელი რეგულირება კი ასეთ შემთხვევას გამორიცხავს. მარეგულირებელი ორგანოს მოვალეობაა შეაფასოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება და გამოიყენოს საბაზრო ეფექტიანობის პრინციპი საზოგადოების სასარგებლოდ. ცენტრალიზებული, პოლიტიზებული რეგულირების დროს კი არსებობს საშიშროება, რომ პოპულისტური პოლიტიკური გავლენა არასათანადო ზეწოლას მოახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე მაშინაც კი (მაგ., არჩევნების დროს), როდესაც მსგავსი პოლიტიკური ზეგავლენა ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ვერც ქვეყანა და ვერც ბიუჯეტი ვერაფერს მოიგებს. პირიქით კი შეიძლება მოხდეს. სწორედ პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებამ გამოიწვია საბჭოთა ცენტრალიზებული ეკონომიკის ნგრევა.

მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსება ხდება ამ სფეროს საწარმოებიდან ე.წ. „რეგულირების საფასურის“ გადახდის ხარჯზე. იგი მიზნობრივი დანახარჯია და თავისი შინაარსით, როგორც ამას ხშირად ამბობენ, არ წარმოადგენს გადასახა-

დის ნაირსახეობას. დაფინანსების დონე კი ესეთი უნდა იყოს, რომ მან შეძლოს კომისიის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა. რეგულირების საფასური თავისი ეკონომიკური არსითა და მიზნობრივი დანიშნულებით არსებითად განსხვავდება როგორც სახელმწიფო გადასახადების, ასევე მოსაკრებლებისაგან.

გადასახადები სახელმწიფოს მონოპოლიური პრეროგატივა და მისი არსებობის აუცილებელი პირობაა. იგი სავალდებულო და უსასყიდლოა (ცალმხრივი ვალდებულებაა) პირდაპირი გაგებით, ამასთან სახელმწიფო ამ სახსრებით სინამდვილეში მთელი საზოგადოებისათვის აუცილებელ პირობებს უზრუნველყოფს.

მოსაკრებლების ეკონომიკური არსი უფრო მარტივი, კონკრეტული და ლოკალურია. ისიც აუცილებელი გადასახადია და მას ეკონომიკური აგენტები იხდიან მათთვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებებისა და, ნაწილობრივ, ცალკეული სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული სპეციფიკური მომსახურებისათვის.

რეგულირების საფასური კი ნაწილობრივ მომსახურების (მაგ., ლიცენზიების გაცემა) საზღაურია (ამით იგი ემსგავსება მოსაკრებელს), ნაწილობრივ სარეგულირებელი სფეროს და მასში შემავალი კომპანიების სისტემური მართვის სპეციფიკური ფუნქციების საზღაურია (მაგ., ტარიფების რეგულირება, სექტორში ნორმატიული აქტების შემუშავება). თუმცა, ფუნქციები არსებითად განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების (მაგ; სამინისტროს) მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული მართვისაგან.

ამ თვალსაზრისით, მმართველობის მთელ სისტემაში იგი წარმოადგენს მთლიანი სახელმწიფო მმართველობიდან, დარგის სახელმწიფო მმართველობიდან და კორპორაციული მმართველობიდან სპეციფიკურ ფუნქციათა გამოცალკეებულ წრეს, რომლებიც დამოუკიდებლად ხორციელდება.

გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან რეგულირების საფასური იმითაც განსხვავდება, რომ რეგულირება პრაქტიკულად უწყვეტი პროცესია და მან უნდა დააბალანსოს დარგის შიდა ბაზარი, შექმნას და აკონტროლოს შესაბამისი კომპანიების ეფექტური ფუნ-

ქციონირების პირობები, ბუნებრივ მონოპოლიებში შეიტანოს კონკურენციის ელემენტები.

რეგულირების საფასურის კიდევ ერთი სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ ამ საფასურის აკუმულირებული თანხების ნაწილი პირდაპირ იხარჯება ლიცენზიატებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადებაზე, გამოკვლევების ჩატარებაზე და ა.შ.

მარეგულირებელი ორგანოს დაფინანსების წყარო სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოები საკუთარი შემოსავლებიდან ფინანსდებიან მოლდოვაში, ალბანეთში, რუმინეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, ლატვიაში, მაკედონიის რესპუბლიკაში, თურქეთში და სხვ. დაფინანსების იმავე წესზე გადასვლა იგეგმება სომხეთში, ყირგიზეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ის მარეგულირებლები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებიან და დაფინანსების წყარო აქვთ რეგულირების საფასურის სახით, მათ, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხიც გააჩნიათ. ეს დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ნიშან-თვისებაა. დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია იმ კომისიებში, სადაც დაფინანსების წყარო მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტია. მაგალითად, ჯერჯერობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიები რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში (ნაწილობრივ), ლიტვაში, ესტონეთში, ბულგარეთში და სხვაგან.

ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლიების გამსხვილებული მრავალდარგობრივი მარეგულირებელი კომისიის შექმნის საწინააღმდეგოდ მიუთითებს ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში (რომელსაც ზოგიერთები მცირე ქვეყნებისათვის გეთავაზობენ) საქმე გვექნებოდა მეტისმეტად არაეფექტურ და სამართავად გართულებულ ორგანოსთან. საშუალო ზომის საშტატო შემადგენლობის პირობებში იგი დაკომპლექტებული ვერ იქნებოდა თითოეული დარგის მცოდნე, კვალიფიციური და ავტორიტეტული თანამშრომლებით, ხოლო ამ საკითხის მოგვარების შემთხვევაში სახეზე იქნებოდა მეტისმეტად გაზრდილი, ე.წ. „მონსტრი“ ორგანიზაცია. ეს კი გამოიწვევდა კო-

მისიის წევრების მექანიკურ გაზრდას და ფუნქციათა აღრევას. შედეგად კი მივიღებდით დაბალეფექტიან და ნაკლებად კომპეტენტურ ორგანოს.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მარეგულირებელ ორგანოთა ბიუჯეტს, უმრავლეს შემთხვევაში, თავად კომისია ამტკიცებს, თუმცა არის მაგალითები ბიუჯეტის მთავრობიდან დამტკიცებისა. თავად კომისიისაგან საკუთარი ბიუჯეტის დამტკიცების პრაქტიკა უფრო მეტად გავრცელებულია ამერიკის, ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში, ხოლო მთავრობისაგან და მათ შორის სამინისტროსაგან და საკანონმდებლო ორგანოებისაგან ბიუჯეტს, მეტწილად, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ამტკიცებენ.

საქართველოში ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსება ხდება რეგულირების საფასურის ხარჯზე, ხოლო ნავთობისა და გაზის რესურსების, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, აგრეთვე ტრანსპორტის მარეგულირებელი ორგანოები, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. რაც შეეხება რეგულირების საფასურის ოდენობას, მაგ., კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის იგი განსაზღვრულია 1%-ით ლიცენზიის მფლობელის წლიური შემოსავლიდან. „რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის შესახებ“ ამ კომისიის დადგენილების მიხედვით, შემოსული სალიცენზიო გადასახადების 20% გამოიყენება კომისიის დასაფინანსებლად, დანარჩენი ნაშთი კი აკუმულირდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე უნივერსალური მომსახურების პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის რეგულირების საფასურის ოდენობა ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის შეადგენს 0,4%-ს და ბუნებრივი გაზის სექტორისათვის 0,6%-ს რეგულირებადი საწარმოების წლიური შემოსავლებიდან. ეს ის თანხაა, რომელიც საჭიროა კომისიის დაფინანსებისათვის დაახლოებით საშუალოდარგობრივ დონეზე.

კომისიის დაფინანსების საფუძველები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“. ამ კანონის თანახმად რეგულირების საფასურის სიდიდე განიხილება და მტკიცდება საჯარო სხდომაზე. ბიუჯეტში ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი. მისი რაოდენობა მტკიცდება მარეგულირებელი ორგანოს მომავალი წლის საქმიანობის მოცულობის პროგნოზის საფუძველზე. მას გადაიხდიან ლიცენზიატები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომისიის მომავალი საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი ხარჯების დაფარვას. კომისიის მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადაიტანება მომავალი წლის ანგარიშზე, ამ წლის რეგულირების საფასურის შესაბამისი შემცირებით. თუ რეგულირების საფასურით მიღებული შემოსავალი არ ფარავს კომისიის მიმდინარე დანახარჯებს, კომისია უფლებამოსილია სესხი აიღოს. ამ სესხისა და შესაბამისი პროცენტების გასტუმრება ხდება მომავალი წლის რეგულირების საფასურიდან.

კომისია ვალდებულია გამოაქვეყნოს თავისი ბიუჯეტი. მიღებულ თანხებს განკარგავს მხოლოდ მარეგულირებელი ორგანო. დასაშვებია კომისიის სარგებლობისათვის სახსრების, მათ შორის გრანტების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.



## თავი 5. მონოპოლიების რეგულირების ლიბერალიზაციის შესახებ

ბოლო 20 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში დაიწყო ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეული დარგების პრივატიზებისა და რესტრუქტურისაციის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს.

აღრე თვლიდნენ, რომ ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეული დარგების ეფექტური ფუნქციონირება მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიებისა და, შესაბამისად, მათი საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი კონტროლის საშუალებით იყო შესაძლებელი. მაგრამ ახლა, როცა თითქმის მთელ მსოფლიოში უკვე განხორციელდა ან კარგა ხანია დაწყებულია ბუნებრივი მონოპოლიების პრივატიზებისა და რესტრუქტურისაციის პროცესი, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ზემოაღნიშნული თეორია ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის აუცილებლობის შესახებ, უარყოფილია. ამასთან ერთად, უარყოფილია შეხედულებაც ბუნებრივი მონოპოლიების ბუნების შესახებ.

ასეთი რადიკალური განსხვავება აღრე არსებულ და თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს შორის შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: აღმოჩნდა, რომ სწორი რესტრუქტურისაციის შედეგად შესაძლებელია იმ კომპანიების კონკურენტუნარიან ნაწილებად დანაწევრებაც კი, რომლებიც აღრე განიხილებოდნენ, როგორც ტიპური ბუნებრივი მონოპოლიები.

თეორეტიკოსების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბუნებრივი მონოპოლიების (რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია) რესტრუქტურისაციისა და ზოგიერთი ნაწილის განცალკევების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ცნობილია, რომ სრულყოფილი ეკონომიკური განვითარება მხოლოდ კონკურენციის პირობებში არის შესაძლებელი. ბუნებრივად მონოპოლიურ დარგებში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად განხორციელდება ბუნებრივი მონოპოლიების რესტრუქტურისაცია, აგ-

რეთვე რესტრუქტურისაციის შედეგად შექმნილი „ხელოვნური“ კონკურენტული გარემოს შენარჩუნება და განვითარება მათი პრივატიზაციის შემდეგ.

აღნიშნული თეორიის განვითარების კვალდაკვალ განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობამ ზრუნვა დაიწყო თავიანთი ენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე ამ სისტემების რესტრუქტურისაციის გზით. რესტრუქტურისაციის პროგრამები მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზებას, პოტენციურად კონკურენტუნარიანი ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემების განცალკევებას (გენერაცია, მიწოდება) ბუნებრივად მონოპოლიური სექტორებისაგან (დისტრიბუცია და გადაცემა), აგრეთვე საბაზრო პრინციპებზე (კონკურენციაზე) დაფუძნებული ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო ბაზრების ორგანიზებას და შესაბამისი ზემოქმედების ბერკეტებით აღჭურვილი მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროცესები მეტ-ნაკლები ინტენსივობით და წარმატებით მიმდინარეობს ბევრ ქვეყანაში, შესაძლებლობა გვაქვს განვიხილოთ ის წარმატებები თუ წარუმატებლობები, რაც ამ პროცესს თან ახლავს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.

ელექტროენერგეტიკული სექტორი ყველა ქვეყანაში ჩამოყალიბდა და განვითარდა, როგორც ვერტიკალურად ინტეგრირებული, გეოგრაფიული ნიშნით (გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონში) ჩამოყალიბებული მონოპოლიები, რომლებიც წარმოადგენდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგეტიკული ობიექტების ერთობლიობას. ელექტროენერგეტიკული სისტემის თითქმის ყველა კომპონენტი – გენერაცია, გადაცემა, მიწოდება-განაწილება – წარმოადგენდა ერთ კონკრეტულ საწარმოს ანუ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებს. ეს საწარმოები (კომპანიები) წარმოადგენდნენ განსაზღვრულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ელექტროე-

ნერგის ერთადერთ მწარმოებლებსა და მიმწოდებლებს ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

აღნიშნული ტიპის საწარმოების საკმიანობის ეფექტურობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი იყო. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ელექტროენერგეტიკულ სისტემებს ახასიათებდა დაბალი შრომის ნაყოფიერება; სერვისის დაბალი ხარისხი; ენერჯის მაღალი დანაკარგები; და, რაც მთავარია, დაბალი ფასები. ეს კი შესაძლებლობას არ იძლეოდა, დარგში განხორციელებულიყო ახალი ინვესტიციები და ა.შ.

განვითარებულ ქვეყნებში სისტემა შედარებით ეფექტიანად ფუნქციონირებდა, მაგრამ ახასიათებდა ოპერირებისა (ექსპლუატაციის) და ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის ძალიან მაღალი ხარჯები. ასევე, ძვირადღირებული ენერგეტიკული პროგრამები, რომლებიც, ძირითადად, ხორციელდებოდა პოლიტიკური და არა ეკონომიკური მომგებიანობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მაღალ ტარიფებს უნდა უზრუნველყო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე გაწეული მაღალი დანახარჯების ანაზღაურება და ახალი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა<sup>1</sup>.

ცხადია, ბუნებრივი მონოპოლიების რესტრუქტურულიზაციის პროცესი შეიძლება სხვადასხვა მეთოდებითა და გზებით წარიმართოს. მაგრამ აღნიშნულის შესახებ არსებული თეორიული ნაშრომებისა თუ პრაქტიკული მაგალითების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია გამოვყოთ ბუნებრივი მონოპოლიების (ჩვენს შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული სისტემის) რესტრუქტურულიზების პროცესის ძირითადი კომპონენტები. მათი პრაქტიკულად განხორციელება აუცილებელია დარგში კონკურენტული გარემოს შექმნისა მომხმარებლის მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფად.

---

<sup>1</sup> (Electricity Sector competition and Restructuring; Lessons Learned; Paul L. Joskow; Cambridge University Edition, August 2003) მოცემულ თავში. გარდა მითითებული ლიტერატურისა, გამოყენებულია „დიდი ბრიტანეთის გაზისა და ელექტროენერჯის მარეგულირებელი ოფისის“ (OFGEM) ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემები.

## ეს კომპონენტებია:

- ელექტროენერგეტიკული სფეროს ვერტიკალურად ინტეგრირებული, მაგრამ პოტენციურად კონკურენტული სექტორების სრული სტრუქტურული და ფუნქციური განცალკევება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების პრივატიზება;
- ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრების ორგანიზება, რათა ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცეს კონკურენტულ საფუძვლებზე განახორციელონ სავაჭრო გარიგებები;
- ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ფუნქციონირების ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც სავაჭრო გარიგებების ეკონომიკური მომგებიანობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ბალანსის დაცვას;
- ეფექტიანი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რომელიც ბაზრის მონაწილეებს საშუალებას მისცემს, თანაბრად და ეკონომიკურად სამართლიანად ისარგებლონ ენერჯის წყაროებით;
- პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების დაფუძნება, მათი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. მარეგულირებელ ორგანოებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ და აღჭურვილი იყვნენ შესაბამისი უფლებებით, რათა მათ შეძლონ ინფორმაციის მოპოვება ბაზრის ნებისმიერი მონაწილის შესახებ (დანახარჯები, მომსახურების ხარისხი და სხვ.). ეს საჭიროა იმისათვის, რომ მათ უზრუნველყონ მთლიანად სექტორში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და განვითარება<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> (Electricity Sector competition and Restructuring; Lessons Learned; Paul L. Joskow; Cambridge University Edition, August 2003).

წინამდებარე ნაშრომში (მე-2 ნაწილის მე-3 თავი) განხილულია ბუნებრივი მონოპოლიების პრივატიზებისა და რესტრუქტურისაციის წარმატებული მაგალითი დიდი ბრიტანეთის საფუძველზე. ამ მაგალითის განხილვა იმით არის საინტერესო, რომ, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა გავეცნოთ ევროპაში ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმად მიჩნეულ ბუნებრივი მონოპოლიების პრივატიზებისა და რესტრუქტურისაციის პროცესს, და, მეორე მხრივ გავეცნოთ იმ პრობლემებს, რომლებიც წარმატებულ რესტრუქტურისაციად მიჩნეულ პროცესშიც კი იჩენს თავს.

მეორე ნაწილის მესამე თავში განხილულია აგრეთვე იტალიის ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციისა და ლიბერალიზაციის მიზნით განხორციელებული ინსტიტუციონალური ცვლილებები, განხორციელების გზები, მეთოდები და ისტორია. ასევე, აღნიშნულია ის პოზიტიური თუ ნეგატიური ცვლილებები, რამაც გავლენა იქონია ელექტროსექტორის რესტრუქტურისაციის შემდგომ ჩამოყალიბებულ ტენდენციებზე.

იტალიის მაგალითის შერჩევა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ექსპერტების უმეტესობის აზრით, იტალიის ელექტროენერგეტიკა, სხვა ევროპული ქვეყნების შესაბამის სექტორებთან შედარებით, ხასიათდება ლიბერალიზაციის დაბალი დონით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საინტერესო იქნება სრულყოფილად ლიბერალიზებული ელექტროსექტორის (ჩვენს შემთხვევაში ინგლისისა და უელსის ელექტროენერგეტიკა) შედარება იმ ქვეყნის ელექტროსისტემასთან, სადაც, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, სისტემის სრულყოფილი ლიბერალიზაცია ვერ მოხერხდა.

ამავე თავში მოცემულია გერმანიის ელექტროენერგეტიკული სისტემის რეგულირების მექანიზმების ზოგადი მიმოხილვა. გერმანიის მაგალითის განხილვა იმით არის საინტერესო, რომ ამ ქვეყანაში ელექტროენერგეტიკული სისტემის მოწყობის მოდელი მთლიანად განსხვავებულია არა მარტო ევროკავშირის, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოში მოქმედი ენერგეტიკის რეგულირების მოდელებისაგან. როგორც ქვემოთ იქნება აღწერილი, ასეთი „უცნაური“

რეგულირების სისტემის ჩამოყალიბება, მნიშვნელოვანწილად, განაპირობა გერმანიის პოლიტიკურმა მოწყობამ და რეფორმების დასაწყისისათვის პოლიტიკურ პარტიათა შორის შექმნილმა ძალთა თანაფარდობამ. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ენერგეტიკა და პოლიტიკა.

თავის ბოლო ნაწილი კი დათმობილი აქვს იაპონიის ელექტროენერგეტიკული სისტემის მოკლე მიმოხილვას.

## **ნაწილი 2. ენერგეტიკის რეგულირების გამოცდილება უცხოეთში**

### **თავი 1. რეფორმები ევროკავშირის ქვეყნების ენერგონისტიკაში**

ევროკავშირის ქვეყნებში ენერგოსისტემის ლიბერალიზაციის პროცესები 1990 წელს დაიწყო. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა შეიქმნა ხელსაყრელი პოლიტიკური ატმოსფერო ენერგიაშემცველებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ცივი ომის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა ენერგიაშემცველების თავისუფლად ექსპორტირება რუსეთიდან. ამან კი საფუძველი დაუდო ბუნებრივ გაზზე მომუშავე ახალი გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობას.

ევროპული რეფორმა განვითარდა ორ პარალელურ დონეზე. პირველი, ევროკომისიის დირექტივების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც წვერი ქვეყნები ვალდებული იყვნენ თავიანთ ეროვნულ ენერგოსისტემებში განეხორციელებინათ დირექტივებში მითითებული ღონისძიებები მითითებულ ვადებში და მეორე, ევროკომისიამ განახორციელა გარკვეული ღონისძიებები, რათა გაეძლიერებინა ურთიერთკავშირები წვერი ქვეყნების ენერგოსისტემებს შორის. ეს მოხდა ენერგიით ვაჭრობის წესების გამარტივებისა და ენერგოსისტემების ურთიერთდამაკავშირებელი ახალი ხაზების მშენებლობის ხელშეწყობის გზით.

ორივე ზემოაღნიშნული მიმართულება მიზნად ისახავდა ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ევროკომისიის დირექტივებით უცხოურ (ამ შემთხვევაში ევროპულ) კომპანიებს საშუალება უნდა მისცემოდათ, შესულიყვნენ ცალკეული წვერი ქვეყნების ენერგობაზრებზე და შექმნოდათ ადგილობრივ მონოპოლისტ კომპანიებთან კონკურენციის პირობები. პარალელურად კი გაუმჯობესებულიყო ენერგოსისტემებს შორის კავშირები (ახალი ხაზების მშენებლობა) და ქვეყნებს შესაძლებლობა გასჩენოდათ შეემცირებინათ ენერგიის ტრანსპორტირების ხარჯები და შეექმნათ კონკურენტუნარიანი გარემო.

ევროკომისიის პირველი და მეორე დირექტივა (შესაბამისად, 1996 და 2003 წლის) ფოკუსირებული იყო ენერგოსისტემების სეგმენტაციაზე (სხვადასხვა სექტორებად დაცალკევებაზე) და ეროვნული ენერგოსისტემების გახსნილობის უზრუნველყოფაზე. მეორე დირექტივაში, გარდა აღნიშნული საკითხებისა, ყურადღება გამახვილებულია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე, გადასცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობის მკაცრ რეგულირებასა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბებასა და დაფუძნებაზე.

ევროკომისიის დირექტივით გათვალისწინებულია, რომ 2007 წლისათვის ევროპულ ენერგეტიკულ ბაზარზე მიღწეულ უნდა იქნეს მინიმუმ შემდეგი:

- გადაცემის სისტემის ოპერატორებისა და განაწილების სრული, ტექნიკური და იურიდიული გამოყოფა ენერგეტიკული სისტემის დანარჩენი სფეროებისაგან;
- გენერაციაში სრული კონკურენციის უზრუნველყოფა;
- მიწოდებაში კონკურენტული სიტუაციის შენარჩუნება მუდმივი მონიტორინგის განხორციელების გზით;
- განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოების ხელშეწყობა;
- მარეგულირებელი ორგანოების როლის გაძლიერება;
- ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება.

ნაცვლად იმისა, რომ უპირველეს ყოვლისა, აქცენტი გაკეთებულიყო დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერებაზე, როგორც ეს ენერგოსისტემის რესტრუქტურისა და თეორიულ მოდელებშია გათვალისწინებული, ევროკომისიამ უმთავრესი აქცენტი გააკეთა ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების წესების ჩამოყალიბებაზე. შედეგად, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიასა და ესპანეთში, მარეგულირებელი ორგანოები საკმაოდ სუსტები არიან, რათა



სრულყოფილი წინააღმდეგობა გაუწიონ მონოპოლისტ კომპანიებს თავიანთი მონოპოლიური ინტერესების განხორციელებაში. შესაბამისად, ჯერ-ჯერობით ელექტროენერგეტიკული სისტემების ლიბერალიზაციის დონეები განსხვავებულია ცალკეული წვერი ქვეყნების მიხედვით (იხ. ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1.

ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის დონე ევროკავშირში, %

ქვეყნების დასახელება	ლიბერალიზაციის დონე	ლიბერალიზაციის თარიღი (წელი)	ძირითადი კომპანიები	მთავარი კომპანის საბაზრო წილი	მომხმარებლები, რომლებმაც შეიცვალეს მიწოდებელი
1	2	3	4	5	6
ავსტრია	100	2003	EVN, Verbund, Wiener Stadtwerke	68	5-10
ბელგია	35	2007	Eletrabel	97	5-10
დანია	90	2003	SK Power Company	75	
ფინეთი	100	1997	Fortum, Ivo Group	54	30
საფრანგეთი	30	განხილვის სტადიაშია	EDF	98	5-10
გერმანია	100	1999	Bewag, E.On, EnBW, RWE, Veag	63	10-20
საბერძნეთი	30	განხილვის სტადიაშია	AEH	100	-
ირლანდია	97	2007	ESB	97	30

1	2	3	4	5	6
იტალია	35	განხილვის სტადიაშია	Elettrogen, Enel	79	3-4
ლუქსემბურგი	50	2007	Cegetel	90	-
ჰოლანდია	33	2003	Essent, Nea	64	10-20
პორტუგალია	30	განხილვის სტადიაშია	EDP	85	1-4
ესპანეთი	45	2003	Endesa, Iberdola, Union Fenosa	79	1-4
შვედეთი	100	1998	Sydkraft, Vattenfall	77	-
დიდი ბრიტანეთი	100	1998	British Energy, Innogy, Powergen, Scottish and Sourthen Energy, Scottish Power	44	80

### ევროკავშირის გენერაციული სიმძლავრეების წყაროები

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში გენერაციული სიმძლავრეების კვების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ქვანახშირი და თხევადი საწვავი, მაინც შეიმჩნევა ამ ტიპის საწვავის გამოყენების კლების ტენდენცია. საპირისპიროდ, იზრდება ბუნებრივი გაზისა და ბირთვული ენერჯის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგიაზე ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია კომბინირებული ციკლის გაზოტურბინიანი გენერაციული სადგურების მშენებლობით; მათი აშენების მოკლე ვადები და დაბალი დანახარჯები

მათ მიმზიდველს ხდის ლიბერალური ბაზრებისათვის. აღნიშნული ტექნოლოგიები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ინგლისში, ესპანეთსა და იტალიაში.

## რეფორმის ძირითადი ნაბიჯები ევროკავშირში

### რესტრუქტურისაცია

ელექტროენერგეტიკული სისტემის რესტრუქტურისაციის მიზანია პოტენციურად კონკურენტუნარიანი გენერაციისა და მიწოდების ბიზნესები განაცალკევოს ბუნებრივად მონოპოლიური განაწილებისა და გადაცემის სეგმენტებისაგან.

თავდაპირველი ღირეპტივის მოქნილობამ წვერ ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა გამოეყენებინათ განსხვავებული მიდგომები, რათა განეხორციელებინათ ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურების სეგმენტაცია.

გადაცემის სისტემის ოპერატორების გენერაციისაგან ეფექტური განცალკევება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეფექტური კონკურენციის ჩამოყალიბებისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც რესტრუქტურისაციის პროცესები საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა, ძალიან დიდი წარმატება იქნა მიღწეული ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში. ეს, ძირითადად, მოხდა იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება დაუთმო გენერაციის გამოყოფას ელექტროენერგეტიკული სისტემის სხვა ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემებისაგან. ამის გათვალისწინებით ევროკავშირშიც უფრო მეტი ყურადღება დაეთმო გადაცემის სისტემის ოპერატორების გამოყოფას ელექტროენერგეტიკული სისტემისაგან, ვიდრე განაწილების ოპერატორების გამოყოფას. წვერი ქვეყნების უმრავლესობამ, სისტემის სხვა სეგმენტებისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ საბუღალტრო ანგარიშებისა და მენეჯმენტის განცალკევება მოხდა, განახორციელა გადაცემის სისტემის ოპერატორების სრული იურიდიული გამოყოფა ან მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ელექტროენერჯის გადაცემის ხაზების (გადაცემისა და დისტრიბუციის) გამოყოფის ფორმები ელექტროენერგეტიკული სისტემის სხვა სეგმენტებისაგან

წყარო: European Commission (2005)

ქვეყნების დასახელება	გადაცემის სისტემის ოპერატორი	განაწილების სისტემის ოპერატორი
ავსტრია	იურიდიული	იურიდიული
ბელგია	იურიდიული	იურიდიული
დანია	იურიდიული	იურიდიული
ფინეთი	კერძო საკუთრება	საბუღალტრო ანგარიშები
საფრანგეთი	იურიდიული	მენეჯმენტი
გერმანია	იურიდიული	საბუღალტრო ანგარიშები
საბერძნეთი	იურიდიული	არ არის გამოყოფილი
ირლანდია	იურიდიული	მენეჯმენტი
იტალია	კერძო საკუთრება	იურიდიული
ლუქსემბურგი	კერძო საკუთრება	მენეჯმენტი
ჰოლანდია	კერძო საკუთრება	იურიდიული
პორტუგალია	კერძო საკუთრება	საბუღალტრო ანგარიშები
ესპანეთი	კერძო საკუთრება	იურიდიული
შვედეთი	კერძო საკუთრება	იურიდიული
დიდი ბრიტანეთი	კერძო საკუთრება	იურიდიული
ნორვეგია	კერძო საკუთრება	იურიდიული/საბუღალტრო ანგარიშები

ასევე, ელექტროენერჯის საცალო მიწოდების ბიზნესში კონკურენციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია განაწილების ოპერატორების გამოყოფა მიწოდების ბიზნესისაგან.

ეფექტური კონკურენცია ასევე მოითხოვს გენერაციისა და მიწოდების კომპანიების ჰორიზონტალურ განცალკევებასაც (ამ საკითხზე

დაწერილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დიდი ბრიტანეთის მაგალითი).

ჯერჯერობით, ევროკომისიის არც ერთ დირექტივას არ მოუთხოვია ელექტროენერგეტიკული სისტემის ჰორიზონტალური განცალკევების აუცილებლობა, ბაზრის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, არც ევროპული და არც ეროვნული ენერგოსისტემების დონეზე.


თუმცა, იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ელექტროენერგეტიკული ბაზრის მაქსიმალური ღიაობის უზრუნველყოფა, ცალკეული ქვეყნების მარეგულირებელმა ორგანოებმა გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები. მაგალითად, იტალიაში უმსხვილესი მონოპოლისტი ENEL-ი იძულებული გახდა თავისი სიმპლავრებიდან გაეყიდა 15 000 მეგავატი, ხოლო ფრანგულ EDF-ს თავისი გენერაციული სიმპლავრებიდან 6 000 მეგავატი სამძლავრე. ეს მაგალითები კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკურენტული ბაზრების ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ არ განხორციელდება ბაზრის ჰორიზონტალური სტრუქტურის ცვლილება ყველაზე მნიშვნელოვან ევროპულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე.

## კონკურენცია

მიუხედავად სხვადასხვა წევრ ქვეყნებში არსებული შერეული საკუთრების (კერძო, სახელმწიფო) სტრუქტურისა, ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში კონკურენცია მიღწეულია თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში და მსხვილ მომხმარებლებს და გარკვეული რაოდენობით მცირე მომხმარებლებსაც შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ ელექტროენერგიის თავიანთი მიმწოდებლები. ევროკომისიის 2003 წლის დირექტივამ ელექტროენერგიის შესახებ ჩამოაყალიბა სტანდარტები, კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ერთი შემსყიდველის მოდელის გაუქმებით და ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ხელმისაწვდომობის პირობების მკაცრი რეგულირების აუცილებლობის მოთხოვნით (იხ. სქემა №1).

ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე არსებული  
და დაგეგმილი კონკურენციის დონე

წყარო: European Commission (2004, 2005)



სქემა 1

შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელექტრო-ენერგეტიკული ბაზრების უმრავლესობა ღიაა კონკურენციისათვის. თუმცა, ეს გათვალისწინებული არ ყოფილა ღირეპტივებით. რამდენიმე ქვეყანაში ბაზარი ღია გახდა საოჯახო მეურნეობებისთვისაც და ამ ქვეყნებმა გადააჭარბეს კიდევ ღირეპტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ევროკომისიის 2003 წლის ღირეპტივა ითვალისწინებს, რომ ელექტროენერჯის ყველა საბითუმო მომხმარებელს უნდა შეეძლოს თავისუფლად აირჩიოს ელექტროენერჯის საკუთარი მიმწოდებელი, ხოლო 2007 წლის 1 ივლისისათვის ელექტროენერჯის ნებისმიერ მომხმარებელს (იქნება ეს საცალო თუ საბითუმო მომხმარებელი) უნდა შეეძლოს ელექტროენერჯის მიმწოდებლის საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩევა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ღიად გამოცხადება არ ნიშნავს იმას, რომ ეფექტური კონკურენცია და კონკურენტუნარიანი ფასები უზრუნველყოფილია. კონკურენტუნარიანი ფასების მიღწევა დამოკიდებულია ბაზრის მონაწილეების რაოდენობასა და მომხმარებლის მოთხოვნის ბუნებაზე. დაბალ ფასებზე გაძლიერებული მოთხოვნისა და კონკურენციაში მონაწილე კომპანიების მცირე რაოდენობის შემთხვევაში, ელექტროენერგიაზე ფასები შეიძლება სწრაფად გადაიხაროს კონკურენტუნარიანობისაგან. სადღეისოდ ევროკავშირის ენერგობაზარზე დომინირებს რამდენიმე მსხვილი კომპანია და მცირე მომხმარებლებს შესაძლებლობა არა აქვთ თავისუფლად აირჩიონ მიმწოდებლები.

### რეგულირება

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის სტრუქტურა მნიშვნელოვანია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის, შესაბამისი და დროული რეგულირება, განსაკუთრებით გადამცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობის კუთხით, აუცილებელია ეფექტური კონკურენციის ჩამოყალიბებისათვის. ამის გათვალისწინებით ევროკომისიის 2003 წლის დირექტივამ ყველა წვერი ქვეყნისაგან მოითხოვა დაეფუძნებინათ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სხვადასხვა წვერ ქვეყანაში მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის განსხვავებული ხარისხისა, ისინი მიისწრაფვიან იყვნენ უფრო დამოუკიდებლები, ვიდრე ეკონომიკის სხვა სფეროების დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები.

გადამცემი და გამანაწილებელი ბიზნესების სტიმულირების სისტემაზე დაფუძნებულმა რეგულირებამ შეიძლება გამოიწვიოს გადაცემის ფასების შემცირება. გერმანიაში, სადაც არ არსებობს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო და, შესაბამისად, სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირების სქემა, გადაცემის ტარიფები წლების განმავლობაში უცვლელია და ერთ-ერთი უმაღლესია ევროპაში.

## პრივატიზაცია

როგორც აღინიშნა, ევროკომისიის დირექტივას „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ არ მოუთხოვია ელექტროსექტორში კერძო საკუთრების აუცილებლობა. გერმანიასა და ბელგიაში ელექტროენერგეტიკული სექტორი, პრაქტიკულად, მთლიანად კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა რეფორმის დაწყებამდე. პრივატიზაციის ყველაზე ინტენსიურ პროგრამებს ადგილი ჰქონდა პორტუგალიასა და დიდ ბრიტანეთში. რამდენიმე ქვეყანამ განახორციელა მხოლოდ ნაწილობრივი პრივატიზაცია (მაგალითად, იტალია), მაშინ, როცა ზოგიერთ ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი თითქმის არ დაწყებულა (მაგალითად, საფრანგეთი). ასეთი მიდგომა (თანდათანობითი პრივატიზაცია) თავიდან გვაშორებს პოლიტიკურ დაძაბულობას, თუმცა მან შეიძლება შეაფერხოს სისტემის ლიბერალიზაციის პროცესი. პოლანდიაში გადაცემისა და განაწილების ბიზნესები დღემდე სახელმწიფო საკუთრებაში რჩება.

კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად მსხვილი კომპანიების დანაწევრება (დაშლა) უფრო იოლია პრივატიზაციის პროცესის დროს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არ განხორციელებულა, რათა თავიდან აეცილებინათ ეროვნული კომპანიების შესყიდვის შესაძლებლობა სხვა ქვეყნის კომპანიების მიერ (მაგალითად, პოლანდიასა და ნორვეგიაში).

ნორვეგია იმის ნათელი მაგალითია, რომ ლიბერალიზაცია აუცილებლად არ მოითხოვს პრივატიზაციას, რამდენადაც ამ ქვეყანაში კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა მთლიანად სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ მყოფი კომპანიების მეშვეობით, თუმცა ამის განხორციელებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

## რეფორმის ეფექტი

### ბაზრის კონცენტრაცია

გასაკვირი არ არის, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრების ფინანსური ინტეგრაცია უფრო სწრაფად განხორციელდა, ვიდრე ტექნიკური. არასათანადო მარეგულირებელი ზეწოლისა და კონ-



ტროლის პირობებში ევროპულმა ელექტროენერგეტიკულმა კომპანიებმა გამოავლინეს ძლიერი ტენდენცია ბაზრის კონცენტრაციისაკენ. ბაზრების კონსოლიდაცია და კონცენტრაცია შეიმჩნევა როგორც მთლიანად ევროკავშირის მასშტაბით, ასევე ეროვნული ელექტროსისტემების დონეზე, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ბაზრის სრულყოფილ ლიბერალიზაციასა და სრულყოფილ კონკურენტუნარიან გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობებზე.


### ჰორიზონტალური ინტეგრაცია

მემკვიდრეობით მიღებულმა დარგის სახელმწიფო მფლობელობამ და ეროვნულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე მოქმედი მსხვილი კომპანიების ცენტრალიზებული მართვის სისტემამ გამოიწვია ის, რომ ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანაში ძალიან მაღალია ჰორიზონტალური ინტეგრაციის დონე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა ჰორიზონტალური კონცენტრაციის დონის შემცირება მიწოდებასა და გენერაციაში (მაგალითისათვის, იხილეთ დიდი ბრიტანეთი), ეს გამონაკლისებია და არა ძირითადი ტენდენცია. ევროკავშირის წევრი 15 ქვეყნიდან 10 ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე გენერაციის სფეროში სამი უმსხვილესი გენერაციის კომპანიის წილი შეადგენს 60%-ზე მეტს, ხოლო 12 წევრი ქვეყნის ბაზარზე დომინირებს ასევე სამი გენერაციული კომპანია, რომელთა წილი მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით ასევე 60%-ზე მეტს შეადგენს.

როგორც სქემა №2 გვიჩვენებს, ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრის 2/3 კონცენტრირებულია 8 მსხვილი კომპანიის ხელში, ხოლო მთლიანად ევროპაში მათი კონცენტრაციის ხარისხი 50%-ს შეადგენს.

გენერაციის ბაზარზე წილების განაწილება  
დასავლეთ ევროპაში

წყარო: Codognet et al. (2002), Energia Club (2002)



სქემა №2

ვერტიკალური ინტეგრაცია

ლიბერალიზაციის პროცესების დაწყებამდე ვერტიკალურად ინტეგრირებულ სტრუქტურებს გააჩნდათ აშკარა ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები და წარმოადგენდნენ მოხერხებულად სამართავ ორგანიზაციულ ერთეულებს. თავდაპირველმა რესტრუქტურალიზაციის პროცესებმა, გარკვეულწილად, შეამცირა ამ კომპანიების ვერტიკალური ინტეგრირების ხარისხი, თუმცა, პრივატიზაციის პროცესის შემდეგ პრივატიზებულმა კომპანიებმა გამოავლინეს ვერტიკალური რეინტეგრაციისაკენ ძლიერი სწრაფვა.

კვლევებით დადგინდა, რომ ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული კომპანიები ყველაზე აქტიურები იყვნენ ევროპულ კომპანიებს შორის და მიისწრაფვოდნენ შეეძინათ ასევე ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი დონის მქონე კომპანიები. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ კომპანიებში ვერტიკალური ინტეგრირების მაღალმა ხარისხმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პრი-

ვატიზაციის პროცესების სწრაფად წარმართვასა და პრივატიზაციის შედეგად სასურველი შედეგების მიღწევაზე.

გარდა ამისა, არსებობს ირიბი კავშირი ვერტიკალურ ინტეგრაცია-სა და ინვესტიციებს შორის. გენერაციისა და განაწილების ინტეგრაციის მაღალმა დონემ შეიძლება მიგვიყვანოს გაზრდილ ინვესტიციებამდე, ასეთი ინტეგრაციის მქონე კომპანიების საქმიანობის ნაკლებრიისკიანობის გამო. თუმცა, ეს ფაქტორი მარეგულირებელ ორგანოებს აყენებს ალტერნატივის წინაშე იმის გამო, რომ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი ასეთი ვერტიკალური ინტეგრაციის მქონე კომპანიების არსებობა (სადაც გენერაციისა და განაწილების ბიზნესები ინტეგრირებულია) უარყოფით გავლენას ახდენენ ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაზე.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ელექტროენერჯის საცალო მიწოდების მარჟა კონცენტრაციის ხარისხის ზრდასთან ერთად გაიზარდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბრიტანულ ბაზარზე მოქმედი ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიების რიცხვი შემცირდა, გენერაციული კომპანიების მიერ მიმწოდებელი კომპანიების შესყიდვის ხარჯზე.

მიუხედავად კონცენტრაციასთან დაკავშირებული აშკარა პრობლემებისა, მარეგულირებელმა ორგანოებმა გამოავლინეს საკმაო ინერტულობა ამ პრობლემასთან მიმართებაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ეროვნული, ლიდერი კომპანიის წამყვან კომპანიად შენარჩუნების სურვილმა რეფორმის საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა, ანუ, ხელი შეუშალა ბაზრის დივერსიფიცირებასა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

ბაზრის კონცენტრაციის საკითხები (კომპანიების შერწყმა, წილების ყიდვა-გაყიდვა) ბევრ ევროპულ ქვეყანაში კონტროლდება „კონკურენციის სააგენტოების“ ზედამხედველობით, თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთ სააგენტოებს საშუალება არა აქვთ ობიექტური და სრული სურათი მიიღონ ბაზრის კონცენტრაციის ხარისხის ზრდის ან შემცირების შესახებ. ამის თავიდან ასაცილებლად კი ერთ-ერთი ეფექტიანი და აუცილო-

ბელი საშუალება კომპეტენტური ენერგეტიკის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანოების დაფუძნებაა.

## სექტორის მაჩვენებლები

### ელექტროენერჯის ფასები

ლიბერალიზაციის პროცესების ეფექტი შეიძლება შეფასდეს რამდენიმე მაჩვენებლით. ელექტროენერჯიაზე ფასები, ალბათ, წარმოადგენს ამ ეფექტის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს. ყველაზე სასურველი შედეგი, რომელიც შეიძლება ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნამ მოიტანოს, წარმოადგენს ელექტროენერჯიაზე დაბალი ფასები საბითუმო და საცალო ვაჭრობისათვის. თუმცა, ეს შედეგი, თავის მხრივ, დამოკიდებულია რამდენიმე მაჩვენებელზე: ენერჯიაშემცველების ბაზარზე და, განსაკუთრებით, ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომობაზე; კონკურენტული გარემოს არსებობაზე, გაზის ბაზრებზე ფასების დასაახლოებლად; ეროვნული ელექტროსისტემების საკმარისი ურთიერთკავშირების არსებობაზე და ევროკავშირის მასშტაბით ამ ენერჯიის თავისუფლად ვაჭრობის შესაძლებლობაზე. გარდა ამისა, აუცილებელია სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირება, რათა შემცირდეს ელექტროენერჯის გადაცემის ხარჯები.


ელექტროენერჯიაზე ფასის შემცირება შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მიღწეულ იქნა სასურველი ეფექტი და, შესაბამისად, ეს ეფექტი მიტანილ იქნა მომხმარებლებამდე. ლიბერალიზაცია შეიძლება ასევე მოიცავდეს ტარიფების დიფერენციაციის აუცილებლობას მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ამის მიღწევა უფრო რთულდება გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის ფასების ცვალებადობასთან ერთად.

როგორც სქემა №3 გვიჩვენებს, ძალიან დიდი სხვაობაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საბოლოო მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის შესასყიდ ფასებს შორის, თუმცა ეს ცვლილებები, გარკვეულწილად, შეიძლება გამოწვეული იყოს ელექტროენერჯის საბოლოო ფასში სხვადასხვა ქვეყანაში შეტანილ სხვადასხვა კომპო-

ნენტებზე. სქემა გვიჩვენებს, რომ გენერაციის ფასები ძალიან და-  
 ახლოებულია სკანდინავიურ ქვეყნებში. იტალიასა და ირლანდიას  
 კი გააჩნიათ გენერაციისა და მიწოდების შედარებით მაღალი ფასე-  
 ბი. ამავე დროს, ნორვეგიას, დიდ ბრიტანეთს, როგორც სტიმული-  
 რებაზე დაფუძნებული გადაცემის რეგულირების ხანგრძლივი ტრა-  
 დიციის მქონე ქვეყნებს, გააჩნიათ გადაცემისა და განაწილების ყვე-  
 ლაზე დაბალი ტარიფები. დიდ ბრიტანეთს კი მიწოდების ყველაზე  
 დაბალი ფასი და მარჟა აქვს.

*ელექტროენერჯის ფასების შემადგენელი კომპონენტების  
 წილობრივი მონაცემები*

*წყარო: European Commission (2004 b)*



სქემა №3

როგორც მოსალოდნელი იყო, მსხვილმა სამრეწველო მომხმარებლებმა უფრო მეტად ისარგებლეს ლიბერალიზაციის შედეგად მიწოდების სფეროში შექმნილი კონკურენტული სიტუაციით, ვიდრე მომხმარებელთა სხვა, უფრო მცირე ჯგუფებმა. თუმცა, 2007 წლისათვის დაგეგმილი ევროპული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესების დასრულება მცირე მომხმარებელთა უფრო დიდ ნაწილს შესაძლებლობას მისცემს შეიცვალოს მიმწოდებლები ანდა არსებულ მიმწოდებლებს გააუმჯობესებინონ ელექტროენერჯის მიწოდების პირობები.

დისტრიბუციისა და გადაცემის ტარიფების წილი ელექტროენერჯის საბოლოო ფასში საკმაოდ მნიშვნელოვანია და, ამასთანავე, არ წარმოადგენს კონკურენტული „წინების“ ობიექტებს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეფექტური გაუმჯობესებებისა და ასეთი ტარიფების შემცირებისათვის აუცილებელია შესაბამისი მკაცრი რეგულირება. გადაცემის ტარიფები მკვეთრად განსხვავებულია სხვადასხვა წევრ ქვეყნებში.

გარდა ამისა, განაწილების ტარიფებიც განსხვავებულია წევრი ქვეყნების მიხედვით, თუმცა ეს განსხვავება უფრო ნაკლებია, ვიდრე გადაცემის ტარიფების შემთხვევაში. დისტრიბუციის ტარიფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება ცალკეულ ქვეყნებს შორის. მაგალითად, განაწილების ტარიფები გერმანიაში ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში.

დისტრიბუციის მაღალი ტარიფები შესაძლოა ასევე ასახავდეს ელექტროენერჯის საბოლოო ფასის სხვადასხვა კომპონენტების ერთობლივ განაწილებას ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების მიერ. დამოუკიდებელი, სტიმულირებაზე დაფუძნებული რეგულირება ხელს უწყობს დანახარჯების დაზოგვას, გადამცემი ქსელების გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირებას და ხელს უშლის ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ინტეგრაციის გამო ელექტროენერჯის საბოლოო ფასში მონოპოლიური ტარიფების შეტანას.

## ინვესტირების ადეკვატურობა

ცენტრალიზებული დაგეგმვის არარსებობის პირობებში ენერგობაზარი მოითხოვს სისტემაში საკმარისი და დროული ინვესტიციების განხორციელებას. შეიძლება ითქვას, რომ არასაკმარისი ინვესტიციები ყველაზე დიდი ნაკლია, რომელიც ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესებმა მოიტანა. მომავალი ინვესტიციების განხორციელების სტიმულების ადეკვატურობის შეფასება საკმაოდ ძნელია, კონკურენტული სიტუაციის შედეგად გენერაციაში წარმოშობილი ენერჯის სიჭარბის გამო. ამასთან, დროთა განმავლობაში, როცა მიწოდება და მოთხოვნა დაბალანსდება, ახალი ინვესტიციები აუცილებელი გახდება.

ექსპერტების აზრით, ფინანსური და ტექნიკური ინტეგრაციის შემდეგ ინვესტიციების ამონაგების ნორმები დაახლოვდება. ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, საკმარისია თუ არა ინვესტიციებიდან ამონაგები და ქმნის თუ არა იგი ახალი ინვესტიციების განხორციელებისათვის სტიმულებს. მაგალითად, ნორვეგიაში ბოლო წლებში ელექტროენერგეტიკაში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა საწარმოო დარგებში განხორციელებული ინვესტიციების ამონაგების დონე. ამასთან, აუცილებელია იმის შეფასებაც – არის თუ არა ენერგეტიკაში განხორციელებული ინვესტიციები უფრო ნაკლებრისკიანი, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებში განხორციელებული ინვესტიციები.

მოსალოდნელია, რომ ევროპაში არსებული ჭარბი გენერაციული სიმძლავრეები ისეთ მნიშვნელოვან და დიდ ბაზრებზე, როგორცაა გერმანიასა და საფრანგეთში, უახლოეს მომავალში შემცირდება. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ რამდენიმე ქვეყანას გააჩნია ჭარბი გენერაციული სიმძლავრეები, მომავალი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი გარდაუვლად განხორციელდება გაფართოებულ ევროპულ ლიბერალიზებულ ბაზრებზე. ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნა და გენერაციულ სიმძლავრეებში დღეს არსებული ინვესტიციების დაბალი დონე გამოიწვევს სარეზერვო სიმძლავრეების შემ-

ცირებას და სისტემის სტაბილურობისათვის საფრთხის შექმნას. ეს შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ნების არარსებობის გამო ხელისუფლება ეწინააღმდეგება ელექტროენერგიაზე ფასების ზრდას.

### მიწოდების საიმედოობა

ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სისტემის სტაბილურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ელექტროენერჯის მიწოდებაში ხშირმა შეფერხებებმა და ფასების ხშირმა ცვალებადობამ შეიძლება ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების შეფერხება გამოიწვიოს.

ევროკავშირის ქვეყნებში არსებული გენერაციული სიმძლავრეების ჭარბი დონე, ჯერჯერობით, არ იძლევა შემოფოტების საფუძველს, თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც. მაგალითად, იტალია, არასაკმარისი გენერაციული სიმძლავრეების გამო, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე, რაც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, რომელიც ქვემოთ დეტალურად არის განხილული (დაწერილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ იტალიის მაგალითი).

მიწოდების საიმედოობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, როგორც მთლიანად ევროკავშირის მასშტაბით, ასევე ეროვნული ელექტროსისტემების დონეზე. თუ ყველა ქვეყანა დამოკიდებული იქნება იმპორტზე, რათა დააკმაყოფილოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნა პიკის საათებში, მაშინ იმპორტზე ასეთი დამოკიდებულება აუცილებლად დაარღვევს სისტემის გამართული მუშაობის რიტმს. ასე, რომ ახალი გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობისა და ეკოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის მთლიანად იმპორტით უზრუნველყოფა საკმაოდ წინააღმდეგობრივი საკითხია.

ცალკეულმა წევრმა ქვეყანამ გარკვეული დონით აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს საკუთარი გენერაციული სიმძლავრეები, იმპორტზე მათი დამოკიდებულების ხარისხის გათვალისწინებით, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ბოლო წლების მაგალითს, როდესაც არ-



გენტინამ ჩილეს მოულოდნელად შეუწყვიტა ბუნებრივი გაზის მიწოდება, რათა საკუთარი გაზის რეზერვები ჰქონოდა და გამოეყენებინა საკუთარი მოხმარებისათვის. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სრულად ენერგიაშემცველების იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. აქვე უნდა გავიხსენოთ რუსეთის მიერ გაზის შეწყვეტა საქართველოსთვის პოლიტიკური მიზნით 2006 წლის ზამთარში.

## ეკოლოგიური გავლენა

ევროკავშირის ქვეყნებში ღონისძიებები ტარდება არსებული ბერთვული გენერაციის ობიექტების მიერ ნარჩშირბადის გამოყოფის შემცირებისათვის. შესაბამისად, წვერი ქვეყნები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროებით ელექტროენერგიის მიღების საკითხებს. თუმცა, შეძლებენ თუ არა ელექტროენერგიის განახლებადი და ეკოლოგიურად სუფთა წყაროებით დააკმაყოფილონ ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნები, ჯერჯერობით უცნობია. კონკურენციამ და საბაზრო რისკებმა შესაძლოა უფრო მეტი ინვესტიციები მიმართონ ისეთი ტექნოლოგიების განვითარებისაკენ, რომლებსაც ნაკლები დანახარჯები და ნაკლები დრო სჭირდებათ და არა განახლებადი ენერგიის წყაროების გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობისაკენ, რომელიც ძალიან რისკიანი და ამავე დროს მშენებლობის მხრივ ხანგრძლივია. ლიბერალიზაციის გრძელვადიანი ეფექტები, ეკოლოგიური ენერგიის გამომუშავების ტექნოლოგიების განვითარების არჩევანთან დაკავშირებით, დამოკიდებულია იმ სუბსიდიების მოცულობაზე, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მიმართული იქნება ამ ღონისძიებების დაფინანსებაზე.

ენერგიის განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის მწარმოებელი კომპანიების ტექნოლოგია ჯერ კიდევ მეტისმეტად ძვირია და მათ გააჩნიათ სუსტი ტექნიკური მახასიათებლები ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფის მხრივ.

## სოციალური გავლენა

1996-2006 წლებში ევროკავშირში ელექტროენერჯის ფასები უფრო დაბალი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე მოსმარების ფასების ინდექსი. გარდა ამისა, გამოკითხვებმა ცხადყო, რომ მომხმარებლები ზოგადად კმაყოფილნი არიან მომსახურების ხარისხით.

მომავალში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრების შემდგომ ინტეგრაციაზე და მარეგულირებელი ორგანოების მცდელობებსა და მათ მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, რათა ლიბერალიზაციის პროგრამის ეფექტი მაქსიმალურად მიიტანონ მომხმარებლებამდე.

## დასკვნები

ევროკომისიის მცდელობები, შექმნილიყო ერთიანი ევროპული ბაზარი, ძირითადად ზორციელდებოდა ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციისა და ელექტროენერჯით საბითუმო ვაჭრობაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით. ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო რეგულირებას, გადამცემ და გამანაწილებელ ხაზებთან ხელმისაწვდომობის პირობების ჩამოყალიბებას, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში კონკურენციის შექმნას. საერთო ჯამში, ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისადმი ერთიანმა მიდგომამ, რომელიც დაფუძნებული იყო სრულყოფილი ლიბერალიზაციისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაზე, დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

თუ გავითვალისწინებთ რომ ევროკომისიის ღირეპტივების შემუშავებამდე წვერი ქვეყნების ელექტროსისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებებსა და კომპონენტებს შორის დიდი სხვაობა იყო, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სადღეისოდ, სტრუქტურების, ინსტიტუტებისა და სისტემების ფუნქციონირების წესები საკმაოდ სტანდარტიზებულია მთელი ევროკავშირის მასშტაბით. ელექტროენერგეტიკული ბაზრების გახსნილობის ხარისხი მკვეთრად გაიზარდა და ხშირ შემთხვევაში აღემატება კიდევ ღირეპტივებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ელექტროენერგეტიკული კომპანიების

პროდუქტიულობა გაიზარდა და, ამავე დროს, ყველაზე ლიბერალიზებულ ევროპულ ბაზრებზე შემცირდა მათი მოგების მარჟა.

ახლა ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზარი ახალი ამოცანების წინაშე დგას, სადაც დირექტივებით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნებისაგან განსხვავებით, ყურადღება უფრო მეტად უნდა გამახვილდეს სპეციფიკურ და ტექნიკურ საკითხებზე.

ყველაზე მიზანშეწონილი გზა, რომლის გავლითაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, გადის ევროპის რეგიონულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე. ევროკავშირში მოქმედებს რამდენიმე მნიშვნელოვანი რეგიონული ბაზარი: სკანდინავიური, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის, ბალტიის, დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ევროპისა და იტალიის. ეს ბაზრები განსხვავებულია თავიანთი შიდა ინტეგრაციის დონით. სკანდინავიური ბაზარი ყველაზე განვითარებული და ეფექტურია მასში შემავალი ქვეყნების ელექტროენერგეტიკული სისტემების ინტეგრაციის დონისა და ელექტროენერგიაზე დაახლოებული ფასების გათვალისწინებით. დასავლეთ ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზარი (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, პოლანდია და ბელგია) წარმოადგენს უმსხვილეს რეგიონულ ბაზარს და მისი ცენტრალური გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პროგრესს ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში.

საბოლოოდ, შეიძლება ჩამოვყალიბოთ პრობლემათა სამი ძირითადი ჯგუფი, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას:

- ევროკავშირის ელექტროენერგეტიკული ბაზარი მკაცრად სეგმენტირებული რჩება გეოგრაფიული და ტექნიკური სირთულეების გამო: ბაზრის ძირითადი ტერიტორია, რომელიც მოიცავს საფრანგეთს, გერმანიას და ბენილუქსის ქვეყნებს, იზოლირებულია დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიის, იტალიისა და ესპანეთის ბაზრებისაგან;

- ეროვნული ელექტროენერგეტიკული სისტემები განსხვავებულია. კერძოდ, ფასების სტრუქტურა და წყაროები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა. რამდენიმე ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემა სემენტირებულია (მაგ., ავსტრია) და ზოგის - კონცენტრირებული (მაგ., საფრანგეთი). წარმოებისა და დისტრიბუციის ბიზნესები ხორციელდება ან რამდენიმე დამოუკიდებელი კომპანიის მიერ, ან მონოპოლისტის მიერ;
- ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებულ ეროვნულ ელექტროსისტემებს შორის ურთიერთკავშირები საკმარისი არ არის იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე კონცენტრაციის ხარისხის მნიშვნელოვანი შემცირება. ასევე, გადასაჭრელია ეკოლოგიასა და ინვესტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

## თავი 2. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკის რეგულირების შედარებითი ანალიზი

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნები: ალბანეთი, ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, მოლდოვა, რუმინეთი, სლოვენია, თურქეთი, სერბეთი და ჩერნოგორია, აგრეთვე კოსოვო, ათენის ენერგეტიკული თანამეგობრობის მემორანდუმის ხელმომწერი სახელმწიფოებია. მემორანდუმი ითვალისწინებს ხელმომწერი და დამკვირვებელი ქვეყნების თანამშრომლობას ენერგეტიკის რეგულირების სფეროში. ქვემოთ მოცემული ანალიზი დაიწერა ენერგეტიკის სფეროში ევროპის რეგულირების ორგანოთა საბჭოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუციური შესაბამისობის საკითხების შემსწავლელი მუშა-ჯგუფის (CEER) მიერ მომზადებული მასალის საფუძველზე, რომელიც შესრულდა USAID-ის მხარდაჭერითა და Pierce Atwood-ის (PA) დახმარებით. იგი საინტერესოა გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით; ამასთან, აღნიშნული ქვეყნების ენერგეტიკის რეგულირების ორგანოთა მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტით შეფასების საშუალებას იძლევა.

მართალია, თითოეულ ქვეყანას განსხვავებული ინდივიდუალური და კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, რასაც მათი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსები, ინსტიტუციური და სხვა ფაქტორები განაპირობებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეგულირების სფეროში განხორციელებული რეფორმების პროცესზე მაინც შესაძლებელია ზოგადი საერთო დასკვნების გაკეთება. ეს ეხება მათ იურიდიულ სტატუსს, დამოუკიდებლობას, უფლებამოსილებას, შიდა ორგანიზაციას, რეგულირების პროცესს, კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფასა და ანგარიშვალდებულებას. შედარებითი ანალიზი 2004 წლის მდგომარეობას ასახავს.

## ა) იურიდიული სტატუსი

- ყველა დასახელებულ ქვეყანას გააჩნია კანონები, რომლებიც ითვალისწინებს რეგულირების ორგანოს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნას.
- უმრავლესობას ენერგეტიკული სექტორისათვის მხოლოდ ერთი რეგულირების ორგანო გააჩნია.

დაახლოებით ერთი მესამედისათვის რეგულირების ორგანოები განვითარების ადრეულ სტადიაზეა ან ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

## ბ) დამოუკიდებლობა

- რეგულატორთა უმრავლესობას გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად.
- რეგულირების ორგანოთა მცირე ნაწილი, ჯერჯერობით, სახსრებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან იღებს. შესაძლებელია, ეს პროცესი ფორმირების პერიოდშიც გაგრძელდეს. ამ შემთხვევაში გრანტებითა და დონორთა მიერ დაფინანსების ხანგრძლივობა განსაზღვრული არ არის. ამ ქვეყნებში, ძირითადად, კანონი ითვალისწინებს, რომ ბიუჯეტი და რეგულირების ორგანოთა დაფინანსების წყარო გაიმიჯნება, მაგრამ როდის, გადაწყვეტილი არ არის.
- მიუხედავად იმისა, რომ რეგულატორთა უმრავლესობას დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად აქვს, ხელისუფლება კვლავინდებურად ახორციელებს პირდაპირ და/ან ირიბ ჩარევას მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში, რის მაგალითად გამოდგება ის ზმირი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება რეგულატორს თავად განუსაზღვრავს რეგულირების საფასურის სიდიდეს.

- რეგულატორთა თითქმის ნახევრის ბიუჯეტი ექვემდებარება ხელისუფლების მხრიდან დამტკიცებას ასიგნების სტადიაზე.
- რეგულატორთა მცირე ნაწილს ხელისუფლება რეგულარულად უმტკიცებს ფონდებსა და ფულად სახსრებს და განსაზღვრავს მათ მოცულობას რეგულირების ფუნქციების შესრულების პროცესში.
- რეგულირების ორგანოთა უმრავლესობას თავად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელისუფლებო ორგანოს თანხმობის გარეშე.
- დასახელებული ქვეყნების უმცირესობისათვის ხელისუფლება უფლებას იტოვებს განიხილოს და შეცვალოს, ან, ცვლილებები შეიტანოს რეგულატორის გადაწყვეტილებებში.

## გ) უფლებამოსილება

- რეგულირების ორგანოთა უმრავლესობა ამტკიცებს ტარიფებს, თამაშობს გარკვეულ როლს ბალანსების, მომავალი სიმძლავრეებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგში.
  - უმრავლესობისათვის, მონიტორინგის განხორციელები-სას, რეგულირების ორგანოს როლი ბუნდოვანია.
- როგორც წესი, ხდება საინვესტიციო გეგმების განხილვა.
  - ჩვეულებისამებრ, ასეთი განხილვა შემოიფარგლება სატარიფო პროცესით.
- რეგულირების ორგანოთა უმრავლესობას გააჩნია დავების დარეგულირების გარკვეული უფლებამოსილება.
  - რეგულატორთა თითქმის ნახევარს ამ საკითხების გადაწყვეტისას უფლებამოსილება შეზღუდული აქვთ. მაგალითად, მათი გადაწყვეტილებების შესრულება არ არის სავალდებულო; დავის გადასაწყვეტად რეგულატო-

რის შესასრულებლად. მიმართვა სავალდებულო არ არის; და/ან რეგულატორის გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს სადავო საკითხის გასაჩივრების შემთხვევაში.

- რეგულირების ორგანოთა უმრავლესობას გააჩნია გარკვეული უფლებამოსილება წესების შემუშავებისას, მაგალითად, მათ აქვთ უფლება ამა თუ იმ სადავო საკითხთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილება გააგრძელონ დარგში საყოველთაო გამოყენებისათვის და, ამასთან დაკავშირებით, დამატებით გამოსცენ დადგენილება.
  - რეგულირების ორგანოთა უმცირესობას არ გააჩნია წესების შემუშავების უფლებამოსილება, მათ შორის რეგულირების ისეთ საკვანძო საკითხებშიც, როგორცაა ტარიფების დადგენა.
- რეგულატორთა უმრავლესობა გარკვეულ როლს თამაშობს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა სისტემათა-შორისი მიერთება, ტექნიკური წესები, ხარისხის სტანდარტები, სიმძლავრეების მართვა და, ასევე, ქსელში მიერთებები და რემონტი.
  - ზოგიერთ რეგულატორს ეს როლი მკვეთრად განსაზღვრული არა აქვს.
- რეგულირების ორგანოების როლი ბაზრის გაფართოების ტემპებისა და დონის განსაზღვრისას შეზღუდულია.
  - ყოველი დასახელებული ქვეყნისათვის ბაზრის გაფართოების დონე განსხვავებულია.
  - ქვეყანათა უმრავლესობა იყენებს ეტაპობრივ მიდგომას, რომლის დროსაც რეგულატორის როლი, როგორც წესი, ნაკლებად მნიშვნელოვანი და ჩამოუყალიბებელია.
  - ზოგიერთ ქვეყანაში შეიძინევა მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში, თუ რამდენი პროცენტითაა ბაზარი ღია თეორიულად და რამდენი პროცენტით რეალურად; მაგალი-



თად, არის შემთხვევები, როცა ზოგად კანონს შეუძლია დაასახელოს განსაზღვრული პროცენტი სრულუფლებიანი მომხმარებლებისათვის, მაგრამ მიღებული არ არის საჭირო კანონქვემდებარე აქტები, საქსელო კოდექსი, დანაწევრებულ ტარიფებზე მოთხოვნა და სხვა მოთხოვნები, რაც მომხმარებელს საშუალებას არ აძლევს, გვერდი აუაროს თავის ამჟამინდელ მიმწოდებელს, რომელიც ადრე მონოპოლისტი იყო.

- უმრავლესობას გააჩნია აღრიცხვის სისტემები რესტრუქტურიზებული საწარმოებისათვის.
- რესტრუქტურიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და, შესაბამისად, არც რეგულატორის როლია განსაზღვრული ამ საკითხთან მიმართებაში.

#### დ) შიდა ორგანიზაცია

- რეგულირების ორგანოს სიდიდის განსაზღვრა ხდება მისი სტრუქტურიდან გამომდინარე, რომელიც შესაძლოა შედგებოდეს ერთი ხელმძღვანელისაგან (პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი), ან ორგანოსაგან, რომელიც შესაძლოა შედგებოდეს რამდენიმე წევრისაგან, სამიდან – ცხრამდე.
- შტატის რაოდენობა მერყეობს 3-დან 282 თანამშრომლამდე და, ხშირ შემთხვევაში, 50-60 კაცის ოდენობით ფიქსირდება.
  - რეგულირების ორგანოთა მცირე ნაწილისათვის შეინიშნება საკადრო რესურსების საგრძნობი უკმარისობა იმისათვის, რომ სათანადოდ იქნეს შესრულებული დაკისრებული მოვალეობები.
- ხშირ შემთხვევაში, სახელფასო განაკვეთის დონე, მთლიანობაში, უთანაბრდება დარგის ხელმძღვანელთა და სამინისტროს ხელფასებს და აღემატება სახელმწიფო სამსახურის მუშაკთა ხელფასებს, რაც ბიუჯეტთან მიმართებაში 12%-დან 60%-მდე მერყეობს.

- მონაწილეთა უმრავლესობის რეგულატორებს გააჩნიათ აუცილებელი ტექნიკური რესურსი და მხარდაჭერა.
  - მცირე ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ტექნიკური რესურსი და მხარდაჭერა, რაც აუცილებელია დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესასრულებლად.
  - რეგულირების ზოგიერთი ახლადშექმნილი ორგანო დონორებისგან მიღებულ რესურსებზეა დამოკიდებული.
- უმრავლესობა წევრის სტატუსით მონაწილეობს ინსტიტუციურ და რეგიონულ ორგანიზაციებში, ხოლო უმცირესობა აქტიურად არის ჩართული აღნიშნული ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
  - მცირე ნაწილს არ გააჩნია რესურსი საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში გრძელვადიანი მონაწილეობის დასაგეგმად.

#### ე) რეგულირების პროცესი

- რეგულატორთა უმრავლესობას შემუშავებული აქვს პროცედურები, კონკრეტული სახის მოსმენებში საზოგადოების მონაწილეობის თაობაზე.
  - საერთო ჯამში, საზოგადოების მონაწილეობა შეზღუდულია; წესების შემუშავებისა და/ან კონკრეტულ სადავო საკითხთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებათა მოსმენებში მონაწილეობა საზოგადოებისათვის სრულად ხელმისაწვდომი მხოლოდ რეგულირების რამდენიმე ორგანოშია.

#### ვ) კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა

- რეგულირების ორგანოთა უმრავლესობა უფლებამოსილია უზრუნველყოს კანონმდებლობის დაცვა ჯარიმის დაწესებითა და ლიცენზიის გაუქმებით.

- თუმცა, ეს უფლებამოსილება შეზღუდულია პრაქტიკაში, ან საერთოდ არ გამოიყენება. მაგალითად, დარღვევების ან საქმიანობის უარყოფითი მაჩვენებლების გამო, ტარიფებში მოგების წილის შემცირება მხოლოდ მონაწილეთა უმცირესობის რეგულატორებს შეუძლიათ.

## ზ) ანგარიშვალდებულება

- რეგულირების ყველა ორგანო ადგენს წლიურ ანგარიშს.
- უმრავლეს შემთხვევაში, რეგულირების ორგანოებმა ანგარიშები უნდა წარმოადგინონ რეგულარულად ან სახელისუფლებო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგულირების ორგანოთა გასული წლების საქმიანობის ანალიზი უჩვენებს, რომ, ცალკეულ შემთხვევებში რეგულირების ორგანოს შესაძლოა ნაკლებად ხელსაყრელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა ჰქონდეს, მაგრამ იმოქმედოს გაცილებით ეფექტურად, ვიდრე პირიქით, ჰქონდეს უკეთესი პირობები, მაგრამ შედეგები – ნაკლებეფექტური. ასეთი სხვაობა, ხშირად, უკავშირდება ცალკეულ რეგულატორთა პიროვნულ თვისებებს, მათ სამსახურებრივ ურთიერთობას სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან ან პოლიტიკურ ასპექტებს. ურთიერთობებსა და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე დამოკიდებულება შესაძლოა სარისკო გახდეს რეგულირების ორგანოს წარმატებული და კანონზომიერი ფუნქციონირებისათვის. გრძელვადიან პერსპექტივაში რეგულატორის ეფექტური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზით მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული რეგულირების ორგანოს ცალკეულ პირთა პოტენციალი.

სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით, ყველა ქვეყანას მიღებული აქვს პირველადი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს რეგულირების ორგანოს შექმნას. ზოგიერთ ქვეყანაში რეგულირების ორგანოს ჩამოყალიბებიდან იმდენად ცოტა ხანია გასული, რომ ძნელია მათი ნორმატიული ბაზის სრულყოფილების შეფასება. უმრავლესობას კი უკვე დეტალურად აქვს შემუშავებული პირველადი კანონმდებლობა და, უმრავლეს შემთხვევაში, კანონქვემდებარე

რე აქტებიც, რომელთა თანახმადაც ყალიბდება რეგულირების ორგანო და განისაზღვრება მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქვეყნის რეგულირების ორგანოს სტრუქტურა და ფორმა განსხვავებულია, ისინი მაინც შექმნილია ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად.

ეუწოდოთ თუ არა ამ ორგანოებს სრულიად დამოუკიდებლები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება ამ ცნებაში. მაგალითად, ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის რეგულირების ორგანოს შეუძლია მხოლოდ რეკომენდაციის მიცემა რეგულირების სფეროს ზოგიერთ კანონქვემდებარე აქტსა და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ დირექტივა არ მოიცავს აღნიშნული შეზღუდვების პირდაპირ აკრძალვას. ამ შემთხვევაში ყურადღებას გაეამახვილებთ იმაზე, რომ აღნიშნული შეზღუდვები ამცირებს თუ არა რეგულირების ორგანოს შესაძლებლობას იმოქმედოს დამოუკიდებლად, ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობის ფარგლებში.

უმრავლეს შემთხვევაში, პასუხი დადებითი იქნება. თუმცა, ბევრ რეგულატორზე ვრცელდება სხვადასხვა სახის შეზღუდვა, რაც მათ ფუნქციონირებას აფერხებს. ასეთ შეზღუდვებში შედის სამინისტროს ან სხვა სახელისუფლებო ორგანოთა მხრიდან უშუალო კონტროლიც ბიუჯეტთან, რესურსებსა და ანგარიშთან მიმართებაში. რთულ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა – ფასების ზრდისა და მონოპოლიურ ძალებთან წინააღმდეგობის ჩათვლით – საფრთხის წინაშე დგება, როცა რეგულატორები, სახელისუფლებო ორგანოების ან დარგში მოქმედი უწყებების მხრიდან, ზეწოლას განიცდიან.

ხელისუფლების მხრიდან მსუბუქ ზეწოლასაც, ასევე, შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს რეგულირების ორგანოს დამოუკიდებლობაზე. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ კონტროლი მისაღები საშუალებაა მოვლენათა არსებული სახით შესანარჩუნებლად ან კომპრომიზების მისაღწევად. მაგალითად, თუ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ

დროთა განმავლობაში კომპრომისები დაგვეხმარა რეფორმების გატარების პროცესში, მაშინ, ასეთ სიტუაციაში, შეგვიძლია სიმშვიდე შევინარჩუნოთ. მაგრამ, როდესაც არსებული მდგომარეობა ოპტიმალური არ არის და ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზეწოლით რეგულატორის დამოუკიდებლობა იზღუდება, ეს ზიანის მომტანი იქნება.

ანალიზმა აჩვენა, რომ დასახელებულ ქვეყნებში, მსუბუქი ზეწოლისა და შეზღუდვების შედეგად, რეგულატორთა დიდ ნაწილს აკლია ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა. რეგულატორთა დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობათა და ქვეყნებში რეფორმათა ობიექტური შედეგების შედარება ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის მინიმალური დონე შესაძლოა არცთუ ოპტიმალური აღმოჩნდეს. იქ, სადაც რეფორმები ჩამორჩება, ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, რეგულირების ორგანოების დამოუკიდებლობის ხარისხის მინიმალური ზღვრის გაზრდაა. მაგალითად, სამინისტროს მხრიდან რეგულატორის გადაწყვეტილებათა შეცვლის შესაძლებლობის აღკვეთა, ან რეგულატორის გარდაქმნა საკონსულტაციო ორგანოდან სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილ უწყებად, ხელს შეუწყობს საბაზრო რეფორმების დაჩქარებას, რაც გათვალისწინებულია ღირებულებებსა და შემორანდუმში.

უფლებამოსილების სფეროში საკვლევი ქვეყნების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაარსებიდან დაგროვილი გამოცდილების შესაბამისად, რეგულირების ორგანოს კომპეტენციის მასშტაბი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ცხადია, ახლადშექმნილი რეგულატორისაგან არ შეიძლება ველოდოთ მნიშვნელოვან წვლილს ბაზრის განვითარების პროცესში, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მოლოდინი იზრდება და რეგულირების ორგანოს გარდაუვლად ესაჭიროება აქტიური ცვლილებების დანერგვა. თუ დავაკვირდებით იმ რეგულატორებს, რომლებიც რამდენიმე წელია მოქმედებენ, შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთი ფაქტორი, რომელიც მათ ხელს უშლის ბაზრის რეფორმირებისათვის აუცილებელი ძირეული ცვლილებების განხორციელებაში. ეს ფაქტორია რეგულატორის საბაზრო ურთი-

ერთობებთან დაკავშირებული როლის გაუმჭვირვალობა და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მოუქნელობა. რეგულირებადი საკითხების არსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ რეფორმა საბაზრო ურთიერთობათა სფეროში შესაძლოა დაჩქარდეს გამჭვირვალობისა და რეგულატორის როლის გაძლიერებით.

საერთოა დასკვნა იმის შესახებ, რომ რეგულატორთა უმრავლესობას რეგიონში გააჩნია მინიმალური ზოგადი უფლებამოსილება. ქვეყნების უმრავლესობისათვის, რომელთა რეგულირების ორგანოები ორი წლის ან მეტი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებენ, რეგულატორი ქმედითაა. სხვა სიტყვებით, რეგულირებაში პირველი ნაბიჯები გადადგმულია, კერძოდ, დოკუმენტების შექმნა და გაცემა, რაც კონტროლის საშუალებას იძლევა, ანუ რეგულატორის მოღვაწეობა დაწყებულია. ამასთან, რეფორმებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, რეგულატორების როლი კვლავაც რამდენადმე ბუნდოვანია. ეს კი რეფორმათა წინსვლას ხელს უშლის.

რეგიონული ბაზრის განვითარების საკვანძო საკითხია რეგულირების ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებით აღჭურვა, რათა მან ეფექტურად არეგულიროს დარგში სისტემური ოპერატორის საქმიანობა, ასევე, მოახდინოს ამ უფლებამოსილებათა რეალიზაცია პრაქტიკაში. რეგულატორისათვის უფლებამოსილება აუცილებელია, რათა მიაღწიოს საწარმოთა რესტრუქტურისზაციას, მოითხოვოს საბაზრო წესების მიღება და მათი ეფექტურად გამოყენება, ასევე, ქსელთან მიერთების (ჩართვის) და მრიცხველებიდან ჩვენებების აღებისა და სხვა წესების შემუშავება. რეგულატორს აუცილებლად ესაჭიროება უფლებამოსილება, რათა დამოუკიდებლად განსაზღვროს/დაამტკიცოს ტარიფები და იყოს სრულუფლებიანი პარტნიორი, რომელიც ფლობს ბაზარზე წესების დანერგვის სოლიდურ უფლებამოსილებას. საკვლევი ქვეყნების უმრავლესობის რეგულატორებისათვის ამ კუთხით აუცილებელია უფლებამოსილების ხარისხის საგრძნობლად გაზრდა.

შიდა ორგანიზაციის თვალსაზრისით; რეგიონში შემავალი ქვეყნები ფლობენ საკმარის რესურსებსა და საჭირო სტრუქტურებს. ამ საკითხების შესწავლისას ირკვევა, რომ ზოგიერთ ახლადშექმნილ ორგანოს შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დონორთა რესურსების წყალობით, განსხვავებით დამოუკიდებელი, გრძელვადიანი ინსტიტუციური მხარდაჭერისა, რასაც ითვალისწინებს ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა. იმ ქვეყნებში, რომლებიც, ძირითადად, დონორთა დაფინანსებას ეყრდნობიან, მოსაგვარებელია მდგრადობის საკითხი. მათ თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით არ გააჩნიათ ნათლად გამოხატული გეგმები. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობასთან მიმართებაში, ხელისუფლების მხრიდან საბიუჯეტო კონტროლი რჩება პოტენციურად ძლიერ ინსტრუმენტად რეგულირების სფეროში არაპოპულარული საქმიანობის შესაზღუდად.

დასასრულ, იმის გათვალისწინებით, რომ რეგულატორის საქმიანობა ფუნდამენტური საწყისი მოთხოვნების შესრულებიდან უნდა გადაიზარდოს ბაზრის მონიტორინგის გაცილებით რთული მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ჯერაც არ ჩანს საკმარისი დამატებითი რესურსი ამ ამოცანათა განსახორციელებლად. მაგალითად, მონაწილე ქვეყნების რეგულირების ორგანოთა უმრავლესობას არ გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიის სისტემები, რომლებიც რეგულირების სფეროში არსებული საწარმოების მონიტორინგის განხორციელების საშუალებას იძლევა.

დასახელებულ ქვეყნებში რეგულირების პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ რეგულირების ორგანოს უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს ზოგადი ნორმატიული აქტები, უფრო მისაღები და გამართლებული მიმართულებაა. მონაწილეთა უმცირესობას, ძირითადად, ტარიფებისა და ფასების დადგენისას, არ გააჩნია ამგვარი საშუალება; ეს აისახება არა მხოლოდ რეგულირების ორგანოს დამოუკიდებლობაზე. ეს შეიძლება არაეფექტიანობისა და შეფერხების მიზეზიც გახდეს.

კანონმდებლობის შესრულების მექანიზმები აღნიშნულ ქვეყნებში არ არის საკმარისად შემუშავებული ან გამოყენებული. ამ მიმართებით საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია. რეგულირების ზოგიერთ ორგანოზე ვრცელდება შეზღუდვები ჯარიმების ამოღებისა და სანქციების დაკისრების მხრივ. სანაცვლოდ, მათ შეუძლიათ ამის მხოლოდ სხვებისთვის შეთავაზება. ამგვარი შესაძლებლობის არარსებობამ შეიძლება გაართულოს რეგულატორზე დაკისრებული ამოცანების შესრულება და რეფორმების ეფექტურად განხორციელება.

მასალებიდან ჩანს, რომ ტარიფების დადგენისას სრულფასოვნად არ ხდება მომსახურების ხარისხის სტანდარტების გამოყენება; მაგალითად, მოგების წილის დაუყოვნებლივი შემცირება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა საქმიანობის ცუდი მაჩვენებლები. პრაქტიკული თვალსაზრისით, რეგულატორის მიერ კანონმდებლობის შესრულების ერთადერთ მექანიზმად ლიცენზიის ჩამორთმევა რჩება; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კანონის დამრღვევი ლიცენზიატი, მაგალითად, გამანაწილებელი კომპანიაა, რომელიც, თავის მხრივ, ენერჯის არჩევაში არათავისუფალი მომხმარებლის მიმწოდებელია, მაშინ რეგულირების ორგანო არცთუ ხშირად გამოიყენებს ლიცენზიის ჩამორთმევის შესაძლებლობას. ცხადია, რეგულირების მიზნების უფრო ეფექტურად მისაღწევად რეგულატორს ნაკლებად დრაკონული მეთოდები უნდა გააჩნდეს.

ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, ზოგიერთ რეგულატორს შემუშავებული არა აქვს ეთიკური კოდექსი, მაგრამ ეს, ზოგადად, ამ მომენტისათვის არ წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა კორუფცია და ანალოგიური არაკანონიერი გავლენები, რეგულატორის საქმიანობის მეშვეობით გაცილებით რთული გამოსავლენია. ანგარიშვალდებულების საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირების ორგანოთა დამოუკიდებლობა იზრდება და ახალ უფლებამოსილებას იძენს. იმ მონაწილე ქვეყნებისათვის, სადაც რეგულირების ორგანო განვითარების ადრეულ სტადიაზე ან რეფორმირების პროცესში იმყოფება (ასეთი



მონაწილეები საერთო რაოდენობის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს), ანგარიშვალდებულების მექანიზმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგულირების პროცესში საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად. ამგვარად, ამ მონაწილეთათვის მკვეთრად გამოხატული ანგარიშვალდებულების მექანიზმები, გადაწყვეტილებების პუბლიკაცია თანმხლები განმარტებებით, ღია მოსმენების ჩატარება, საკუთარი ვებგვერდის პერიოდული განახლება და სხვა ანალოგიური ზომები რეფორმების პროცესის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება.

თითოეული დასახელებული ქვეყნის მიხედვით არსებული მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია ქვემოთ.

### ალბანეთი

ალბანეთის ელექტროენერგეტიკის რეგულირების ორგანო (ERE) შეიქმნა ამ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პროცესში. თუმცა, თავისი განვითარებისა და ქვეყნის ელექტროენერგეტიკის სექტორში განხორციელებულ რეფორმებში წვლილის შეტანის თვალსაზრისით იგი ჩამორჩება მოგვიანებით შექმნილ სხვა ქვეყნების რეგულირების ორგანოებს. ამის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი შიდა ფაქტორები, როგორცაა: არაეფექტური, ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული მონოპოლია, არატექნიკური (კომერციული) დანაკარგების მაღალი დონე, სუსტი ეკონომიკა და პოლიტიკური ბარიერები.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში მისი როლის გაფართოებისა და განმტკიცების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. ძალაში შევიდა ახალი კანონმდებლობა და შემუშავდა ძირითადი კანონქვემდებარე აქტების პროექტები. იმის გათვალისწინებით, რომ კანონქვემდებარე აქტების ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ მოსამზადებელი ან მისაღებია, განვითარებისა და პროგრესის ხარისხი რთული დასადგენია. ჯერჯერობით, შემუშავებული არ არის რეგულატორის საქმიანობის პროცედურები, ეთიკური კოდექსი ან თუნდაც რეგულატორის ვებგვერდი. ამგვარი პროცედურები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგულატორის ეფექტური ფუნქციონირ-

რებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ იგი საზოგადოებისათვის მისაღები გახდეს და დარგში სერიოზულ ძალად აღიქმებოდეს.

აღბანეთში პროგრესის მიღწევის მთავარ საშუალებად მოიაზრება ნორმატიული ბაზის შექმნა, ინსტიტუციური მშენებლობა და სხვა ნაბიჯები, რომლებიც, დარგში რეფორმების გატარების პარალელურად, რეგულირების ორგანოს კომპეტენციის ამღვლეებისკენაა მიმართული. ყოველივე, იმავდროულად, გულისხმობს საბაზრო სტრუქტურის მიღებასა და დანერგვას, რაც დარგის ეტაპობრივ დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს.

საერთო ჯამში, რეგიონული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიხედვით, აღბანეთი კვლავინდებურად რამდენადმე ჩამორჩება სხვა ქვეყნების რეგულირების ორგანოებს. მომავალში აღბანეთმა საკმაოდ სწრაფად უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ მათ დაეწიოს. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ის სწორი მიმართულებით მოძრაობს.

## ავსტრია

ავსტრიის ენერგეტიკის რეგულირების ორგანოს (**E-Control**) გააჩნია რეგულირების უნიკალური სტრუქტურა; კერძოდ, იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ორგანო წარმოადგენს კერძო კომპანიას (**E-Control Corporation**), რომელიც რეგულატორის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს ასრულებს, ხოლო მეორე ორგანო თავად კომისიაა, რომელიც სამი წევრისაგან შედგება; იგი რეგულირების ზედამხედველობას ახორციელებს. **E-Control Corporation** ლიდერია ექსპერტიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმეში, თავისი ვებგვერდის, პრესრელიზებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით. თუმცა, დარგის საწარმოებში სერიოზული ცვლილებების განხორციელებასა თუ სანქციების დაკისრებაში იგი შეზღუდულია.

მიზნის მაქსიმალურად მიღწევის თვალსაზრისით, ევროკავშირის დიდი ხნის წევრს და ჯანსაღი ეკონომიკური სივრცის მქონე ავსტრიას არ გააჩნია ის პრობლემები, რომლებიც ასე დამახასიათებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკული თანამეგობ-

რობის ქვეყნებისათვის. ამიტომ, მასთან მიმართებაში აუცილებელია პროგრესისა და განვითარების უფრო მაღალი სტანდარტების გამოყენება.

სხვებთან შედარებით ავსტრიის ენერგეტიკის რეგულირების ორგანო გაცილებით მაღალ სტანდარტებს შეესაბამება, კარგად ფუნქციონირებს, გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი, მაღალკვალიფიციური პერსონალი და საკანონმდებლი ბაზა. ამის მიუხედავად, რეგულირების ამ ორგანოს რეალურად მაინც გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც აფერხებენ მის ეფექტურად ფუნქციონირებას. მაგალითად, ეკონომიკისა და შრომის სამინისტრო ნიშნავს E-Control Corporation-ის დირექტორს. მას ასევე, აქვს უფლება, E-Control Corporation-ისთვის გამოსცეს მითითებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა. ასეთი უფლებები რეგულირების ორგანოს დამოუკიდებლობას პოტენციურ პრობლემებს უქმნის. ამგვარი შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან რეგულატორის საქმიანობაში არასასურველი ჩარევის შესაძლებლობას ქმნის. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ, სამინისტროს ჯერჯერობით არ გამოუცია მსგავსი ინსტრუქცია და ეს შეზღუდვა მხოლოდ თეორიულად განხორციელებადია. გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა მოცემულ მოდელთან დაკავშირებული ინსტიტუციური მახეების თავიდან ასაცილებლად (მაგ., ინტერესთა კონფლიქტი, კორპორაციული პოლიტიკა, გრძელვადიანი ვალდებულებები). მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ავსტრიაში ეს მოდელი კარგად მუშაობს, ექსპერტთა დასკვნით, მისი გამოყენება დემოკრატიული ინსტიტუტების წარმატებით ფუნქციონირების არცთუ დიდი ხნის ისტორიის მქონე ქვეყნებში შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს.

E-Control-ის უფლებებს ზღუდავს ის გარემოებაც, რომ ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში მას არ გააჩნია სანქციების დაკისრების უფლება. E-Control-ს შეუძლია დააფიქსიროს მსგავსი ფაქტები და შემდგომ შეატყობინოს სამინისტროს ან შესაბამის ორგანოებს, რომლებსაც სათანადო სანქციების დაკისრების უფლებამოსილება გააჩნიათ. E-Control-ი გასცემს მხოლოდ რამდენი-

მე სახის ლიცენზიას, ხოლო დანარჩენს – სამინისტრო და სხვა სახელმწიფო ორგანოები.

პოტენციური შემფოთების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში E-Control-მა ვერ განახორციელა რეგულირება ზღვრული ფასების დადგენის მეთოდიკის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრია მდიდარია ჰიდროელექტრორესურსებით, ამ ქვეყანაში ელექტროენერჯის ტარიფები, ევროპის მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. E-Control-მა განახორციელა სტიმულირებადი რეგულირების შედეგების შემოწმება, განსაკუთრებით განაწილების დონეზე, როგორც ტარიფის კლების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ტარიფებმა ყველა ტიპის მომხმარებლისათვის დაიკლო, ავსტრიაში მაინც გაიზარდა მომხმარებელთა მხრიდან მიმწოდებლების შეცვლის შემთხვევები.

E-Control-ი შეძლებდა რეგიონული ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას, თუ მას თავისთავად ქვეყანაში მინიჭებდნენ გადაწყვეტილებათა აღსრულების გაცილებით ფართო მანდატსა და იურიდიულ უფლებამოსილებას.

## ბოსნია და ჰერცეგოვინა

ბოსნია-ჰერცეგოვინა, ენერგეტიკის რეგულირების თვალსაზრისით, ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც რეგიონში ანალოგი არ მოეპოვება. ქვეყანას გააჩნია ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. ამასთან, პოლიტიკური მიზეზების გამო, შეიქმნა რეგულირების სამი ორგანო: ერთი მთელი ქვეყნის მასშტაბით არეგულირებს ელექტროენერჯის გადაცემას და ორი – წარმოებას, განაწილებასა და მიწოდებას ქვეყნის ორივე წარმონაქმნისათვის ცალ-ცალკესტრუქტურა შეიქმნა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე.

ბოსნია-ჰერცეგოვინა აწყდება რეგულირების სამი ორგანოს ჰარმონიზაციასთან დაკავშირებულ არაერთ სირთულეს. ამ პატარა, 4-მილიონიან ქვეყანას ელექტროენერგეტიკის სფეროში გააჩნია სამი მოქმედი კანონი, რომლებიც რეგულირების მხრივ საკმაოდ ნაკლოვან მხარეებს შეიცავს. იმ დროს, როცა გადაცემის შესახებ სახელმწიფო კანონის თანახმად ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ელექ-

ტროენერგეტიკული ბაზარი ერთიან ეკონომიკურ სივრცეს წარმოადგენს, მეორე კანონი ითვალისწინებს მხოლოდ რეგულირების სახელმწიფო ორგანოს (SERC) იურისდიქციას გადაცემის, გადამცემაში კომპანიებისა და დამოუკიდებელი სასისტემო ოპერატორის საკითხებში.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირების სამივე ორგანომ მხოლოდ უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს მნიშვნელოვანი მარეგულირებელი საქმიანობა, რთული სათქმელია, იქნება თუ არა ამგვარი სტრუქტურის მქონე რეგულატორის მოღვაწეობა ეფექტური. ექსპერტთა დასკვნით, ამგვარი სტრუქტურით რთულია რეფორმების განხორციელება და, საფიქრებელია, რომ ფუნქციების გადანაწილებისას იგი გარკვეულ პრობლემებს შექმნის.

### ბულგარეთი

ამ ქვეყნის ენერგეტიკის განვითარება და იქ საბაზრო პრინციპების დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფუნქციონირებადი რეგიონული ბაზრის შექმნისათვის.

ბულგარეთში ენერგეტიკის რეგულირების ორგანო (SERC) 1999 წელს შეიქმნა. საწყის ეტაპზე იგი გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, რეგულატორის დამოუკიდებლობასა და უფლებებმოსილებასთან მიმართებაში, პროგრესი შეინიშნება. ადრეულ ეტაპზე შემოფოთების მიზეზი გახდა ორგანოს ხელმძღვანელების ოფიციალური განცხადება გადადგომის შესახებ და სასამართლოს მიერ რეგულატორის რამდენიმე გადაწყვეტილების გაუქმება, რომლებიც დაუსაბუთებლად და არაკანონიერად იქნა მიჩნეული. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არ შეცვლილა არც ერთი კომისიონერი, ხოლო მათგან ორი ახალი ვადით დაინიშნა. თუმცა, 2003 წელს, ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე, იყო მცდელობა მოქმედი კომისიონერების უფლებამოსილებების შეწყვეტისა. გასული წლის განმავლობაში რეგულატორის მიერ მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება არ გაუქმებულა;

ბულგარეთში 2003 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა „ენერგეტიკის შესახებ“ კანონი, რომელმაც ენერგეტიკის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობა პარამონიზაციაში მოიყვანა ევროკომისიის ღირებულებებთან; კანონმა ყურადღება გაამახვილა რეგულირების ორგანოზე, გააფართოვა და გაზარდა მისი უფლებამოსილება, მისცა მეტი ფინანსური დამოუკიდებლობა და ავტონომია.

ახალი კანონი რეგულირების ორგანოს სრულ უფლებას ანიჭებს ლიცენზიების გაცემაზე, შეცვლასა თუ ჩამორთმევაზე, ლიცენზიის პირობების შესრულების მონიტორინგზე და ასევე მომხმარებელსა და ლიცენზიატს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტაზე. რეგულატორი ადგენს ელექტროენერჯისა და მომსახურების ხარისხის მაჩვენებლებს, ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში ითხოვს აღრიცხვის მეთოდების შეცვლას და ადგენს ანგარიშგებისადმი მოთხოვნებს, აგრეთვე, ამტკიცებს ლიცენზიატების საინვესტიციო და ბიზნესგეგმებს.

კანონის თანახმად, რეგულატორს უფლება აქვს შეიმუშაოს ისეთი საკვანძო კანონქვემდებარე აქტების პროექტები, როგორიცაა: გადაწყვეტილება ტარიფების შესახებ, სალიცენზიო პირობები, სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტების ნუსხა, მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის განმსაზღვრელი საორგანიზაციო წესები. მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს და ან მოითხოვოს რეგულატორის პროექტებში ცვლილებების შეტანა. ამ ეტაპზე, წესებისა და განკარგულებების შემუშავების პროცესში SERC-მა აქტიურად ჩართო საზოგადოება, ის ვებგვერდზე აქვეყნებს კანონპროექტებს და პასუხობს წერილობით შეკითხვებს (მოთხოვნებს, განაცხადებს).

კომისიას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია. ამის გამო, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ფინანსთა სამინისტრომ რეგულირების ორგანოს არაოპტიმალურ დონემდე შეუკვეცოს ბიუჯეტი. ფინანსური სახსრების შეჩერების (შეკვეცის) შესაძლებლობა არცთუ ისე წარმატებული პრაქტიკაა მოქმედ კანონმდებლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ **SERC**-ის როლი ახალ სიმძლავრეებთან მიმართებაში შეზღუდულია, საჭიროების შემთხვევაში (კანონის მიხედვით ტენდერი ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ საერთო გადაწყვეტილების შედეგად ვერ მოხერხდა იმ სიმძლავრის გამომუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების უსაფრთხოებას), **SERC**-ი ორგანიზებას უწევს ტენდერების ჩატარებას, ხოლო ენერგეტიკის სამინისტრო პასუხისმგებელია გენერაციის საჭირო ახალ სიმძლავრეებთან დაკავშირებული ნუსხის შედგენაზე.

ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით, **SERC**-ს გააჩნია უფლებამოსილება არეგულიროს საზღვარშორისი დავები.

### ხორვატია

ხორვატიაში რეგულირების ორგანო (**CERC**) 2002 წლის მარტში შეიქმნა. დასაწყისში ის სწრაფად ვერ განვითარდა. ამას სამა ძირითადად პრობლემამ შეუშალა ხელი. ჯერ ერთი – არსებული სამართლებრივი სტრუქტურა მოითხოვს, რომ **CERC**-მა თავისი თანამშრომლების სტატუსით გამოიყენოს სხვა სახელმწიფო დაწესებულების, კერძოდ, სახელმწიფო ენერგეტიკული ორგანიზაციების პერსონალი. ეს კი უფლება-მოვალეობების აღრევას იწვევს. **CERC**-ის წევრები ვერ ახორციელებენ კონტროლს იმის თაობაზე, თუ ვინ რა სახის სამუშაოს ასრულებს. თანამშრომლები, პარალელურად, ემსახურებიან სხვა კლიენტებსაც, ისეთებს, როგორცაა დარგის ლიცენზიატები, რითაც, როგორც მინიმუმ, ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა. მოცემული სიტუაცია, საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, მიუღებელია, რადგან ხელს უშლის რეგულატორის დამოუკიდებლობას და აქვეითებს მის უნარს სისრულეში მოიყვანოს დასახული მიზნები.

მეორე პრობლემა ისაა, რომ გაჭიანურდა განხილვა საკითხისა – გადაცემის სასისტემო ოპერატორი უნდა გამოეყოს **HEP**<sup>1</sup>-ს თუ დარჩეს **HEP**-ის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, სასისტემო ოპერატორის ბაზრის ფუნქციონირებად წევრად გარდაქმნის საქმე-

---

<sup>1</sup> **HEP**-ხორვატიის ერთიანი ელექტროენერგეტიკული კომპანია

ში რაიმე მნაშენელოვანი პროგრესი ვერ იქნა მიღწეული. შესაბამისად, საბაზრო რეფორმების გასატარებლად რეგულირების ორგანოს არ ჰყავს პარტნიორი.

მესამე – ზემოხსენებულ წინააღმდეგობათა გათვალისწინებით აუცილებელია ისეთი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს მოწინავე პრაქტიკას და არა მინიმალურ მოთხოვნებს. ასევე, ხელისუფლების მხრიდან რეგულატორის ავტონომიის მხარდასაჭერად საჭიროა ძლიერი იმპულსი. ენერგეტიკის დარგში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, CERC-ს უფლება არა აქვს შეიმუშაოს ნორმატიული აქტები; ლიცენზირების სფეროში რეგულატორის შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით, ხოლო ლიცენზირების სფეროში რეგულატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სამინისტროს მხრიდან ისევ განხილვას ექვემდებარება და გამორიცხული არ არის მათი გაუქმების შესაძლებლობაც. მიუხედავად იმისა, რომ CERC-ი ადგენს ტარიფებს გადაცემისა და განაწილებისათვის, საბოლოო მომხმარებლების ტარიფების თაობაზე მას მხოლოდ პროექტის მომზადება შეუძლია. მას მუდმივად ხვდება დაბრკოლება მონაცემთა მიღებისას, ხოლო ტარიფებთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები ხშირად არ შეესაბამება რეგულატორის მიერ მიღებულ წესებს.

## მაკედონია

რეგულირების ორგანო (ERC) მაკედონიაში 2002 წლის დეკემბერში შეიქმნა, ხოლო პირველი რეგულატორები პარლამენტმა 2003 წლის ივლისში დანიშნა. ორგანომ ფუნქციონირება მხოლოდ 2004 წლის იანვარში დაიწყო. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ნაადრევია საუბარი იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად ასრულებს რეგულატორი თავის ფუნქციას. ჯერ კიდევ შესამუშავებელია საკვანძო კანონქვემდებარე აქტები, შესატანია ცვლილებები პირვანდელ კანონპროექტში. გარდა ამისა, შესაქმნელია ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა. მოსალოდნელია, რომ საჭი-



რო გახდება რეგულატორის როლის დახვეწა ენერგობაზრის კონტროლის თვალსაზრისით.

## საბერძნეთი

ექსპერტთა შეფასებით, საბერძნეთის ენერგეტიკის რეგულირების ორგანო (RAE) ამ სფეროში ერთ-ერთი საერთაშორისო და რეგიონული ლიდერია. თუმცა, თავის ქვეყანაში მისი უფლებამოსილებები ბევრ საკითხში შეზღუდულია. სწორედ ეს შეზღუდვები შეიძლება მივიჩნიოთ საბაზრო რეფორმების განხორციელების შეფერხების მიზეზად.

მაგალითად, ქსელის კოდექსის დამტკიცების უფლება მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კომპეტენციაა. რეგულირების სფეროში გადაწყვეტილებებს, ძირითადად, აღნიშნული სამინისტრო იღებს, რეგულირების ორგანოს მიერ მიწოდებული პროექტის გაზიარების შემთხვევაში. სამინისტრო ასევე ადგენს, თუ რა ტარიფები უნდა იქნეს გამოყენებული სისტემის მიერ. ის იღებს გადაწყვეტილებას როგორც კომისიონერების, ასევე რეგულირების ორგანოს თანამშრომლების ხელფასების ოდენობასთან დაკავშირებით. ბაზრის რეგულირებისას აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში ზომების მიღებასთან დაკავშირებით RAE-ს მონაწილეობა მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათს ატარებს.

სწორედ რეგულირების ორგანოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა მიიჩნევა მომსახურების სფეროში მოქმედი უწყების რესტრუქტურისა და საქმეში წარუმატებლობის მიზეზად. რეგულირების ორგანოს ასევე არ გააჩნია არავითარი უფლებამოსილება საზღვრებში რეგულირებისას. თუმცა, რეგულატორი პასუხისმგებელია აღრიცხვის გამიჯვნის წესებსა და მეთოდოლოგიაზე; ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საბერძნეთში რეგულირების ორგანოს არ გააჩნია ავტონომიური უფლებამოსილება. ექსპერტთა აზრით, სწორედ რეგულირების სექტორის უფლებამოსილების გაფართოებაა ერთ-ერთი მქანნიზმი, რომელიც აუცილებელია რეფორმის პროცესის განვითარებისათვის.

## უნგრეთი

უნგრეთის ენერგეტიკული ოფისი (NEO) კარგად ორგანიზებული და ეფექტურად ფუნქციონირებადი რეგულირების ორგანოა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა დასკვნით, სამართლებრივი ბაზის რამდენიმე ასპექტში აუცილებელია ცვლილებების შეტანა. მაგალითად, სატარიფო მეთოდოლოგიას ადგენს მთავრობა და არა რეგულატორი. ასევე, რეგულატორის ფუნქციები შეზღუდულია დაგების გადაჭრაში. ბაზრის განვითარების შეფერხების ძირითად მიზეზად სახელდება არა რეგულირების ორგანოს მოღვაწეობის არაეფექტურობა, არამედ ბაზრის სტრუქტურის შეზღუდულობა და სხვა მონაწილეთა გულგრილი დამოკიდებულება საქმის მიმართ (მაგ., გადატვირთული საზღვრები აფერხებს რეგიონული ბაზრის განვითარებას, ადგილობრივი სიმძლავრეების უმნიშვნელო გათავისუფლება, რომელიც მომხმარებელსა და სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებით წყდება, აფერხებს შიდა კონკურენციას).

უნგრეთი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც საკუთარი გამანაწილებელი კომპანიების პრივატიზაცია განახორციელა. სწორედ ამიტომ, იგი ლიდერია მომსახურების ხარისხის სტანდარტების შემუშავებაში. მიუხედავად თავისი ნორმატიული ბაზის შეზღუდულობისა, რეგულატორი აქტიურად იღწვის ბაზარზე ზედამხედველობისა და რეფორმების წინსვლის კუთხით.

ორგანიზაციის სტრუქტურის თვალსაზრისით NEO იმ რამდენიმე რეგულატორს შორისაა, რომლის ხელმძღვანელობას ახორციელებს მხოლოდ ერთი პრეზიდენტი და არა საბჭო ან რამდენიმე წევრისაგან შემდგარი კომისია. ამის მიუხედავად, მას, ჯერჯერობით, არ შეჰქმნია პრობლემები რეფორმების დანერგვის კუთხით; თუმცა, თეორიულად მიღებულია, რომ რამდენიმე წევრისაგან შემდგარი რეგულატორი უფრო მობილურია და უფრო ძნელია მასზე ზეწოლის განხორციელება, ვიდრე ერთი ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, ექსპერტები უნგრეთის რეგულატორს მაინც ურჩევენ, რომ აუცილებელია სტრუქტურული

ცვლილების განხორციელება; ასევე, უნგრეთში უნდა შეასრულოს ევროკომისიის დირექტივების რამდენიმე მოთხოვნა და განხორციელოს ბაზრის რეფორმირება, კერძოდ, გამოიყენოს მის ხელთარსებული ყველა საშუალება როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრის განვითარების სტიმულირებისთვის.

## იტალია

ავსტრიის მსგავსად, იტალია უკვე დიდი ხანია ევროკავშირის წევრია და არ ხდება ისეთ სტრუქტურულ დაბრკოლებებს, რომლებიც დამახასიათებელია მისი კოლეგებისათვის. ამის გათვალისწინებით, მის მიმართ შეფასების უფრო მაღალი სტანდარტები გამოიყენება როგორც სამართლებრივი ბაზის, ასევე რეგულირების ორგანოს (AEEG) მოღვაწეობის შედეგების თვალსაზრისით.

სამართლებრივი ბაზის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის რეგულირების ორგანოს შეუძლია სამინისტროს შესთავაზოს ცვლილებები მხოლოდ ისეთ საკვანძო საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა ლიცენზირება და საბაზრო წესები. ამასთან, მას გარკვეულ კანონქვემდებარე აქტებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია. ლიცენზიას კი სამინისტრო გასცემს. კანონის თანახმად, სამინისტროს შეუძლია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს რეგულატორის მიერ მომზადებული პროექტი. თუ სამინისტრო მეორეჯერაც არ დაამტკიცებს რეგულატორის პროექტს, საკითხი განსახილველად პრემიერ-მინისტრთან გადაინაცვლებს.

ექსპერტთა დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ რეგულირების ორგანოში არ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები, იტალიაში არსებობს ბაზრის განვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობა, რასაც ხელს შეუწყობდა რეგულირების ორგანოს გაძლიერება.

იტალიის ენერგოსექტორის რეგულირების უფრო დაწვრილებითი დახასიათება მეორე ნაწილის მესამე თავშია მოცემული.

## მოლდოვა

მოლდოვაში ელექტროენერგეტიკის სფეროში რეგულირების ორგანო (ANRE) შექმნის დღიდან იმაზე მუშაობს, რომ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში. რამდენიმე კომისიონერმა თავისი თანამდებობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დატოვა. არცთუ დიდი ხნის წინ, ხელისუფლებამ თანამდებობიდან გაათავისუფლა რეგულატორი თბომომარაგებაზე ტარიფების გაზრდისათვის. არც ერთი კომისიონერი არ დანიშნულა განმეორებითი ვადით. ცალკეულ შემთხვევებში, ენერგეტიკის სამინისტრო არ იცავდა რეგულირების ორგანოს მიერ დამტკიცებულ გადაცემის ტარიფებს, ხოლო 2001 წლიდან სამინისტრო ახორციელებს სერიოზულ ზეწოლას ტარიფებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც რეგულირების ორგანო იღებს. ადგილი აქვს სერიოზულ წინააღმდეგობებს რეფორმების გატარებასა და რეგულირების ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად სირთულეებისა, 2004 წელს რეგულირების ორგანომ განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. მათ შორის აღსანიშნავია: ელექტროენერგეტიკის სფეროში მომსახურების გაწევის წესებში შეტანილი ცვლილებები (ეხება მიმწოდებლისა და მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს, ელექტროენერგიის დატაცებასა და აღრიცხვის ხელსაწყობთა ქურდობას), ტარიფების გამოთვლის ახალი მეთოდოლოგიები ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მიწოდებისათვის. რაიონული თბომომარაგების საწარმოებისათვის შემუშავებულია ახალი სატარიფო მეთოდოლოგია თბოენერგიისა და წყლის მოხმარებისათვის; შემუშავების სტადიაშია ბუნებრივი გაზის მომსახურების სტანდარტები და წესები; განახლებულია ტარიფების გადასინჯვისა და მოსმენების ჩატარების პროცედურები.

ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ თავის დამოუკიდებლობაში უხეში ჩარევის პირობებშიც კი ANRE იყენებს შესაძლებლობის მაქსიმუმს ეფექტიანი რეგულირებისათვის.

## რუმინეთი

ელექტროენერგეტიკის სფეროში რუმინეთის რეგულირების ორგანო (ANRE) ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რეგიონში. 1999 წლიდან რეგულატორი ფუნქციონირებდა მხოლოდ მთავრობის ბრძანებულების შესაბამისად. 2003 წელს მიღებულ იქნა პირველადი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები. მოქმედი სამართლებრივი ბაზის თანახმად რეგულირების ორგანოს არა აქვს უფლებამოსილება შეიმუშაოს ან დაამტკიცოს საცალო ტარიფების მეთოდოლოგიები საბოლოო მომხმარებლებისათვის; ეს უფლებამოსილება რჩება სამინისტროს, რაც შესაძლოა, რეფორმების განხორციელების გზაზე სერიოზულ წინააღმდეგობად იქცეს. ექსპერტთა დასკვნით, დამოუკიდებლობის გასაუმჯობესებლად და გადაწყვეტილების პროცესში მარეგულირებლის როლის ასამაღლებლად ზოგიერთი ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა დააჩქარებდა რეფორმების გატარებას.

## სერბეთი

სერბეთში რეგულირების ორგანო (RAE) სულ ახალი შექმნილია, ამიტომ მის მოღვაწეობაზე საუბარი ნაადრევია. კანონის თანახმად, რეგულირების ორგანოს გააჩნია უფლებამოსილებანი (სატარიფო მეთოდოლოგიის მიღება, ტარიფებისა და ქსელში მიერთებისას დანაკარგების განსაზღვრა, ლიცენზიის გაცემა და შეჩერება, საბაზრო წესებისა და ტექნიკური კოდექსების მიღება, ორგანიზაციის საქმიანობის წესებისა და პროცედურების მიღება). ამასთან, რეგულირების სფეროში მრავალ საკვანძო საკითხზე სერბეთის ხელისუფლება უფლებამოსილი. ეს კი ცალსახად წარმოადგენს რეგულირების ორგანოს დამოუკიდებლობაზე ზეწოლას. მაგალითად, ხელისუფლებას აქვს უფლებამოსილება დაამტკიცოს RAE-ს წესდება და მისი გადაწყვეტილებები ტარიფების სფეროში. სამინისტრო გასცემს ნებართვებს და ამტკიცებს წესებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით. ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ტენდერების ჩატარების აუცილებლობის შესახებაც. მართალია, რეგულირების ორგანო წარმოადგენს თავის მოსაზრებას ელექტროენერჯის ტარიფებთან დაკავშირებით, მაგრამ უფლებამო-

სილება, დაეთანხმოს მის მიერ წარმოდგენილ პროექტებს, ხელისუფლებას გააჩნია.

## ჩერნოგორია

ჩერნოგორიაში ენერგეტიკის კანონი მიღებულ იქნა 2003 წლის ივნისში, რომლის საფუძველზე 2004 წლის იანვარში შეიქმნა ჩერნოგორიის ენერგეტიკის რეგულირების სააგენტო (ERA). საწყის ეტაპზე რეგულატორს ნიშნავს პარლამენტი, ღირექტორისა და მისი მოადგილის შერჩევა კი ხორციელდება მთავრობის მიერ. ამასთან, კანონი ითვალისწინებს, რომ სამომავლოდ ღირექტორისა და მისი მოადგილის შერჩევა განხორციელდება რეგულატორთა საბჭოს მიერ. ჯერჯერობით კი სააგენტო მუშაობს არასრული შტატით, რომელიც შედგება 9 კაცისაგან. სავარაუდოდ, მომავალში რეგულირების ორგანოს 12 თანამშრომელი ეყოლება.

რეგულირების ორგანო პასუხისმგებელია ზოგიერთი კანონქვენდებარე აქტის მიღებაზე, მათ შორისაა სატარიფო მეთოდოლოგია, ტარიფების დამტკიცება, ქსელის დანაწილების და ლიცენზირების წესები. სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება, ჯერჯერობით, საწყის ეტაპზეა. უკვე მიღებულია დროებითი ქსელური და გამანაწილებელი კოდექსები. კანონი მოითხოვს კომუნალური წარმოების ფუნქციურ გაფართოებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი რეგულირების საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობას ითვალისწინებს, პრაქტიკულად, ასეთი მონაწილეობა ჯერ არ დაფიქსირებულა. კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად რეგულირების ორგანოს უფლებამოსილება შემოიფარგლება დროებითი ან მუდმივი ლიცენზიის გაუქმების ინსტრუმენტით. სხვა უფლებამოსილებები, მაგ., ჯარიმის დაკისრება, ხორციელდება მხოლოდ სასამართლო პროცედურის შედეგად. ეს კი, თავისთავად, ზღუდავს რეგულატორის მუშაობის ეფექტურობას.

ჩერნოგორიის სერიოზული პრობლემაა შიდა ბაზარზე კონკურენტების არარსებობა. ამჟამად, ელექტროენერჯის მწარმოებელი სამივე ობიექტი ერთი კომპანიის ხელშია, ხოლო მათ მიერ რეგიონ-

ნისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასური საკმაოდ მცირეა. ჩერნოგორია ელექტროენერჯის დეფიციტს განიცდის. წარმოება მოხმარების დონეს დაახლოებით ერთი მესამედით ჩამორჩება. კანონი მომხმარებლებს უფლებას უტოვებს ელექტროენერჯია ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეისყიდონ. პრაქტიკულად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ნაყიდი ელექტროენერჯია მხოლოდ დეფიციტის დაფარვას ხმარდება. ჯერჯერობით, ქვეყანას არ ჰყავს ცალკე მიწოდებლები. ამის გამო, ყველაზე მსხვილი მომხმარებლები – ალუმინის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც ქვეყანაში ენერჯის საერთო მოხმარების 48%-ს იყენებენ, იძულებული არიან ელექტროენერჯია გარე ბაზარზე შეისყიდონ, მაგრამ სხვა მომხმარებელს ეს პერსპექტივა არ გააჩნია.

ექსპერტთა შეფასებით, ჩერნოგორიის რეგულირების ორგანო ჯერ ისევ განვითარების ადრეულ სტადიაშია და მაკედონიის ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება.

## სლოვენია

სლოვენიის რესპუბლიკის ენერგეტიკული სააგენტო, რომელიც 2001 წელს შეიქმნა, მთლიანობაში ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ, მას არ გააჩნია სათანადო რესურსები.

ქვეყანაში პირველადი კანონმდებლობა 1999 წელს იქნა მიღებული, ხოლო მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2004 წლის მაისში განხორციელდა. ახალი კანონი აფართოებს სააგენტოს უფლებამოსილებას როგორც ბაზრის მონიტორინგთან, ასევე მონაცემების მიღებასთან მიმართებაში და აძლიერებს მოვალეობების დიაპაზონს ქსელების, ფასების დადგენის, ჩართვისა და დაბალანსების თაობაზე წარმოქმნილი დავების რეგულირების დროს, თუმცა, სააგენტოს უფლებები, გარკვეულწილად, მაინც შეზღუდულია. მაგალითად, სატარიფო მეთოდოლოგიებსა და ტარიფებს ამტკიცებს მთავრობა. ამის გამო, ფაქტობრივად, შეჩერებულია სისტემაში ფასების ზრდა. 2004 წელს შეტანილმა ცვლილებებმა მთავრობას რეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებების ბლოკირების საშუალება მისცა. მთავრობას გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს საბო-

ლოო გადაწყვეტილება ტექნიკურ წესებთან დაკავშირებით, ხოლო სააგენტოს შეუძლია საბაზრო წესებთან, კანონქვემდებარე აქტებთან, საქსელო კოდექსთან მიმართებაში გამოთქვას საკუთარი აზრი, რომელიც სავალდებულო არ არის შესასრულებლად.

ახალი კანონი ცვლის სააგენტოს სტრუქტურას – ორგანიზაციის დირექტორის ჩანაცვლება მოხდება 5 კაცისაგან შემდგარი საბჭოთი. ეს, შესაბამისად, შეაფერხებს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მთავრობის ჩარევას.

მნიშვნელოვანია ექსპერტთა შეფასება იმ საკითხში, რომ 13 ქვეყნიდან, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატები იყვნენ, ბაზრის გაფართოების საქმეში ყველაზე სწრაფი პროგრესი სლოვენიაში შეინიშნება.

## თურქეთი

თურქეთის რეგულატორი (EMRA) ენერგეტიკის სფეროში (ელექტროენერგეტიკა, გაზი, ნავთობი) საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსებს ფლობს. იგი 2001 წლის ნოემბერში შეიქმნა და დამოუკიდებელი ორგანოს რანგში სწრაფად განვითარდა. მან მაქსიმალურად გამოიყენა საკუთარი რესურსები საორგანიზაციო და ინსტიტუციური საქმიანობის განსავითარებლად.

გარკვეული სირთულეები წარმოიშვა ტარიფების დადგენისას; პრობლემები წარმოიქმნა მთავრობასთან მიმართებაშიც, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საბოლოო მომხმარებლისათვის ფასების რეგიონული დაყოფის იდეას. თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე რეგულატორს დიდი ძალისხმევა დასჭირდა საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე. რეგულირების ორგანომ აღრიცხვის გამოიჯენის პროცესის შესამსუბუქებლად საკმაოდ რთული და შრომატევადი სამუშაო გასწია და შექმნა რეგულირებადი საწარმოების მონაცემთა ბაზა. მიუხედავად ამისა, სასურველი შედეგი მხარეებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის საქმეში ვერ იქნა მიღწეული. EMRA-ს არ გააჩნია საზღვრებშორისი დაეების გადაწყვეტის უფლებამოსილება. ასევე, ჯერჯერობით, არ არსებობს დადგენილი მექანიზმები, რომელიც საზღვრებშორის ვაჭრობას ეხება.



ექსპერტთა შეფასებით თურქეთის რეგულატორის სტრუქტურა და საქმიანობა სწორი გზით მიდის. თურქეთის მთავრობამ უკვე დაამტკიცა ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმებისა და პრივატიზაციის სტრატეგიასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ამ ეტაპზე, ეს უკანასკნელი უნდა შეივსოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, რომლებშიც რეგულატორის როლიც განისაზღვრება. მან უნდა მიაღწიოს მეტ დამოუკიდებლობას, რათა აქტიურად შეუწყოს ხელი საბაზრო რეფორმებს.

### გაეროს მისია კოსოვოში

ქვეყანაში ცენტრალური რეგულირების ორგანო (CRU) წარმოადგენს გაეროს მისიის ნაწილს კოსოვოში, ხოლო ენერგეტიკის სფეროში რეგულირებას ახორციელებს ცალკე უწყება (ERO). ამ სფეროში ახლა მოქმედებს სამი კანონი – ენერგეტიკის დარგის რეგულატორის, ენერგეტიკისა და ელექტროენერგეტიკის შესახებ. კოსოვოში მოქმედი იურიდიული პროცედურების მოთხოვნათა შესაბამისად ეს კანონები საჯაროდ გამოცხადდა 2004 წლის ივნისში კოსოვოში გაეროს მისიის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ.

ახალი სამართლებრივი ბაზა ERO-ს ფართო უფლებებს ანიჭებს და აძლევს წესების დადგენის, დავების გადაწყვეტის, ტარიფების დამტკიცების, ლიცენზიების გაცემისა და მათი მონიტორინგის, საქმიანობის შედეგების მიხედვით სატარიფო განაკვეთების დადგენა-გამოყენების, იურიდიული და აღრიცხვის დანაყოფების მონიტორინგის და, ასევე, საჯარიმო სანქციების განხორციელების საშუალებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს გააჩნია მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, რომლებიც, გარკვეულწილად, ზღუდავს ERO-ს დამოუკიდებლობასა და უფლებამოსილებებს. გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, საბჭოს პირველი წევრების დანიშნიდან 12 თვის განმავლობაში, აქვს ბაზრის სტრუქტურული ცვლილების განხორციელებისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერა-

ლიზაციის ხარისხის შემოწმების უფლება. გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს საბჭოს პირველი წევრების უფლებამოსილების ვადა. ასევე, მას ენიჭება საბჭოს წევრების თანამდებობიდან გადაყენების უფლება. გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს შეუძლია პირველი ვადით დანიშნული რეგულატორი (რომელსაც თვითონვე ნიშნავს) თანამდებობიდან სუბიექტური მიზეზითაც გაათავისუფლოს, ვთქვათ, „პროფესიულ უფლებამოსილებათა არადაამკმაყოფილებელი შესრულების“ გამო.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯების განხორციელების მიუხედავად, კოსოვოში რეგულატორის საქმიანობის შეფასებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, ვინაიდან, ჯერჯერობით, მთლიანობაში არ ჩამოყალიბებულა რეგულირების დამოუკიდებელი ორგანო და არც იმ სამართლებრივი ბაზის შემუშავება დასრულებულა, რომელიც მის მოღვაწეობას არეგულირებს.

საერთო ჯამში, ექსპერტები თითოეულ ქვეყანას ყურადღების გამახვილებას ურჩევენ შემდეგ საკითხებზე:

- კანონქვემდებარე აქტები, ზოგადი რეგულირება და კანონებში ცვლილებების მუდმივად შეტანა

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ყველა ნაწილი უნდა შეესაბამებოდეს თანადროულ რეალიებს (ასე, მაგალითად, ახალი დირექტივების მოთხოვნებს) და ჰარმონიულად ერწყმოდეს ერთმანეთს.

აღნიშნული ნაბიჯების განსახორციელებლად აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, რათა არ დაირღვეს და გაძლიერდეს რეგულირების ორგანოს, როგორც უწყების დამოუკიდებლობა და უფლებამოსილება, ასევე, დაკმაყოფილდეს კონკრეტული მოთხოვნები, რაც თითოეულ მონაწილეს გააჩნია.

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგულირების ორგანოს როლზე ბაზრის განვითარების საქმეში; ამასთან ერთად, დაკონკრეტდეს და გაძლიერდეს რეგულატორის შესაძლებლობა გახდეს უფრო ქმედითი. მაგალითად, ქსელის

დაშლასთან მიმართებაში რეგულატორის როლი ნათელი და ძლიერი უნდა იყოს, განსაკუთრებით, ფუნქციურ და მართვის ნაწილში.

- საზოგადოების მონაწილეობა რეგულირებისა და ანგარიშვალდებულების პროცესში

საზოგადოების მონაწილეობა რეგულატორის მოსმენებში (სხდომებში) უნდა გაძლიერდეს.

პროცესის გვიანდელ ეტაპებზე აუცილებელია ყურადღების მიმართვა იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ დარგის მონაწილეები (სახელმწიფო და კერძო კომპანიები და მომხმარებლები) რეგულირების ორგანოს მოდერნიზაციას დარგის რეგულირებისას და მის რეაგირებას იმ საკითხებზე, რომლებიც დარგის მონაწილეებს აწუხებთ.

- ინსტიტუციური გაძლიერება

სწავლება (ტრენინგი) უნდა მოიცავდეს მართვასთან, საზოგადოებასთან და სხვა სამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობის სიახლეების შემუშავებას.

აუცილებელია ეთიკის კოდების მიღება.

რეგულატორის როლი ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობის კუთხით უნდა გაფართოვდეს.

რეგულირების სფეროში გადაწყვეტილებები სისრულეში უნდა მოვიდეს, მათი შესაძლებელი აქელაციის მიუხედავად.

რეგულირების ორგანომ უნდა შეიმუშაოს და ისარგებლოს ეფექტური უფლებამოსილებებით კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად.

დარწმუნება არ წარმოადგენს რეგულირების საკმარის ინსტრუმენტს. ნაკვლად ამისა, რეგულატორს სამოქმედოდ უფლებამოსილებები უნდა გადაეცეს.

## თავი 3. ენერგეტიკის რეგულირების საზღვარგარეთული მოქმედება

### 3.1 დიდი ბრიტანეთი და უელსი

მე-20 საუკუნის 80/90-იან წლებში დიდ ბრიტანეთში განხორციელდა ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეული სფეროების უმრავლესობის პრივატიზება: ტელეკომუნიკაციების – 1984 წელს; გაზის – 1988 წელს; წყალმომარაგების ობიექტების – 1989 წელს; ელექტროენერგეტიკული ობიექტების – 1990 წელს და რკინიგზის – 1993-1996 წლებში. ამ სფეროების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენდა თავდაპირველი შეხედულების პრაქტიკულ უარყოფას, რომელიც ამართლებდა ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობას.

ბუნებრივი მონოპოლიების ვერტიკალური ინტეგრირების მაღალი ხარისხის გამო სრულყოფილი რესტრუქტურის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები და გაზისა და ტელეკომუნიკაციების რესტრუქტურის პროცესში განცდილი სიძნელეები უკვე ცნობილი იყო, როცა დღის წესრიგში დადგა ბრიტანეთის ელექტროენერგეტიკული სფეროს რესტრუქტურისა და პრივატიზების საკითხი. ამის გამო, ელექტროენერგეტიკის პრივატიზების პროცესის (ანუ ამ დარგის სახელმწიფო მფლობელობიდან გამოყვანის) დაწყებისას პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული ჯერ დარგის სრულყოფილი რესტრუქტურის განხორციელება, ამ გზით კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშემწყობი პირობების შექმნა და შემდეგ რესტრუქტურის (განცალკევებული) სფეროების პრივატიზება. ამან გამოიწვია ის, რომ უკვე 1990 წელს ელექტროენერგეტიკული სფეროს პრივატიზებისას „ელექტროენერჯის ცენტრალური გენერაცია“, რომელიც წარმოადგენდა ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების სრულ მონოპოლისტს, 12 რეგიონული გამანაწილებელი სადგურით (ფილიალით), ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებად დაიყო.

„ელექტროენერჯის ცენტრალური გენერაციის“ რესტრუქტურის შედეგად გენერაციის სექტორში წარმოიშვა ორი დამოუკიდებ-

ბელი გენერაციის კომპანია („National Power“ და „Powergrin“), რომლებიც მოიცავდნენ გენერაციის სექტორის ძირითად ნაწილს („National Power“ ფლობდა გენერაციის 47%-ს; „Powergrin“ – გენერაციის 30%-ს). ბირთვული ენერჯის გენერაცია (Nuclear Electric) პირველ ეტაპზე (1996 წლამდე) სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა.

განხორციელებული რესტრუქტურისაციის შედეგად „ელექტროენერჯის ცენტრალური გენერაციის“ 12 რეგიონული სადგური გარდაიქმნა დამოუკიდებელ კომპანიებად, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ელექტროენერჯის მიწოდებასა და განაწილებას თავიანთ გეოგრაფიულ რაიონებში, ხოლო ძირითადი გადამცემი ხაზი ჩამოყალიბდა ცალკე კომპანიად (National Grid Company).

თავიდან, ცენტრალური გადამცემი ხაზის მფლობელს წარმოადგენდა 12 რეგიონული გამანაწილებელი სადგური, მაგრამ მოგვიანებით, 1995 წლის დეკემბერში, ამ საზოგადოების აქციები გატანილი იქნა ბირჟაზე<sup>1</sup>.

თავიდან, გადაცემისა და განაწილების, აგრეთვე ელექტროენერჯით მომარაგებაში რეგიონული სადგურების მონოპოლიური მდგომარეობის გამო, რეგულირებას ექვემდებარებოდა გადაცემის, განაწილებისა და რეგიონული კომპანიების ენერჯის მიწოდების ფასები. მიუხედავად „ელექტროენერჯის ცენტრალური გენერაციის“ 12 დამოუკიდებელ სადგურად დანაწილებისა, ძველი სტრუქტურა (ვერტიკალურად ინტეგრირებული), ფაქტობრივად, მაინც შენარჩუნებული იყო. თუმცა მოგვიანებით, „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის“ (Electricity Pool) შექმნის შემდეგ, ელექტროენერჯის გენერაცია რეგულირების სფეროდან გამოვიდა<sup>2</sup>.

“ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი” შეიქმნა 1990 წლის 31 მარტს და იგი განსაზღვრავდა წესებსა და პროცედურებს ელექ-

<sup>1</sup> (David S. Saal; Restructuring, Regulation and the Liberalization of Privatized Utilities in the UK; Aston Business school; November 2002)

<sup>2</sup> (The Fuel Security Code: Proposal for Interim Modifications and Notification of Longer Term review of Fuel Security Issues; Outcome of Conclusions; Published by the Departament of Trade and Industry; March 2001).

ტროენერგიით. საბითუმო ვაჭრობისათვის ისე, რომ თვითონ არ გამოდიოდა როგორც ელექტროენერჯის გამყიდველი ან მყიდველი. ბაზარი ორგანიზებას უკეთებდა კონკურენტულ პრინციპებზე ვაჭრობის პროცედურებს გენერაციის ობიექტებსა და მყიდველებს (მიმწოდებლებს) შორის და აწესებდა ელექტროენერჯის საბითუმო ფასებს ყოველდღიურად, ნახევარსაათიანი ინტერვალით (ანუ ყოველ ნახევარ საათში) ელექტროენერჯის პირობითი ერთეული-სათვის.

მოსამზადებელი სამუშაოები ვაჭრობის გამართვისათვის ტარდებოდა ერთი დღით ადრე. ვაჭრობის გამართვის წინა დღეს, აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ნებისმიერი გენერაციის კომპანია ბაზარში აკეთებდა განაცხადს ელექტროენერჯის ერთი პირობითი ერთეულის გასაცემი ფასისა და მომდევნო დღის განმავლობაში შეთავაზებული ელექტროენერჯის მოცულობის მითითებით (შეთავაზებული ფასებისა და ენერჯის მოცულობა მითითებული უნდა ყოფილიყო მომდევნო დღის ყოველი ნახევარი საათის ინტერვალით). ამ პროცესის საფუძველზე სპეციალური კომპიუტერული სისტემის ალგორითმი განსაზღვრავდა ელექტროენერჯის მიწოდების ფასის შესაძლო მინიმუმს ვაჭრობის დღისათვის. მიმწოდებლების მიერ ბაზრიდან ელექტროენერჯის პირობითი ერთეულის შესასყიდი ფასი გაიანგარიშებოდა შემდგენიერად:

- გენერაციის ობიექტების მიერ, ბაზარში შეტანილი განაცხადების საფუძველზე, დგინდებოდა ყველაზე ძვირი ელექტროენერჯის ფასი, რომელსაც ეწოდებოდა „სისტემის ზღვრული ფასი“;
- შეთავაზებული ელექტროენერჯის რაოდენობის გათვალისწინებით გენერაციის ობიექტები ბაზრიდან იღებდნენ „სიმძლავრის გადასახადს“. ამ გადასახადის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გენერაციის ობიექტების სტიმულირება, რათა მათ უზრუნველყოთ ქვეყნის სისტემისათვის საჭირო ელექტროენერჯის რაოდენობის წარმოება; შესაბამისად, რაც უფრო მეტი იყო სისტემის მიერ ენერჯის მოთხოვნა, მით უფრო მაღალი იყო სიმძლავრის გადასახადი;

– ზემოაღნიშნული ორი სიდიდის განსაზღვრის შემდეგ („სისტემის ზღვრული ფასი“ და „სიმძლავრის გადასახადი“) დგინდებოდა „ბაზრის შესასყიდი ფასი“, რომელიც წარმოადგენდა „სისტემის ზღვრული ფასის“ და „სიმძლავრის გადასახადის“ ჯამს;

საბოლოო ფასი, რომლის გადახდაც ელექტროენერჯიის მყიდველს უხდებოდა ბაზარზე შესყიდული ენერჯიის პირობით ერთეულში, წარმოადგენდა „ბაზრის შესასყიდი ფასისა“ და „ბაზრის მომსახურების“ გადასახადის ჯამს და ეწოდებოდა „ბაზრის გასაყიდი ფასი“.

ასე, რომ „ბაზრის გასაყიდი ფასის“ სიდიდე დამოკიდებული იყო გენერაციის ობიექტების მიერ გაკეთებული შეთავაზებებისა და ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ცვლილებაზე. რაც უფრო მაღალი იყო ენერჯიაზე მოთხოვნა, მით უფრო მაღალი იყო ელექტროენერჯიის პირობითი ერთეულის ფასი<sup>1</sup>.

ელექტროენერჯიის საბითუმო ბაზრის შექმნის შემდეგ გენერაციის სექტორში არსებული მონოპოლიური მდგომარეობა მკვეთრად შემცირდა; ყველა ლიცენზირებულ გენერატორს შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო კონკურენციაში.

ასევე, კონკურენცია გაიზარდა მარეგულირებლის მიერ ელექტროენერჯიის მიწოდების სფეროში ორდონიანი ლიცენზირების სისტემის<sup>2</sup> შემოღების მეშვეობით, სადაც რეგიონული ოფისები ფლობდნენ „საზოგადოებრივი ელექტრომომარაგების“ (Public Electricity

<sup>1</sup> Electricity Pool's Official Web-site.

<sup>2</sup> ორდონიანი ლიცენზირების სისტემის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 12 რეგიონული სადგურიდან თითოეული (რომლებიც უკვე მოქმედებდნენ როგორც დამოუკიდებელი კომპანიები) თავისი მომსახურების რაიონში ელექტროენერჯიის გასანაწილებლად ფლობდა I დონის ლიცენზიას, რომელიც მას საშუალებას აძლევდა მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდებინა და გაენაწილებინა ელექტროენერჯია მხოლოდ თავისი გეოგრაფიული რაიონის ფარგლებში, ხოლო II დონის ლიცენზიის მფლობელებს (აღნიშნულ რაიონში ასეთებდ გამოდიოდნენ დანარჩენი 11 რეგიონული სადგური და სხვა დამოუკიდებელი გამანაწილებელი კომპანიები), ელექტროენერჯიის საბითუმო ბაზრიდან შესყიდული ელექტროენერჯიის გაყიდვა (მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) შეეძლოთ თავიანთი განაწილების გეოგრაფიული რაიონის გარეთ.

Supply) ლიცენზიებს. პირველი დონის ლიცენზიების მფლობელების უპირატესობა, მეორე დონის ლიცენზიების მფლობელებთან შედარებით, შემდეგში მდგომარეობდა:

- 1) პირველი დონის ლიცენზიის მფლობელები ფლობდნენ გამანაწილებელ ქსელს გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონში;
- 2) პირველი დონის ლიცენზიის მფლობელებს გარდამავალ პერიოდში (სრულყოფილი საცალო კონკურენციის განვითარებამდე) ექსკლუზიური მიწოდების ხელშეკრულებები ჰქონდათ მსხვილ მომხმარებლებთან;

პირველ ეტაპზე კონკურენტული სიტუაცია ვრცელდებოდა მხოლოდ მსხვილი მომხმარებლებისათვის (რომლებიც შეისყიდნენ 1 მგვტ-ზე მეტ ენერჯიას) და არა საცალო (100 კვტ-ზე ნაკლები) მომხმარებლებისათვის.

მოგვიანებით ელექტროენერჯიის მიწოდებაში კონკურენტული გარემოს შექმნა შესაძლებელი გახდა შედარებით მცირე მომხმარებლებისთვისაც. ამას ხელი შეუწყო გაზისა და ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი ოფისის 2000 წლის (ofgem-ის) გადაწყვეტილებამ. ამ გადაწყვეტილების მიხედვით ყველა მოქმედ რეგიონულ ოფისს დაევალა სრულად, ოპერაციულადაც და ფუნქციონალურადაც, განეცალკეებინა თავიანთი მიწოდებისა და განაწილების ბიზნესები. ანუ, ამ გადაწყვეტილების შედეგად, ფაქტობრივად, ბრიტანეთში მოქმედი 12 რეგიონული სადგური (რომლებიც ახორციელებდნენ მიწოდებისა და განაწილების ოპერაციებს) დაიშალა მიწოდებისა და განაწილების დამოუკიდებელ კომპანიებად<sup>1</sup>.

ამ რეფორმის შემდეგ ელექტროენერჯიის მიწოდებისა და განაწილების ოპერაციები ზორციელდება დამოუკიდებლად, ცალკე განაწილების და ცალკე მიწოდების ლიცენზიის მფლობელი დამოუკიდებელი კომპანიების მიერ. 12 რეგიონული ოფისის საქმიანობის სახეობის მიხედვით დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა ინდივიდუალუ-

---

<sup>1</sup> (David S. Saal; Restructuring, Regulation and the Libelization of Privatized Utilities in the UK; Aston Business school; November 2002).



რად ლიცენზირებული ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიები და განაწილების ქსელის ოპერატორები (დამოუკიდებელი კომპანიების სახით). გაზისა და ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი ოფისის (ofgem-ის) ამ გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ელექტროენერჯის მიწოდების სფეროში სრულყოფილი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

მიწოდების ფასები რეგულირებადი დარჩა 2002 წლის აპრილამდე, ხოლო 2002 წლის აპრილში ofgem-მა ჩათვალა, რომ ელექტროენერჯის მიწოდებაში სრული კონკურენცია იყო და რეგულირებადი ფასები გააუქმა.

თავდაპირველად ელექტროენერჯეტიკის რესტრუქტურისაციის განხილულ მოდელს ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ განხორციელებულმა რესტრუქტურისაციამ გენერაციის სფეროში თავიდანვე ვერ უზრუნველყო კონკურენტული გარემოს შექმნა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რესტრუქტურისებისას მთელი გენერაციის სფერო ორ ნაწილად გაიყო, რომელიც ორ კომპანიას („National Power“ და „Powergen“) გადაეცა. ამან, მართალია, შეამცირა მონოპოლიური მდგომარეობა (ერთის ნაცვლად ორი კომპანია ჩამოყალიბდა), მაგრამ ვერ უზრუნველყო გენერაციის სექტორში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება. ამ ფაქტმა ხელისუფლება და მარეგულირებელი ორგანოები აიძულა ეზრუნათ გენერაციის სექტორში ახალი კონკურენტუნარიანი სუბიექტების „შექმნაზე“. ამ მიზნით, მარეგულირებლისა და ხელისუფლების მუდმივი ზეწოლის შედეგად, შესაძლებელი გახდა ის, რომ „National Power“-ის და „Powergen“-ის ერთობლივი ელექტროენერჯის რაოდენობის 77%-იანი წილი წარმოებული ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში, უკვე 1995 წლისათვის 30%-ზე ნაკლებს შეადგენდა<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> (Competition in Electric Market; Alessandra Ferrary and Monika Guilietty; Aston Business school; Department of economics; June, 2004).

ბრიტანული ელექტროენერგეტიკული სისტემის რესტრუქტურისაციის საწყის ეტაპზე გენერაციის სექტორი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

საბითუმო ბაზრის დაფუძნების დროისათვის (1990 წელი) „National Power“ და „Powergrin“ აწარმოებდნენ ელექტროენერგეტიკული ბაზრის 77%-ს და ფლობდნენ დიდი ბრიტანეთისა და უელსის ქვანახშირის, ღია ციკლის გაზისა და თხევადი საწვავის ყველა ელექტროსადგურს. გარდა ამისა, „ბირთვული ენერჯის გენერაცია“ (Nuclear Electric) აწარმოებდა ელექტროენერჯის საერთო მოცულობის 15-20%-ს და „ეროვნული გადამცემი კომპანია“ (National Grid Company) ფლობდა ელექტროენერჯის საერთო რაოდენობის 3%-ის წარმოების შესაძლებლობას, რაც აუცილებელი იყო ელექტროენერჯის გაუთვალისწინებელი დეფიციტის დასაფარად.

ელექტროენერჯის ბაზარზე „National Power“-ის და „Powergrin“-ის დომინანტი პოზიციები დროთა განმავლობაში შემცირდა სამი მიზეზის გამო.

პირველი, ექსპლუატაციაში გაიშვა ელექტროენერჯის წარმოების ახალი ტექნოლოგია – კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინების მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოება, რომლებსაც ოპერირებას, ძირითადად, უწევდნენ გენერაციის ბაზრის ახალი მონაწილეები (კომპანიები)<sup>1</sup>.

მეორე, სხვადასხვა მიზეზების გამო (ეკოლოგიური, ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა) „National Power“-მა და „Powergrin“-მა დახურეს მოძველებული 5,4 გიგავატი სიმძლავრის ქვანახშირის სადგურები, ღია ციკლის გაზის ტურბინებისა და თხევადი საწვავის ელექტროსადგურები (რაც შეადგენდა მათი თავდაპირველი სიმძლავრის 11%-ს).

---

<sup>1</sup> 1990 წლისათვის კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინებით ელექტროენერჯის მწარმოებელი სადგურები არ არსებობდნენ, თუმცა მოგვიანებით (1995-2000 წწ), ამ სადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის მოცულობა საერთო რაოდენობის 15-30% შეადგინა.

მესამე, 1994 წელს მათ მთლიანად გაყიდეს თავიანთ მფლობელობაში მყოფი ქვანახშირის ელექტროსადგურები.

ეს ფაქტი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით მონოპოლისტ კომპანიებზე ხელისუფლებისა და მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ზეწოლის ნათელი მაგალითია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში (თუკი სიმძლავრეს არ შეამცირებდნენ) დაექვემდებარებოდნენ სანქციებს „მონოპოლიებისა და გაერთიანებების კომისიის“ მხრიდან, როგორც თავიანთი სფეროს მონოპოლისტები.

მოგვიანებით, 1996 წლის აპრილში, ამ კომპანიებმა კორპორაცია „Western Groups“-ს იჯარით გადასცეს 6.2 გიგავატის სიმძლავრის 5 ელექტროსადგური. 1998 წელს „National Power“-მა და „Powergen“-მა offgem-თან კონსულტაციების საფუძველზე დამატებით გაყიდეს სიმძლავრეები, რამდენიმე რევიონული სადგურის ყიდვის უფლების სანაცვლოდ. 1998 წელს „National Power“-მა 3.9 გიგავატი სიმძლავრე მიჰყიდა კომპანია „Edison First Mission“-ს, ხოლო 1999 წელს „Powergen“-მა იმავე ოდენობის სიმძლავრე მიჰყიდა „AES“ კორპორაციას<sup>1</sup>.

ასეთივე ტენდენცია (სიმძლავრეების გადაცემის) გაგრძელდა 2003 წლამდე და დღევანდელი მდგომარეობით ინგლისისა და უელსის ელექტროენერჯის ბაზარზე მოქმედებს დაახლოებით 33 ლიცენზირებული დამოუკიდებელი გენერაციის ობიექტი.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, გენერაციის სფეროში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2001 წლის მარტში ხელისუფლებამ და offgem-მა მიიღეს გადაწყვეტილება „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის“ (Electricity Pool) დაშლისა და „ელექტროენერჯით ვაჭრობის ახალი წესების“ (NETA) შემოღების თაობაზე. ამ დროისათვის ენერგობაზარზე უკვე მოქმედებდა დაახლოებით 30-მდე გენერაციის ობიექტი (კომპანია), რომლებიც განიხილებოდნენ ელექტროენერჯის საკმაოდ მსხვილ მიმ-

---

<sup>1</sup> (Market Power in the England and Wales Wholesale Electricity Market; Andrew Sweeting; Department of Economics; Northwestern University; August 9, 2004).

წოდებლებად. შედეგად, გენერაციის კონცენტრირებულობის დონე ჰერფინდალ-ჰირშმანის (Herfindal-Hirshman Index)<sup>1</sup> მაჩვენებლის მიხედვით 1990 წელს დაფიქსირებული 2621-დან შემცირდა 2002 წლის ბოლოსათვის 936-მდე. ეს კი მიუთითებდა გენერაციის სექტორში კონკურენტული გარემოს შექმნისაკენ მნიშვნელოვან წინსვლაზე. ამასთან, „ელექტროენერჯით ვაჭრობის ახალი წესების“ შემოღებამ შესაძლებელი გახადა შემეცირებინათ მსხვილი გენერატორების უპირატესობა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარში“<sup>2</sup>.

„ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის“, „ელექტროენერჯით ვაჭრობის ახალი წესებით“ შეცვლა მიზნად ისახავდა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის მეთოდების რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლოვანების აღმოფხვრას. ეს ნაკლოვანებები იყო: 1. ელექტროენერჯის საბითუმო ფასები, რომელიც არ მცირდებოდა გენერაციის ობიექტების მიერ ელექტროენერჯის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირების პარალელურად; 2. მყიდველების მხრიდან მიმწოდებლებზე ზეწოლის არარსებობა; 3. მოუხერხებელი და გართულებული ვაჭრობის წესები.

„ელექტროენერჯით ვაჭრობის ახალი წესებით“ ვაჭრობის მონაწილეებს მიეცათ სასურველი ბაზრის არჩევის უფრო მეტი შესაძ-

---

<sup>1</sup> ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (Herfindal-Hirshman index) განისაზღვრება, როგორც გარკვეული პროდუქციის ბაზარზე მოქმედი კომპანიების ბაზრის წილების კვადრატების ჯამი.

ინდექსის მინიმალური მნიშვნელობა არის ნული (იდეალური კონკურენტის შემთხვევა, როცა ბაზარზე მრავალი კომპანია მოქმედებს და თითოეული მათგანი აკონტროლებს ბაზრის უმნიშვნელო წილს) და მაქსიმალური მნიშვნელობა არის 10 000 (როცა ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ ერთი, 100%-იანი წილის მფლობელი კომპანია).

<sup>2</sup> (An Overview of the New Electricity Trading Arrangements v 1.0; A High-level Explanation of the New Electricity Trading Arrangements (NETA); Department of Trade and Industry; May, 2000).

ლებლობა და ეს წესები ხელს უწყობდა მყიდველების უფრო მეტ აქტიურობას ბაზარზე. ამ წესების შემოღების ინიციატორები ვარაუდობდნენ, რომ წინასწარი ვაჭრობის (წინასწარ მხარეებს შორის გარიგებების დადების) შესაძლებლობა მათ მიიყვანდა ელექტროენერჯის ფასების პროგნოზირების შესაძლებლობამდე. ეს კი, თავის მხრივ, ბაზრის მონაწილეებს (გენერატორებსაც და მყიდველებსაც) შესაძლებლობას მისცემდა წინასწარ განესაზღვრათ, როდის იქნებოდა უფრო მომგებიანი ახალი გარიგებების დადება.

ვაჭრობის ახალი წესები შესაძლებლობას იძლეოდა გარანტირებული ყოფილიყო ელექტროენერჯით მომარაგების მუდმივი და უწყვეტი პროცესი და, ამასთანავე, უფრო ეფექტიანი (რეალურთან მიახლოებული) ფასების ფორმირება. ამ წესების ავტორები იმედოვნებდნენ, რომ ელექტროენერჯის საბითუმო ფასები, ვაჭრობის ახალი წესების პირობებში, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა და კონკურენტული სიტუაცია უფრო გაძლიერდებოდა.

ახალი, საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებული ელექტროენერჯის სავაჭრო წესები დაფუძნებული იყო ორმხრივი (ან მრავალმხრივი) კონტრაქტების სისტემაზე გენერატორებს, მყიდველებს, ტრეიდერებსა და პირდაპირ მომხმარებლებს შორის.

ახალი წესების მიხედვით ბაზრის მონაწილეები ელექტრობაზე მოქმედებენ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სასაქონლო ბაზრის მონაწილეები, მაგრამ, ამავე დროს, უზრუნველყოფენ ელექტროსისტემის გამართულ და დაბალანსებულ მუშაობას.

გარიგებების დადება ხდება ბაზრის მონაწილეთა მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას იძლევა გარიგებები განხორციელდეს როგორც მოკლევადიანი (ერთდღიანი), ასევე გრძელვადიანი (რამდენიმე წლიანი) კონტრაქტებით. მოკლევადიანი კონტრაქტების გაფორმების უფლება ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს ეფექტურად არეგულირონ თავიანთი საქმიანობა ბაზრის ან

სისტემის მოთხოვნათა ცვლილების შესაბამისად, უბრალო და მარტივი მეთოდით, ზედმეტი ბარიერების გარეშე<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა გენერაციის სფეროში საკმარის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, თავი იჩინა სხვა პრობლემებმა. კერძოდ, როდესაც მარეგულირებელმა ორგანოებმა და ხელისუფლებამ შეზღუდეს მონოპოლისტების გენერაციული სიმძლავრეები, ჩამოაყალიბეს და მნიშვნელოვნად გაზარდეს კონკურენტული გარემო გენერაციის სექტორში (ამან კი უზრუნველყო ელექტროენერგიის საბითუმო ფასების 40%-ით შემცირება 1990 წელთან შედარებით), შედეგად მიიღეს მეორე კრიზისი.

საბითუმო ფასების შემცირების პარალელურად, პრივატიზებული ბირთვული ელექტროენერგიის ოპერატორი (Nuclear Electric), რომელიც გამოიმუშავებს ბრიტანეთში წარმოებული ელექტროენერგი-

---

<sup>1</sup> „ელექტროენერგიით ვაჭრობის ახალი წესების შესაბამისად“ ბაზარზე მოქმედებს ე.წ. „ბალანსირების მექანიზმი“, რომლის მიხედვითაც, ბაზრის მონაწილეების მიერ შეთავაზებები უნდა გაკეთდეს რეალურ დროზე 3.30 წუთით ადრე (მაგალითად: თუკი გენერატორს შეუძლია ელექტროენერგიის განსაზღვრული რაოდენობის მიწოდება 12 საათისათვის, მაშინ მან განაცხადი უნდა გააკეთოს არაუგვიანეს 8.30 წთ-ზე). ამ დროის განმავლობაში „ეროვნული გადაწყვეტი კომანია“, როგორც სისტემის ოპერატორი, იღებს მოთხოვნებს ელექტროენერგიის შესაძლო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ფასებით და განსაზღვრავს პოტენციური მყიდველების ნუსხას, რომელთა მიერ გაკეთებული მოთხოვნები შეესაბამება გენერაციის ობიექტების მიერ გაკეთებულ შეთავაზებებს და, ამასთანავე, უზრუნველყოფს ელექტროსისტემის დაბალანსებული ფუნქციონირების შენარჩუნებას. პოტენციური გარიგების მხარეების დაზუსტების შემდეგ, რეალური დროიდან, (ანუ ელექტროენერგიის ქსელში გაშვების დროიდან) ნახევარი საათით ადრე, სისტემის ბალანსის შენარჩუნების დაზღვევის მიზნით, ოპერატორი აზუსტებს, რაიმე ხომ არ შეიძლება მხარეების გაკეთებულ შეთავაზებებში (მაგალითად: გენერაციის ობიექტის მიერ შეთავაზებული ელექტროენერგიის მოცულობა, მიწოდების ხანგრძლივობა და ა.შ.), რის შემდეგაც მხარეებს შორის ფორმდება გარიგება (კონტრაქტი). (The Nem Electricity Trading Arrangements (NETA); A Review of First Three Month; The Department of Trade and Industry; August, 2001).

ის 20%-ს, ველარ ფარავდა გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულებას და 2002 წლისათვის გაკოტრების ზღვარზე მივიდა. ეს შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პოზიტიური მოვლენა იმ კუთხით, რომ ენერგოსექტორში შეიქმნა კონკურენტული გარემო და მაღალდანახარჯიანი ელექტროენერჯის მწარმოებლები კონკურენციის გამო განიცდიან სიმძნელებს. მაგრამ, ამავე დროს, ეს ატომური სადგური გამოიმუშავებს ბაზისურ ენერჯიას, რომლის მიმართაც შეიძლება არასწორი იყოს ისეთივე კონკურენტულ გარემოში ჩაყენება, როგორშიც სხვა, შედარებით მცირე მწარმოებლები, არიან (ელექტროენერჯის შესაძლო დეფიციტის გამო)<sup>1</sup>.

ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ელექტროენერჯეტიკული სფეროს რესტრუქტურისაციისა, რამაც გამოიწვია ენერჯეტიკის ვერტიკალური სტრუქტურის დანაწევრება გადაცემის, დისტრიბუციისა და გენერაციის სფეროებად, სრული ვერტიკალური განცალკევება მაინც ვერ მოხერხდა. მაგალითად, რესტრუქტურისაციის პირველ ეტაპზე 12 რეგიონული გამანაწილებელი კომპანია-სადგურიდან უმრავლესობამ ისარგებლა ლიცენზიის პირობებით, რომლებიც მათ საშუალებას აძლევდა გაეზარდათ გენერაციის ძირითადი საშუალებები (სიმძლავრე) გენერაციის საერთო მოცულობის 15%-ის ოდენობით პიკური მოთხოვნის დროს. რეგიონული სადგურების გენერაციული სიმძლავრეების ზრდა, ძირითადად, განხორციელდა კომბინირებული ციკლის გაზის ტურბინებით გამომუშავებული ელექტროენერჯის ხარჯზე.

გარდა ამისა, მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების განცალკევებამ და რეგიონული ოფისების (ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიებისა და განაწილების ქსელის ოპერატორების) სხვადასხვა მფლობელების საკუთრებაში ხშირმა გადასვლამ, შესაბამისად, გამოიწვია რეორგანიზაციის ხარჯების ტარიფებში ასახვის აუცილებლობა.

---

<sup>1</sup> (David S. Saal; Restructuring, Regulation and the Liberalization of Privatized Utilities in the UK; Aston Business school; November 2002).

ამჟამად 12 რეგიონული ოფისის დაშლის შედეგად წარმოქმნილ განაწილების ლიცენზიატებს აკონტროლებს 8 კომპანია (თუმცა, თითოეული გამანაწილებელი კომპანია კვლავ ინდივიდუალურად ლიცენზირებულია), ხოლო მიწოდების 12 კომპანიას აკონტროლებს 6 კომპანია, რაც მიწოდების კონცენტრაციის (კონსოლიდაციის) უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ჰორიზონტალური ინტეგრაციის პროცესი მიგვიყვანს მიწოდებისა და განაწილების სექტორების კონსოლიდაციამდე, მაქსიმუმ 5 ან 6 მფლობელით<sup>1</sup>.

თუკი ინდივიდუალურად (ცალ-ცალკე) ლიცენზირებული მიწოდებელი კომპანიების ასეთი ჰორიზონტალური ინტეგრაცია (მაკონტროლებელი კომპანიის შეიღობილი კომპანიების მიერ ცალკეული მიწოდებლების ან განაწილების ოპერატორების შესყიდვა) კვლავ გაგრძელდება, OFGEM-ისათვის ეს შეიძლება შემფოთების მიზეზად იქცეს. ეს გულისხმობს, რომ რეგულირების მთავარი მიზანი – კონკურენტული გარემოს შენარჩუნება საფრთხის ქვეშ დადგეს.

მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილ იქნეს რეგიონული ოფისების დაშლის შედეგად წარმოქმნილი 12 განაწილების ქსელის ოპერატორის შემთხვევა. ამ ოპერატორების მფლობელთა გამსხვილების პროცესმა (ანუ რომელიმე კომპანიის შეიღობილი კომპანიების მიერ ცალკეული განაწილების ოპერატორების შესყიდვის პროცესმა) შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ შეუძლებელი გახდეს ბუნებრივად მონოპოლიური ელექტროენერჯის განაწილების სტანდარტული „შედარებითი“ რეგულირების მეთოდის განხორციელება, რომელსაც იყენებდნენ და იყენებენ ელექტროენერჯეტიკის პრივატიზების პროცესის დაწყების დღიდან. ელექტროენერჯის განაწილების აღნიშნული რეგულირების მეთოდი მოითხოვს ბუნებრივი მონოპოლიების, ჩვენს შემთხვევაში ცალკეული განაწილების ოპერატორების, ჰორიზონტალური განცალკევების (ანუ სხვადასხვა ბიზნესინტერესები უნდა ფლობდნენ ცალკეულ კომპანიებს და ერთი კომპა-

---

<sup>1</sup> (David S. Saal; Restructuring, Regulation and the Liberalization of Privatized Utilities in the UK; Aston Business school; November 2002).



ნია არ უნდა აკონტროლებდეს შვილობილი კომპანიების მეშვეობით) მაღალ დონეს.

ჰორიზონტალური ინტეგრაციის მაღალი დონის არსებობის პირობებში მაღალია ბუნებრივი მონოპოლიებისათვის დამახასიათებელი „მასშტაბის ეკონომიით“ მიღებული შემოსავლების დონე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ OFGEM-ი, ნაცვლად იმისა, რომ განახორციელოს დეტალური ფინანსური ანალიზი, რამდენიმე განაწილების მფლობელი კომპანიის მიერ „ზედმეტი“ (მონოპოლიური) მოგების მიღების შესაძლებლობების აღკვეთის მიზნით, იგი ახორციელებს ერთი კომპანიის მფლობელობაში არსებული თითოეული განაწილების ოპერატორის გაცხადებული შესაძლო შემოსავლების (მარეგულირებლისათვის წარდგენილი) ერთჯერად შემცირებას, იმ მიზნით, რომ კომპენსირება გაუკეთოს სრულყოფილი კონკურენციის არარსებობით გამოწვეული „ზედმეტი“ მოგების მიღების შესაძლებლობას<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> (David S. Saal; Restructuring, Regulation and the Liberalization of Privatized Utilities in the UK; Aston Business School; November 2002; Retail Electricity Competition; Paul Joskow and Jean Tirole; March 2004).

## დასკვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ თავის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი მონოპოლიის ერთ-ერთი წარმატებული რესტრუქტურისზაციის მაგალითზე გაგვეანალიზებინა, შესაძლებელი იყო თუ არა, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილად განხორციელებული რესტრუქტურისზაციისა და პრევატიზაციის პირობებში, მიღწეულიყო ბუნებრივად მონოპოლიური სფეროების სრულყოფილი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება. თუმცა, როგორც ზემოთ განხილული მაგალითიდან ჩანს, სრულყოფილი კონკურენტის მიღწევა ძალიან რთული ამოცანა აღმოჩნდა და კომპანიები გამუდმებით, „ბუნებრივად“ მიისწრაფვიან ბაზარზე დომინანტი (მონოპოლიური) პოზიციის მოსაპოვებლად.

განხილული მაგალითიდან ჩანს, რომ თუკი ხელისუფლებამ (მარეგულირებლის მეშვეობით) შეძლო განხორციელებული ღონისძიებების საშუალებით გენერაციის სექტორი სრულად გამოეყვანა რეგულირების სფეროდან, ვერ მოხერხდა მიწოდებისა და დისტრიბუციის სფეროების სრული განცალკევება და ამ სფეროში მონაწილე კომპანიების მკაცრი რეგულირების აუცილებლობა კვლავაც რჩება. ეს იმითაა განპირობებული, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ სფეროში „ხელოვნურად“ შექმნილი კონკურენტული სიტუაციის შენარჩუნება.

როგორც განხილულმა მაგალითმა აჩვენა, აუცილებელია ნებისმიერი, უკვე რესტრუქტურისზებული და პრევატიზებული ბუნებრივი მონოპოლიის ნაწილის ყიდვა-გაყიდვის მუდმივი კონტროლი. ეს საჭიროა კომპანიების „ბუნებრივი“ სურვილის აღსაკვეთად, მიიღონ ის მონოპოლიური მოგება, რაც მათ დაკარგეს თავიანთი ბუნებრივად მონოპოლიური ბაზრის დაშლისა და რესტრუქტურისზების შედეგად. ასევე, ცხადია, რომ კონკურენტის არსებობა რესტრუქტურისზებულ ბუნებრივ მონოპოლიებში დამოკიდებულია ცალკეული კომპანიების მიერ ენერჯის წყაროებთან ხელმისაწვდომობის შესაძლებლობაზე (ელექტროსადენები). ამ წყაროების თანაბრად ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ

რამდენად საპართლიანად და ეკონომიკურად მიზანშეწონილად არის მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული ამ წყაროების სარგებლობის პირობები ბაზრის თითოეული მონაწილისათვის. გარდა ამისა, მუდმივი რეგულირება იმიტომ არის აუცილებელი, რომ ენერჯის წყაროებთან სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მუდმივად იცვლებოდეს რეგულირების წესები, ბაზრის სტრუქტურის ცვლილებების პარალელურად (მაგალითად, მიმწოდებლების კონცენტრაციის ან, პირიქით, დაცალკეების შემთხვევაში).

განზილულმა მაგალითმა ისიც ნათელი გახადა, რომ ბუნებრივი მონოპოლიების სრულყოფილ რესტრუქტურინგაციას და პრივატიზაციას (განვითარების ამ ეტაპზე) არ შეუძლია უარყოს სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში მარეგულირებლის) როლი, როგორც ამას თეორიულად ბუნებრივი მონოპოლიების პრივატიზების მომხრეები წინასწარ ჭვრეტდნენ. ბრიტანულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო წილის შემცირების პარალელურად გაიზარდა პრივატიზებული სექტორების დეტალური მკაცრი რეგულირების აუცილებლობა.

### 3.2. იტალია

იტალიაში ელექტროენერჯეტიკის სექტორის რეფორმა 1999 წელს დაიწყო. ამისი საფუძველი გახდა იტალიის მრეწველობის სამინისტროს ბრძანებულება (ცნობილია როგორც „ბერსანის ბრძანებულება“) „ცალკეული ელექტროენერჯეტიკული ბაზრისათვის ევროკომისიის 96/92/EC დირექტივის შესრულების თაობაზე“<sup>1</sup>

ბრძანებულება წარმოადგენდა ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა იტალიის ელექტროენერჯეტიკული სექტორის რესტრუქტურინგაციისა და ლიბერალიზაციის ძირითადი მიმართულებები. ამ ბრძანებულებით განისაზღვრა ასევე ელექტროენერჯეტიკის ყველა ის სფერო, სადაც უნდა განხორციელებულიყო რესტრუქტურინგაციის პროცესები: ეს პროცესები მოი-

<sup>1</sup> (Nera Publications; Energy Regulatory Insights; January, 2004)

ცავდა ყველა ეტაპს ელექტროენერჯის გენერაციიდან დაწყებული მის საბოლოო მომხმარებელამდე მიტანით დამთავრებული.

აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების შედეგად იტალიის ელექტროენერჯეტიკული სექტორის ძირითადი სტრუქტურა შემდეგნაირად განისაზღვრა:

- ელექტროენერჯის ორი პარალელური ბაზრის ჩამოყალიბება: ერთი - ელექტროენერჯის შედარებით მცირე („იძულებითი“) მომხმარებლებისათვის, რომლებსაც საშუალება არა აქვთ, თვითონ აირჩიონ მიმწოდებელი. მეორე თავისუფალი ბაზარი-შედარებით მსხვილი („თავისუფალი“) მომხმარებლებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ თვითონ აირჩიონ ელექტროენერჯის მიმწოდებლები;
- ელექტროენერჯეტიკაში უმსხვილესი მონოპოლიის ENEL-ის რესტრუქტურისა და ნაწილობრივი პრივატიზაცია;
- ENEL-ის რესტრუქტურის შედეგად ელექტროენერჯის გენერაციის, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების სფეროების განცალკევება (ოპერაციულად და ადმინისტრაციულად) და საქმიანობათა სახეობების მიხედვით დამოუკიდებელი კომპანიების დაფუძნება;
- ENEL-ის მფლობელობაში არსებული ელექტროენერჯის გადაცემის სისტემის მართვის უფლებით გადაცემა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი „გადაცემის სისტემური ოპერატორისათვის“;
- „გადაცემის სისტემური ოპერატორის“ მიერ ენერჯის წყაროებთან (გადამცემ ხაზებთან) მომხმარებლებისათვის სამართლიანი ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა;
- „გადაცემის სისტემური ოპერატორის“ მიერ ელექტროენერჯის შემსყიდველი (single buyer) კომპანიის დაფუძნება, რომელმაც შემდგომში უნდა უზრუნველყოს შესყიდული ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებზე გაყიდვა;

- ელექტროენერჯის გენერაციის სექტორში მოქმედი ნებისმიერი კომპანიის სიმძლავრეების შეზღუდვა გენერაციის საერთო მოცულობის 50%-მდე (იმპორტის ჩათვლით); შესაბამისად, უკვე მოქმედი უმსხვილესი მონოპოლისტის ENEL-ის გენერაციული სიმძლავრეების მინიმუმ 15 000 მეგავატიტ შემცირება;
- ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბება, რომლის მართვაც განხორციელდებოდა დამოუკიდებელი იურიდიული პირის-„ბაზრის ოპერატორის“ მიერ<sup>1</sup>

1963 წლიდან, როგორც სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, იტალიის ელექტროსისტემა წარმოადგენდა ერთი კომპანიის (ENEL) ფარგლებში მოქმედ „ბუნებრივ მონოპოლიას“. 1999 წელს იტალიაში ეროკომისიის დირექტივების საფუძველზე, ბერსანის ბრძანებულების (Bersani decree of 1999) გამოცემის შემდეგ, დაიწყო ძირეული ცვლილებების განხორციელება ტრადიციულად ვერტიკალურად ინტეგრირებულ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში. თუმცა, როგორც მოგვიანებით პრაქტიკამ აჩვენა, სხვადასხვა საკანონმდებლო თუ პრაქტიკული მიზეზების გამო, მოხერხდა იტალიის ელექტროენერგეტიკული სისტემის მხოლოდ ნაწილობრივი ლიბერალიზაცია.

მთავარი ცვლილებები, რაც ელექტროენერგეტიკულ სექტორში „ბერსანის ბრძანებულების“ მიღებამ გამოიწვია, გამოიხატა ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის ნაწილობრივ დანაწევრებაში, გენერაციის სფეროში კონკურენციის შემოტანაში და შემდგომ, ნაწილობრივ, ელექტროენერჯის მიწოდების სფეროში კონკურენციის გაძლიერებაში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> The Restructuring of Italian Energy Sector: Proposals for Inclusion of Objectives for Increased Energy Efficiency; Lorenzo Pagliano; Istituto di Recherche Ambiente Italia; 2004.

<sup>2</sup> Competition in Electricity markets: International Experience and the Case of Italy; Alessandra Ferrary and Monica Giuletti; June 2004, Aston Business school, Aston University

ამ ბრძანებულების მიღებით გამოწვეული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა ორი პარალელური ბაზრის წარმოქმნა, რომელიც შედგებოდა შედარებით მსხვილი და მცირე ელექტროენერჯის მომხმარებლებისაგან („თავისუფალი“ და „იძულებითი“ ბაზარი). ბრძანებულების შესაბამისად, ელექტროენერჯის მსხვილ მომხმარებელთა რაოდენობა (ანუ ის მომხმარებელი, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა, ელექტროენერჯია ეყიდა ბაზარზე თავისი სურვილის შესაბამისად) უნდა გაზრდილიყო ეტაპობრივად:

- 1999 წელს - 30 გიგავატი ელექტროენერჯის მომხმარებლები;
- 2000 წელს - 20 გიგავატი ელექტროენერჯის მომხმარებლები;
- 2002 წელს 9 გიგავატი ელექტროენერჯის მომხმარებლები;
- 2003 წელს 0.1 გიგავატი ელექტროენერჯის მომხმარებლები;
- 2007 წლისათვის ნებისმიერი მომხმარებელი.

აღნიშნული მოხმარების ზღვრის გათვალისწინებით, 2000 წელს ბაზრის 30% განიხილებოდა როგორც ღია, 2002 წელს კი ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დააჩქარა ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესი და 2001 წლის მარტში მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც 2003 წლის იანვრიდან „თავისუფალი“ მომხმარებლისათვის ზღვარი 0.1 გიგავატამდე შემცირდა<sup>1</sup>

1996 წლამდე ENEL-ი წარმოადგენდა ელექტროენერჯეტიკის სფეროში სრულ მონოპოლისტს და სრულად მოიცავდა გენერაციის, გადაცემისა და განაწილების სფეროებს. 1999 წლიდან ENEL-მა მარეგულირებლის მითითების საფუძველზე, დაანაწილა თავისი ბიზნესები და ჩამოყალიბდა როგორც ჰოლდინგი. მის მფლობელობაში შედიოდა კომპანიები, რომლებიც ახორციელებდნენ გენერაცი-

---

<sup>1</sup> (The Italian Power Market with Interesting Business Opportunities; Freshfields Brunkhaus Designer, May 2002).

ის, განაწილებისა და ელექტროენერჯის გაყიდვების ოპერაციებს. ENEL-ი ასევე ფლობს ცენტრალურ (მაღალი ძაბვის) გადამცემ ხაზებს.

როგორც ვხედავთ, იტალიაში ელექტროსისტემის ვერტიკალური განცალკევება გამოიხატა სფეროების მიხედვით ცალკეული კომპანიების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მოქმედებს ENEL-ის ფინანსური ჰოლდინგის ზედამხედველობის ქვეშ<sup>1</sup>.

## გენერაცია

როგორც აღინიშნა, იტალიაში ენერგოსექტორის რესტრუქტურისაციისა და ლიბერალიზაციის პროცესების დაწყებისას ENEL-ი წარმოადგენდა იტალიის ენერგოსისტემის ფაქტობრივ მონოპოლისტ კომპანიას. თუმცა, მოგვიანებით, სექტორის რესტრუქტურისაციის დაწყებასთან ერთად, ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, რათა ხელი შეეწყო მოცემულ სექტორში მონოპოლიური სიტუაციის შესუსტებისა და, შესაბამისად, კონკურენტული მდგომარეობის ჩამოყალიბებისათვის. 1999 წლის ნოემბერში განხორციელდა ENEL-ის აქციათა 34%-ის პრივატიზება, თუმცა, მთავრობა ახლაც ინარჩუნებს ამ კომპანიის საკონტროლო პაკეტზე კონტროლს, ფლობს რა კომპანიის აქციათა 60%-ს.

„ბერსანის ბრძანებულების“ საფუძველზე, ENEL-ს მოეთხოვა ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებში 2003 წლისათვის თავისი წილი შეემცირებინა მინიმუმ 50%-მდე. ENEL-ი იძულებული გახდა გაეყიდა 15 000 მეგავატი სიმძლავრე თავისი 56 000 ჯამური სიმძლავრიდან და ასევე გენერაციის საერთო მოცულობაში თავისი წილი შეემცირებინა 50%-მდე (იმპორტის ჩათვლით) 2003 წლის 1 იანვრისათვის.

ENEL-ის გენერაციის აქტივებიდან ჩამოცილებული 15 000 მეგავატი სიმძლავრის გენერაციის ობიექტების ბაზარზე წარმოიქმნა გენერაციის 3 კომპანია: EUROGEN – გადაეცა 7 800 მეგავატი, ELETTOGEN – გადაეცა 5 438 მეგავატი და – INTERPOWER გადაეცემა დანარჩენი სიმძლავრე. 2002 წლის ნოემბრისათვის კი

სამივე აღნიშნული კომპანია გაიყიდა და გამოვიდა ENEL-ის კონტროლის სფეროდან. კერძოდ:

- 2001 წლის 23 ივლისს ELETTRON-ი იყიდა ესპანურ კონსორციუმ ENDESA-ში შემავალმა ორმა კომპანიამ;
- 2002 წლის 18 მარტს EORON-ი იყიდა იტალიურმა კონსორციუმ Edipower-მა;
- 2002 წლის ბოლოს კი INTERPOWER-ის პრევატიზაცია განახორციელა იტალიური და ბელგიური ფირმებისაგან შემდგარმა კონსორციუმმა<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ENEL-ი კვლავ რჩება იტალიაში ელექტროენერჯის უმსხვილეს მწარმოებლად და მიმწოდებლად, ხელისუფლებისა და მარეგულირებლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა გენერაციის ბაზარზე ახალი, საკმაოდ მსხვილი მონაწილეების შესვლა.

გენერაციის სექტორის დანაწევრების შემდეგ ENEL-ი მაინც ფლობს დომინანტ პოზიციას გენერაციის საერთო მოცულობაში ფაქტობრივი 49,5% და 51,7% დადგმული სიმძლავრით და ეს წილი იზრდება 59%-მდე, თუ დაემატება კომპანიის მიერ იმპორტით შემოტანილ ელექტროენერჯის მოცულობას.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ იტალიის გადამცემი სისტემა საკმაოდ მყიფე და არასტაბილურია, ამასთანავე იმას, რომ იტალიის ენერგოსისტემის კავშირები ევროპულ ენერგოსისტემასთან საკმაოდ შეზღუდულია, მაშინ შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ იტალიის ელექტროენერჯეტიკულ ბაზარზე სიტუაცია ძალიან შორსაა კონკურენტულისაგან.

---

<sup>1</sup> Energia Italia, Interbanca, ACEA Italia). Background Report on Regulatory Reform in Electricity, Gas and Railroad; Sally Van Siclen; OECD; June 2004; Competition in Electricity markets: International Experience and the Case of Italy; Alessandra Ferrary and Monica Giuletti; June 2004, Aston Business school, Aston University.



2002 წლის დასაწყისში იყო მცდელობა, შეემსუბუქებინათ ენერგოსექტორში არსებული ზემოაღნიშნული პრობლემები ე.წ. „მარზანოს ბრძანებულების“ მეშვეობით, რომელმაც გაამარტივა ადმინისტრაციული პროცედურები ახალი სიმძლავრეების მშენებლობისათვის. თუკი ძველი კანონმდებლობით ახალი სიმძლავრეების მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის ინვესტორს მინიმუმ 1 წელი სჭირდებოდა, „მარზანოს ბრძანებულების“ მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდა აღნიშნული პროცედურების ჩატარების დროის მინიმუმ 6 თვემდე შემცირება.

მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები ასევე უკავშირდებოდა ადმინისტრაციულ ბარიერებს, რომლებსაც ინვესტორები აწყდებოდნენ ამ ნებართვის მოპოვებისათვის. ისინი იძულებულნი იყვნენ რამდენიმე სახელისუფლებო ორგანოში გაეელოთ დროში გაწეული პროცედურები ნებართვის მოსაპოვებლად.

„მარზანოს ბრძანებულებამ“ (მიღებულია იტალიის პარლამენტის მიერ 2002 წლის აპრილში) გაამარტივა აღნიშნული პროცედურები, რაც გამოიხატა ამ საკითხთან მიმართებაში სამი ძირითადი დებულების დამტკიცებაში:

- ახალი გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობის ნებართვას გასცემს მხოლოდ ერთი სახელისუფლებო ორგანო (ტექნიკური, ეკოლოგიური თუ ურბანული დასკვნების ჩათვლით);
- მშენებლობის ნებართვას გასცემს იტალიის მრეწველობის სამინისტრო;
- ნებართვის გაცემის მაქსიმუმი დრო არის 6 თვე<sup>1</sup>;

თუმცა, აღნიშნულმა ბრძანებულებამ ისევ ძალაში დატოვა გენერაციის ერთი კომპანიისათვის გენერაციის საერთო მოცულობაში 50%-იანი ზღვარი (იმპორტის ჩათვლით). ეს კი წარმოადგენს ძალიან მაღალ ზღვარს, განსაკუთრებით ელექტრობაზრისათვის. რო-

---

<sup>1</sup> (Highlights of the Italian Energy Market; Ashurst Norris Crisp, 2003; Nera Publications; Energy Regulatory Insights; January, 2004)/

გორც გამოცდილებამ აჩვენა, როცა ერთი კომპანია ფლობს გენერაციის საერთო ბაზრის წილის 10%-ს, უკვე საკმარისია იმისათვის, რომ კომპანიამ მონოპოლიური გავლენა მოახდინოს ბაზარზე<sup>1</sup>.

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელია ხელისუფლებამ მარეგულირებლის მეშვეობით გაატაროს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს ENEL-ის წილის შემდგომი შემცირება გენერაციის ბაზარზე. ამასთან, საჭიროა გადამცემი ქსელის ექსპლუატაციის ტექნიკური პირობების გაუმჯობესება. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას კი ართულებს ამ საკითხში ხელისუფლების ნების არარსებობა და, რაც მთავარია, არსებობს გართულებული და დროში გაწელილი პროცედურები ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

### გადაცემა და განაწილება

გადაცემაში ENEL-ი კვლავაც მყარად ინარჩუნებს თავის მონოპოლისტურ მდგომარეობას. იტალიის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 42 650 კილომეტრს, საიდანაც 87,3%-ს (დაახლოებით 37 218 კმ) ფლობს ENEL-ის ჰოლდინგში შემავალი კომპანია ENEL Tema.

ასე, რომ გადამცემი ქსელის უდიდეს ნაწილზე კონტროლს კვლავ ENEL-ი ახორციელებს შვილობილი კომპანიის საშუალებით. ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ელექტროენერჯის გადაცემასთან, ხორციელდება 1999 წელს შექმნილ „გადაცემის სისტემური ოპერატორის“ (Gestore della Rete di Trasmissione Nazionale (GRTN) მიერ. სისტემურმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ბაზრის მონაწილეებისათვის გადამცემ ხაზებთან სამართლიანი ხელმისაწვდომობა, რეგულატორის (Autprita per L'Energia Elettrica il Gas (AEEG)) მიერ დადგენილი ტარიფებისა და პირობების შესაბამისად.

---

<sup>1</sup> (Annual report on the State of the Services and the Activities Carried Out; Introduction by the president of the authority, Authority for Electricity and Gas; 2003).

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის ივლისში იტალიის ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება (№239/2003), რომლის შესაბამისადაც ENEL-მა 2007 წლისათვის მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებზე თავისი წილი 20%-ით უნდა შეამციროს, ანუ, უნდა განახორციელოს თავის მფლობელობაში არსებული გადამცემი ხაზების 20%-ის პრივატიზება სხვა კომპანიებზე (The Restructuring of Italian Energy Sector: Proposals for Inclusion of Objectives for Increased Energy Efficiency; Lorenzo Pagliano; Istituto di Recherche Ambiente Italia; 2004;).

## გადაცემის სისტემური ოპერატორი (TSO)

როგორც აღინიშნა, 1999 წლის „ბერსანის ბრძანებულება“ ითვალისწინებდა მექანიზმების შემუშავებას ელექტროენერგეტიკულ სექტორში კონკურენტული სიტუაციის შესაქმნელად.

ამის უზრუნველსაყოფად ელექტროენერჯის გადაცემა და დისპეტჩერიზაცია დაექვემდებარა უშუალოდ სახელმწიფოს კონტროლს და მრეწველობის სამინისტროს. 2000 წლის 17 ივლისის ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბდა „გადაცემის სისტემური ოპერატორი“ (TSO).

აღნიშნული კომპანია წარმოადგენდა სააქციო საზოგადოებას, რომელიც თავდაპირველად კონტროლირდებოდა ENEL-ის მიერ, მაგრამ მოგვიანებით გადავიდა იტალიის ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს კონტროლის ქვეშ. ვინაიდან ENEL-ი ჯერ კიდევ ფლობს იტალიის გადამცემი ხაზების ძირითად ნაწილს, სისტემური ოპერატორს მინიჭებული აქვს გადამცემი ქსელის მართვის უფლება და, ამასთან, ფლობს დისპეტჩერიზაციის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობებს (აქტივებს).

სრულყოფილ რესტრუქტურისა და სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გადამცემი ხაზების ქონების (ENEL Terna) განცალკევება მისი მენეჯმენტისაგან (სისტემური ოპერატორი GTRN). ENEL-ის მიერ სისტემური ოპერატორის (გადამცემი ხაზების) კონტროლი, თუნდაც არაპირდაპირი, წარმოადგენს დაბრკოლებას გადამცემი ქსელის ხელმისაწვდომობაში ბაზ-

რის ყველა მონაწილისათვის, რაც, რა თქმა უნდა, აფერხებს სამართლიანი კონკურენტული გარემოს არსებობას.

იტალიის სისტემური ოპერატორი, სხვა ოპერატორების მსგავსად, ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და სისტემაში ბალანსის დაცვა;
- ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობის უზრუნველყოფა;
- ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის დროს სხვა ქვეყნის ენერჯოსისტემებთან კავშირის დამყარება;
- გენერაციის ობიექტებიდან საბოლოო მომხმარებლამდე ელექტროენერჯის შეუფერხებელი მიწოდება;
- გადამცემა ხაზების გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირების უზრუნველყოფა<sup>1</sup>

### განაწილება (დისტრიბუცია)

იტალიაში კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც აწარმოებენ ელექტროენერჯის გენერაციისა და გადაცემის ბიზნესებს, ასევე ფლობს გამანაწილებელ შეილობილ კომპანიებს. გამანაწილებელი კომპანიები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, მარეგულირებლის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე.

დისტრიბუციის ბიზნესი განაწილებულია ENEL-სა და ადგილობრივ მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებულ კომპანიებს შორის. ENEL-ის შემდეგ ყველაზე მსხვილი გამანაწილებელი კომპანიებია: AEM Milan, ACEA Rome და AEM Turin.

გამანაწილებელი ქსელი, რომელსაც ელექტროენერჯია მიეწოდება ელექტროენერჯის გადამცემა სისტემისაგან, დაყოფილია გეოგრა-

---

<sup>1</sup> (TSO's Official webpage: Annual report on the State of the Services and the Activities Carried Out; Introduction by the president of the authority, Authority for Electricity and Gas; 2003).

ფიულ ზონებად (მუნიციპალიტეტების საზღვრების მიხედვით). არსებული კანონმდებლობის თანახმად, თითოეულ მუნიციპალიტეტს უნდა ემსახურებოდეს ერთი გამანაწილებელი კომპანია. ამის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი (მუნიციპალიტეტის) გამანაწილებელი კომპანიები, რომელთა საბაზრო წილი განაწილების ბიზნესში მოცემული მუნიციპალიტეტის ფარგლებში აღემატება 20%-ს, უფლებამოსილი არიან ENEL-ს მოსთხოვონ, მიჰყიდოს მათ მოცემული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ENEL-ის საკუთრებაში არსებული გამანაწილებელი ქსელი. თუმცა, ამ შემთხვევაში ადგილობრივი დისტრიბუტორები აწყდებიან მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს. საქმე იმაშია, რომ ENEL-ი სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით (სახელისუფლებო და პოლიტიკური ზეგავლენები) ცდილობს თავი აარიდოს თავისი გამანაწილებელი ქსელის კონკურენტებისათვის მიყიდვას, რაც გართულებული და დროში გაწევილი სასამართლო გარჩევების საგანი ხდება.

განაწილების ტარიფები, გადაცემის ტარიფების მსგავსად, რეგულირებადი. განაწილების ტარიფის დადგენისას, მარეგულირებელი ამოწმებს გამანაწილებელის მიერ წარდგენილი ტარიფის განაცხადის კომერციულ მიზანშეწონილობას (შესაბამისობას), ანუ ამოწმებს, ასახავს თუ არა გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დანახარჯები (ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებაზე) მიწოდების რეალურ ღირებულებას. ხოლო „გადაცემის სისტემური ოპერატორი“ უზრუნველყოფს გამანაწილებელი კომპანიის საქმიანობის ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად. მაგალითად, დისტრიბუტორებს დადგენილი აქვთ დროის ლიმიტი, რომლის განმავლობაშიც მათ უნდა აღადგინონ შესაძლო ავარიით გამოწვეული შეწყვეტილი ელექტროენერჯის მიწოდება. ეს პირობები ასევე ითვალისწინებს გარკვეული სტიმულებისა და ჯარიმების სისტემებსაც, რათა გამანაწილებელმა კომპანიამ მაქსიმალურად იზრუნოს ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერჯის მიწოდების ბიზნესი, რესტრუქტურული ზომების პროცესების განხორციელების შემდეგ, თანდათან ფართოვდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ გაიზარდა მსხვილი („თავისუფალი“) მომხმარებლების რაოდენობა, რომლებიც თვითონ ირჩევენ თავიანთ მიმწოდებლებს (ვინაიდან ზღვარი დაიწია 9 გიგავატიდან 0,1 გიგავატამდე). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში ასეთი მომხმარებლების მიერ შესყიდული ელექტროენერჯია შეადგენს ენერჯის სრული მოხმარების მხოლოდ 1/3-ს.

მართალია, ელექტროენერჯეტიკულ ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი მსხვილი შემსყიდველები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბაზრის ამ სეგმენტზე ENEL-ი (შვილობილი კომპანია ENEL Trade მეშვეობით) ინარჩუნებს დომინანტ პოზიციას, ფლობს რა 45%-იან წილს პირდაპირი კონტრაქტებით გაყიდული ელექტროენერჯის საერთო მოცულობაში, მაშინ, როცა იტალიაში მოქმედი მეორე უმსხვილესი ოპერატორის Edison Energia-ს წილი ანალოგიურ გაყიდვებში მხოლოდ 16%-ს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი უკავშირდება ENEL-ის მონოპოლიურ მდგომარეობას ელექტროენერჯის გენერაციაში. ბუნებრივია, რომელი კომპანიაც უფრო მეტ ელექტროენერჯიას აწარმოებს, მას მეტი შესაძლებლობა აქვს მონახოს თავისი პროდუქციის პოტენციური მყიდველები<sup>1</sup>.

## ერთი შემსყიდველი

მრეწველობის სამინისტროს 2001 წლის 3 მაისის ბრძანების შესაბამისად, გადაცემის სისტემურმა ოპერატორმა, ელექტროენერჯით უზრუნველყოფის სტაბილურობისა და საიმედოობის გაზრდის მიზნით, დააფუძნა კომპანია (Acquirente Unico), რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის წლიურ პროგნოზს. ამ პროგნოზის საფუძველზე, „ერთი შემსყიდ-

---

<sup>1</sup> (The Reform of Italian Energy Market; Maria Rozaria Di Nucci, DN consulting Rome/Berlin; October, 2003; Competition in Electricity markets: International Experience and the Case of Italy; Alessandra Ferrary and Monica Giuletti; June 2004, Aston Business school, Aston University).

ველი“, ანუ, Acquirente Unico კიდულობდა ელექტროენერჯიას ან პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით ან ელექტროენერჯიის საბითუმო ბაზარზე.

როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, ბაზრის ლიბერალიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად, „ერთი შემსყიდველის“ როლი თანდათან შემცირდა. იგი დამხმარე საშუალება გახდა მოსახლეობის იმ გარკვეული ნაწილისათვის („იძულებითი“), რომელსაც ელექტროენერჯიის ბაზარზე არ შეუძლია შესყიდვა სტაბილური მიწოდების უზრუნველსაყოფად.

იტალიის მრეწველობის სამინისტროს 2003 წლის 9 დეკემბრის ბრძანებამ განსაზღვრა Acquirente Unico-ს მოვალეობება, რომელიც მას უნდა განეხორციელებინა 2004 წლის 1 იანვრიდან მოსახლეობისათვის ელექტროენერჯიის მისაწოდებლად.

ამ ბრძანების შესაბამისად, Acquirente Unico-მ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- პირდაპირი კონტრაქტების საშუალებით ელექტროენერჯიის შესყიდვა, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს „იძულებითი ბაზრის“ მოხმარების 1/4-ს;
- საჭიროებისდა მიხედვით, ელექტროენერჯიის საჭირო რაოდენობის იმპორტი;
- საჭიროების შემთხვევაში, ელექტროენერჯიის შესყიდვა „საბითუმო ბაზარზე“ და მისი მომხმარებლისათვის მიწოდების უზრუნველყოფა<sup>1</sup>.

**ბაზრის ოპერატორი**

„ბერსანის ბრძანებულებამ“ გაითვალისწინა აგრეთვე ბაზრის შექმნა ელექტროენერჯიით საბითუმო ვაჭრობისათვის. 2001 წლის ივნისში „გადაცემის სისტემურმა ოპერატორმა“ დააფუძნა შეილობილი კომპანია (ბაზრის ოპერატორი – GME), საბითუმო ბაზრის შექ-

---

<sup>1</sup> (AU's Official web-page; Annual report on the State of the Services and the Activities Carried Out; Introduction by the president of the authority, Authority for Electricity and Gas; 2004).

მნის მიზნით. ბაზრის ოპერატორის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს 2002 წელს შემუშავებული „საბაზრო წესებისა“ და „საბაზრო ინსტრუქციების“ საფუძველზე უზრუნველყოს საბითუმო ბაზრის მართვა და ბაზარზე სამართლიანი კონკურენტული პირობების შექმნა.

როგორც აღინიშნა, რეფორმის საწყის ეტაპზე „ბერსანის ბრძანებულება“ ითვალისწინებდა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის შექმნას, სადაც განხორციელდებოდა ელექტროენერჯით საბითუმო ვაჭრობა, ანუ, დისტრიბუტორი კომპანიები შეიძენდნენ ელექტროენერჯიას საბითუმო ბაზარზე, ხოლო გაყიდვების ზედამხედველობას განახორციელებდა ბაზრის ოპერატორი.

ბრძანებულების შესაბამისად დაშვებული იყო პირდაპირი კონტრაქტები ელექტროენერჯის მწარმოებლებსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის, თუმცა აღნიშნული გარიგებების ზედამხედველობა ხორციელდებოდა უშუალოდ მარეგულირებლის მიერ.

„ბერსანის ბრძანებულების“ საფუძველზე შემუშავებული ბაზრის მოდელი ბრიტანული „Electricity Pool“-ის მსგავსად ფუნქციონირებდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ამ ოპერაციის განხორციელებისათვის, სპეციალური ინსტრუქციებისა და წესების საფუძველზე, ზედამხედველობა უნდა გაეწია ბაზრის ოპერატორს, ხოლო გადაცემის სისტემური ოპერატორი გარკვეული ტექნიკური მახასიათებლების საშუალებით განსაზღვრავდა და უზრუნველყოფდა მყიდველების მისაწვდომობას ენერჯის წყაროებთან.

ასეთი ტიპის ბაზრის მოქმედების მექანიზმი ისეთივე იყო, როგორც ინგლისსა და უელსში მოქმედი საბითუმო ბაზრისა. საბოლოოდ, ელექტროენერჯის გაყიდვა ხდებოდა სისტემის ზღვრულ ფასად. ამრიგად, ელექტროენერჯიაზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ გაკეთებული შეთავაზებების საფუძველზე განისაზღვრებოდა ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი.

ამ პროექტის ავტორების აზრით, ასეთი ბაზრის ორგანიზებას ექნებოდა შემდეგი ღონისძიებები:



1. უზრუნველყოფდა კონკურენციას გენერაციის ობიექტებს შორის;
2. ფასწარმოქმნის (ფასების დადგენის) მექანიზმი იქნებოდა გამჭვირვალე და მარტივი;
3. ბაზარზე გაკეთებული შეთავაზებებისა და ბაზრის სხვადასხვა პარამეტრების დინამიკის შესახებ ინფორმაცია იქნებოდა გამჭვირვალე და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ეს შედარებით მცირე სიმძლავრის გენერაციის ობიექტებს ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას მისცემდა.

შემდგომში ინგლისისა და უელსის საბითუმო ბაზრის გამოცდილებამ იტალიური ენერგეტიკული რეფორმის ავტორები აიძულა გადაეხედათ ზემოაღნიშნული ბაზრის მოდელის სტრუქტურისათვის.

აღნიშნული გამოიწვია რამდენიმე ფაქტორმა.

შეთავაზებული ბაზრის მოდელი გააკრიტიკა რამდენიმე მსხვილმა ოპერატორმა (დისტრიბუტორმა). აღინიშნა, რომ თუკი მათ დაავალდებულებდნენ, ელექტროენერგია შეესყიდათ მხოლოდ საბითუმო ბაზარზე, მაშინ ისინი ვერ გამოიყენებდნენ იმ პოტენციურ მოგებას, რომელიც მათ შეიძლებოდა მიეღოთ მომგებიანი პირდაპირი კონტრაქტების გაფორმებისას. ამასთან, ისინი შიშობდნენ, რომ მსხვილ გენერატორებს შესაძლებლობა ექნებოდათ, ბაზარზე დაეწესებინათ უფრო მაღალი ფასები, ვიდრე ეს პირდაპირი კონტრაქტების გაფორმებისას იქნებოდა შესაძლებელი.

ამიტომ, მათ შემოიტანეს წინადადება, საბითუმო ბაზრის განხილული მოდელის ნაცვლად ინგლისში მოქმედი NETA სისტემის შემოღების საჭიროების შესახებ. იქ ელექტროენერგიის გაყიდვა მხოლოდ ორმხრივი გრძელვადიანი და მოკლევადიანი კონტრაქტების მეშვეობით ხდებოდა.

მთავარ არგუმენტად, NETA სისტემის შემოღების შეთავაზებისას, მოჰყავდათ ის ფაქტი, რომ ინგლისში აღნიშნული სისტემის ამოქმედების შემდეგ ელექტროენერგიაზე ფასები მკვეთრად შემცირდა (დაახლოებით 40%-ით). ამ ფაქტის საპირისპიროდ, ექსპერტები მიუთითებენ, რომ ინგლისში აღნიშნული სისტემის შემოღებიდან

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ფასებმა კვლავ მატება დაიწყო და ჯერ კიდევ ნაადრევია იმ ევექტების შეფასება, რასაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეს სისტემა მოიტანს.

საბოლოოდ, ხანგრძლივი კონსულტაციებისა და დებატების შემდეგ იტალიის ხელისუფლებამ და მარეგულირებელმა მიიღეს გადაწყვეტილება „ბერსანის ბრძანებულებით“ გათვალისწინებული საბითუმო ბაზრის მოდიფიცირებული მოდელის (IPEX) ჩამოყალიბების შესახებ. მათი აზრით, იგი უკეთ შეუწყობდა ხელს კონკურენციის განვითარებას და მონოპოლისტების გავლენის შემცირებას ელექტროენერჯის ფასზე.

IPEX-ის მოდელი წარმოადგენს „ელექტრონულ ბაზარს“ (ნებისმიერი საბაზრო ოპერაცია ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით), სადაც, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის შესაბამისად, ხდება მისი მიწოდება და მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასისა და ხარისხის აუცილებელი პირობების დადგენა.

IPEX-ის მოდელით ხორციელდება სამი საბაზრო ოპერაცია:

- ვაჭრობის გამართვამდე ერთი დღით ადრე ვაჭრობის მონაწილეების მხრიდან შეთავაზებების გაკეთება;
- ვაჭრობის დღეს გაკეთებული შეთავაზებების დაზუსტება;
- საბოლოო შეთავაზებების გათვალისწინებით გაყიდვების ორგანიზება და სისტემაში ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა.

აღნიშნულ ბაზარზე პირველი ვაჭრობა გაიმართა 2004 წლის 31 დეკემბერს და მასში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 30-მა დისტრიბუტორმა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად იტალიაში ახალი, უფრო მარტივი საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბება განხილვის სტადიაშია და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის<sup>1</sup> მიღწეული.

---

<sup>1</sup> (IPEX official web-page; Annual report on the State of the Services and the Activities Carried Out; Introduction by the president of the authority for Electricity and Gas, 2004; The Reform of Italian Energy Market; Maria Rozaria Di Nucci, DN consulting Rome/Berlin; October, 2003; Competition in Electricity markets: International

## დასკვნა

საბოლოოდ, თუ განვიხილავთ იტალიის ელექტროსექტორში განხორციელებულ რესტრუქტურისაციის პროცესს, შეიძლება ითქვას, რომ საწყის ეტაპთან შედარებით მიღწეულ იქნა ბაზრის საკმაოდ მაღალი ლიბერალიზაცია. კერძოდ, ევროპარლამენტის დირექტივები ელექტროენერგეტიკის ლიბერალიზაციის თაობაზე გადმოტანილ იქნა იტალიურ კანონმდებლობაში. განხორციელდა უმსხვილესი ბუნებრივი მონოპოლიის ENEL-ის ნაწილობრივი პრივატიზება და რესტრუქტურისაცია. შედეგად, ENEL-ის თითქმის 90%-იანი წილი იტალიის გენერაციის საერთო მოცულობაში 50%-მდე შემცირდა. ამან ბაზრის ახალ მონაწილეებს საშუალება მისცა, შესულიყვნენ ბაზრის ამ სეგმენტზე. ამასთან, ელექტროენერჯის გადაცემის სისტემა ადმინისტრაციულად და ოპერაციულად გამოეყო ENEL-ს და, სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, დაფუძნდა „გადაცემის სისტემური ოპერატორი“ – სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომპანია. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბითუმო ბაზრის შექმნის უზრუნველსაყოფად, დაფუძნდა „ბაზრის ოპერატორი“. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ელექტროენერგეტიკის სექტორის ლიბერალიზაციისათვის გადადგმული ზემოაღნიშნული ნაბიჯებისა, იტალიის ელექტროსექტორი განიხილება, როგორც ევროპულ ქვეყნებში ყველაზე სუსტად ლიბერალიზებული<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს იტალიის ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების ძირითად საფუძველს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ელექტრობაზარზე კონკურენციის ელემენტების შემოტანა.

---

Experience and the Case of Italy; Alessandra Ferrary and Monica Giuletti; June 2004, Aston Business school, Aston University)

<sup>1</sup> (Commission of the European Communities (op. cit. footnote 12.2002)).

ძირითადი პრაქტიკული პრობლემა, რომელიც უკავშირდება იტალიის ელექტრობაზარზე არასრულყოფილი რესტრუქტურის განხორციელებას და, შესაბამისად, არასრულყოფილი კონკურენტული გარემოს შექმნას, წარმოადგენს ENEL-ის დომინანტი და ფაქტობრივად მონოპოლიური მდგომარეობა. ეს იგრძნობა ენერგობაზარზე და ელექტროენერჯის მომხმარებელამდე მიტანის თითქმის ყველა სფეროში. კიდევ ერთ დამატებით დაბრკოლებას კონკურენტის განვითარებაში წარმოადგენს სახელმწიფო აქციების საკონტროლო პაკეტის არსებობა ENEL ჯგუფში. ეს დაბრკოლება დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი იწვევს პოლიტიკური ზეგავლენების გაძლიერებას ამ კომპანიის საქმიანობაზე. ეს სრულებითაც (თეორიულადაც და პრაქტიკულადაც) არ ნიშნავს იმას, რომ ენერგოსექტორზე სრული კერძო საკუთრება აუცილებელია. ამას ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება. მაგალითად, სკანდინავიის ზოგიერთ ქვეყანაში განხორციელდა ენერგოსექტორის ნაწილობრივი განსახელმწიფოებრიობა და კერძო ენერგოკომპანიები ჩვეულებრივ კონკურენციაში არიან სახელმწიფო ენერგოკომპანიებთან ერთად.

### **3.3. გერმანია**

გერმანია თავისი ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის რესტრუქტურის განხორციელების და ლიბერალიზაციას ახორციელებს მარეგულირებელი ორგანოს გარეშე. როგორც წინა თავებში აღინიშნა, დიდ ბრიტანეთში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული ელექტროენერგეტიკული სისტემის რეფორმის შემდეგ მიიჩნეოდა და ახლაც მიიჩნევა, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბება წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის სრულყოფილი რესტრუქტურის განხორციელების ქვაკუთხედს. თუმცა, გერმანიაში ხორციელდება ელექტროენერგეტიკული სისტემის რეფორმის საკმაოდ უცნაური მოდელი.

გერმანიის ენერგობაზარი (ელექტროენერჯისაც და გაზისაც) ერთადერთია ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო. რეგულატორის ნაცვლად, სისტემის რეგულირება ხორციელდება კანონმდებლობისა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეგრეთ წოდებული „ასოციაციის შეთანხმებების“ საფუძველზე. ეს შეთანხმებები განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მონაწილეების თამაშის წესებს. „ასოციაციის შეთანხმება“ განსაზღვრული და შეთანხმებულია დამოუკიდებელი ასოციაციების მიერ და წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ, კერძო შეთანხმებების პაკეტს, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება გადაცემა ხაზებისა და გაზსადენებით სარგებლობის წესები ბაზრის მონაწილეებისათვის. ეს შეთანხმებები შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა კომპანია ხელს მოაწერს შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმების მონაწილეები, ძირითადად, მსხვილი სამრეწველო მომხმარებლები, გამანაწილებელი და გადამცემა ხაზების მფლობელების გაერთიანებები და სხვადასხვა მეურნეობებია.

1998 წლის 24 აპრილს დამტკიცებული „რეფორმების აქტის“ მიღებამ საფუძველი დაუდო გერმანიის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში რეფორმების დაწყებას. აღნიშნული აქტით განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი კანონის მოდიფიცირება (კანონი “კონკურენციის შეზღუდვის შესახებ” და კანონი “ელექტროენერჯითა და გაზით მომარაგების შესახებ”), რომლებიც არეგულირებდნენ ენერგოსექტორს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული „აქტი“ წარმოადგენს ძალიან ზოგადი დებულებების ერთობლიობას და არ განსაზღვრავს სისტემის ფუნქციონირების კონკრეტულ წესებს.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რისთვისაც გერმანული ენერგოსისტემის რეფორმების ფუძემდებ-

ლური კანონი ასეთი „ზედაპირულია“, მდგომარეობს ამ ქვეყნის პოლიტიკური (კონსტიტუციური) მოწყობის მოდელში, განსაკუთრებით კი ფედერალიზმში. ამაში გულისხმობენ შემდეგ ფაქტს. როდესაც გერმანიის ფედერალური მთავრობა დადგა ენერგეტიკული სისტემის რეფორმის აუცილებლობის წინაშე, მას გააჩნდა ორი არჩევანი: შეემუშავებინა ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების შესახებ დეტალური კანონი ან მიეღო ზოგადი კანონი, რომელშიც მოცემული არ იქნებოდა დეტალური ინსტრუქციები ელექტროენერგეტიკული სისტემის რეგულირების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მთავრობა პარლამენტში წარადგენდა „დეტალურ კანონს“, მაშინ აუცილებელი გახდებოდა ამ კანონის დამტკიცება გერმანიის პარლამენტის „ზედა პალატის“ მიერ (Bundesrat), მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში („ზოგადი კანონის“ წარდგენის შემთხვევაში) საკმარისი იქნებოდა კანონპროექტის მხოლოდ „ქვედა პალატის“ მიერ დამტკიცება (Bundestag).

გერმანიის კონსერვატორებისაგან დაკომპლექტებულმა მთავრობამ (რომელსაც პარლამენტის „ქვედა პალატაში“ უმრავლესობა გააჩნდა) წარადგინა „დეტალური კანონპროექტი“ ელექტროენერგეტიკული სისტემის რეგულირების შესახებ. მაგრამ კანონპროექტი სინამდვილეში არ შეიცავდა დეტალურ ინსტრუქციებს მუნიციპალური ელექტროენერგეტიკული კომპანიების შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტია (რომელსაც უმრავლესობა ჰყავდა პარლამენტის „ზედა პალატაში“) „გამოექომაგა“ მუნიციპალიტეტებს და არ დამტკიცა მთავრობის მიერ შეტანილი „დეტალური კანონპროექტი“.

შესაბამისად, მთავრობა იძულებული გახდა გადაეხედა „დეტალური კანონმდებლობისათვის“ და შეემუშავებინა ისეთი კანონი, რომელსაც გერმანიის კონსტიტუციის შესაბამისად არ სჭირდებოდა პარლამენტის ზედა პალატის მიერ დამტკიცება. ასეთია გერმანული ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი მთავარი კანონის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია.

როგორც აღინიშნა, ელექტროენერგეტიკის შესახებ კანონი საკმაოდ ბუნდოვანია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მასში გაწერილი არ არის როგორ უნდა განხორციელდეს სისტემის დეტალური რეგულირება, შეიცავს ორ მთავარ ელემენტს. ორივე მათგანი მიმართულია სისტემაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობისაკენ.

- I) კანონი ელექტროენერგეტიკულ ბაზარს ღიად აცხადებს კონკურენციისათვის; და
- II) კანონი შესაძლებელს ხდის სისტემის მართვას ამ სისტემის მოთამაშეების მონაწილეობით, ანუ სისტემა რეგულირდება, ერთი მხრივ, სამრეწველო ასოციაციების მიერ, რომელშიც გაერთიანებული არიან ელექტროენერგეტიკაში მოქმედი კომპანიები და, მეორე მხრივ, მომხმარებელთა ასოციაციაში გაერთიანებული მსხვილი სამრეწველო მომხმარებლები. თითოეულ მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ ასოციაციას გააჩნია ვეტოს დადების უფლება მასთან შეუთანხმებელ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, მსხვილ სამრეწველო მომხმარებლებსაც გააჩნიათ ვეტოს უფლება.

თუმცა, როგორც აღინიშნა, „რეფორმების აქტი“ არ არეგულირებს ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების მრავალ ასპექტს. მაგალითად, არ განსაზღვრავს, თუ რა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს კონკურენცია გენერაციაში, არ ითვალისწინებს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის არანაირი სახით ჩამოყალიბებას, არ განსაზღვრავს წესებს გადამცემ და გამანაწილებელ ხაზებთან ხელმისაწვდომობის თაობაზე და, რაც მთავარია, არ ითვალისწინებს არანაირი მარეგულირებელი ორგანოს დაფუძნებას, რომელიც უზრუნველყოფდა სისტემის რეგულირებას. კანონის ასეთმა ზოგადმა ხასიათმა გამოიწვია სახელმწიფოს (ხელისუფლების) როლის მინიმუმამდე შემცირება ამ სექტორში და სისტემა, ფაქტობრივად, იმართება კერძო სექტორის მიერ.

პრაქტიკულად, თითქმის ყველა ტექნიკური თუ ეკონომიკური გადაწყვეტილება გადამცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობის თაობაზე მიიღება კერძო შეთანხმებების ერთობლიობის შედეგად. მას ეწოდება „ასოციაციის შეთანხმება“. ეს შეთანხმებები წარმოადგენენ კოლექტიურ კონტრაქტებს, რომლებიც სხვადასხვა კომპანიებს ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად ერთმანეთთან აკავშირებენ „მსხვილი სამრეწველო მომხმარებლების ასოციაციასა“ და „გერმანიის ბიზნესასოციაციასთან“ ერთად.

როგორც აღინიშნა, „ასოციაციის შეთანხმებაში“ მონაწილეობას იღებენ მსხვილი ელექტროენერგეტიკული ასოციაციები: „მსხვილი სამრეწველო მომხმარებლების ასოციაცია“ და „გერმანიის ბიზნეს ასოციაცია“. ისინი ნებაყოფლობით იკრიბებიან (აწყობენ შეხვედრებს), რათა ერთობლივად განსაზღვრონ ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ხაზებთან ხელმისაწვდომობის პირობები. თითოეული ასოციაცია, თავის მხრივ, არჩევს თავის წარმომადგენელს „ასოციაციის შეთანხმებაში“ მონაწილეობის მისაღებად. გადაწყვეტილებები მიიღება „გადაწყვეტილების პაკეტების“ სახით და ხმის მიცემა არ ხდება რომელიმე ცალკეული დეტალის შესათანხმებლად.

გერმანიაში 1998-2003 წლების რეფორმების მიმდინარეობის პერიოდი შეიძლება ორ ძირითად ეტაპად დაიყოს. პირველ ეტაპზე გაფორმდა ასოციაციის ორი შეთანხმება. შესაბამისად, პირველი 1998 წლის მაისში (ეწოდება VVI) და მეორე 1999 წლის დეკემბერში (ეწოდება VVII). აღნიშნული „ასოციაციის შეთანხმებებით“ მიღწეული ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედების პირობები განისაზღვრა მთლიანად კერძო სექტორის მიერ. ანუ, მოლაპარაკებების ერთ მხარეს წარმოადგენდა „გერმანიის ბიზნეს ასოციაცია“ და „მსხვილი სამრეწველო მომხმარებლების ასოციაცია“, ხოლო მეორე მხარეს – „გერმანიის ელექტროენერგეტიკული კომპანიების ასოციაცია“.



რეფორმების მეორე ეტაპზე მოლაპარაკებების პროცესში გაჩნდა ახალი მონაწილეები. ერთი მხრივ, „გერმანიის ფედერალური ეკონომიკის სამინისტრო“, რომელმაც შექმნა სპეციალური ჯგუფი (კომისია) ელექტროენერჯის გადამცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობის პირობების განხილვაზე სამუშაოდ. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი (კომისია) ჩამოყალიბდა 2001 წლის აპრილში და იგი შედგება სულ რამდენიმე ადამიანისაგან. ამ ჯგუფს არ გააჩნია არანაირი გადაწყვეტილების ერთპიროვნული მიღების უფლება და იგი მოლაპარაკებებში მონაწილეობს, როგორც „შუამავალი“ მხარეებს შორის. მეორე მხრივ, „გერმანიის ელექტროენერგეტიკული კომპანიების ასოციაცია“ დაიწყო სამ დამოუკიდებელ ერთეულად: „გადაცემის ოპერატორების ასოციაცია“; „რეგიონული გამანაწილებელი კომპანიების ასოციაცია“ და „მუნიციპალური დისტრიბუტორების ასოციაცია“. უკვე ამ ასოციაციების მონაწილეობით მიღებულ იქნა ახალი „ასოციაციის შეთანხმება“ (ეწოდება VVII+).

„ასოციაციების შეთანხმება“ განსაზღვრავს საფუძველს კონტრაქტებისათვის. მასზე დაყრდნობით მხარეებმა, თავის მხრივ, უნდა განსაზღვრონ კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მიიღება მხარეებისათვის გადამცემ ხაზებთან ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პირობები და ტარიფები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გადაცემის ოპერატორები იტოვებენ უფლებას მიიღონ ან არ მიიღონ „ასოციაციის შეთანხმებით“ გათვალისწინებული პირობები. „ასოციაციების შეთანხმების“ ერთ-ერთი მახასიათებელია ამ შეთანხმებების დროში შეზღუდვა, ანუ ასოციაციები მოლაპარაკებისას განაზღვრავენ „შეთანხმების“ მოქმედების ხანგრძლივობას. მაგალითად: VVII და VVII+ „ასოციაციის შეთანხმებები“ გაფორმდა 2 წლიანი ვადით. „ასოციაციის შეთანხმება“ ასევე ითვალისწინებს კონფლიქტებისა და უთანხმოებების გადაჭრის მექანიზმსაც, საარბიტრაჟო პროცესების მეშვეობით.

ასე, რომ გადამცემ და გამანაწილებელ ხაზებთან ხელმისაწვდომობის პროცედურები და რეფორმის სტრუქტურის განსაზღვრა მთლიანად რეგულირდება კერძო სექტორის მიერ. სახელმწიფო ორგანოები კი ხელს უწყობენ ამ სექტორის მიერ მიღებული ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელებას.

თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორის განმსაზღვრელი როლი გადამცემ და განაწილების ხაზებთან ხელმისაწვდომობის პირობებისა და ტარიფების დადგენაში არ ნიშნავს იმას, რომ გერმანიის ენერგოსისტემაში საერთოდ არ არსებობს სახელმწიფო რეგულირება.

„რეფორმების აქტის“ პრაქტიკული განხორციელების დაწყებისთანავე კანონმდებლობის წამყვანი როლი რეფორმების განხორციელებაში თანდათანობით „შესუსტდა“ და იგი ეტაპობრივად გადაეცა „გერმანიის კარტელის ოფისს“, ერთადერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს მონიტორინგი გაუწიოს კონკურენტული სიტუაციის ჩამოყალიბებას.

„გერმანიის კარტელის ოფისი“ (Bundeskartellamt), რომელიც შეიქმნა 1957 წელს, წარმოადგენს ერთადერთ ოფიციალურ ორგანოს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს (არეგულიროს) ელექტროენერჯის გადაცემის სისტემაზე. გარდა ამისა, 2001 წელს ამ ორგანოს ფარგლებში შეიქმნა „ელექტროსისტემის ხაზებთან ხელმისაწვდომობის“ (Electricity Grid Access) დეპარტამენტი.

„გერმანიის კარტელის ოფისი“ წარმოადგენს გერმანიის ფედერალური ხელისუფლებისაგან კონსტიტუციურად და იურიდიულად დამოუკიდებელ ორგანოს. შესაბამისად, კარტელი ერთდროულად ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილების სისტემაზე გარკვეულ ზედამხედველობას და, ამასთან, წარმოადგენს კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს. მისი მთავარი ფუნქციებია: ზემოქმედება

ბაზარზე შექმნილი მონოპოლიური სიტუაციის გასანეიტრალებლად, წინასწარი ღონისძიებების გატარება ბაზარზე რომელიმე ბიზნესის კონცენტრაციის მაღალი ღონის შემჩნევის შემთხვევაში და სხვ.

ტრადიციულად, გერმანიაში კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოები თავიანთ ქმედებებს ელექტროენერგეტიკასთან მიმართებაში, ძირითადად, ახორციელებდნენ პოსტფაქტუმ, ანუ მას შემდეგ, რაც შესაძლო მონოპოლიური გადაწყვეტილებები მიღებული იქნებოდა შესაბამისი კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ. „კარტელის“ უფლებები ამ შემთხვევაში განისაზღვრება წესებით, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ სფეროში უნდა აღიკვეთოს რომელიმე კომპანიის (ბიზნესის) დომინანტი პოზიცია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გერმანიაში მოქმედ კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოებს არ გააჩნიათ მექანიზმები, რათა გაეღწა მოახდინონ ამ სფეროში მოსალოდნელ პროცესებზე, სანამ ამ პროცესების პრაქტიკული განხორციელება დაიწყება. გერმანიაში კონკურენციის მარეგულირებელმა ორგანომ, კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება განახორციელოს სხვადასხვა სახის ზემოქმედება ელექტროსექტორში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, სანამ ისინი რეალურად ამოქმედდება.

ამ მექანიზმების განსახილველად საჭიროა მოკლედ აღვწეროთ გერმანიაში მოქმედი ელექტროენერგეტიკის თვითრეგულირებადი სისტემა:

ასეთი თვითრეგულირებადი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი შესაძლებელია სამ პირობით ეტაპად დაიყოს:

- 1) თვითრეგულირებადი „ასოციაციების შეთანხმება“ იღება პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარეების მიერ. შეთანხმებაში მონაწილე ყველა ასოციაციას გააჩნია ვეტოს უფლება. აქვე აღსანიშნავია, რომ ხმის მიცემა მიმდინარეობს არა რომელიმე ცალკეული წესისათვის, არამედ გარკვეული სფე-

როს მარეგულირებელი წესების ერთობლიობისათვის (პაკეტისათვის). ეს პაკეტები კენჭისყრის შედეგად ან მიიღება ან არა;

- 2) „ასოციაციების შეთანხმების“ კონკურენციაზე ორიენტირების ხარისხის შეფასების შემდეგ კონკურენტული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა კანონმდებლობით მინიჭებული სანქციები მიღებული „ასოციაციის შეთანხმების“ წინააღმდეგ;
- 3) თუ კონკურენციის ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას სანქციის (ვეტოს უფლების) გამოყენების შესახებ, იგი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს „ასოციაციის შეთანხმებასთან“ მიმართებაში, კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლება გამოიყენოს სამი სახის მიდგომა:

- 1) მიიღოს „ასოციაციის შეთანხმება“;
- 2) განაცხადოს, რომ „ასოციაციის შეთანხმება“ ეწინააღმდეგება კონკურენციის შესახებ კანონმდებლობას და ვეტო დააღოს „შეთანხმებას“;
- 3) განაცხადოს, რომ „ასოციაციის შეთანხმება“ ეწინააღმდეგება კონკურენციის შესახებ არსებულ კანონმდებლობას, მაგრამ შეთანხმებაში მონაწილე ასოციაციებს ნება დართოს შეზღუდული პერიოდის განმავლობაში განახორციელონ თავიანთი საქმიანობა უკვე მიღწეული „შეთანხმების“ შესაბამისად.

კარტელი ყველაზე ხშირად იყენებს უკანასკნელ სტრატეგიას, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

- ა) „ასოციაციის შეთანხმების“ დაბლოკვამ, ანუ სისტემის თვითრეგულირების მექანიზმის დაბლოკვამ შეიძლება გამოიწვიოს

მრავალი გართულება სისტემაში (უმჯობესია არსებობდეს „ცუდი ასოციაციის შეთანხმება“ (ცუდი რეგულირება), ვიდრე საერთოდ არ არსებობდეს იგი);

ბ) „ასოციაციის შეთანხმებაზე“ ვეტოს დადების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში, რაც იწვევს გაჭიანურებულ, დროში გაწელილ სასამართლო გარჩევებს. ეს კი გარკვეული პერიოდის განმავლობაში (სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს) არაფერს მატებს სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას; დასასრულ, ვეტოს გამატყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ასუსტებს კარტელის, როგორც სამართლიანი არბიტრის იმიჯს;

გ) „ცუდი“ ასოციაციის შეთანხმებისათვის“ მოქმედების შეზღუდული ვადის დადგენა სტიმულს აძლევს „შეთანხმებაში“ მონაწილე მხარეებს განაახლონ მოლაპარაკებები კარტელის კრიტიკის არეალში მოქცეულ საკითხებთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაბამისი გერმანული კანონმდებლობა პრიორიტეტს ანიჭებს გარკვეული ენერჯის წყაროებით გამომუშაებულ ელექტროენერგიას.

გერმანიის ამ გამოცდილებას ახლა სხვა ქვეყნებიც ითვალისწინებენ. მაგალითად, თურქეთის პარლამენტმა ახლახან მიიღო კანონი, რომელიც ტარიფის გარანტირებულ მინიმალურ დონეს ადგენს იმ ელექტროენერგიაზე, რომელიც გამოიმუშაება ენერჯის განახლებადი წყაროებიდან. ეს, პირველ რიგში, ეხება ქარის ელექტროსადგურებს, აგრეთვე მზისა და გეოთერმული წყლების ენერგეტიკულ პროექტებს. ახალი კანონის თანახმად, საშუალო ტარიფი ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე ენერჯის განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერგიაზე, ფიქსირებული იქნება 7 წლის განმავლობაში.

„ასოციაციების შეთანხმებით“ გარკვეული პრიორიტეტები მინიჭებული აქვთ ქვანახშირით მიღებული ელექტროენერჯის მწარმოებლებს. ეს კანონი იცავს აღმოსავლეთ გერმანიის ქვანახშირის ინდუსტრიას და, შესაბამისად, აქ წარმოებული ელექტროენერჯის 40% მიიღება ქვანახშირისაგან. გარდა ამისა, „პარალელური გენერაციის კანონით“, კომბინირებული ორთქლისა და ენერჯის დანადგარებით (სადგურებით) გამომუშავებული ელექტროენერჯის მიწოდების შემთხვევაში, შემსყიდველებისაგან გენერატორები იღებენ გარკვეულ დამატებით მოგებას (დაახლოებით 0.25 ევროს ოდენობით).

ასევე, პრიორიტეტულია განახლებადი ენერჯის წყაროებისაგან მიღებული ელექტროენერჯია. „განახლებადი ენერჯის კანონის“ შესაბამისად, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის მწარმოებლები არა მარტო იღებენ ფიქსირებულ დამატებით შემოსავლებს ამ სახის ენერჯის გაყიდვებიდან, არამედ შემსყიდველები ვალდებული არიან უპირატესად შეისყიდონ ამგვარად წარმოებული ელექტროენერჯია. გადაცემის ოპერატორი, რომელიც ყველაზე ახლოს იმყოფება ამგვარი ენერჯის მწარმოებელთან, ვალდებულია შეისყიდოს და ასეთი ენერჯის მწარმოებელს აუნაზღაუროს დამატებითი მოგება. ამჟამად განახლებადი ენერჯის წყაროებით წარმოებული ელექტროენერჯის მოცულობა გერმანიაში წარმოებული ელექტროენერჯის საერთო მოცულობაში შეადგენს 8%-ს.

დღესდღეობით გერმანიაში მოქმედებს დაახლოებით 6 გადაცემის სისტემური ოპერატორი, რომლებიც აკონტროლებენ გამომუშავებული ენერჯის დაახლოებით 85%-ს, ხოლო დანარჩენ 15%-ს აკონტროლებს მუნიციპალიტეტები.

აქვე, შეიძლება ითქვას, რომ ელექტროენერჯეტიკული სისტემის რესტრუქტურისა და ლიბერალიზაციის გერმანული მოდელი სახელმწიფოს მხრიდან განიცდის მინიმალურ ჩარევას (ზემოქმედებას) და სექტორის დეტალური რეგულირება ხორციელდება უშუ-

ალოდ პროცესში მონაწილე კერძო კომპანიების (მათი გაერთიანებების) მიერ. სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე რეგულირებად სფეროს ამ სისტემაში (როგორც სხვა ქვეყნების ენერგოსისტემებში) წარმოადგენს ენერჯის წყაროებთან ხელმისაწვდომობის პირობების განსაზღვრა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. 2005 წლის ბოლოს გამოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 13 ივლისიდან გერმანიაში ძალაში შევიდა ახალი კანონი ენერგეტიკის შესახებ, რომელმაც ფაქტობრივად ახალი ერა დაიწყო ამ ქვეყნის ენერგეტიკულ კანონმდებლობაში. ახალი კანონმდებლობით, მარეგულირებელი ორგანო უკვე ადგენს ტარიფებს ელექტროენერჯის გადაცემაზე, ქსელზე დაშვებაზე და, მნიშვნელოვან ფარგლებში, საინვესტიციო ვალდებულებებზე. შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „ასოციაციის შეთანხმების“ გზით დარჯის თვითრეგულირების სისტემა, რომელიც ამ კანონის მიღებამდე გერმანიაში გამოიყენებოდა, წარსულს ჩაბარდა.

### **3.4. იაპონია**

ბოლო 25 წლის მანძილზე იაპონიის სტაბილური ენერგოუზრუნველყოფა წარმოადგენს ამ ქვეყნის მთავრობის მთავარ პრიორიტეტს. იაპონიას არ გააჩნია საკუთარი ბუნებრივი ენერგორესურსები და, შესაბამისად, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმპორტირებულ ენერგიაშემცველებზე. იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხის გამო, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ნავთობზე არსებულმა მსოფლიო კრიზისმა გამოიწვია იაპონიის ენერგოსისტემის მწვავე დეფიციტი. ამის შემდეგ იაპონიის მთავრობის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა და ელექტროენერჯიაზე ქვეყნის მოთხოვნილების ასეთი სახით მიღებული ელექტროენერჯით დაკმაყოფილება. ასევე, ყურადღება გამახვილდა ქვანახშირსა და გაზზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობაზე

და შედარებით მცირე მოცულობით, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებულ ელექტროენერჯიაზე.

ბირთვული ენერჯის გამოყენების ზრდა იაპონიის ენერჯოსისტემაში გამოწვეული იყო სამი ძირითადი ფაქტორით:

- ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
- ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება და გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების შემცირება.

იაპონიის მთავრობა დღესაც აგრძელებს ქვეყნის ბირთვული პოტენციალის ზრდაზე მუშაობას და 2010 წლამდე იგეგმება 10-15 დამატებითი ატომური რეაქტორის მშენებლობა.

იაპონიის ელექტროსისტემის ძირითადი მახასიათებლები

იაპონური ელექტროენერგეტიკული სისტემა შედგება 10 ძირითადი ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიისაგან; მათ შორისაა ჰოკაიდოს, ტოჰუკუს, ჰინსუს, ტოკიოს, ჩუბუს, ჰოკორიკუს, კანსაის, ოკინავას და სხვა ელექტროენერგეტიკული კომპანიები.

აღნიშნული კომპანიები ჩამოყალიბდნენ 1951 წელს და დღესაც წარმოადგენენ მკაცრი ვერტიკალური ინტეგრაციის მქონე კომპანიებს. ისინი ახორციელებენ გენერაციის, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების ოპერაციებს. ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიებიდან სამი (ტოკიო, კანსაი და ჩუბუ) მსოფლიო სტანდარტებითაც კი უდიდეს ბუნებრივ მონოპოლიებს წარმოადგენენ. მაგალითად, ტოკიოს ელექტროენერგეტიკული კომპანია სიდიდით მეორეა მსოფლიოში საფრანგეთის ენერჯოკომპანიის შემდეგ. ელექტროენერგეტიკული სექტორი რეგულირდება იაპონიის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ. ეს სამინისტრო გასცემს ლიცენზიებს, არეგულირებს ტარიფებს და ამტკიცებს ახალი



მშენებლობების გეგმებს. ასევე, სამინისტრო პასუხისმგებელია უსაფრთხოებისა და სხვა ტექნიკური ნორმების დასადგენად.

იაპონიაში ელექტროენერგიაზე ფასები ყველაზე მაღალია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში“ (OECD)<sup>3</sup> შემავალ ქვეყნებს შორის. ფასები მაღალია რამდენიმე, იაპონიისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორის გამო. კერძოდ: ბუნებრივი ენერგორესურსების სიმცირე, ძალიან მკაცრი ეკოლოგიური ნორმები, დღე-ღამისა და სეზონურობის მიხედვით ელექტროენერგიაზე მოთხოვნას შორის დიდი სხვაობა. ასევე, ახალი გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობის მაღალი ღირებულება.

### ინდუსტრიის სტრუქტურა

როგორც აღინიშნა, იაპონიის ელექტროსისტემაში გაერთიანებულია 10 ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული კომპანია. ყველა ეს კომპანია წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას. ამასთან, თითოეულ კომპანიას გააჩნია მკაცრად განსაზღვრული გეოგრაფიული ტერიტორია, რომლის ფარგლებში ისინი ახორციელებენ თავიანთ ბიზნესებს.

---

<sup>3</sup> „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ OECD ჩამოყალიბდა 1947 წელს და მასში გაერთიანებულია 30 ქვეყანა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იაპონია, სამხრეთ კორეა, ლუქსემბურგი, პოლანდია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.

## გენერაცია

„ელექტროენერჯის განვითარების კორპორაცია“ ფლობს და ექსპლუატაციას უწევს დიდ ჰიდროელექტროსადგურებს, ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგურებს, გეოთერმულ სადგურებს და მათთან დაკავშირებულ გადამცემ ხაზებს. ამ კომპანიის გენერაციული სიმძლავრე შეადგენს 13 915 მეგავატს, რაც ქვეყნის საერთო გენერაციული სიმძლავრის 6%-ს შეადგენს. სახელმწიფო ფლობს ამ კომპანიის აქციების 2/3-ს, ხოლო იაპონიაში მოქმედი დანარჩენი ელექტროენერგეტიკული კომპანიები (ოკინავას გარდა) ფლობენ ამ კომპანიის აქციათა დანარჩენ 1/3-ს.

„იაპონიის ატომური გენერაციის კორპორაცია“, რომელიც 1957 წელს 9 ელექტროენერგეტიკული კომპანიის მიერ დაფუძნდა, ფლობს სამ ბირთვულ რეაქტორს, რომელთა მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს 2 617 მეგავატს. „იაპონიის ატომური გენერაციის კორპორაციის“ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის შემსყიდველები მოქმედი ენერგოკომპანიებია.

გარდა ზემოაღნიშნული მსხვილი გენერატორებისა, იაპონიის ენერგოგენერაციის ბაზარზე მოქმედებს 34 კომპანია, რომელთა აქციების მფლობელი სახელმწიფოა. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ასევე მიეწოდება ზემოაღნიშნულ ენერგოკომპანიებს. 34 გენერაციის კომპანიის გენერაციული სიმძლავრე შეადგენს 2 492 მეგავატს და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, ძირითადად, ჰიდრორესურსებისაგან იწარმოება.

მსხვილი სამრეწველო საწარმოების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 24 400 მეგავატს. ელექტროენერგია, ძირითადად, იწარმოება თხევადი საწვავისა და ქვანახშირისაგან. აღნიშნულ მსხვილ საწარმოებს წარმოადგენენ ფოლადის, ცემენტის, ქალაღლის მწარმოებელი კომპანიები, ასევე, ქიმიური კომბინატები. აღნიშნული საწარმოები მოიხმარენ

წარმოებულ ელექტროენერჯის საკუთარი საჭიროებისათვის, ან ყიდიან იაპონიაში მოქმედ ენერგოკომპანიებზე.

## გადამცემი ხაზების სტრუქტურა

იაპონიაში მოქმედი ენერგოკომპანიები, რომლებიც ემსახურებიან იაპონიის აღმოსავლეთ ნაწილს (ჰოკაიდო, ტოჰუკუ და ტოკიო), ელექტროენერჯის მიწოდებას ახორციელებენ 50 ჰერცი სიხშირით, ხოლო დასავლეთ იაპონიის მომმარაგებელი კომპანიები იყენებენ 60 ჰერც სიხშირეს. სიხშირის გადამყვან სადგურებს ოპერირებას უწევს „ელექტროენერჯის განვითარების კორპორაცია“. გადამცემი ხაზების უდიდესი ნაწილი კარგ მდგომარეობაშია, თუმცა იაპონიის მთაგორიანი რელიეფი ართულებს სხვადასხვა გეოგრაფიული ზონების ელექტროსისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობას. აღსანიშნავია, რომ გასაგები მიზეზების გამო არ არსებობს სხვა ქვეყნების ენერგოსისტემებთან ურთიერთკავშირი.

## ფასები ელექტროენერჯიაზე

როგორც აღინიშნა, იაპონიაში ელექტროენერჯიაზე ფასები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია OECD-ში შემავალ ქვეყნებში, რაც გამოწვეულია რამდენიმე ძირითადი მიზეზით

## მაღალი კაპიტალდაბანდებების აუცილებლობა გენერაციული სიმძლავრეების მშენებლობისას

მიწის სიძვირე, დიდი საკომპენსაციო გადასახადები ადგილობრივი მოსახლეობისათვის და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები (მაგალითად, მიწისძვრისადმი მდებგობა) იწვევს ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებების მოცულობის ზრდას. გარდა ამისა, იაპონური ენერგოკომპანიები ისტორიულად დამოკიდებული იყვნენ მიწმოდებელთა (მარაგნაწილები და სხვ.) მცირე რაოდენობაზე და მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო უცხოური (არაიაპონური) კომპანიების მონაწილეობა იაპონური

ენერგოკომპანიების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. შესასყიდი მოწყობილობების ძალიან მაღალი ტექნიკური სტანდარტები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე იწვევს ელექტროენერჯის ფასების ზრდას.

## საწვავის მაღალი ფასები

იაპონური ენერგოკომპანიები ნავთობში, თხევად საწვავში, იხდიან 20%-ით მეტს OECD-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით. იაპონიაში თხევად საწვავზე მაღალი საბაჟო გადასახადები განაპირობებს ამ ტიპის საწვავზე მაღალ ფასებს. ასევე მაღალია ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასებიც.

მაღალია ქვანახშირის შესასყიდი ფასებიც, რაც გამოწვეულია იმით, რომ გენერაციის ობიექტების მიერ, ძირითადად, ხორციელდება უმაღლესი ხარისხის ქვანახშირის შესყიდვა, რათა დაკმაყოფილდეს ხელისუფლების მიერ დაწესებული ეკოლოგიური მოთხოვნები. ქვანახშირზე ფასების ზრდას განაპირობებს იაპონური თბოელექტროსადგურებისადმი წაყენებული მაღალი ტექნიკური მოთხოვნები და ხანგრძლივადიანი კონტრაქტების ტრადიცია, რომელიც ითვალისწინებს პრემიების გადახდას ქვანახშირის ხანგრძლივი და უწყვეტი მიწოდებისათვის.

ბუნებრივი გაზის ფასები მაღალია დიდი გადასახადებისა და იმის გამო, რომ გაზის იმპორტირება ხორციელდება თხევადი სახით. ეს, ცხადია, დამატებით დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ბუნებრივი გაზის თხევადი სახით შემოტანასთან დაკავშირებული დანახარჯები უკვე თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ასეთი სახით ტრანსპორტირებული გაზისაგან მიღებული ელექტროენერჯია უფრო ძვირი იქნება იმ ქვეყნების ელექტროენერჯის ფასებთან შედარებით, სადაც გაზის ტრანსპორტირება მილსადენების მეშვეობით ხორციელდება.

## გადაცემისა და განაწილების მაღალი ტარიფები

იაპონიაში გადაცემისა და განაწილების მაღალი ტარიფები გამოწვეულია მიწის სიძვირის, მთავორიანი რელიეფის, მშენებლობის ძალიან მაღალი ტექნიკური სტანდარტებისა (მიწისძვრისადმი მდებარეობა) და ძალიან მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო.

## ეკოლოგიური უსაფრთხოების დადგენილი სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები

იაპონიის ეკოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტები ძალიან მკაცრია. შედეგად, ქვანახშირზე ან თხევად საწვავზე მომუშავე თითქმის ყველა თბოელექტროსადგური დაკომპლექტებულია სპეციალური ფილტრებით, რომლებიც ამცირებენ ნახშირორჟანგის გამოყოფას. ასეთი ფილტრების დამონტაჟება გაზრდილ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „ჰაერის დაბინძურების კონტროლის კანონი“ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევს, თუკი საჭიროდ ჩათვლიან, დააწესონ უფრო მკაცრი ეკოლოგიური შეზღუდვები, რაც იწვევს გამომუშავებული ელექტროენერჯის ღირებულების დამატებით გაძვირებას.

## რეგულირება

როგორც აღინიშნა, იაპონიის ელექტროენერგეტიკულ სისტემას არეგულირებს იაპონიის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. უშუალოდ ენერგეტიკის სექტორს კი კურირებს სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ეწოდება „ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სააგენტო“.

„ელექტროენერგეტიკული მრეწველობის შესახებ“ კანონი წარმოადგენს იაპონიაში მოქმედ მთავარ საკანონმდებლო აქტს, რომელიც არეგულირებს ამ ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემას. ასევე,

მოქმედებს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებები და ბრძანებულებები.

„ელექტროენერგეტიკული მრეწველობის შესახებ“ კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს იაპონიის ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს (ამ შემთხვევაში, იაპონიის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო) როლსა და ფუნქციებს ამ სისტემაში.

### **გადამცემ და გამანაწილებელ ხაზებთან ხელმისაწვდომობის რეგულირება**

„ელექტროენერგეტიკული მრეწველობის შესახებ“ კანონი მოითხოვს, რომ ელექტროენერგეტიკულმა კომპანიებმა გადაცემისა და განაწილების ტარიფები განსახილველად წარუდგინონ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს. ტარიფის განხილვის შემდეგ სამინისტროს უფლება აქვს მოიწონოს და დაამტკიცოს ტარიფი, ან მასში შეიტანოს შესწორებები და უკან დაუბრუნოს წარმომდგენს თავიდან განსახილველად.

### **ტარიფებისა და მოგების რეგულირება**

სტანდარტული ტარიფები და სხვა, ელექტროენერჯის მიწოდებასთან დაკავშირებული პირობები ასევე განხილულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ. იმისათვის, რომ განსახილველად წარდგენილი ტარიფი სამინისტრომ დაამტკიცოს, კანონი მოითხოვს, რომ „ტარიფი უნდა წარმოადგენდეს სამართლიან და ზუსტად გათვლილ ელექტროენერჯის მიწოდებაზე გაწეული დანახარჯების ჯამს და, ამასთან, უნდა შეიცავდეს სამართლიანად და ეკონომიკურად მიზანშეწონილ მოგების მარჟას, რომელიც მიიღწევა ეფექტური მენეჯმენტით“. ასევე, „ადგილი არ უნდა ჰქონდეს რომელიმე კონკრეტული პირის დისკრიმინაციას“. თუ სამინისტრო ჩათვლის, რომ რაიმე სოციალური თუ ეკონომიკური პირობების ცვლილებების გამო ტარიფი არ არის „ეკონომიკურად სამართლიანი“ და არ შეესაბამე-

ბა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ინტერესებს, მაშინ სამინისტროს შეუძლია ტარიფის წარმდგენ კომპანიას მოსთხოვოს ტარიფში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები.

იაპონიის ელექტროენერგეტიკის რეგულირების სქემის საფუძველს წარმოადგენს მოგების ნორმის კონტროლი. მაგალითად, 1998 წლის სექტემბერში რეგულირებადი მოგების ნორმის სიდიდე განსაზღვრული იყო ძირითადი კაპიტალის 4.4%-ის ოდენობით. კაპიტალის შეფასება ხდება სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესებისა და რეგულირების შესაბამისად. სამინისტრო განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებს, რომლის შესაბამისადაც უნდა იმუშაონ ენერგეტიკულმა კომპანიებმა.

### სისტემის სტაბილურობის რეგულირება

ელექტროენერჯის მიწოდების სტაბილურობის უზრუნველყოფას ასევე არეგულირებს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებები და რეგულირების წესები განსაზღვრავენ ელექტროენერჯის ხარისხის სტანდარტებს (სიხშირესა და ძაბვას). ასევე, სამინისტროს შეუძლია რომელიმე კომპანიას მიუთითოს, რომ გააუმჯობესოს მიწოდებული ელექტროენერჯის ხარისხი, თუკი იგი ჩათვლის, რომ კომპანიის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ხარისხი არაა დამაკმაყოფილებელია.

ყოველი ენერგოკომპანია სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგენს ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ 10-წლიან გეგმას. იგი მოიცავს კომპანიების მფლობელობაში არსებული დანადგარების ჩამონათვალს, მათი ტექნიკური მდგომარეობისა და მახასიათებლების დეტალურ აღწერას. თუ სამინისტრო ჩათვლის, რომ გეგმა არ შეესაბამება ან ვერ აკმაყოფილებს სამინისტროს მიერ შემუშავებულ ელექტროენერგეტიკის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს, მაშინ მას შეუძლია უარყოს გეგმა და მითითებები მისცეს კომპანიას, გარკვეული ვადის განმავლობაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს გეგმასა და კომპანიის საქმიანობაში.

## ტექნიკური რეგულირება

სამინისტრო არეგულირებს ენერგოკომპანიების ტექნიკური დანადგარებისა და მოწყობილობების გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებაში, განსაკუთრებით 1995 წლამდე, გარკვეული შეფერხებები აღინიშნებოდა. იგი გამოწვეული იყო სამინისტროს მიერ ენერგოკომპანიების გენერაციული სიმძლავრეების ხშირი ტექნიკური შემოწმებით. ეს კი წარმოადგენდა ენერგოკომპანიების უკმაყოფილების საფუძველს. მაგალითად, გაზოტურბინების მფლობელი კომპანიები ყოველ 30 თვეში ერთხელ ვალდებული არიან სრულად დაშლონ გაზოტურბინა და მხოლოდ სამინისტროს წარმომადგენლების მიერ მისი ნაწილების შემოწმებისა და დადებითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში აქვთ უფლება ისევ ააწყონ და თავიდან დაიწყონ მუშაობა. ეს კი, რა თქმა უნდა, შემოსავლების შემცირებასა და დამატებით დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

1995 წელს, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ტექნიკური რეგულირების პირობები შედარებით შერბილდა, თუმცა კვლავ რჩება უმკაცრესი OECD-ს წევრ ქვეყნებს შორის.

## კანონი კონკურენციის შესახებ

კონკურენციის შესახებ კანონი („ანტიმონოპოლიური აქტი“) წარმოადგენს კანონს, რომელიც განსაზღვრავს იაპონური სამრეწველო ბაზრის სხვადასხვა სექტორებზე, სახელმწიფოს მიერ კონკურენციის ხელშემწყობი პირობების შექმნის ძირითად მიმართულებებს.

„იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისია“ წარმოადგენს მთავარ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული პრინციპების შესრულებასა და მონიტორინგზე. „იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისიას“ გააჩნია მრავალი ფუნქცია და საკმარისი უფლებამოსილება, რათა განახორციელოს ღონისძიებები ბაზრის რომელიმე სექტორზე შექმნილი მონოპოლიური სიტუაციის აღსაკვეთად. რაც შეეხება ელექტროენერგეტიკულ მრეწველობას და მასთან დაკავშირებულ ქმედებებს კონკურენტუ-



ლი სიტუაციის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის ეს დარგი „ანტიმონოპოლიურ აქტში“ წარმოადგენს გამონაკლისს. ამ კანონის 21 თავი ელექტროენერგეტიკული კომპანიების მიერ გაწეულ საქმიანობას განსაზღვრავს, როგორც ბუნებრივ მონოპოლიას. ასე, რომ „იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისიის“ როლი ელექტროენერგეტიკულ სექტორში კონკურენციის ჩამოყალიბების საქმეში ძალიან შეზღუდულია, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე.

### ელექტროენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფოს მონაწილეობა

იაპონიის ხელისუფლება ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესებში ფინანსურად ჩართულია რამდენიმე გზით. მთავრობა „ელექტროენერჯის განვითარების კორპორაციის“ (იაპონიის უმსხვილესი გენერატორი) წილის 2/3-ის მფლობელია. სახელმწიფო ასევე ფლობს „იაპონიის ბირთვული ენერჯის კორპორაციის“ წილსაც. ხელისუფლებას ელექტროენერგეტიკულ სექტორზე არაპირდაპირი ფინანსური გავლენა აქვს ენერგომატარებლების მოხმარების პოლიტიკაში პრიორიტეტების განსაზღვრის გზითაც. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრიორიტეტადაა აღიარებული ატომური სადგურებისაგან მიღებული ელექტროენერჯის ოდენობის გაზრდა და ადგილობრივი ქვანახშირის მოხმარება. ტრადიციულად, „იაპონიის განვითარების ბანკი“ იმ კომპანიებზე, რომლებიც ელექტროენერჯიას აწარმოებენ აღნიშნული ენერგომატარებლების მეშვეობით, კრედიტებს გასცემს უფრო შეღავათიანი პირობებით, ვიდრე იმ კომპანიებზე, რომლებიც ელექტროენერჯიას აწარმოებენ თხევადი საწვავისაგან. ასეთ კომპანიებზე გაცემული კრედიტების წილი შეადგენს მხოლოდ 6%-ს, გენერაციულ ობიექტებზე გაცემული კრედიტების საერთო მოცულობაში.

## დასკვნა

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ მსოფლიოს 4 წამყვანი ქვეყნის ენერგეტიკის რეგულირების მოდელები. შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე მათგანი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება; თუმცა არც ერთ დასახელებულ ქვეყანაში „შუქის პრობლემა“ არ არსებობს. ანალიზმა ცალსახად დაადასტურა დარგის რეგულირების აუცილებლობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საუკეთესო შედეგები მიიღწევა იქ, სადაც ბაზრის „უხილავ ხელს“ შიგადაშიგ სახელმწიფოს „ხილული ხელი“ შეეშველება.

განხილულ ქვეყნებს შორის დიდი ბრიტანეთისა და უელსის მაგალითი ენერგეტიკის რეგულირებაში ერთ-ერთი წარმატებულია. გარდა ამისა, ამ ქვეყნისთვისაც სრულყოფილი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება მეტად რთული პრობლემა აღმოჩნდა, რადგანაც კომპანიები გამუდმებით „ბუნებრივად“ მიისწრაფიან ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. მართალია, აქ მოხერხდა გენერაციის სექტორის გამოყვანა რეგულირების სფეროდან, მაგრამ შეუძლებელი გახდა მიწოდებისა და დისტრიბუციის სრული განცალკევება. ამის გამო აუცილებელი შეიქმნა პრივატიზებული და რესტრუქტურულიზებული ბუნებრივი მონოპოლიის ნაწილის მუდმივი კონტროლი და რეგულირება. დასკვნა ერთია: ბაზრის სტრუქტურის ცვლილების შესაბამისად უნდა იცვლებოდეს რეგულირების წესები და მეთოდები. ბრიტანულმა მაგალითმა ცხადყო, რომ ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო წილის შემცირების პარალელურად, გაიზარდა პრივატიზებული სექტორის დეტალური და მკაცრი რეგულირების აუცილებლობა.

სახელმწიფოს „ხილული ხელის“ ჩარევის საჭიროება სხვადასხვა ზომით გამოვლინდა იტალიის, გერმანიისა და იაპონიის ენერგეტიკულ სექტორებში.

იტალიის ენერგეტიკა ევროპულ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე სუსტად ლიბერალიზებულია, მაგრამ საწყის ეტაპთან შედარებით ამ მხრივ აქაც მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. მოხდა ქვეყნის უმსხვილესი ბუნებრივი მონოპოლიის ENEL-ის ნა-

წილობრივი პრიატიზება და რესტრუქტურისაცია, ღარგში გან-  
ზორციელდა შესაბამისი გარდაქმნები. მაგრამ ENEL-ის ჯერ-ჯე-  
რობით მონოპოლიური მდგომარეობა და, შესაბამისად, კონკურენ-  
ციის განვითარების საჭიროება, ქვეყანაში რეგულირების გაძლიე-  
რების აუცილებლობაზე მიუთითებს.

გერმანიის ენერგეტიკული სისტემის რეგულირება კარგა ხანს სპე-  
ციალიზებული მარეგულირებელი ორგანოს გარეშე ზორციელდე-  
ბოდა. მაგრამ ეს „ხარვეზი“ კარგად იყო შევსებული შესაბამისი  
კანონმდებლობისა და „ენერგეტიკულ ასოციაციათა შეთანხმების“  
საფუძველზე. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქვეყანაში 2005  
წლის მეორე ნახევარში ამოქმედდა ახალი კანონი ენერგეტიკის  
შესახებ, რომელმაც ღარგის გარკვეულ სფეროებში, რეგულირება  
შემოიღო. ეს მაგალითი კარგად უჩვენებს იმ ფაქტს, რომ ბუნებ-  
რივი მონოპოლიები საბოლოო ჯამში რეგულირებას საჭიროებენ,  
ზოლო თეორია მათი სრული დერეგულირების შესახებ ჯერჯერო-  
ბით ვერ ამართლებს განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა იაპონიაში. ეს ქვეყანა,  
რომელიც ენერგორესურსებით ღარიბი ქვეყანაა და თითქმის მთლი-  
ანად დამოკიდებულია იმპორტზე, ბოლო 25 წელია სტაბილური  
ენერგოუზრუნველყოფით გამოირჩევა. ეს ამ ქვეყნის მთავრობის  
მთავარი პრიორიტეტია. აქ ელექტროენერგეტიკული სექტორი რე-  
გულირდება ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინის-  
ტროს მიერ, რომელიც გასცემს ლიცენზიებს და არეგულირებს  
ტარიფებს. კომპანიები კი ვერტიკალურად ინტეგრირებულები არი-  
ან.

ზემოთ ნათქვამი იმაზე მიუთითებს, რომ თითოეულ ქვეყანას თავის  
სპეციფიკა, ტრადიციები და თავისებურებები გააჩნია, რომლებიც  
აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ენერგეტიკის რეგუ-  
ლირების ღროს. წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე,  
თუ რამდენად მარტივი და შესასრულებლად იოლი მოდელი იქნება  
ამ მიზნით არჩეული.

## ნაწილი 3. ენერგეტიკის რეგულირება სქართველოში

### თავი 1. ეკონომიკური რეზორმები ენერგეტიკაში

#### 1.1 ღარბის განვითარების ტენდენციები რეზორმამდე პერიოდში

საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების და, კერძოდ, მარეგულაციური ორგანოს შექმნის საჭიროებაში გარკვევისათვის მიზანშეწონილია მოკლედ დავახასიათოთ ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის მდგომარეობა რეფორმამდე პერიოდში.

ცნობილია, რომ ენერგეტიკა სტრატეგიული მნიშვნელობის საბაზო დარგია მთელი ეკონომიკისათვის. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები დიდად განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებასა და უსაფრთხოებას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებაში სერიოზული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ძვრები მოხდა. ამ პერიოდში ელექტროსადგურების სიმძლავრეები 4,6-ჯერ, ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება კი 3,8-ჯერ გაიზარდა.

ელექტროსადგურების მშენებლობის შედარებით ინტენსიური პერიოდი იყო 1961-1980 წლები. ამ პერიოდში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ისეთი მნიშვნელოვანი ელექტროსადგურები, როგორებიცაა თბილსრესი, ენგურჰესი, ვარციხის ჰესის სამი აგრეგატი და სხვ.

1980 წლის ბოლოს საქართველოში ყველა სახის ელექტროსადგურის დადგმულმა სიმძლავრემ 4155 მგტ-ს, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავებამ 14687,4 მლნ კვტსთ-ს მიაღწია, რაც 1960 წლის დონეს შესაბამისად 4,3 და 4-ჯერ აღემატებოდა.

მნიშვნელოვნად შეფერხდა ელექტროენერგეტიკის განვითარება მომდევნო ათწლეულში (1981-1990წწ.). დროის ამ მონაკვეთში ელექტროსადგურების სიმძლავრე მხოლოდ 8,8%-ით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერჯის წარმოება 3,1%-ით შემცირდა კიდეც. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა ჟინვალჰესი (1985 წ.), ვარციხეჰესის მეოთხე აგრევატი (1988 წ.), თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი 300 მეგავატი სიმძლავრით, საპროექტო ნიშნულს მიაღწია ენგურჰესის თაღოვანმა კაშხალმა (1989წ.), რომელმაც გარკვეულწილად გაზარდა მისი გამოიმუშავება, რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები ჩატარდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ თბოელექტროსადგურში.

თუ 1960 წლამდე საქართველოს ელექტროენერგეტიკა, ძირითადად, ჰიდროელექტროსადგურების ათვისების ხარჯზე ვითარდებოდა, მომდევნო წლებში სურათი შეიცვალა ენერგოსისტემაში წამყვანი ადგილი დაიკავა თბოელექტროსადგურებმა. ეს მოხდა 1965 წელს. ამ დროს მათზე მოდიოდა დადგმული სიმძლავრის 50,9% და ელექტროენერჯის გამოიმუშავების 53,8%. 1970 წელს პირველად საქართველოს ისტორიაში ელექტრობალანსი დადებითი იყო და მოხდა ელექტროენერჯის ექსპორტი. ელექტროენერჯის ნამეტმა კი თავის მაქსიმუმს 1980 წელს მიაღწია (1743,8 მლნ კვტსთ). ამ დროისათვის საქართველოს ელექტროენერგეტიკაში სიმძლავრეთა სტრუქტურა ასეთი იყო: თბოსიმძლავრებს ეჭირა 38,4%, ჰიდროელექტროსადგურებს 61,6%. ელექტროენერჯის გამოიმუშავების მიხედვით კი ჰესებზე მოდიოდა 43,6%, თბოსადგურებზე 56,4%.

1981-1990 წლებში ელექტროენერჯის წარმოება საქართველოში თითქმის ერთ დონეზე გაიყინა, მაშინ, როცა მისი მოხმარება შედარებით სწრაფად იზრდებოდა წლიურად საშუალოდ 500 მლნ კვტსთ-ით. ამიტომ, სწრაფად იზრდებოდა ელექტროენერჯის დეფიციტიც. 1988 წელს ქვეყანას დააკლდა მთელი ისტორიის მანძილზე სარეკორდო რაოდენობის ელექტროენერჯია 3.6 მლრდ კვტსთ. ზემოაღნიშნულ 24-წლიან პერიოდში საქართველოს ელექ-

ტრობლანსი დეფიციტური იყო. საერთო დეფიციტმა 21,5 მლრდ კვტსთ შეადგინა. დეფიციტი განსაკუთრებით კატასტროფული იყო 1984-1988 წლებში, როდესაც იგი 5,3-ჯერ გაიზარდა.

1990 წელს ქვეყანას დააკლდა 3,2 მლრდ კვტსთ ელექტროენერგია. მოთხოვნა ელექტროენერგიით დაკმაყოფილდა მხოლოდ 81,6%-ით. მაგრამ უზრუნველყოფის აღნიშნული დონეც რეალურად ვერ ჩაითვლება, რადგანაც მაშინ გამომუშავებული ელექტროენერგიის 46,7% მოდიოდა თბოელექტროსადგურებზე, სადაც, ძირითადად, იმპორტული საწვავი გამოიყენებოდა. 1990-1997 წლებში საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება შემცირდა 49,7%-ით, მოხმარება 53%-ით. გამომუშავების კლება შეიმჩნეოდა როგორც ჰესებში, ისე თბოსადგურებში. აღნიშნულ პერიოდში გამომუშავება შემცირდა ჰესებში 20,4%-ით, თესებში 6-ჯერ.

სამრეწველო გაერთიანებებში, განსაკუთრებით მსხვილ საწარმოებში, შემოდებული იქნა იძულებითი შეზღუდვები ელექტროენერგიის მოხმარებაში. მდგომარეობას ამწვავებდა ის გარემოებაც, რომ მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონი ამ მხრივ დეფიციტური აღმოჩნდა. 1988 წელს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა გამოიმუშავეს 53,4, ხოლო მოიხმარეს 53,5 მლრდ კვტსთ ელექტროენერგია. საერთო დეფიციტი კი მთლიანად საქართველოს ენერგოსისტემით იყო განპირობებული. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერების შემდეგ (1989წ.).

საქართველოში, გარდა იმისა, რომ შეყოვნდა ახალი ელექტროსადგურების ამოქმედება, იმავე წლებში გაუარესდა არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების დონეც. შემცირდა დადგმული საშუალოწლიური სიმძლავრის გამოყენების საათების რაოდენობა.

1980-1990 წლებში ელექტროენერგიის თვითღირებულება გაიზარდა 1,088 კაპ-დან 1,716 კაპ-მდე, ხოლო პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯი 372,2 გრ-დან 471,6 გრამამდე.

გაუარესდა ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა და სტრუქტურაც. 1990-1997 წლებში ელექტროენერჯის საერთო მოხმარებამ 2,3-ჯერ დაიკლო. მათ შორის მრეწველობაში იგი შემცირდა 8,8-ჯერ, ტრანსპორტზე 5,2-ჯერ. იგივე ტენდენცია იყო სოფლის მეურნეობაში (1997 წელს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერჯის წლიურმა მოხმარებამ მხოლოდ 14,4 მლნ კვტსთ შეადგინა), მშენებლობაში (1997 წლის მოხმარება 38,1 მლნ კვტსთ), კომუნალურ მეურნეობაში (384,1 მლნ კვტსთ) და ა.შ. აღნიშნულ პერიოდში ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა შეინიშნებოდა მხოლოდ მოსახლეობაში. 1997 წელს მოსახლეობამ მოიხმარა 2,5 მლრდ კვტსთ ელექტროენერჯია, რაც საერთო მოხმარების 33,5% შეადგინა. ამ წელს მოსახლეობაში დახარჯული ელექტროენერჯის რაოდენობა 1,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობაში ერთად აღებული. საქართველოს ელექტრობალანსის დამახასიათებელი ნიშანი იყო აგრეთვე „დანაკარგების“ შედარებით დიდი ხვედრითი წონა. 1990 წელს, მაგალითად, საერთო სარგებლობის ქსელში დაიკარგა 2,6 მლრდ კვტსთ, ანუ 15,1% ქვეყანაში მოხმარებული მთელი ელექტროენერჯისა და 18,6% წარმოებული ელექტროენერჯისა. შემდგომ წლებში „დანაკარგების“ წილი კიდევ უფრო გაიზარდა და 1994 წელს აღნიშნულმა პროცენტმა შეადგინა 31,3% და 35,4%.

მაშინდელ პირობებში საქართველოს ენერგოსისტემა იძულების წესით მუშაობდა არასტანდარტულ და ავარიულ ზღვარზე დასული პარამეტრებით. ეს კი დამანგრეველად მოქმედებდა სისტემის მოწყობილობა-დანადგარებზე. რესპუბლიკის ელექტროენერჯეტიკა ახალი ურთულესი სიძნელების წინაშე დადგა. საჭირო სახსრების უქონლობის გამო თითქმის შეწყდა ენერგობიძნელების სარემონტო სამუშაოები და გაძნელდა ელექტროსადგურების საწვავით მომარაგება. ვერ ხერხდებოდა ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილების მართვა. უკიდურესად მოუწესრიგებელი აღმოჩნდა ენერჯის აღრიცხვისა და მისი მოხმარების საფასურის ამოღების საქმე, მეტისმეტად გაიზარდა ელექტროენერჯის დანაკარგები. ვერ ხერხდებოდა არსებული

სიმძლავრეების სრული გამოყენება. 1995 წლის დასაწყისში საქართველოში ყველა სახის ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრე უდრიდა 4800 ათას კვტ-ს, მაშინ, როცა მუშა მდგომარეობაში იყო მხოლოდ 1800 ათას კვტ, ანუ 28,7%.

ენერგეტიკულმა კრიზისმა პიკს მიაღწია. სახეზე იყო ეკონომიკური დესტაბილიზაცია, დარგში აღმასრულებელი დისციპლინის მოშლა, ენერგეტიკული ობიექტების ძარცვა, კვალიფიციური კადრების გადინება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტამ ელექტროენერგეტიკას დააკისრა მისთვის უჩვეულო ფუნქციები: შენობების გათბობა, საკვების მომზადება და ცხელი წყლით უზრუნველყოფა, ხოლო ზოგიერთი საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში სათბობის ელექტროენერგიით ჩანაცვლება, განსაკუთრებით პურის ქარხნებსა და უზომოდ მომრავლებულ საცხობებში. ელექტროენერგიის მომხმარებლები გადახდისუნარიანი აღმოჩნდნენ. საწარმოების მხრიდან მკვეთრად შემცირდა მოთხოვნა ენერგიაზე, ხოლო მოსახლეობამ, პირიქით, მნიშვნელოვნად გაზარდა ენერგიის მოხმარება. ელექტროენერგია განურჩევლად მიეწოდებოდა ყველას – გადამხდელსა და არგადამხდელს. დარგის შემოსავლები 15-20%-ის ფარგლებში მერყეობდა. ამის გამო შეყოვნდა, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად შეწყდა ენერგეტიკული ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტები, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება, მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემა. დარგს ფარულად დაეკისრა სოციალური უზრუნველყოფის ფუნქცია. სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ინერციით განაგრძობდნენ ფუნქციონირებას, მოძველებულ და ენერგოტეკვად ტექნოლოგიებს იყენებდნენ. ასეთი საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება კი არაკონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების იძულებით ხელშეწყობად იქცა. შედეგად, დიდ ზარალს განიცდიდა არა მარტო დარგი და მომხმარებელი, არამედ მთლიანად ქვეყანა, გროვდებოდა ვალები, რომელთა უმეტესობა შეიძლებოდა მომავალ ტარიფში ასახულიყო.



ელექტროენერგეტიკის მწვავე კრიზისს თან ერთვოდა სახელმწიფოს მხრიდან არგადახდებისადმი შემწყნარებლური მიდგომა და, რაც მთავარია, ენერჯიაზე ფასწარმოქმნის არასწორი პოლიტიკა. მომხმარებელს ელექტროენერგია ხელოვნურად შემცირებული ტარიფით მიეწოდებოდა. გავიხსენოთ 1995 წლის ზამთარი, ამ დროს საქართველოს მთავრობამ თურქეთისაგან სესხად მიიღო ელექტროენერგია იმ პირობით, რომ ზაფხულის თვეებში დაუბრუნებდა 1,7-ჯერ მეტი ოდენობით ან გადაუხდიდა საფასურს მაღალი ძაბვის ყოველი კილოვატსაათისათვის 7,0 აშშ ცენტს. საოცარი ის იყო, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა დაბალი ძაბვის ამ კილოვატსაათებში იხდიდა მხოლოდ 25000 კუპონს, ანუ, მაშინდელი სავალუტო კურსით თუ ვიმსჯელებთ, 3,6-ჯერ ნაკლებს.

მუშაობის ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლებოდა. დარგი აუცილებლად ითხოვდა ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

## **1.2. რეგულირების აღმოცენება და პირველი შედეგები**

არსებულ პრობლემათა ფონზე ცხოვრებამ დარგისაგან თვისებრივად ახალი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვა. კერძოდ, აუცილებელი გახდა:

რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, დარგში რეგულირების ფუნქციისა და სამეურნეო საქმიანობის გამიჯვნა;

სახელმწიფო მონოპოლიის ეტაპობრივი ლიკვიდაცია, საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება, კონკურენტული გარემოს შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა;

ენერჯიის მიწოდების გაუმჯობესება და ეკონომიკის განვითარების მიზნით ელექტროენერჯიის დეფიციტის შემცირება;

ელექტროენერჯიის წარმოების გაზრდა და ეფექტიანობის ამაღლება. საფინანსო დისციპლინის დაცვა, მომხმარებლებისათვის მომსახურების გაუმჯობესება;

ენერჯის სტაბილური მიწოდებით საწარმოებისა და კომპანიების მოგების ზრდა და ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური და მმართველობითი ღონის გაუმჯობესება.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელმა საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ენერგეტიკის საბჭოური, ვერტიკალურად ინტეგრირებული სახელმწიფო სტრუქტურები: ელექტროენერგეტიკაში „საქენერგო“, ხოლო ბუნებრივი გაზით მომარაგების სექტორში „საქგაზი“. გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში ამ სტრუქტურებმა ვერ გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ ვალდებულებას – ქვეყნის უსაფრთხო ენერგოუზრუნველყოფას. იმავე პერიოდში სახელმწიფომ აღიარა ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობა, დარგში საჭირო გახდა რესტრუქტურისაციის ჩატარება.

საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსში, კერძოდ, ელექტროენერგეტიკაში რესტრუქტურისაციას საფუძველი დაუდო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის №437 ბრძანებულებამ „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისაციის შესახებ“. ამ ბრძანებულების შესაბამისად ძველი დეპარტამენტი „საქენერგო“ დაიშალა 3 დამოუკიდებელ ქვესექტორად – „საქენერგოგენერაციად“ (ელექტროენერჯის წარმოება), „საქელექტროგადაცემად“ (ელექტროენერჯის გადაცემა მაღალი ძაბვის ქსელებით) და ახალ „საქენერგოდ“ (ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია და რეალიზაცია); რაც შეეხება გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს (ელექტროენერჯის განაწილება), ისინი ჯერ კიდევ 1994 წელს გადაეცათ მუნიციპალურ მმართველობაში. ამასთან, გენერაციისა და განაწილების ქვესექტორებში დაფუძნდა სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. მოგვიანებით ცვლილებები შეეხო ბუნებრივი გაზის სექტორსაც.

ამრიგად, ენერგეტიკაში, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთ და ამავე დროს ფუნდამენტურ დარგში, 90-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელდა ძირეული რეფორმები: კერძოდ, „საქენერგო“ და „საქგაზი“ დანაწევრდა პორიზონტალურ ურთიერთობაში მყოფ და-

მოუკიდებელ საწარმოებად (ელექტროენერგეტიკაში – გენერაცია, გადაცემა-დისპეტჩერიზაცია, განაწილება; ბუნებრივ გაზში – მიწოდება, ტრანსპორტირება, განაწილება). ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ძირითადი ფუნქციების შემსრულებელი პირები: შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელსაც დაევალა დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია, მესაკუთრის ფუნქცია დაეკისრა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის წარმართვა კი თავად ენერგეტიკულ საწარმოებს. ამ გარდაქმნებით მომზადდა საფუძველი ენერგეტიკული საწარმოების განსახელმწიფოებისათვის.

საქართველოს ენერგეტიკაში დიდ სტრუქტურულ გარდაქმნათა რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შექმნა, რომელიც პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული ბრძანებულებით ბრძანებულებით თავდაპირველად ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა. კომისიას საწყის ეტაპზე ელექტროენერგეტიკის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება დაევალა.

ასეთი სამსახურის შექმნა, პირველ რიგში, ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე გადასვლის აუცილებლობით არის განპირობებული. კომისია ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ეკონომიკის სამინისტროსთან, ხოლო 1997 წლის 1 აგვისტოდან მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ორგანო და ეწოდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ).

კანონმა „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ სემეკს თავიდანვე მიანიჭა მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობა. კერძოდ, კომისია გახდა მუდმივმოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარებოდა არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას. კომისია, თავისი კომპეტენცი-

ის ფარგლებში, გამოსცემდა დადგენილებებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ნორმატიულ აქტებს ელექტროენერგეტიკის სფეროში.

1999 წლის აპრილში „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები. მას ეწოდა კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ხოლო კომისიას – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ). ახალი კანონის თანახმად სემეკს მიენიჭა საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემისა და ტარიფების რეგულირების უფლება. კანონის მიხედვით მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა კომისიის ფუნქციები. მისი უფლება-მოვალეობები ელექტროენერგეტიკის გარდა გავრცელდა ბუნებრივი გაზის სექტორზეც. კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ძირითადი ფუნქციები ასე ჩამოყალიბდა:

ელექტროენერგეტიკის (სიმძლავრის) და ბუნებრივი გაზის საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება;

ექსპლუატაციაში შესულ ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემა, განახლება, შეჩერება და გაუქმება;

ელექტროენერგეტიკასთან და ბუნებრივი გაზის სექტორთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;

კონკურენციის ხელშეწყობა ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სექტორში, ენერჯის მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება;

ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა;

ენერგეტიკულ სექტორში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია;

ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის რეგულირება;

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების პირობების დაცვის კონტროლი და დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

ლიცენზიანტებსა და/ან ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის სადაო საკითხების გადაწყვეტა.

კანონმდებლობით განისაზღვრა ურთიერთობა ენერგეტიკის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები დარგში საბაზრო ურთიერთობის დანერგვისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის და სხვ.

კანონმა დასაბამი მისცა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის მოწესრიგებას ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, ტრანსპორტირებისა და განაწილების სფეროებში და, საბოლოო ჯამში, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების უზრუნველყოფას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.

სემეკის ამოცანად დაისახა:

- ა) კონკურენციის მექანიზმებისა და არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების შეხამებით ელექტროენერჯის ეფექტიანი წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდება-ტრანსპორტირება-განაწილებაში დანახარჯების ზუსტი ასახვის უზრუნველყოფა სატარიფო სისტემაში;
- ბ) ყველა კატეგორიის მომხმარებლის სტაბილური ენერგომომარაგებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;
- გ) ენერგეტიკის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელშეწყობა.

ქვეყანაში ენერგეტიკის ნორმალურ ფუნქციონირებასა და განვითარებაზე, ძირითადად, პასუხისმგებელი ორი უწყება გახდა: სათბობ-

ენერგეტიკის სამინისტრო და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაეკისრა ენერგეტიკაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია და იგი გაათავისუფლა დარგში მესაკუთრის ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციებისაგან.

საჯაროობისა და თანასწორობის საფუძველზე სემეკმა ცხოვრებაში უნდა გაატაროს ენერგეტიკის რეგულირების ძირითადი პრინციპები ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის სუბიექტებისა და მომხმარებლების მიმართ და ამ მიზნით შექმნას დარგის რეგულირების ნორმატიული და სამართლებრივი ბაზა.

მანვე ხელი უნდა შეუწყოს ბუნებრივი გაზის მიწოდება-ტრანსპორტირებისა და განაწილების, აგრეთვე ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მომხმარების ეფექტიანობის ამაღლებას; უნდა უზრუნველყოს კონკურენციის განვითარება საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე.

რეგულირების პრინციპები, სემეკის სტატუსი და უფლება-მოვალეობანი კიდევ უფრო განმტკიცდა და დაიხვეწა 2003 წელს მიღებული საქართველოს კანონით „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“.

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონში ახალი ცვლილებები და დამატებები შევიდა 2005 წლის 27 დეკემბერს. ამჟამად კანონმდებლობით სემეკს კვლავ რჩება საკმაოდ მაღალი დამოუკიდებლობის სტატუსი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არის დარგობრივი მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი არაპოლიტიკური სახელმწიფო ორგანო, რომლის საქმიანობა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას, არ ექვემდებარება სხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას; სემეკის დაფინანსება არ არის დამოკიდებული სახელმწი-

ყო ბიუჯეტზე, იგი ფინანსდება ლიცენზიატების მიერ ყოველწლიური რეგულირების საფასურის შენატანებით.

სემეკი რეგულირების საერთო საკითხებზე გამოსცემს ნორმატიულ აქტებს დადგენილებების სახით, ხოლო ცალკეულ ინდივიდუალურ საკითხებზე იღებს სამართლებრივ აქტს გადაწყვეტილების სახით.

დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გამოცემისათვის მიღებულია მსოფლიოში აღიარებული ყველაზე დემოკრატიული პროცედურები: სემეკის ღია (საჯარო) სხდომაზე ყველა დაინტერესებულ პირს (ლიცენზიატს, მომხმარებელს, მომხმარებელთა უფლებების დამცველ პირებს, სხვადასხვა სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელს) საშუალება ეძლევა თავისი ინტერესების დასაცავად აზრის დაუბრკოლებლად გამოთქმისა და მტკიცებულებების წარმოდგენისათვის. საჭიროების შემთხვევაში სემეკის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში.

სემეკს ჰყავს აღმასრულებელი აპარატი. მისი დარგობრივი, იურიდიული, ეკონომიკური, საინფორმაციო-მეთოდოლოგიური და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

სემეკი ვალდებულია თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ენერგეტიკის, ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკის, ბუნების დაცვისა და სხვა სფეროებში.

მისი ძირითადი ამოცანაა დარგში მოქმედი მეწარმეებისა და მომხმარებლების ინტერესების დაბალანსება, კონკურენციის განვითარების, პრივატიზაციის, შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელშეწყობა.

სემეკი ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირველი სპეციალიზებული ორგანოა სახელმწიფოში. მისი მუშაობის თითქმის 10 წლის მანძილზე მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები.

ამ ხნის განმავლობაში ცხადად გამოჩნდა დარგობრივი პროფესიული მარეგულირებელი ორგანოს არსებობის უპირატესობა ცენტრალ-

ლიზებული მართვის, კონტროლისა და რეგულირების პრინციპებთან შედარებით.

აღნიშნულ პერიოდში სემეკს საშუალება მიეცა, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, პირველად საქართველოში აემოქმედებინა ისეთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები, როგორცაა: ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ყველა საფეხურის ტარიფების დადგენისა და რეგულირების მეთოდოლოგიები; სალიცენზიო და სატარიფო განაცხადების მიღებისა და განხილვის წესები; ლიცენზიების გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების წესები და პირობები; სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები; ელექტროენერჯის ბაზრის წესები; ელექტროენერჯის მწარმოებელსა და მოხმარებელს შორის პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესები; ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები; ალურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდიკა და ფიქსირებული გადასახადის მიხედვით მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესი და მრავალი სხვა.

როგორც ითქვა, სემეკი ელექტროენერჯის ტარიფების დადგენასა და რეგულირებას, აგრეთვე დარგის საწარმოთა ლიცენზირებას თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ახორციელებს, ხოლო ბუნებრივ გაზზე ეს ფუნქცია მას 1999 წლის მაისიდან დაეკისრა. მის მიერ გამოცემული დადგენილებები და გადაწყვეტილებები ენერგეტიკის სფეროს ნორმატიულ აქტებს წარმოადგენენ. განხილული და გადაწყვეტილი აქვს ამ სფეროს საქმიანობასთან დაკავშირებული ბევრი სადავო საკითხი. კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა ლიცენზირების, ელექტრობაზრის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზებისა და სხვა მიმართულებით.

2001 წლის 1 ივნისიდან სემეკში ფუნქციონირება დაიწყო სამოქალაქო უფლებების დაცვის ქვედანაყოფმა, ხოლო 2003 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედებს მოხმარებელთა ინტერესების დაცვის დამოუკიდებელი სამსახური. სემეკში ხორციელდება სამუშაოები, რო-



მლებიც ითვალისწინებს დარგში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზებას და კოორდინაციას. სემეკის, როგორც სახელმწიფოში ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირველი ორგანიზაციის, შექმნისა და ფუნქციონირების გამოცდილება გაზიარებულ იქნა ქვეყანაში კომუნიკაციების, ტრანსპორტის, ნავთობისა და გაზის მოპოვების სფეროებში მარეგულირებელი კომისიების ჩამოყალიბებისას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დარგის ლიცენზიატთა და მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა სემეკში საკუთარი ინტერესების ჭეშმარიტ დამცველს ხედავს. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს უცხოელ კოლეგებს შორისაც; ერთ-ერთი დამფუძნებელია ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ასოციაციისა (ERRA), რომელიც 2000 წლის დეკემბერში ევროპისა და აზიის 15 ქვეყნის ინიციატივით შეიქმნა ბუდაპეშტში. ამ ორგანიზაციაში 25 სახელმწიფოა გაწევრიანებული.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ქმედების, მათ შორის მარეგულირებელი ორგანოს მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობა გაწეული ხარჯებისა და მიღებული შედეგების შედარებით იზომება. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ.

*ცხრილი 3.1.*

*მომუშავეთა რაოდენობა, მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები სემეკში 1999-2005 წლებში*

წლები	მომუშავეთა რაოდენობა	დადგენილებები	გადაწყვეტილებები	მიღებული ნორმატიული დოკუმენტი	
				სულ	1 მუშაჯე
1999	60	9	73	82	1,37
2000	61	10	87	97	1,59
2001	65	15	132	147	2,26

2002	67	19	110	129	1,92
2003	92	29	127	156	1,69
2004	74	19	94	113	1,52
2005	76	31	104	135	1,77
პროცენტულად					
2005 1999 წ-თან	126,6	344,4	142,5	164,6	129,2

სემეკის დაფინანსება, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რეგულირებადი საწარმოებიდან ე.წ. „რეგულირების საფასურის“ გადახდის ხარჯზე ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს ტვირთად არ აწევს; დარგი თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობს. „რეგულირების საფასურის“ სიდიდემ კი უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი ორგანოს ნორმალური ფუნქციონირება. სემეკში ეს ხარჯები რეგულირებად საწარმოთა შემოსავლების დაახლოებით 0,45 პროცენტიანია. რაც შეეხება სემეკში დასაქმებულთა რაოდენობაზე, მის სიდიდეზე კარგად მეტყველებს შემდეგი მონაცემები. 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ელექტროენერგეტიკასა და ბუნებრივი გაზის სექტორში მუშაობდა 17600, ხოლო სემეკში – 74 მუშაკი, ანუ ენერგეტიკაში მომუშავეთა საერთო რაოდენობის 0,42%. თითოეულ მომუშავეზე გაანგარიშებით, საშუალო წლიური დანახარჯები, დაახლოებით, დარგის ანალოგიური მაჩვენებლის დონეზეა.

როგორც ვხედავთ, სემეკის ხარჯები განსაკუთრებული არ არის, ხოლო შედეგები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, დარგის, და ქვეყნისათვის ნამდვილად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თანხებში მისი სრული რაოდენობრივი შეფასება, ცხადია, შეუძლებელია.

განვიხილოთ პერიოდში სემეკს საშუალოდ წლიურად მიღებული აქვს 30 დადგენილება და 65 გადაწყვეტილება, ხოლო 2005 წელს მან შესაბამისად 31 და 104 შეადგინა (იხ. ცხრილი 3.1), რომლებსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს დარგის განვითარებისათვის. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია გადაწყვეტილებები ტარიფების რეგულირების სფეროში. ამ მიმართულებით კომისია ინტენსიურ საქმიანობას წარმართავს, რამდენადაც სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა მარტო ენერგეტიკული სექტორისათვის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკისა და, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძველია ენერჯის წარმოებასა და მიწოდებაზე გაწეული სრული დანახარჯების ანაზღაურება. იგი ემყარება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონს და სატარიფო მეთოდოლოგიას; ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს.

პირველ 5 წელიწადში სემეკმა ტარიფების შესახებ 37 დადგენილება და 124 გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის ელექტროენერჯიაზე შესაბამისად 25 და 98, ხოლო ბუნებრივ გაზზე 12 და 26. მათში წინა პლანზეა წამოწეული სექტორის ლიცენზიატთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, სექტორში პრივატიზების პროცესების გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ტარიფების დადგენის დროს სემეკისათვის პრიორიტეტია დაიცვას სამართლიანი ბალანსი მომხმარებელთა და მწარმოებელთა ინტერესებს შორის. განვიხილოთ პერიოდში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ლიცენზიატის სატარიფო განაცხადი სრულად დაკმაყოფილებულიყო. პირიქით, მათი მოთხოვნა ხშირად მკვეთრად მცირდებოდა. გადაწყვეტილების მიღებას ყოველთვის წინ უძღვის მრავალრიცხოვანი შეხვედრები და საჯარო სხდომებზე განაცხადების დაწერილებითი განხილვა. მაგალითიად, თბილისელებს, ალბათ,

კარგად ახსოვთ, რომ 2001 წელს სს „ეი-ი-ეს თელასმა“ სემეკში წარმოადგინა განაცხადი ყოველ კილოვატსაათზე თავისი კუთვნილი ტარიფის 3,9 დან 17,15 თეთრამდე, ანუ 4,4-ჯერ გაზრდის შესახებ. სემეკის მიერ განხორციელებული დიდი მოცულობის სამუშაოებისა და უმძიმესი შეხვედრების შედეგად გამანაწილებელი კომპანიის პირვანდელი მოთხოვნა ტარიფის 13,25 თეთრით მატების შესახებ 3,648-მდე, ანუ 9,602 თეთრით შემცირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სემეკმა თბილისელი მომხმარებელი დაიცვა ელექტროენერჯის საფასურის დაახლოებით 190 მლნ ლარის ზედმეტი გადახდისაგან.

სემეკის პრინციპული პოზიციის შედეგად არ შედგა დასავლეთ საქართველოს ჰესებისა და სს „თბილგაზის“ პრივატიზაცია ტარიფის მეტისმეტი ზრდის მოთხოვნის გამო. მაშინ ფრანგი და ისრაელელი ინვესტორები აღნიშნული ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში მოითხოვდნენ, რომ ტარიფი დაახლოებით 2-3-ჯერ გაზრდილიყო. იგივე შეიძლება ითქვას ხაღორი ჰესისა და ექსპლუატაციაში მყოფი თითქმის ყველა ენერგობიექტისათვის ტარიფების დადგენის შესახებაც.

ამასთან ერთად, სემეკი ვალდებულია დაიცვას ენერჯის მწარმოებელთა და მიმწოდებელთა კანონიერი ინტერესები. თუ იგი ელექტროენერჯიას და ბუნებრივ გაზს უფრო იაფად შეაფასებს, ვიდრე იგი ფასობს, მაშინ ენერჯის მწარმოებლები და მიმწოდებლები ვეღარ მიიღებენ კუთვნილ ანაზღაურებას, დაიკარგება შრომისადმი ინტერესი, დარგი, უკეთეს შემთხვევაში, ისეთივე დეფიციტური იქნება, როგორიც არის; ან, სავსებით შესაძლებელია, რომ სრულყოფილ დაინგრეს.

სემეკმა ყველა შესაძლო ღონისძიება გაატარა ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სექტორის საწარმოთა ლიცენზირებისა და ამ პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის, საქართველოში ელექტრობაზრის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირების საქმეში, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების სფეროში.

2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში სულ ლიცენზირებულია 171 საწარმო, მათ შორის 64 ელექტროენერგეტიკაში და 107 ბუნებრივი გაზის სექტორში, აქედან ელექტროენერჯის წარმოებაში 46, გადაცემაში 4, დისპეტჩერირებაში 2, განაწილებაში 9, იმპორტში 3. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაში 1, მიწოდებაში 58 და განაწილებაში 48. ამ „მშრალი“ ციფრების უკან კი დიდი სამუშაოა გაწეული. თითოეულ მათგანზე გაკეთებულია სალიცენზიო პირობები, დადგენილია შესაბამისი ტარიფები, პერიოდულად ყველა მათგანზე ტარდება მონიტორინგი სალიცენზიო პირობების დაცვის თვალსაზრისით; საჭიროების შემთხვევაში ხდება ლიცენზიების მოდიფიცირება, სხვადასხვა ინსტანციაზე თითოეული ლიცენზიატის კანონიერი უფლებების დაცვა და ა.შ. სემეკს საქმიანი კონტაქტები აქვს თითოეულ ლიცენზიატთან. მათგან მარტო 2004 წელს სემეკში შემოვიდა 2391 წერილი, რომლებსაც სამართლიანი და დასაბუთებული პასუხი გაეცა.

მთლიანობაში, სემეკის მუშაობის განვლილ პერიოდში უკვე გამოიკვეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები:

- გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები შეიქმნა ენერგეტიკულ სექტორში არსებული პრობლემის გამოვლენისა და გადაჭრისათვის, საფუძველი ჩაეყარა დარგის თვითდაფინანსებას. სატარიფო განაცხადის სემეკში განხილვისას ლიცენზიატებს საშუალება აქვთ სრულად გამოავლინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, მიაღწიონ კიდევ მათ ფინანსურ ასახვას ტარიფში;
- ბუნებრივი გაზის სექტორში წარმატებული ფუნქციონირების საქმეში მნიშვნელოვანი იყო 2004 წლის 30 სექტემბერს მიღებული №10 დადგენილება „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“. ამ დადგენილებით შეიქმნა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველი ბუნებრივი გაზის მოხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის;

- განისაზღვრა ლიცენზიატა და მომხმარებელთა უფლებები და ვალდებულებები, ბუნებრივი გაზის აღრიცხვის, მიწოდების შეწყვეტის და აღდგენის წესები და პროცედურები, ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში მყოფ ლიცენზიატთა ურთიერთობათა სავალდებულო ქცევის წესები. შეიძლება ითქვას, რომ მიღებული დოკუმენტი გახდა ბუნებრივი გაზის სფეროში მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვანი საფუძველი. გარდა ამისა, კარგი პირობები შეიქმნა ამ სფეროში კონკურენციის განვითარებისათვის. ანალოგიური დოკუმენტი მომზადდა ელექტროენერჯის მოხმარების სფეროშიც;
- სემეკში დაიწყო სამუშაოები ტარიფების შემცირების მიმართულებითაც. 2004 წელს ტარიფი შემცირდა ბუნებრივი გაზის სექტორში. ჯერჯერობით იგი შეეხო საქართველოს რეგიონებს (გარდა თბილისისა). აქ ტარიფის შემცირების საფუძველი გახდა ქართული ლარის გამყარების ფაქტი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. ბოლო პერიოდი აღინიშნა სექტორში აღრიცხვიანობის მოწესრიგების, აგრეთვე, საფასურის არგადამხდელთა მიმართ მკაცრი ზომების გატარებით. პრაქტიკულად გამოირთო ყველა არგადამხდელი საწარმო. შეიზღუდნენ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, ცალკეული მომხმარებლები. უკომპრომისო ბრძოლა გამოეცხადა დარგში არსებულ კორუფციას. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო-ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის, აგრეთვე, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით;
- ამალღდა ენერჯით სარგებლობის საფასურის მაჩვენებელი, რომელიც პირველ წლებში მეტად დაბალი იყო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სემეკმა მიიღო არაერთი გადაწყვეტილება, სადაც უფრო სრულად იქნა გათვალისწინებული ენერჯის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესები. ამ თვალსაზრისით საკმარისია აღინიშნოს სემეკის დადგენილება „პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესის შესახებ“. ამ წესის მიხედვით, გენერაციის ობიექტები და სამრეწველო

საწარმოები ერთმანეთთან აფორმებდნენ ორივე მხარისათვის მისაღებ კონტრაქტებს ენერჯის ყიდვა-გაყიდვაზე;

- სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, დაიწყო პრივატიზაცია;
- დაწესდა გამოკვეთილი და სამართლიანი თამაშის წესები სექტორში შემაჯავლი ყველა სუბიექტისათვის;
- ენერგეტიკულმა დარგმა თავი დაიზღვია პოლიტიკური ჩარევისაგან. კერძოდ, ასეთი ზეწოლისაგან უკეთაა დაზღვეული ტარიფები, აგრეთვე აქ განხორციელებული სხვა ხასიათის რეგულირება;
- ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფოს სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები. ცენტრალიზებულ პირობებში მართვის ყველა ფუნქციას სახელმწიფო ასრულებდა, რაც, როგორც დავინახეთ, წარუმატებელი აღმოჩნდა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის შემდეგ სახელმწიფოს ჩამოსცილდა მარეგულირებელი ფუნქციები, ხოლო კომერციული ფუნქციები უშუალოდ სამეურნეო სუბიექტებს დაეკისრა. სახელმწიფო კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და პოლიტიკის განსახორციელებლად მხოლოდ ე.წ. „ღამის დარაჯის“ როლს ასრულებს;
- შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები. გაიზარდა მათგან მეტი დახმარების მიღების შესაძლებლობა. სემეკის მიერ მიღებული ფუძემდებლური დოკუმენტების (ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიები, ლიცენზირების წესები და ბევრი სხვა) არსებობამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ენერგეტიკაში უცხო ინვესტიციების მოზიდვას. თვით მარეგულირებელი კომისიის შექმნა ერთ-ერთი მთავარი პირობაა ქვეყანაში საერთაშორისო სააგენტოებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის, მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან

თანამშრომლობისათვის; მნიშვნელოვანია მათგან ენერგეტიკისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობაც.

*ცხრილი 3.2.*

ელექტროენერჯის საცალო ტარიფის დონე და დინამიკა საქართველოში 1998-2005 წლებში

წლები	მომხმარებელთა კატეგორია	ტარიფი, თეთრი, კვტსთ (დღგ-ის ჩათვლით)	მოქმედების პერიოდი	სემეკის დადგენილება
1998	ყველა კატეგორიის მომხმარებელი	6	1/X 1998 – 1/VI 1999	№4. 1998წ.
1999	ქ. თბილისი დანარჩენი	9,0 8,3	1/VI 1999 – 1/IX 2000	№1. 1999წ.
2000	ქ. თბილისი აჭარა დანარჩენი	9,8 8,5 8,4	1/IX 2000 – 15/XI 2001	№8. 2000წ.
2001	ქ. თბილისი აჭარა დანარჩენი	12,4 8,1 8,0	15/XI 2001 – 1/XI 2002	№12. 2001წ.
2002	ქ. თბილისი დანარჩენი	13,7 8,5	1/XI 2002 – 1/III 2003	№12. 2002წ.
2003	ქ. თბილისი დანარჩენი	12,18 8,1	1/III 2003 – 1/VII 2005	№1. 2003წ.
2005	ქ. თბილისი დანარჩენი	11,97 7,94	1/VII 2005 წ.	№12. 2005 წ.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობა სახელმწიფო რეგულირების გარეშე წარმოდგენილია. საქართველოში მისი საჭიროება უკვე აღიარებული და დადასტურებულია, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. განსაკუთრებულ დასაბუთებას არ მოითხოვს ის გარემოება, რომ საქართველოს ენერგეტიკაში სემეკის არარსებობის შემთხვევაში სახეზე იქნებოდა არასტაბილურობა და ქაოსი, ენერჯის მწარმოებელთა და მიმწოდებელთა, აგრეთვე მომხმარებელთა უკმაყოფილე-



ბა, ენერგეტიკულ სტრუქტურებს შორის უფლება-მოვალეობათა, აგრეთვე მესაკუთრის ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელ ფუნქციათა აღრევა. შემცირდებოდა კაპიტალის ნაკადი ენერგეტიკული რესურსების შექმნისა და დარგში ინვესტიციების განხორციელებისათვის; დაეცემოდა სამართლიანობის რწმენა.

სემეკის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედ ტარიფის საკითხში ვლინდება. მართალია, განვილილ პერიოდში საქართველოში ტარიფის ზრდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას მნიშვნელოვნად აღემატებოდა, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რეგულირების გარეშე ტარიფის ზრდა უფრო დიდი იქნებოდა. ქვეყანაში ენერჯის მწვავე დეფიციტს ბაზარი უთუოდ უპასუხებდა ტარიფის უფრო მკვეთრი მატებით. გაცილებით ძნელი იქნებოდა მაღალი ტარიფისაკენ კომპანიათა სწრაფვის მოთოკვა.

სემეკი რომ არა, 2002 წელს თბილისელებს 2,9 თეთრით გაზრდილი ტარიფის გადახდა მოუწევდათ. არსებული მეთოდოლოგიის საფუძველზე კომპანიის ასეთ მოთხოვნას სემეკი არც ამჯერად დაეთანხმა; კომისიაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა მოთხოვნილი გაზრდილი ტარიფის შემცირების რეზერვების გამოსავლენად. მოღწეულ იქნა საერთო კონსესუსი, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული მომხმარებელთა ინტერესები და არ დაზარალებულიყო ინვესტორის ბიზნესიც. შედეგად, მაშინ საცალო ტარიფი თბილისში გაიზარდა 1,3 თეთრით, ანუ მოთხოვნილთან 2,1-ჯერ ნაკლებად. ეს კი მომხმარებლისათვის 32 მლნ ლარის დაზოგვის ტოლფასია.

პარალელურად, 1999 წლიდან მარეგულირებელ კომისიაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ბუნებრივი გაზის სატარიფო სისტემის მოწესრიგებისათვის. როგორც ცნობილია, საქართველოს ბუნებრივი გაზი თითქმის მთლიანად გარედან მოეწოდება და მისი ტარიფიც შესყიდვის ფასზეა დამოკიდებული. ახლა ბუნებრივი გაზის სექტორში ხორციელდება 3 ტექნოლოგიური პროცესი: მიწოდება, ტრანსპორტირება და განაწილება. პირველს, ძირითადად, ახორციელებს უცხოური კომპანიები, მეორეს – გაზის ტრანსპორტირების კომპანია და მესამეს – ცალკეული ქალაქისა და რაიონის

გაზგამანაწილებელი მეურნეობები. ქ. თბილისში გაზის საცალო ტარიფის დონე და დინამიკა მოცემულია ცხრილ 3.3-ში.

### ცხრილი 3.3.

ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფის დონე და დინამიკა თბილისში, ლარი/ათასი კუბმ (დღგ-ის ჩათვლით)

№ რიგზე	საცალო ტარიფი	მათ შორის			ტარიფის მოქმედების პერიოდი
		მიწოდება	ტრანსპორტირება	განაწილება	
1	288,25	185,35	12,9	90,0	1999 წლის 1.08-მდე
2	250,0	146,85	12,9	90,25	1.08. 1999წ. – 1.03. 2000წ.
3	250,0	143,15	16,6	90,25	1.03.2000წ – 29.11. 2001წ.
4	270,0	168,0	16,6	85,4	29.11.2001წ. - 1.02.2002.
5	270,0	183,0	16,6	70,4	1.02.2002 – 1.01. 2006
6	342	236,1	16,3	89,6	1.-01. 2006-დან

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, სემეკმა თავისი პირველივე დადგენილებით დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე შეძლო გაზის საცალო ტარიფის შემცირება 13,3%-ით. შემდგომში, 2 წლის განმავლობაში, ტარიფის სიდიდის შენარჩუნება მოხერხდა, ხოლო 2001 წლიდან შესასყიდი ფასის გაძვირების გამო (1000 კუბმეტრზე ჯერ – 10, ხოლო მეორედ 6 აშშ დოლარით), საცალო ტარიფი 270 ლარამდე გაიზარდა ყოველ 1000 კუბმეტრზე. ამასთან, მარეგულირებელი კომისიის ძალისხმევით, მეორე

შემთხვევაში, საცალო ტარიფი არ გაზრდილა. ამის მიღწევა მოხერხდა განაწილების ტარიფის შემცირების ხარჯზე.

მთლიანობაში, როგორც ცხრილი 3.3-ის მონაცემები გვიჩვენებს, თბილისში ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფი სახელმწიფო რეგულირების პირველ პერიოდში (1999-2000 წწ.) ყოველ 1000 კუბმეტრზე შემცირდა 288,25 ლარიდან 270 ლარამდე, ანუ 6,4%-ით. იგი გაძვირდა 2006 წლიდან მოწოდების ფასის გაზრდის გამო.

პარალელურად, 1999 წლიდან სემეკში კანონის შესაბამისად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ბუნებრივი გაზის სატარიფო სისტემის მოწესრიგებისათვის. ამ საკითხზე სემეკის პირველივე დადგენილებით, 1999 წლის 1 აგვისტოდან, ბუნებრივი გაზის ტარიფი ყოველ 1000 კუბმეტრზე თბილისში 38,25 ლარით, ანუ 13,3%-ით შემცირდა. შემცირებული ტარიფის შენარჩუნება კი 2 წლის განმავლობაში მოხერხდა. 2001 წლის 29 ნოემბრიდან ტარიფი 20 ლარით, ანუ 8%-ით გაიზარდა და ისიც რუსეთიდან გაზის შესასყიდი ფასის 10 აშშ დოლარით გაძვირების გამო. სემეკის ძალისხმევა რომ არა, თბილისში ბუნებრივი გაზი იმავე მიზეზით (შესასყიდი ფასის 6 დოლარით მატება) უკვე 2002 წლის 1 თებერვლიდან უნდა გაზრდილიყო. მაგრამ მარეგულირებელი კომისიის აქტიური წინააღმდეგობის გამო იგი არ გაზრდილა. ამის მიღწევა მოხერხდა განაწილების ტარიფის 15 ლარით შემცირების ხარჯზე.

მთლიანობაში, თბილისში ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფი სახელმწიფო რეგულირების მხოლოდ 3-წლიან პერიოდში (1999-2002 წწ.) ყოველ 1000 კუბურ მეტრზე შემცირდა 288,25 ლარიდან 270 ლარამდე, ანუ 6,4%-ით; იმავე დონეზე იყო შენარჩუნებული ბოლო 3 წლის განმავლობაშიც. რომ არა რუსეთისაგან გაზის მოწოდების ფასის გაზრდა 2005 წლის ბოლოს გაზის ტარიფი, ალბათ, დიდხანს იგივე იქნებოდა. სახელმწიფო რეგულირების გარეშე კი ამის მიღწევა ნამდვილად ვერ მოხერხდებოდა. საქართველოში, კერძოდ, თბილისში არსებული მწვავე ენერგეტიკული

კრიზისის გამო, გაზის კომპანიები აუცილებლად გამოიყენებდნენ თავიანთ მონოპოლიურ მდგომარეობას ბუნებრივი გაზის საცალო ტარიფის გასაზრდელად. თუ ციფრების ერთ ვილაპარაკებთ, აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ სემეკის არარსებობის შემთხვევაში, ამ ხნის განმავლობაში (1999-2004წწ.) ბუნებრივი გაზის თბილისელ მომხმარებელს თავდაპირველი ტარიფის მხოლოდ შენარჩუნების შემთხვევაში დამატებით უნდა გადაეხადა დაახლოებით 90 მლნ ლარი.

ელექტროენერჯის საფასურისაგან დაბალშემოსავლიანი მომხმარებლის დაცვის კარგი მაგალითია სემეკის მიერ 2003 წლის 1 სექტემბრიდან სამოქმედოდ შემოღებული ელექტროენერჯის ე.წ. „საფეხურებრივი ტარიფი“. ამ დადგენილების თანახმად, მოსახლეობას ტარიფი დახარჯული ელექტროენერჯის პროპორციულად დაუწესდა. კერძოდ, თბილისში გამოიყო მომხმარებელთა 4, ხოლო რეგიონებში 3 კატეგორია. მაგ., თბილისისათვის პირველ საფეხურზე, როცა მომხმარებელი 1 თვეში მოიხმარს 100 კვტსთ-მდე ელექტროენერჯას, ტარიფი დაწესდა 10,15 თეთრი ყოველი კვტსათსთვის; 101-დან 200 კვტსთ-ის ჩათვლით 11,45 თეთრი; 201-დან 400 კვტსთ-ის ჩათვლით 12,75 თეთრი და 401-დან და ზევით 14,05 თეთრი. რეგიონებისათვის კი ასეთი დიფერენციაცია განისაზღვრა: 75 კვტსთ 6,75 თეთრი; 76-150 კვტსთ 7,083 თეთრი და 151 კვტსთ-დან – 7,5 თეთრი.

სემეკმა ამ დადგენილებით, ერთდროულად, რამდენიმე საკითხი გადაწყვიტა; ჯერ ერთი, ელექტროენერჯის საფასურის გადახდაში გარკვეული შეღავათი გაუწია სოციალურად დაუცველ ფენებს; მეორე, სტიმული მისცა ელექტროენერჯის მომჭირნედ ხარჯვას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერჯის დეფიციტის პირობებში; და მესამე, ყოველივე ეს გაკეთდა ისე, რომ გამანაწილებელი კომპანიის საერთო შემოსავლები არ შემცირებულა. ე.წ. „მდიდრების“ ხარჯზე მოხდა ე.წ. „ღარიბებისაგან“ შექმნილი ელექტროენერჯის საფასურის დაფინანსება. ნაკლებად სარწმუნოა, რომ ყოველივე ეს სემეკის გარეშე გაკეთებულიყო.

სატარიფო მეთოდოლოგია, რომელიც კომისიამ შეიმუშავა, პირველი ამგვარი დოკუმენტია საქართველოს სინამდვილეში. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, ელექტროენერგიის ტარიფების დიფერენცირება ხდება სხვადასხვა ძაბვისა და მომხმარებლის კატეგორიების მიხედვით, რათა გამოირიცხოს მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის სუბსიდირება ლიცენზიატის ან სხვა კატეგორიის მომხმარებლის ხარჯზე. კომისიამ აღნიშნულის გათვალისწინებით, განსხვავებული, შედარებით დაბალი ტარიფები დაუდგინა ე.წ. „პირდაპირ მომხმარებლებს“, რომლებიც ელექტროენერგიას იღებენ საშუალო და მაღალ ძაბვაზე. ეს შეეხება ისეთ მსხვილ საწარმოებს, როგორებიცაა: რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, „აზოტი“, „რუსთავემენტი“, „კასპიცემენტი“, „ქუთაისის ავტოქარხანა“, ფოთის ნავსადგური, „მადნეული“, „საქართველოს რკინიგზა“ და სხვ.

ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანი სტიმულის მიმცემია მეწარმეობის ხელშეწყობა-განვითარებისათვის.

აღნიშნული საწარმოები ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ელექტროენერგიას უფრო მაღალი ტარიფით იღებდნენ, ვიდრე სხვა მომხმარებლები, მათ შორის მოსახლეობა. სამართლიანი გადაწყვეტილება კი მხოლოდ სემეკის მიერ იქნა მიღებული. ამის საილუსტრაციოდ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 დეკემბრის №829 ბრძანებულებაც კმარა „ელექტროენერგეტიკაში სატარიფო სისტემის ეტაპობრივი მოწესრიგებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ“. პრეზიდენტის ამ ბრძანებულებით, ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის (გარდა მოსახლეობისა) დაწესდა ელექტროენერგიის ერთიანი ტარიფი – 4,5 თეთრი, ხოლო მოსახლეობისათვის – 3,3 თეთრი კილოვატ-საათისათვის. აქ უხეშადაა დარღვეული ფასწარმოქმნის ელემენტარული პრინციპი – ტარიფის დადგენა დანახარჯების სიდიდის მიხედვით. კერძოდ, მოსახლეობას ტარიფი დაუწესდა უფრო დაბალი, ვიდრე საწარმოებს. არადა, მოსახლეობა ელექტროენერგიას დაბალ

ძაბვაზე იღებს და ამისათვის ენერგოსისტემიდან მეტი დანახარჯე-  
ბია საჭირო. საწარმოებს კი ელექტროენერგია მიეწოდება საშუა-  
ლო და მაღალ ძაბვაზე, შედარებით ნაკლები დანახარჯებით; არა-  
ლოგიკური ის არის, რომ საწარმოებს შესასყიდი ტარიფი განე-  
საზღვრა უფრო მაღალი განაკვეთით, ვიდრე მოსახლეობას. სემეკის  
გარეშე კი ეს უსამართლობა, ალბათ, კიდევ დიდხანს იარსებებდა  
ჩვენს სინამდვილეში, დაზარალებოდა ასეთ საწარმოთა და მთლი-  
ანად ქვეყნის ეკონომიკა.

მაღალი ტარიფისაკენ „საქგაზის“ სწრაფვის მოთოკვა მოუხდა სე-  
მეკს 2003 წელს. რომ არა კომისიის სამართლიანი და პრინციპუ-  
ლი პოზიცია, „საქგაზის“ მიწოდების ტარიფი 1000 კუბურ ბუნებ-  
რივ გაზზე 18,9 ლარით უნდა გაზრდილიყო; ფაქტობრივად კი ამ  
ზრდამ მხოლოდ 7 ლარი შეადგინა, ანუ სააქციო საზოგადოების  
მოთხოვნა 2,7-ჯერ შეიკვეცა. ამან შესაბამისი გავლენა იქონია ბუ-  
ნებრივი გაზის საცალო მომხმარებლებზე. ანალოგიურ შემთხვევებს  
ადგილი ჰქონდა შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“, სს  
„იტერა-საქართველოს“, სს თბილგაზის“ და სხვა კომპანიების მი-  
მართაც.

სემეკის ძალისხმევის გარეშე ბუნებრივი გაზის ტარიფი ახლა სა-  
ქართველოში ისეთივე მაღალი იქნებოდა, როგორც თხევადი გაზი-  
სა და ნავთობპროდუქტების ფასია. როგორც ცნობილია, ეს ორი  
ენერგიაშემცველი, რომლებიც არ არიან ბუნებრივი მონოპოლიების  
წარმომადგენლები, რეგულირებას არ ექვემდებარება. სინამდვილეში  
კი ბუნებრივი გაზი დღეს ბევრად იაფია, ვიდრე დასახელებული  
ენერგორესურსები. აქ თვალნათლივ ჩანს საზოგადოებისათვის სა-  
ხელმწიფო რეგულირების საჭიროება.

ცნობილია, რომ უცხო ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებე-  
ლია ქვეყანაში მარეგულირებელი კომისიის არსებობა. ამას განაპი-  
რობებს ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი რეგულირების დროს  
ინვესტორები გაცილებით მოხერხებულად გრძნობდნენ თავს; უფრო  
სამართლიანია სახელმწიფოსაგან მათ მიმართ მოპყრობა, უფრო

მეტია სტაბილურობა და წინდახედულება საქმიანობასა და ურთიერთობებში და ა.შ. ყოველივე ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სემეკის გარეშე გაცილებით ნაკლები იქნებოდა უცხო ინვესტიციების ნაკადი საქართველოში. ასეთი ინვესტიციების გარეშე კი ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა დღეს ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში, 1998 წელს „თელასის“ პრევატიზაცია რომ არ მომხდარიყო.

სემეკის გარეშე ხშირ შემთხვევებში აუცილებლად გაძნელებოდა ურთიერთობების დარეგულირება მომხმარებლებსა და ენერგეტიკის ლიცენზიატებს, ან თვით ლიცენზიატებს შორის. მარტო 2003 წელს სემეკმა ასეთი 80-მდე სადავო საკითხი განიხილა. კომისიის მეშვეობით, მაგალითად, დარეგულირდა ურთიერთობები სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ კოლეჯს, სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და სს „საქსაშენმეცნიერებას“, სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და „საქსაშენენერგოკონსტრუქციას“, შპს „ენერგოცენტრსა“ და სს „კახეთის ენერგოლისტრიბუციას“, სს „გამას“ და სს „კახეთის ენერგოლისტრიბუციას“, შპს „მცირე ენერგოკომპანიას“ და სს „კახეთის ენერგოლისტრიბუციას“, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-ძითიანეთის ფილიალსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ და ბევრ სხვა იურიდიულ პირს შორის. 2003 წლის 9 თვეში სემეკში შემოვიდა და განხილულ იქნა მომხმარებელთა 3824 განცხადება, საიდანაც უმრავლესობა მათ სასარგებლოდ გადაწყდა.

კიდევ ბევრი კონკრეტული მაგალითის მოტანა შეიძლებოდა სემეკის განვლილი ცხოვრებიდან, რომლებიც ნათლად ადასტურებენ დარგისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის მისი არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განვლილ პერიოდში მარეგულირებელი კომისიის საქმიანობა გაცილებით წარმატებული იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობებში. ამას აბრკოლებს ის ფაქტიც, რომ მომხმარებელთა დაბალი გადახდისუნარიანობის გამო დარგში დარ-

ღვეულია საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რაც მოხმარებული ენერჯის საფასურის გადაუხდელობაში გამოიხატება. შედეგად კი ენერჯის საფასურის გადახდის დონე მხოლოდ 40-50%-ის ტოლია. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად საჭიროა ეფექტიანი სამართლებრივი ბერკეტების შემუშავება-ამოქმედება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განვიღო ეტაპზე, სემეკმა შეძლო ტარიფის ზრდის შეკავება, ხოლო მიმდინარე ეტაპზე უკვე მის შემცირებას შეეცდება. ამის მაგალითი უკვე სახეზეა. ამისათვის უკვე გამოიკვეთა შესაფერისი პირობები. წინათ ხელისუფლება ენერგეტიკიდან მოვალეობათა მხოლოდ შესრულებას ითხოვდა, ახლა იგი უკვე ზრუნავს კიდევ დარგზე. სექტორში სასიკეთო ძვრების განხორციელების საფუძველია ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნება, საქვეყნოდ განცხადებული სასიკეთო მიზნები და ამოცანები, განვითარების არჩეული კურსისადმი ქვეყნის მოსახლეობისა და მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა.

კიდევ უფრო აქტიური იქნება სემეკის საქმიანობა სამომავლოდ. ამის საჭიროებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მარეგულირებელ კომისიას მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს განსახორციელებელი დარგის ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების გაცილებით ეფექტიანად შესასრულებლად, სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის, საბაზრო წესების დახვეწისა და უფრო მძლავრად ასამოქმედებლად, მოხმარებელთა უფლებების უკეთ დასაცავად, სექტორის საფინანსო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და სრულყოფისათვის.

ყურადღება უნდა მიექცეს დარგის მენეჯმენტის სრულყოფას და ეკონომიკური რეფორმების სწორად განხორციელებას. კერძოდ, საჭიროა დარგში პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება. ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების მენეჯმენტის დანერგვას, კორუფციის დონის შემცირებას, ენერჯის საფასურის ამოღების ზრდას, ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების გაფართოებას, თა-



ნამედროვე მმართველობითი ტექნოლოგიების დანერგვას და კადრების ხარისხობრივ სრულყოფას. ყოველივე ეს დარგში ლიბერალური, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების რეალურ პერსპექტივებს შექმნის. ამასთან, მხარი უნდა დაუჭიროთ რეგიონული ელექტრობაზრის შექმნის იდეას, რაც საქართველოს ელექტროსისტემას მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან ინტეგრირების საშუალებას მისცემს.

### 1.3 პრივატიზაცია

საქართველოს ენერგეტიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია 1992 წელს დაიწყო მცირე ჰესების გაყიდვით. უკვე 1995 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საქართველოში პრივატიზებული იყო 14 მცირე ჰესი: სიონი, ტირიფონი, მისაქციელი, იგოეთი, დმანისი, ხერთვისი, კახარეთი, საცხენისი, ჩითახევი, დაშბაში, ბუჟუა, კაბალი, მარტყოფი, თეთრიხევი. მათი საერთო დადგმული სიმძლავრე შეადგენდა რესპუბლიკის ენერგოსისტემის მთლიანი სიმძლავრის 2%-ს, გამომუშავებული ელექტროენერგია 1.85%-ს, ხოლო ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 1%-ს.

მცირე ჰესების პრივატიზაციის დროს გამოყენებული იყო პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმა: საკონკურსო გაყიდვა, აუქციონი, სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება და პირდაპირი მიყიდვა. პრივატიზაციის აღნიშნული ფორმებიდან, ძირითადად, ჭარბობდა საკონკურსო გაყიდვა. შემდგომში ეს ფორმა უარყოფილ იქნა. მაშინ სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნა ჩითახევი ჰესი და ბუჟუა ჰესი, ხოლო პირდაპირი მიყიდვა განხორციელდა თეთრიხევი ჰესზე.

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის შემდეგ აღნიშნულ ობიექტთა უმრავლესობამ მუშაობა გააუმჯობესა. ზოგიერთმა მცირე ჰესმა, რომელიც პრივატიზაციამდე საერთოდ არ მუშაობდა, საკუთრების ფორმის შეცვლის შემდეგ მუშაობა გაააქტიურა.

საქართველოში ელექტროენერგეტიკული ობიექტების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესი 1998 წელს დაიწყო. კერძოდ,

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის №403 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს ენერგოსისტემის პრივატიზაციის სტრატეგია.

პირველი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტი, რომლის პრივატიზაცია ჩატარდა საქართველოში, „თელასი“ იყო. 1998 წელს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ენერგეტიკის პრივატიზაციის საკითხებში საქართველოს მთავრობის მრჩეველის – საინვესტიციო კომპანიის „მერილ ლინჩის“ მონაწილეობით ჩაატარა ქ. თბილისის გამანაწილებელი ენერგოკომპანიის „თელასის“ პრივატიზაციის საერთაშორისო ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა აშშ-ის კომპანია შ(ეი-ი-ეს). ამ კომპანიასთან 1998 წლის ბოლოს გაფორმდა „თელასი-ს“ აქციათა 75%-ის ნასყიდობის ხელშეკრულება.

კომპანია „ეი-ი-ეს“-თან დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის 4 წლის განმავლობაში ეტაპობრივი ზრდისა და გრძელვადიანი პერიოდით (10 წელი) მისი დამტკიცება. გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებდა ფასების კორექტირებას ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის – ლარის გასაცვლელი კურსის რყევის შესაბამისად.

1999-2000 წლებში კომპანია „ეი-ი-ეს“-თან მიმდინარეობდა მოლაპარაკება გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების პრივატიზაციასთან დაკავშირებით.

„ეი-ი-ეს“-თან პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ჰიდროელექტროსადგურის „ზრამი-1“ და „ზრამი-2“-ის 25-წლიანი პერიოდით მართვის უფლებით გადაცემისათვის, რომელიც ასევე შეთანხმებით დასრულდა.

სს „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ენერგობლოკებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტების შესასყიდად ინვესტორმა გადაიხადა 5 მლნ აშშ დოლარი და ვალდებულება აიღო დაფაროს მე-9 და მე-10 ენერგობლოკების რეაბილიტაციისათვის დონორი ორგანი-

ზაციების მიერ გამოყოფილი და გახარჯული კრედიტები, რომლებიც დარიცხულ პროცენტებთან ერთად შეადგენს 135 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული დავალიანების დაფარვა დამოკიდებული იქნება გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაციიდან თანხების ამოღებაზე. ამასთან, ინვესტორმა ვალდებულება აიღო, მე-9 და მე-10 ენერგობლოკების რეაბილიტაციის მიზნით განახორციელოს 28,7 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია 6 წლის განმავლობაში. კომპანია „ეი-ი-ეს-ის“ მიერ სს „თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკებზე 2000 წლის მაისიდან სექტემბრამდე განხორციელდა 11,2 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიციები.

სს „ხრამქესი-1“-ისა და „ხრამქესი-2“-ის აქციათა მართვის უფლებისათვის კი კომპანიამ გადაიხადა, შესაბამისად, 2,5 და 3,5 მილიონი აშშ დოლარი. კომპანიამ ვალდებულება აიღო დაფაროს ორივე ჰესის ვალები 1,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, 10 წლის განმავლობაში განახორციელოს „ხრამქესი-1“-ში 9,65 მილიონის, „ხრამქესი-2“-ში 18,2 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემებით, 2001 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, კომპანია „ეი-ი-ეს“-ის მიერ საქართველოს ენერჯეტიკის დარგში უკვე ჩადებული იყო 555 მლნ ლარზე მეტი თანხა, ხოლო 4 წლის (1999-2002წწ.) მანძილზე სხვადასხვა გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი იყო 89 152 ათასი ლარი.

ცხრილი 3.4.

ელექტროენერჯის გამომუშავება საქართველოს ყველა პრი-  
ვატიზებულ ელექტროსადგურში 2000 წელს<sup>1</sup>

№ რიგ ზე	ელექტროსად- გურების დასა- ხელება	მლნ კვტსი		№ რიგ- ზე	ელექტროსად- გურების და- სახელება	მლნ კვტსი
1	2	3		1	2	3
	მცირე ჰესები:					
1	მისაქციელი	0,4		21	კურზუ	0,4
2	იგოეთი	3,0		22	ზვარეთი	-
3	ღმანისი			23	დამაქესი	-
4	ხერთვისი	1,3		24	ინწობა	1,5
5	კახარეთი	2,2		25	მაშავერა	1,1
6	მარტყოფი	1,9		26	მეჭვენა	0,9
7	სიონი	14,3		27	აჭი	1,6
8	ტირიფონი	9,3		28	კეხვი	5,0
9	საცხენისი	17,5		29	კინკიშა	1,6
10	ჩითახევი	93,4		30	მაჭახელა	6,1
11	ღაშბაში	2,0		31	ვარიანი ჯამი (1-31)	0,7 261,7
12	ბუჟუა	51,5		32	ზრამი ჰესი -I	149,7
13	თეთრიხევი	13,4		33	ზრამი ჰესი -II	219,9
14	რიცეულა	20,8		34	თბილთეცი	19,5

<sup>1</sup> შედგენილია აღნიშნული ელექტროსადგურების პირველადი მასალების საფუძ-  
ველზე.

15	ჩხოროწყუ	2,9		35	„ეი-ი-ეს მტკვარი“	740,3
16	ალაზანი	0,7				
17	აბჰესი	2,5				
18	კაბალი	4,1			ჯამი (32-35)	1129,4
19	სქური	0,7				
20	ყაზბევი	0,9			სულ ჯამი	1391,1

კომპანიის მიერ თბილისში 1 წლის განმავლობაში დამონტაჟდა 190 ათასზე მეტი თანამედროვე ტიპის მრიცხველი და მართვის პულტი. ამ სამუშაოზე დასაქმდა ასობით ადამიანი. ამასთან, მომხმარებლებისაგან ელექტროენერჯის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლების პირობებში, კომპანიამ სრულად გადაიხადა შესყიდული ენერჯის ღირებულება.

გარდა ამისა, 1999 წელს განხორციელდა „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის“, ხოლო მოგვიანებით, სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისკეტჩერიზაცია-2000“-ის 5 წლით მართვის კონტრაქტების გაფორმება; ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას და, თავის მხრივ, დარგში პრივატიზაციის განხორციელებას.

ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზების განხორციელებით მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები, კერძოდ:

- ახალი ტიპის მესაკუთრის ფორმირების შედეგად მომზადდა წინაპირობები, რომ მინიმუმამდე დავიდეს ისეთი მანკიერი მოვლენები, როგორცაა: ელენერჯის დატაცება, გაფლანგვა, შემოსავლების დამალვა, არაკომპეტენტურობა და ა.შ.
- ინვესტორის მიერ ვალების ნაწილი დაიფარა, ნაწილის გადახდა შეჩერდა;
- ენერჯის საფასურის ანაზღაურებისა და მოსახლეობისაგან მისი გადახდის საკითხს ინვესტორი არეგულირებს;

- თანდათან წყდება ელექტროენერჯის დაზოგვის საკითხი;
- უცხოური კრედიტების ათვისება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ძირითადად, გადასულია ინვესტორებზე;
- გარკვეულწილად გაიზარდა გადასახადების გადახდები და სახელმწიფოს შემოსავლები;
- ენერჯიაშემცველების შექმნასა და დარგის რეაბილიტაციას ახორციელებს ინვესტორი;
- მოწოდებული ენერჯის ღირებულების სრულმა გადახდამ დადებითი გავლენა იქონია ენერჯეტიკის სხვა დარგებზეც;
- გაიზარდა შესაძლებლობა დარგის საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის.

საქართველოში 2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. მათ მიერ 2000 წელს გამომუშავებულ იქნა 13 911 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია, რომელიც ამ დროისათვის ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის საერთო რაოდენობის 18,9%-ს შეადგენდა (იხ. ცხრილები 3.4 და 3.5). სექტორში დასაქმებული იყო 2970 მუშაკი (საერთო რაოდენობის 19,5%), ხოლო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 109,5 მლნ ლარს (დარგის პროდუქციის 30,2%).

ცხრილი 3.5.

პრივატიზაციის მაჩვენებლები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში

№ რიგზე	მაჩვენებლები	განზ. ერთეული	წლები			2000წ. 1993 წ-თან შედარებით
			1993	1995	2000	
1	2	3	4	5	6	7
1	პრივატიზებულ საწარმთა რაოდენობა, სულ	ერთეული	10	16	36	3,6-ჯერ
	მათ შორის მეთოდებით: აუქციონით		2	2	2	100,0
	სხვა მეთოდებით	„	8	14	34	4,25-ჯერ
2	პროდუქციის მოცულობა	მლნ ლარი	3,8	4,6	109,5	28,8-ჯერ
3	მომუშავეთა რაოდენობა	კაცი	150	240	2970	19,8-ჯერ
4	შრომის ნაყოფიერება	ათასი ლარი	25,3	19,2	36,9	145,8
5	ელექტროენერგიის გამომუშაება	კვტსთ	111,6	130,3	1391,1	12,4-ჯერ
6	ხვედრითი წონა ღარგის საერთო მაჩვენებლებში	%				
	- ელექტროენერგიის გამომუშაება		1.1	1,85	18,9	+17,8
	- პროდუქციის მოცულობა		0,9	1,2	30,2	29,3
	- მომუშავეთა რაოდენობა		1,05	2,8	19,5	18,45
	- შრომის ნაყოფიერების ღონე		102,0	107,0	155,0	+53

საქართველოში ელექტროენერგეტიკის პრივატიზაციის ძირითადი მიზანია სისტემის აღდგენა, მისი შემდგომი სრულყოფა და საიმედო და ეკოლოგიურად სუფთა ენერგომომარაგება უმცირესი დანახარჯებით. პრივატიზებით შესაძლებელია სექტორის მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესება. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განვითარებადმა ქვეყანამ ენერგეტიკაში ყოველმხრივ უნდა განახორციელოს პრივატიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკა და ქვეყანაში სტრატეგიული ინვესტორის შემოყვანა.

ზემონათქვამს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო ქვეყნისათვის. ჯერ ერთი, სტრატეგიულ პარტნიორზე ენერგეტიკული ობიექტების გაყიდვის შემთხვევაში განხორციელებული ინვესტიციები ემატება ქვეყანაში არსებულ ინფრასტრუქტურას. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნის ენერგეტიკა კი, როგორც ცნობილია, მოითხოვს აუცილებელ რეკონსტრუქციას, განახლებას და არსებული მანქანებისა და მოწყობილობების შეცვლას; მათ უკვე ამოწურეს თავიანთი სასარგებლო მომსახურების ვადა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შეზღუდულობა ინფრასტრუქტურისათვის სათანადო თანხების გამოყოფის საშუალებას არ იძლევა, მაშინ, როცა პრივატიზება კერძო კაპიტალის ახალი წყაროების მოზიდვას უზრუნველყოფს.

მეორე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია; ინვესტორი, სექტორში მართვის მეთოდების განახლებასთან ერთად, ნიშნავს ახალ კადრებს, ნერგავს სრულყოფილ ორგანიზაციულ-მმართველობით სტრუქტურასა და პრაქტიკას, აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიებს. ეს აისახება მომუშავეთა სწავლებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში. ახალი მმართველობითი სიახლეების დანერგვა ხელს უწყობს სექტორის შემდგომ რეფორმირებას, გადასახდელების აკრეფის გაუმჯობესებას, კონკურენციის განვითარებას, სამომხმარებლო ფასების შემდგომ რაციონალიზაციას. არსებული გამოცდილება მიგვითითებს იმაზე, რომ სტრატეგიული ინვესტორი დროულად იხდის გადასახადებს და მომუშავეთა ვადაგასულ ხელფასებს.

მესამე, სტრატეგიული მნიშვნელობის ინვესტორის მიერ სტიმულური კომერციული პრაქტიკის შემოღება შეიძლება კორუფციის



შემცირების ეფექტური საშუალებაც გახდეს. ეს მიიღწევა გადასახადების ამოღების პროცესის გაუმჯობესების შედეგად; ამას უზრუნველყოფს გადაუხდელობის გამო მომსახურების შერჩევითი შეწყვეტა, ან არსებული არაეფექტური ინტერესების შეცვლა მესაკუთრეების ინტერესებით, ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება და ა.შ. სამართლიანი ავტონომიური კონტროლის შემოღებამ შეიძლება გააძლიეროს როგორც ინვესტორის, ისე მომხმარებლის ინტერესების დაბალანსება.

დასასრულ, სტრატეგიული ინვესტორი შეიძლება გახდეს სექტორში მიმდინარე ეკონომიკური და ტექნიკური პროცესების რაციონალიზაციისა და შემდგომი რეფორმების თანამონაწილე.

ინვესტორისათვის მთავარია იმის გარანტია, რომ იგი მიიღებს საკმარის უკუგებას ინვესტიციებიდან და ეს გარანტირებული იქნება ისეთი სატარიფო განაკვეთის დამტკიცებით, რომელიც გრძელვადიან პერიოდში ცვლილებას არ დაექვემდებარება. იმავედროულად, მარეგულირებელი ორგანო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ინვესტიციები, რომლებიც ხელს უწყობს მომსახურების მოცულობისა და ხარისხის გაზრდას და ხარჯების შემცირებას, განხორციელებულია ან განხორციელდება ტარიფების დამტკიცებამდე, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტირებული საშუალებების ანაზღაურებას. მაგრამ ასეთი გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადების შედეგად, თუ ელექტროენერჯის ტარიფი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი დარჩება, იგი ხელს შეუშლის უფრო დინამიკური და კონკურენტული ელექტროენერჯის ბაზრის განვითარებას.

პრივატიზაციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია, თუ როგორ განხორციელდეს პრივატიზაცია ელექტროენერჯის ბაზრის ფუნქციონირების კონტექსტში. კერძოდ, თუ ელექტროენერჯის წარმოების საწარმოები მომავალში გაიყიდებოდა გაერთიანებული ჯგუფების სახით, რომელშიც ჩართული იქნებოდა რამდენიმე საწარმო, ელექტროენერჯის წარმოების ბაზარზე არ იქნებოდა კონკურენცია და შეიძლებოდა მონოპოლიის გამოვლინება ამ დარგში. მეორე მხრივ, ერთი აქტივის შექმნის ნაც-

ვლად. ინვესტორები დაინტერესებულნი არიან აქტივების შექმნაში, რომელიც ენერჯის წარმოებასა და ელექტრომომარაგებაში გამოიყენება და ამით შეამცირონ თავიანთი ხარჯები და საინვესტიციო რისკის ხარისხი. ცხადია, საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ელექტროენერჯის წარმოება აჭარბებს მოთხოვნას და ელექტროენერჯის მწარმოებელი საწარმოების რაც უფრო მეტი მფლობელი იქნება, მით უფრო მეტი იქნება კონკურენცია ბაზარზე. მაგრამ, თუ საწარმოები გაიყიდება, როგორც ერთიანი ჯგუფი, შეიძლება შემოვიდეს მხოლოდ ერთი საპრივატიზაციო წინადადება და გაჩნდეს მონოპოლიის წარმოქმნის საშიშროება. ეს კი, თავისთავად, გაართულებს რეგულირების პროცესს.

თავის დროზე, საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ორგანოში განიხილებოდა საკითხი – შეიძლება თუ არა საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ელექტროსადგურების გაერთიანება ორ ან სამ ჯგუფად. ამასთან, სემეკი ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ წინასწარ საჭიროა გამანაწილებელი კომპანიების გაერთიანება ორ პაკეტად (აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო) ან აღმინისტრაციული მხარეების მიხედვით, რადგან არსებული 80-მდე ენერგოკომპანია ვერ ასრულებს მასზე ლიცენზიის პირობებით დაკისრებულ ფუნქციებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ასეთი დანაწევრებული საწარმოების შექმნა არ იქნებოდა მიმზიდველი სტრატეგიული ინვესტორისათვის.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა იმის მაჩვენებელია, რომ ელექტროსადგურების პრივატიზება უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს, კერძოდ:

- ა) ელექტროენერჯის წარმოების მომავალი ინვესტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის სრულად მიიღებს წარმოებული ელექტროენერჯის საფასურს. ეს შიდა ბაზარზე შესაძლებელი განდება მხოლოდ გამანაწილებელი კომპანიების კერძო მფლობელობაში გადასვლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ მწარმოებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთელ ენერჯიას გაყიდის საზღვარგარეთ, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის

ისედაც დეფიციტურ მდგომარეობას;

- ბ) მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობამ, ზოგადად, შეიძლება უარყოფითი როლი ითამაშოს ქვეყნისათვის ახალი ინვესტიციების მოზიდვაში, თუ ეს ორგანო ვერ შეძლებს: 1) ინვესტიციისათვის ენერგოსისტემის განვითარებასა და აქტივების მოდერნიზებაზე ინვესტირებული თანხებიდან მოგების მიღების შესაძლებლობის მიცემის ზუსტ შეფასებას; 2) ტარიფების განგარიშებისა და პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის გამჭვირვალე მეთოდებისა და პროცედურების დამუშავებასა და დანერგვას.

საქართველოს ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციის მე-3 ეტაპი განხორციელდა 2006 წელს. პრივატიზაციის მთავარი მიზანი იყო საქართველოს ენერგოსექტორის მდგომარეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს მიღწეული უნდა ყოფილიყო ამ ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციით, უმცირესი დანახარჯებით, ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წარმოება-მიწოდებით.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები იყო:

- მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასზე;
- ჰესების ქონების პრივატიზებისას უპირატესობა უნდა მინიჭებოდა სადისტრიბუციო კომპანიების შექმნაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულს.

კონკრეტულად გასაყიდად გამოტანილი იყო შემდეგი ობიექტები:

#### I. სადისტრიბუციო კომპანიები:

1. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგო-კომპანია“ შემდეგი მახასიათებლებით:
  - 2005 წელს ელექტროენერჯის მოხმარებამ შეადგინა – 2,1 მლრდ. კვტ.სთ
  - მომხმარებელთა რაოდენობა: ინდივიდუალური – 670 ათასი; კომერციული – 24,3 ათასი.

- ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი – 30,0 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
2. „აჭარის ენერჯოკომპანია“ შემდეგი მახასიათებლებით:
    - 2005 წელს ელექტროენერჯის მოხმარებამ შეადგინა – 275,6 მლნ. კვტ. სთ;
    - მომხმარებელთა რაოდენობა: ინდივიდუალური – 95,5 ათასი; კომერციული – 8,6 ათასი;
    - ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი – 5 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
  3. „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“ შემდეგი მახასიათებლებით:
    - 2005 წელს ელექტროენერჯის მოხმარებამ შეადგინა – 154,1 მლნ კვტ. სთ;
    - მომხმარებელთა რაოდენობა: ინდივიდუალური – 107,5 ათასი; კომერციული – 3,5 ათასი;
    - ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი – 2 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

II. ჰესები: სულ დადგმული სიმძლავრე – 361,4 მგტ.

ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი სულ – 82 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

1. ლაჯანურჰესი
  - დადგმული სიმძლავრე – 112,5 მგტ.
  - ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი – 26 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
2. რიონჰესი
  - დადგმული სიმძლავრე – 48 მგტ;
  - ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი – 14 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
3. გუმათჰესების კასკადი
  - დადგმული სიმძლავრე – 66,5 მგტ;

- ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი – 12 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

#### 4. შაობრკესი

- დადგმული სიმძლავრე – 48 მგტ;
- ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი – 14 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

#### 5. ძევერულჰესი

- დადგმული სიმძლავრე – 48 მგტ;
- ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი – 14 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

#### 6. აწჰესი

- დადგმული სიმძლავრე – 48 მგტ;
- ქონების საწყისი საპრივატიზაციო ფასი – 14 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

### III. საკონკურსო პირობები კი ასეთი იყო:

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების ქონების რეალიზებისათვის:

- მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მომსახურების არეალის არ სემცირება;
- მომსახურების არეალში აბონენტების შეუფერხებელი მომსახურება;
- „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ და „აჭარის ენერგოკომპანიის“ ქონების სარეალიზაციო თანხა სრულად უნდა დაფარულიყო ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო „საქართველოს გაერთიანების სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ აქტივების შემთხვევაში, სარეალიზაციო თანხის 50% უნდა გადახდილი ყოფილიყო გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, დანარჩენი თანხა კი 2006 წლის დეკემბრამდე.

პიდროლექტროსადგურების ქონების პრივატიზებისათვის:

- მუშა სიმძლავრის შენარჩუნება, დადგმული სიმძლავრის არანაკლებ 85%-ისა, თუ ეს გათვალისწინებულია ენერგო ბალანსით, რომელსაც ადგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
- „ლაჯანურჰესის“, „რიონჰესის“, „გუმათჰესების კასკადის“, „შაორჰესის“, „ძვერულჰესის“ და „აწჰესის“ ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, და 2006 წლის დეკემბრამდე<sup>1</sup>

საქართველოს ენერგეტიკის ზემოთ აღნიშნული უმსხვილესი ობიექტების საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 8 კომპანიამ. ესენი იყვნენ რუსული ИИнтер PAO EЭC, ქართული TBC+Enrgj და Geo Steal, ესპანური Laxtrol, ჩეხური Energo Pro და Falkon Capital, აგრეთვე ოფშორული Unitrade Service LLD და SB Energj. ტენდერში გამარჯვებული აღმოჩნდა ჩეხური კომპანია Energo Pro, რომელმაც შეისყიდა ყველა საპრივატიზაციო ობიექტი, გარდა „კახეთის ენერგოკომპანიისა“. ეს უკანასკნელი კი შეიძინა ქართულმა TBC+Enrgj 5,1 აშშ დოლარად, ანუ მის მიერ გადახდილ იქნა საწყის ფასზე 2,55-ჯერ მეტი. მთლიანად კი ყველა ენერგეტიკული ობიექტი გაიყიდა 317,45 მლნ აშშ დოლარად, რომელიც წინასწარ გამოცხადებულ ჯამურ საკონკურსო ფასს (119 მლნ) 2,67-ჯერ აღემატება.

ოფიციალური ვერსიით, გამარჯვებული ჩეხური კომპანია Energo Pro, გარდა თავის ქვეყნისა, საქმიანობს ბულგარეთსა და თურქეთში, სადაც იგი აშენებს ორ ჰიდროელექტროსადგურს. რაც შეეხება ქართულ კომპანიას TBC+Enrgj იგი ენერგეტიკულ ბაზარზე ახალია. ახალმა ინვესტორებმა, საკონკურსო პირობების თანახმად, თანხის 50% უნდა გადაიხადონ გამარჯვებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი თანხა 2006 წლის 1 დეკემბრამდე.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების შედეგად მიღებულია დადებითი შედეგები, დარგში

<sup>1</sup> [http://www.privatization.ge/spp/news.php?lang=ge&action=article&news\\_i...29.03.2006](http://www.privatization.ge/spp/news.php?lang=ge&action=article&news_i...29.03.2006)

<sup>2</sup> <http://medinews.com.ua/news-2317-print.html>

ამ თვალსაზრისით, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები. პირველი ასეთი პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურებასთან, რადგან ეს მაჩვენებელი ქვეყანაში ჯერ-ჯერობით კვლავ დაბალ დონეზეა. საჭირო სახსრების უქონლობის გამო ვერ მიმდინარეობს ელექტროსადგურების სარემონტო სამუშაოები, გაძნელებულია მათი მარაგნაწილებით მომარაგება; ვერ ხერხდება არსებული სიმძლავრეების სრული გამოყენება და თბოსადგურების საწვავით უზრუნველყოფა.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა შეეხება თბილისში ელექტროენერჯის ტარიფს. როგორც ცნობილია, საპრიატიზაციო ხელშეკრულების თანახმად, სს „თელასი“ ტარიფის სიდიდის მოთხოვნას ყოველწლიურად ახდენს შემდეგი პირობით. ჯერ განაწილების არსებულ ტარიფს ზრდის 0,5 თეთრით ერთ კილოვატსაათზე, ხოლო შემდეგ მის შესწორებას ახდენს განხორციელებული ინვესტიციებისა და ქვეყანაში არსებული ინფლაციის ცვლილების შესაბამისად. ასეთი სქემის განხორციელება კი მიზანშეწონილი აღმოჩნდა თბილისისათვის. მხოლოდ 2 წლის განმავლობაში (1999-2000 წწ.) განაწილების ტარიფი აქ 2.1-დან 3.9 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო 2001 წლისათვის ამერიკული კომპანიის მიერ მოთხოვნილი იყო 17,1 თეთრი, ანუ 8.1-ჯერ მეტი საწყის პერიოდთან შედარებით. ამ თვალსაზრისით, ქართულ მხარეს დიდი და ძნელი სამუშაოების გაწევა მოუხდა მდგომარეობის დარეგულირებისათვის.

თელასის აქციათა 75%-ის გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების პროცესში აღმოჩნდა, რომ სატენდერო პირობები შედგენილი იყო ხარვეზებით, რითაც ინვესტორს საშუალება მიეცა წამოეყენებინა საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული მოთხოვნები. ამის გამო, ხელშეკრულების მისაღებ კონდიციამდე მიყვანისათვის დაიხარჯა დიდი დრო, სახსრები და ენერჯია.

გვიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ არის აზრი იმის შესახებ, რომ საინვესტიციო ბანკს, თუნდაც საყოველთაოდ აღიარებულს (ჩვენს შემთხვევაში „მერილ ლინჩ“), არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული ექსკლუზიური უფლებები. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაფართოვდეს სატენდერო კომისიის პირობე-

ბის შემმუშავებელი მუშა ჯგუფი ქართველი პროფესიონალი ენერგეტიკოსებისა და დარგობრივი მეცნიერების მოწვევით.

მთლიანობაში, პრივატიზაციის საერთო შედეგები დადებითად უნდა შეფასდეს. ინვესტორთა სახით დარგის ობიექტებს გამოუჩნდა სამედიო პატრონი, რომელიც პასუხს აგებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებასა და საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკურ შედეგებზე. სახელმწიფოს კი, პრივატიზაციის შედეგად გაუჩნდა ისეთი შემოსავლები, როგორცაა: პრივატიზაციიდან ამონაგები სახსრები, გადასახადები, წილი აქციებიდან მიღებულ დივიდენდებში და ა.შ.

ამასთან, პრივატიზაციის შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს გასულ პერიოდში არსებული სირთულეები და შეცდომები. ეს, პირველ რიგში, ეხება საპრივატიზაციო ხელშეკრულებებს. მართალია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თანმიმდევრულად იცავს პრივატიზების ორგანიზაციულ პროცედურებს, მაგრამ მაინც ნაკლოვანებებია საკონტრაქტო ხელშეკრულებების გაფორმებაში. ეს ნათლად დადასტურდა ჯერ-კიდევ „ეი-ი-ეს თელასის“ შემთხვევაში, როცა ხელმოწერილ იქნა ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრის შედარებით მძიმე პირობები.

ასევე მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვეყნის ინტერესები. ეს, პირველ რიგში, ეხება ობიექტის გასაყიდ ფასს, განსაზოვრციელებელ ინვესტიციებს და ელექტროენერჯის მოთხოვნილ ტარიფებს. პირველი ორი, რაც შეიძლება მაღალი უნდა იყოს, ხოლო მესამე – რაც შეიძლება მინიმალური. გარდა ამისა, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული არსებული სიმძლავრე და დაცული ეკოლოგიური წონასწორობა და ენერგოუზრუნველყოფის საიმედოობა. ელექტროენერჯის დეფიციტის შემთხვევაში, ინვესტორმა ეკოლოგიურად ხელსაყრელ პირობებში უნდა განახორციელოს ელექტროენერჯის იმპორტი.



## თავი 2. ენერგეტიკის განვითარება 2001-2005 წლებში

ცნობილია, რომ ენერგეტიკა ეკონომიკის უპირველესი საბაზო დარგია, ხოლო ელექტროენერგეტიკა და ბუნებრივი გაზი ენერგეტიკულ რესურსებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტულია.

2005 სამეურნეო წელს საქართველოს ეკონომიკამ მშპ-ის წარმოებაზე სულ მოიხმარა 1444 მლნ მ3 ბუნებრივი გაზი და 8279 მლნ კვტსთ ელექტროენერგია. ბუნებრივი გაზის წილმა მშპ-ში შეადგინა 389 მლნ ლარი, ხოლო ელექტროენერგიის წილი 828 მლნ ლარით დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ მშპ-ის თითოეულ ლარში მონაწილეობდა 0,14 კგ პ.ს. და 0,78 კვტსთ ელექტროენერგია, რომელთა ჯამურმა ფულადმა ღირებულებამ 11,6 თეთრი შეადგინა.

ქვემოთ მოყვანილ მონაცემთა დინამიკა (იხ. ცხრილი 3.6.) მიანიშნებს იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში (2000-2005) ქვეყანაში წარმოებული მშპ-ის ზრდის ტემპები, მნიშვნელოვანწილად, წინ უსწრებს ენერგიის მოხმარების ზრდის ტემპებს, რაც ეკონომიკის საგრძნობი აღმავლობის ერთ-ერთი ინდიკატორია.

### ცხრილი 3.6

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2000 – 2005 წლებში


№	დასახელება	2000	2001	2002	2003	2004	2005
1.	ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი, მლნ ლარი	5780	6647	7459	8560	9800	10600
2.	მოხმარებული ენერგორესურსები სულ, ათასი ტონა (პ.ს.)	2647	2669	2912	2826	3083	3059

3.	მშპ-ის ენერგოტექ- ვალობა, კვ პ.ს./ლარზე	0.46	0.40	0.39	0.33	0.31	0.29
3.1	ელექტროენერგია, მლნ კვტსთ	6617	6647	7273	7062	7595	8279
3. 2.	ბუნებრივი გაზი, მლნ მ <sup>3</sup>	834	835	1005	1011	1237	1440
4.	მშპ-ის ელექტრო- ტექვალობა კვტსთ/ლარზე	1.44	1.00	0.98	0.83	0.77	0.78
5.	მშპ-ის გაზტექვა- ლობა, მ <sup>3</sup> /ლარზე	0.15	0.13	0.13	0.12	0.13	0.14


### 2.1. ელექტროენერგეტიკა

როგორც ზემოთ დავინახეთ, საბჭოთა პერიოდიდან დამოუკიდებელ-  
მა საქართველომ მემკვიდრეობით მწვავე პრობლემებით დატვირთუ-  
ლი ელექტროენერგეტიკული დარგი მიიღო. სხვადასხვა სუბიექტუ-  
რი და ობიექტური მიზეზების გამო გარდამავალ პერიოდში მკვეთ-  
რად შეყონდა დარგის განვითარება. 1990-1995 წლებში ელექ-  
ტროენერგეტიკის წარმოება შემცირდა 50,3%-ით, მოხმარება 2,2-ჯერ,  
მათ შორის მრეწველობაში 8,4-ჯერ; რაც შეეხება 1996-2000  
წლებს, აღნიშნულ პერიოდში ელექტროენერგეტიკის წარმოების გაზ-  
რდა მოხერხდა მხოლოდ 5,1%-ით, ხოლო მოხმარება თითქმის  
იგივე დონეზე დარჩა – 1995წ. – 7836; 2000წ. – 7841 მლნ  
კვტსთ.

ელექტროენერგეტიკის გამომუშავებისა და მოხმარების დინამიკა ბოლო  
ხუთი წლის განმავლობაში მოყვანილია გრაფიკზე (ათ.კვტსთ):



ა) გამომუშაება



ბ) მოხმარება

საქართველოს ელქტრობალანსი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში უფრო ღრმად დეფიციტური გახდა. დეფიციტის მოცულობა 4-5-ჯერ და ზოგიერთ წლებში უფრო მეტადაც შემცირდა, მაგრამ ეს მოხდა მოხმარების, და შესაბამისად, წარმოების კლების ხარჯზე. ცხრილ 3.7-ში მოცემულია საქართველოს ელქტრობალანსი 2000-2005 წლებში.

საქართველოში 2000-2005 წლებში ელექტროენერჯის წარმოება არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა 4,6%-ით, ხოლო მოხმარება გაიზარდა 6,8%-ით. ამის გამო წლიურ ჭრილში სახეზეა დეფიციტის ზრდა თითქმის 1,3 მლრდ კვტსთ-მდე, ანუ 3,2-ჯერ.

ცხრილი 3.7

საქართველოს ელექტროენერჯის ბალანსი  
(მლნ კვტ.სთ)

მაჩვენებლები	წლები					
	2000	2001	2002	2003	2004	2005
1	2	3	4	5	6	7
ელექტროენერჯის წარმოება	7446	6942	7256	7163	6706	7100
მათ შორის						
თესი	1540,4	1370,5	513,5	635,1	813,2	1030,6
აქედან						
თბილსრესი	}1520,1	139,8	245,8	18,7	21,5	318,2
მტკვარი-ენერგეტიკა		1226,4	267,7	616,4	791,7	712,4
თბილთეცი	20,3	4,3	-	-	-	-
ჰესი	5905,6	5571,5	6742,5	6527,9	5892,8	6070
აქედან						
ენგურჰესი	2742,6	2344,2	2989,0	3066,1	2728,1	2578,9
ვარდნილჰესი	487,5	457,3	509,9	356,0	384,2	425

ვარციხეკესი	665,7	657,1	840,7	738,0	606,6	674
ლაჯანურკესი	194,6	186,7	134,0	216,0	86,3	125,3
შაორიკესი	81,9	90,4	146,1	138,0	96,9	109,4
ძვერულაკესი	109,7	70,9	171,5	139,0	84,3	128
გუმათიკესი	176,6	184,4	181,9	181,2	204,3	203
რიონკესი	267,5	259,2	226,6	290,0	288,8	296
ხრამი I	149,1	158,8	151,7	313,0	238,8	197
ხრამი II	228,3	239,8	210,4	104,0	3,0	126,6
ჟინვალკესი	292,9	362,2	476,1	353,0	437,9	402
დანარჩენები	509,2	560,5	704,6	633,6	733,6	804,8
იმპორტი	611,5	877,6	713,2	844,3	1210	1399
ექსპორტი	210,5	523,3	244,5	109,3	–	120
მოხმარება	7847	7296,3	7724,7	7898	7916	8379
ბალანსი (დეფიციტი)	-401	-354,3	-468,7	-735	-1210	-1279

2005 წელს საქართველოში გამოიმუშავებული და იმპორტირებული ელექტროენერჯიის რაოდენობამ შეადგინა 8 363,1 მლნ კვტსთ, რაც 3,6%-ით მეტია 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოს ენერჯისისტემაში მოიმუშავე ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 7 061 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია, ანუ 2,3%-ით მეტი 2004 წელთან შედარებით. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 0,6%-ით მეტი ელექტროენერჯია, რომელ-

მაც შეადგინა 6 030,4 მლნ კვტსთ. თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ იქნა 15,2%-ით მეტი ელექტროენერგია და შეადგინა 1 030,6 მლნ კვტსთ. ჰესების გამომუშავების მატება გამოწვეულია, ძირითადად, სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოებით. თბოელექტროსადგურების გამომუშავების ზრდა კი განპირობებულია სს „მტკვარი-ენერჯეტიკის“ მე-9 ენერგობლოკის და თბილსრესის მე-3 და მე-4 ენერგობლოკების შედარებით სტაბილური მუშაობით. ელექტროენერგიის იმპორტი გაიზარდა 7,2%-ით. იმპორტი განხორციელდა როგორც რუსეთის, ასევე სომხეთის და თურქეთის ენერგოსისტემებიდან და იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობამ შეადგინა 1398,6 მლნ კვტსთ. ამავე დროს, განხორციელდა ელექტროენერგიის ექსპორტი 121,8 მლნ კვტსთ-ის ოდენობით.

ენერგოსისტემაში ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია ენგურჰესის წილი. 2005 წელს მისმა გამომუშავებამ შეადგინა 2 578,9 მლნ კვტსთ, რაც 5,5%-ით ნაკლებია 2004 წელთან შედარებით (2728,1 მლნ კვტსთ); სადგურის 5 აგრეგატიდან (დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ) მუშა მდგომარეობაშია სამი (ორი კაპიტალურ შეკეთებაშია), 690 მგვტ მუშა სიმძლავრით. ენგურის კასკადის ოთხი ვარდნილი ჰესიდან ექსპლუატაციაშია მხოლოდ პირველი, რომლის 210 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან მუშა სიმძლავრე შეადგენს 110 მგვტ-ს. 2005 წელს მის მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიის რაოდენობამ შეადგინა 428,5 მლნ კვტსთ, რაც 43,8 მლნ კვტსთ-ით მეტია წინა წელთან შედარებით (384,2 მლნ კვტსთ). ელექტროენერგიის გამომუშავების მატება განპირობებულია სადგურში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებით. დანარჩენი სამი ვარდნილჰესი – II, III, IV – მთლიანად დატბორილი და გაჩერებულია. გასული საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნული სადგურები წლიურად საშუალოდ გამოიმუშავებდნენ მილიარდ კვტსთ-ზე მეტ იაფ ელექტროენერგიას. წლების განმავლობაში დიდი ოდენობით წყალი იღვრებოდა ენგურჰესის კაშხალიდან, საკეტი

ფარის ჩაყარდნის გამო. 2005 წელს სახელმწიფო დაფინანსებით ეს პრობლემა მოგვარებულია, დამონტაჟდა ახალი ფარი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით ენგურ-ქესში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებში 2006 წლის პირველ ნახევარში დაიწალა სადაწნეო გვირაბი და მასში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამან გამოიწვია სადგურის გაჩერება დაახლოებით სამი თვით.

მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვარციხეპესების კასკადის ოთხი სადგური 184 მგვტ დადგმული სიმძლავრით, რომელთა ჯამური საპროექტო საშუალო წლიური გამომუშავება 1,0 მილიარდი კვტსთ-ია. 2005 წელს სადგურის მიერ გამომუშავებულ ექნა 703,8 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია. მოსაწესრიგებელია კასკადის ჰიდროტექნიკური ნაგებობები, რომელთა გაუმართაობის გამო წყალდიდობის დროს საფრთხე ექმნება მიმდებარე სოფლების მოსახლეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს სახელმწიფოს მხარდაჭერით და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ძალისხმევით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა რიგი ჰიდროელექტროსადგურების, თბოსადგურისა და ენერგოსისტემის ელექტროქსელების რეაბილიტაცია, რამაც ხელი შეუწყო ენერგოსისტემის საიმედოობის ამაღლებას და მომხმარებლების სტაბილურად მომარაგებას ელექტროენერჯით, გამრიცხველიანების პროცესის დაჩქარებამ კი შესაძლებელი გახდა ელექტროენერჯის საფასურის ამოღების მნიშვნელოვანი გაზრდა. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამით სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა: სს „ძვერულაქესში“, სს „გუმათქესების“ კასკადში, ენგურქესში.

ბაზისური სადგურებიდან (თბილსრესი, „მტკვარი ენერგეტიკა“) 2005 წლის ბოლოსათვის მუშაობდა „მტკვარი ენერგეტიკის“ მე-9 ბლოკი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 300, ხოლო მუშა სიმძლავრე – 200 მგვტ. უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს ბლოკი

მუშაობდა შედარებით სტაბილურად და გამოიმუშავა 712,4 მლნ კვტსთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სს „თბილსრესისათვის“ გამოყოფილი თანხით განხორციელდა მე-3 და მე-4 ენერგობლოკების რეაბილიტაცია.

სერიოზული პრობლემებია ენერგოსისტემაში სიხშირისა და ძაბვების რეგულირების ტექნიკური საშუალებების მუშაობაში. ჰიდროელექტროსადგურებში არ მუშაობს აგრეგატების ბრუნვის (სიხშირის) ავტომატური რეგულატორები; ოპერატიული და სარეზერვო სიმძლავრეების უქონლობის გამო, გაძნელებულია სიხშირის რეგულირება და სასისტემო ავარიების განვითარებაზე ზემოქმედება.

ენერგოსისტემის ძირითადი ელექტრული ქსელის 35-110-220-330-500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები სამი ლიცენზიატის – სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა“ და შპს „საქრუსენერგოს“ მართვაშია.

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005 წლის 15 ივნისის №1-3/451 ბრძანების საფუძველზე, „შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნა ცვლილება. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებულ იქნა 110-35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც გადაეცა სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“.

ელექტროგადამცემის ობიექტების ძირითადი მოწყობილობებისა და დისპეტჩერული მართვის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი და მოძველებულია, საჭიროა მათი რეკონსტრუქცია-განახლება.

ენერგოსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს ელექტროდანადგარებისა და მოწყობილო-



ბების დაჩქარებული ცვეთა, რომელიც გამოწვეულია შეზღუდვებისა და სიხშირის არასტაბილურობის გამო დაუშვებლად ხშირი ჩართვა-გამორთვებით. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ 35-110 და 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების გარკვეული ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ გაძარცულია და მათ აღდგენას ესაჭიროება სერიოზული სახსრები და დრო.

ელექტროსისტემის მდგრადი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სარელეო დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. 220კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე მოქმედებიდან მასობრივად გამოყვანილია ძირითადი სწრაფმოქმედი დიფერენციალურ-ფაზური დაცვები; მოქმედებაშია მხოლოდ სარეზერვო დაცვები. ანალოგიურ მდგომარეობაშია 500კვ ელექტროგადამცემი ხაზების სარელეო დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობები.

ელექტროსისტემაში არ მოქმედებს ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის არც ერთი არხი და მოწყობილობა, ავტომატური განმეორებითი ჩართვის მოწყობილობები.

2005 წელს დაიწყო და 2006 წელს დამთავრდება 500კვ მაგისტრალური ქსელის აღჭურვა თანამედროვე ციფრული სარელეო დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობებით. ამ მიზნით გერმანული (KFW) ბანკის მიერ გამოყოფილია კრედიტი 12,3 მლნ ევროს ოდენობით, რომელიც ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული მოწყობილობების დამონტაჟებას 500კვ ზესტაფონის, ქსნისა და გარდაბნის ქვესადგურებში, აგრეთვე 500კვ ზესტაფონის ქვესადგურის ნაწილობრივ რეაბილიტაციას. სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2006 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ გამოყოფილია კრედიტი 27,4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. კრედიტი ითვალისწინებს აღრიცხვის კვანძების და ტელეკომუნიკაციის საშუალებების რეაბილიტაციას, SCADA-ს სისტემის დანერგვას.

2005 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და ღონისძიების მიერ განხორციელებული მხარდაჭერით შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საბალანსო გაყოფის წერტილებში მოწესრიგდა აღრიცხვის კვანძები.

2005 წელს ასევე სახელმწიფოს მხარდაჭერით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოყოფილ იქნა თანხები სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის“ გამრიცხველიანების პროგრამის დასაფინანსებლად. ენერგოკომპანიის მიერ სატრანსფორმატორო ჯიხურებში ტრანსფორმატორების 0,4 კვ ძაბვის მხარეს დაყენდა ახალი მრიცხველები. დაიწყო ინდივიდუალური გამრიცხველიანება დიდ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში.

ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე ელექტროსადგურების არსებულ სიმძლავრეთა აღდგენა-რეაბილიტაციისათვის, აგრეთვე ახალი სადგურების ამოქმედებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯერ ხადორი ჰესის, ხოლო შემდეგ გაზტურბინული დანადგარის ამოქმედება; საფუძველი ჩაეყარა მომხმარებელთა 24-საათიან ელექტრომომარაგებას. მნიშვნელოვნად ამაღლდა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება.


## *2.2 ბუნებრივი გაზის სექტორი*

დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოში ბუნებრივი გაზით მომარაგება მკვეთრად გაუარესდა. საკმარისია ითქვას, რომ 1990-2000 წლებში მისი მოხმარება 6046 მლნ კუბ. მ-დან 1094 მლნ კუბ.მ-მდე, ანუ 5,5-ჯერ შემცირდა, ხოლო 2001-2005 წლებში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. (იხ. ცხრილი 3.8).

ბუნებრივი გაზის მოხმარების დინამიკა  
საქართველოში 2000-2005 წლებში


წლები	მლნ კუბ.მ	ზრდის ტემპი, %
2000	1094	100,0
2001	880	80,4
2002	700	64,0
2003	1009	92,2
2004	1231	112,5
2005	1440	131,6

კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში გაზის მოხმარება ქვეყანაში 31,6%-ით გაიზარდა. მაშასადამე, 2005 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის გაზომარაგების მაჩვენებელი. გაზის მოწოდებამ სულ შეადგინა 3125 მლნ მ<sup>3</sup>, მათ შორის: ტრანზიტით სომხეთს მიეწოდა 1685 მლნ მ<sup>3</sup>. ეს კი 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე შესაბამისად 17,0 და 36,5 პროცენტით მეტია. საქართველომ მიიღო (მოიხმარა) 1440,1 მლნ კუბ.მ ბუნებრივი გაზი, მათ შორის სს „თბილგაზმა“ – 486,8 მლნ კუბ.მ (33,8%). დანაკარგების პროცენტულმა რაოდენობამ ტრანსპორტირებულ გაზთან მიმართებაში შეადგინა 3.44 % (იხ. გრაფიკი):



- საქართველოსთვის მიწოდებული ბუნებრივი გაზი.
- სომხეთისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზი.
- გაზის დანაკარგები.

ქვემოთ გრაფიკულად ნაჩვენებია 2001-2005 წლებში საქართველოსათვის მოწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობები (მლნ მ³ წელიწადში).



2005 წელს ამაღლდა გაზიფიკაციის ღონე ქვეყნის ცალკეულ რეგიონებშიც. ცალკეული მსხვილი საწარმოების მიხედვით, მდგომარეობა ასეთია.

ა) გაზის ტრანსპორტირების კომპანია

2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე შეადგენს 19 39,52 კმ., რომლებითაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მომხმარებლებისათვის და ტრანზიტი სომხეთში. გაზსადენების საპროექტო წარმადობა შეადგენს 55 მლნ კუბურ მეტრს დღე-ღამეში, ანუ 20 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში. საანგარიშო პერიოდში მაგისტრალური გაზსადენების ფაქტობრივი დატვირთვა შეადგენდა 13 %-ს.

მაგისტრალური გაზსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპლუატაციაშია 30 და მეტი წლის განმავლობაში. ამასთან, უკანასკნელი 12-15 წელი ფუნქციონირებს აქტიური ელექტროქიმიური დაცვის გარეშე. აღნიშნულის გამო, მნიშვნელოვნადაა შესუსტებული გაზსადენების მუშაობის საიმედოობა.

კომპანიის მიერ თავისი ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში განხორციელებული პროფილაქტიკური და სარემონტო-აღდგენითი ღონისძიებების მიუხედავად, მაგისტრალური გაზსადენების სისტემა საჭიროებს სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის გარკვეული შეფერხებები გაზსადენების ფუნქციონირებაში. სწორედ ამიტომ აშშ-ის მთავრობის დახმარების

პროგრამაში „ათასწლეულის გამოწვევა“- შვირჩა იმ სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხა, რომელსაც ქვეყნის გაზმომარაგებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მათ შორისაა ყაზბეგი-ფასანაურის (1200 მმ), ფასანაური-საგურამოს (1200 მმ), საგურამონორიოს (1000 მმ), ნორიო-წითელი ხიდის (1000 მმ) და საგურამო-წითელი ხიდის (700 მმ) მილსადენები. აქედან გადაუდებელ სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოითხოვს მენესონის და ნანიანის მეწყრული უბანი, მდ. არკალას გადაკვეთა, სოფ. ზოტიკა-

ანთიკარი-მდინარის გადაკვეთა, 193-ე და 194-ე კმ-ები, მდ. გლდა-  
ნულას გადაკვეთა.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციას აწარმოებს საგურამოს, ქვეშეთისა და თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალები. ბუნებრივი გაზის დანაკარგების შემცირებისა და სისტემის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ტარდებოდა მაგისტრალური გაზსადენების ცალკეული უბნების რეაბილიტაციის, მოძველებული გაზის ხარჯის აღმრიცხველი ხელსაწყოების შეცვლის, ჩამკეტი და მარეგულირებელი არმატურის პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოები და მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციის წესებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

დამთავრების სტადიაშია საქართველო-რუსეთის საზღვარზე გველეთში მშენებარე აღრიცხვის კვანძი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტიპის აპარატურით და საშუალებას მოგვცემს საზღვარზევე აღვრიცხოთ რუსეთიდან მოწოდებული გაზის რაოდენობა როგორც 1200 მმ, ისე 700 მმ მილსადენზე.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის, არსებული გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში საქართველოს მომხმარებელთა ალტერნატიული გზით გაზმომარაგების საკითხებში. კერძოდ, დაბუშავდა საქართველოს მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით მომარაგებისა და სომხეთში სატრანზიტო მომსახურების ალტერნატიული ვარიანტები.

ბ) სს „თბილგაზი“

სს „თბილგაზის“ ბალანსზე არსებული მაღალი, საშუალო და დაბალი წნევის გაზის გაზსადენების სიგრძე სულ შეადგენს 2089 კმ-ს. აქედან მოქმედია 1739, ხოლო 350 კმ უმოქმედოა (ძირითადად, დაბალი წნევის). გაზსადენების სტრუქტურა ასეთია:

მაღალი წნევა	210,1 კმ;
საშუალო წნევა	704,9 კმ;
დაბალი წნევა	1174,0 კმ;

გაზსადენებზე მოქმედებს:

გაზგამანაწილებელი სადგური /გგს/	7
გაზგამანაწილებელი პუნქტი /გგპ/	402
კარადული დანადგარი /კდ/	208

კათოდური დაცვის სადგურები, რომელთა რაოდენობა თავის დროზე შეადგენდა 928 ერთეულს, პრაქტიკულად განადგურებულია. ამჟამად დაგეგმილია მიწისქვეშა ლითონის გაზსადენის, იზოლაციის ხარისხისა და გაზის გაყონვის დამდგენი საზღვარგარეთული თანამედროვე აპარატურის შექმნა. აგრეთვე, კოროზიული მდგომარეობის შესწავლისა და მათი ნარჩენი მუშა რესურსების განსაზღვრის მიზნით, შექმნილი და გამოყენებული იქნება ახალი თაობის საზომი ხელსაწყოები. სს „თბილგაზის“ აბონენტებს ემსახურება 12 სერვისცენტრი. აბონენტთა რაოდენობა, 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 299499, მათ შორის 2005 წელს გამრიცხველიანებულთა – 29677.

სს „თბილგაზმა“ 2005 წელს შეისყიდა 489.6 მლნ მ<sup>3</sup> გაზი, აქედან, სს „თბილსრესს“ მიაწოდა 109,3 მლნ მ<sup>3</sup>, დედაქალაქს—380,3 მლნ მ<sup>3</sup> გაზი. დარიცხულია (თბილსრესის გარეშე) 41,8 მლნ ლარი, გადახდილია 40,5 მლნ ლარი.

აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით, 2005 წელს დამონტაჟდა 31 ცალი ახალი საუბნო მრიცხველი.

შექმნა სს „თბილგაზის“ დარიცხვის ახალი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია წინამორბედი პროგრამის ნაკლის აღმოფხვრა, კერძოდ: პროგრამის გარე შემოჭრისაგან დაცვა, მონაცემების უზუსტობა და ა.შ. ამჟამად ორგანიზაციაში შექმნილია აბონენტად

ავკანის ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურა, დარიცხვის, ფინანსური კორექციების, შეღავათის გატარებისა და დაჯარიმების ფორმები.

2005 წელს სს „თბილგაზის“ ამოღების მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით ბოლო შვიდი თვის განმავლობაში, პროცენტულმა მაჩვენებელმა მიაღწია 65-86-ს. გაზის შესყიდვაზე (თბილსრესის გარეშე) გადახდილია 58,2 მლნ ლარი (32,1 მლნ აშშ დოლარი). ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით შეტანილია 9,47 მლნ ლარი.

სს „თბილგაზში“ 2005 წელს ჩატარებულია სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით 578,1 ათასი ლარი, მათ შორის 150,3 ათასი ლარის საკუთარი სახსრებით. ასევე ბიუჯეტის თანხებით ჩატარებულია 147,1 ათასი ლარის გაზიფიკაციის სამუშაოები.

გაზის მეურნეობის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, ჩატარებულია 225651 ლარის შემდეგი სახის სამუშაოები: დაზიანებული გაზსადენის გადალაგება, რეკონსტრუქცია, ავარიული გაზსადენის აღდგენა, გაზსადენის რეკონსტრუქცია გაზმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დაზიანებული მიწისქვეშა ქსელის რეაბილიტაცია, ქსელისა და გვპ-ს გადართვა, ქსელის გამოცდა, საყრდენებიდან ჩამოვარდნილი გაზსადენის დემონტაჟი და მონტაჟი, საუბნო მრიცხველების მონტაჟი და სხვ.



## **თავი 3. თანამედროვე ტენდენციები ენერგეტიკის რეგულირებაში**

### **3.1 ტარიფი: მარტივი და რთული**

როგორც ცნობილია, ტარიფი საწარმოების, დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის გაწეული სხვადასხვა საწარმოო და არასაწარმოო მომსახურების საფასურის გადახდის განაკვეთთა სისტემაა. ანსხვავებენ საბითუმო და საცალო (სამომხმარებლო) ტარიფებს.

საქონელი (მომსახურება) საბითუმო ტარიფით მიეყიდება საშუამავლო (დისტრიბუტორ) ორგანიზაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, საცალო ტარიფით აწვდიან მას უშუალო მომხმარებელს. საბითუმო ტარიფი, როგორც წესი, ნაკლებია საცალო ტარიფზე.

ელექტროენერჯის ტარიფი ფასების განაკვეთების ისეთი სისტემაა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანგარიშსწორება ელექტროენერჯიაზე (სიმძლავრეზე) მისი წარმოების, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის სტადიებზე. ამ თვალსაზრისით, ტარიფი თითქოს მარტივი და აღსაქმელად იოლი ცნებაა, მაგრამ თავისი სიღრმისეული შინაარსით და პრაქტიკაში გამოყენების ნიუანსებით, იგი ნამდვილად რთულია.

არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ფასის ბუნების ახსნაზე. მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის თანახმად, ფასის საფუძველია ღირებულება, ხოლო ღირებულების საფუძველი – საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა. ხოლო საბაზრო ეკონომიკის თეორიის მიხედვით, ფასის საფუძველს წარმოადგენს ყოველი ცალკეული მომხმარებლის მიერ პროდუქტის სარგებლიანობის ფსიქოლოგიური შეფასება.

ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში ფასები (ტარიფები) დირექტიულად წესდებოდა. მაშინ გეგმავთა ამოცანა იყო წონასწორობის დამყარება, იმას, რაც უნდა ეწარმოებინა ეკონომიკას და იმას შორის, რაც სურდათ მომხმარებლებს, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ-დირექტიულ მმართველებს გაცილებით მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, ვიდრე ეს შეიძლება ჰქონოდა ხელი-

სუფლებას თავისუფალი ბაზრის ქვეყნებში, ისინი ვერასოდეს ვერ მიუახლოვდნენ დოვლათის ისეთ მიწოდებას მოსახლეობისათვის, როგორც ამას ადგილი აქვს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული მეწარმე „ეკონომიკის ძირითად საკითხს“ თავისი პასუხისმგებლობით წყვეტს. და მანც, მიუხედავად თითქოს შეუზღუდავი თავისუფლებისა, საზოგადოებაში ანარქიის გაბატონებას ადგილი არა აქვს, რატომ? საქმე იმაშია, რომ თავისუფალი ბაზრის პირობებში მეწარმე ემორჩილება გარკვეული ძალის გავლენას – ფასების დიქტატს. სწორედ ფასი წარმოადგენს მისთვის ორიენტირს და კარნახობს მას, თუ რა საქმიანობა მოუტანს მაქსიმალურ შემოსავალს ე.ი. რომელი საქონელი და მომსახურება სჭირდება ხალხს. ამგვარად, ფასი ასრულებს, როგორც ამას ეკონომისტები უწოდებენ, სამეურნეო საქმიანობის რეგულატორის როლს.

ბაზრის წონასწორობა ნიშნავს იმას, რომ ბაზარზე გამოტანილი ყველა პროდუქტი ისეთ ფასებში გაყიდონ, რომ ერთნი – თანახმანი არიან გაყიდონ, ხოლო მეორენი – გადაიხადონ. წონასწორობა იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს შეუძლიათ იშოვონ ბაზარზე ნივთები, რომლის ყიდვაც მოუნდებათ.

გადაწყვეტილებას, როგორც გაყიდვის, ისე ყიდვის შესახებ, ღებულობენ სხვადასხვა ადამიანები, ხოლო ფასების მექანიზმის საშუალებით მყარდება წონასწორობა ამ ორ გადაწყვეტილებას შორის. მას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის დროს არც მთავრობასა და არც სხვა ვინმეს არ ძალუძს აიძულოს ადამიანი, იყიდოს ის საქონელი, რომელიც მას არ სურს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასის წარმოქმნის საფუძველია საქონლის მიწოდება და მოთხოვნის დაკმაყოფილება, ე.ი. ბაზრის კონიუნქტურა.

დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკურ მეცნიერებაში მიმდინარეობდა კამათი იმის თაობაზე, თუ რომელი უფრო მეტად მნიშვნელოვანია – მიწოდება თუ მოთხოვნა. იმავე საუკუნის ბოლოს ამ საკითხის გადაჭრა ითავა ინგლისელმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმა (1842-1924წწ.). მისი წიგნი „ეკონომიკური თეორიის პრინ-

ციპები“, რომელიც 1890 წელს გამოვიდა, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ძირითად სახელმძღვანელოს დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეკონომისტებისთვის.

ა. მარშალმა აღრინდელი ეკონომისტების: ა. სმიტის, დ. რიკარდოს. ჯ. ს. მილის და სხვათა იდეების სინთეზის საფუძველზე შექმნა ფასების ერთიანი ეკონომიკური თეორია და დიდი ადგილი დაიკავა ეკონომიკური აზროვნების თეორიაში.

ა. მარშალის მიხედვით, მოთხოვნა და მიწოდება შეიძლება მაკრატლის ორ პირს შევედართ. ორივე მათგანი საჭიროა, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გვიჭირავს იგი, ერთ-ერთი პირი უფრო აქტიური ხდება, ვიდრე მეორე. მსგავსად ამისა, მოთხოვნას ან მიწოდებას შეუძლია უფრო აქტიური როლი ითამაშოს სიტუაციის შესაბამისად, – მოკლენებს განვიხილავთ ხანმოკლე თუ ხანგრძლივი დროის პერიოდში, ანუ მოკლე თუ გრძელვადიან გეგმაში. მოთხოვნის კანონი გამოხატავს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას საქონლის (მომსახურების) ფასსა და მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვის მოცულობას (მოთხოვნის მოცულობას) შორის. სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია საქონლის (მომსახურების) ფასი, მით უფრო ნაკლები რაოდენობით ყიდულობს მას მომხმარებელი და, პირიქით, თუ საქონელზე ფასმა იკლო, მაშინ მასზე მოთხოვნა იზრდება.

მოთხოვნის კანონი გამოხატავს მეორე უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებასაც – კერძოდ, მოთხოვნის თანდათანობით კლებას. ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების რეალიზების მოცულობის კლებას განაპირობებს არა მარტო მასზე ფასის ზრდა, არამედ სამომხმარებლო მოთხოვნის გაჯერებაც. მოთხოვნა ამ შემთხვევაში იმიტომ იკლებს, რომ ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების ყოველი მომდევნო ერთეულის შესყიდვას მომხმარებლისათვის შედარებით ნაკლები სარგებელი მოაქვს. ასეთ დროს საქმე გვაქვს მომხმარებლის კლებადი ზღვრული სარგებლიანობის პრინციპთან, რომლის თანახმადაც მომხმარებლები საქონლის ან მომსახურების დამატებით ერთეულს ყიდულობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფასი მცირდება.

მოთხოვნასთან ერთად საბაზრო მექანიზმის მეორე მხარეა მიწოდება. მიწოდება ნიშნავს გამყიდველის სურვილს და შესაძლებლობას გაიტანოს ესა თუ ის საქონელი ან მომსახურება ბაზარზე სარეალიზაციოდ. მიწოდების საფუძველია წარმოება.

მიწოდების კანონი გამობატავს ურთიერთკავშირს საქონლის (მომსახურების) ფასსა და მისი გაყიდვის (მიწოდების) მოცულობას შორის. სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია ფასი, მით უფრო მეტი საქონელი (მომსახურება) მიეწოდება მომხმარებელს და პირიქით.

ელექტროენერგიაზე, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის დარგის პროდუქციაზე, ფასწარმოქმნა ექვემდებარება ზემოთ დასახელებულ კანონზომიერებას, მაგრამ გამოიყენება ფასის (ტარიფის) დაწესების საბაზრო ეკონომიკის ზემოთ აღწერილი მექანიზმისაგან არსებითად განსხვავებული მექანიზმი. აქ ფასწარმოქმნას სახელმწიფო არეგულირებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მეშვეობით. მისი მიზანია მაქსიმალურად იქნეს დაცული როგორც ენერჯის მწარმოებლებისა და მიმწოდებლების, ისე მომხმარებლების ინტერესები. ტარიფი უნდა დადგინდეს მათ კომერციულ და კონკურენტულ ურთიერთობათა საფუძველზე.

საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში ენერგიაზე ტარიფის დადგენის მთავარი მეთოდოლოგიური საფუძველი სრული ღირებულების პრინციპია. ყველა შემთხვევაში, ელექტროენერჯის მიმწოდებელმა უნდა აინაზღაუროს გაწეული დანახარჯები და მიიღოს გარკვეული მოგება, ხოლო მომხმარებელმა სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა.

თითოეულ ქვეყანაში არსებული პირობებისა და დარგის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის ტარიფები. ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანებიდან და დარგის საფინანსო-ეკონომიკური და ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ტარიფები შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი; ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საფეხურებრივი, საშუალო და ზღვრული, სეზონური, პიკური, ინოვაციური, ზონუ-

რი და სხვ. თითოეული მათგანის გამოყენების თავისებურებები, პრინციპები და გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

ჩვეულებრივი ტარიფის დადგენის საფუძველია მომსახურების ხარჯები და ინვესტირებული კაპიტალის უკუგების ნორმა, სადაც მნიშვნელოვან როლს ძირითადი ფონდების ღირებულება ასრულებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ძირითადი ფონდების შეფასების ერთ-ერთი ალტერნატივა შეიძლება იყოს მათი შესასყიდი ფასის ჩართვა, რომელიც გამოხატავს შესყიდვის მომენტიზაციის მის საბაზრო ღირებულებას. გარდა ამისა, მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს ტარიფში რეაბილიტაციის მიზნით მოზიდული კაპიტალის გათვალისწინება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალი უსასყიდლოდ არის მიღებული. მსოფლიო პრაქტიკაში ფონდების ამონაგების სიდიდე 12-18 %-ის ფარგლებშია.

გრძელვადიანი ტარიფების გაანგარიშება ხდება საკალკულაციო მუხლების მიხედვით, საწარმოთა მიზანშეწონილი ხარჯების, გადასახადებისა და მოგების პროგნოზირების საფუძველზე. ამასთან, გათვალისწინება ხარჯების შემცირება. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ კერძო მფლობელობაში მყოფ საწარმოში როგორც დასაწყისში, ისე მომავალშიც აუცილებლად მოსალოდნელია ხარჯების შეზღუდვა.

გრძელვადიანი ტარიფის გაანგარიშების მოდელში შეიძლება ჩაიდოს სხვა დაშვებებიც. კერძოდ, ამონაგების სიდიდე ზუსტდება იმის გათვალისწინებით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორ არის დაფინანსებული ინვესტიციის საერთო თანხა – საკუთარი კაპიტალით, თუ კრედიტით. შესაბამისად გაანგარიშდება ფონდებზე ამონაგებისა და დისკონტირების დონეები. დისკონტირების მეთოდით გამოიყენება მომავალში მისაღები თანხების მიმდინარე ღირებულებათა გამოსათვლელად.

სატარიფო მეთოდოლოგიაში მიზანშეწონილია აისახოს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ტარიფებსა და განხორციელებულ ინვესტიციებს შორის. ამისი გამოცდილება უკვე არსებობს ბევრ

ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ უკვე გამოაცხადა თავისი განზრახვა პრაქტიკაში დანერგოს მექანიზმი, რომლის თანახმად, ელექტროენერჯიის მსხვილ მომხმარებლებს შეეძლებათ დადონ გრძელვადიანი კონტრაქტები ენერჯიის დაბალი ტარიფებით მიწოდების შესახებ. ასეთი შეღავათით ისარგებლებენ ისინი იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ინვესტიციებს განხორციელებენ გენერაციის ობიექტების განვითარებისათვის. მთავრობის ამ გადაწყვეტილებით, ასეთი კონტრაქტებით ყოველწლიურად შეიძლება გაიყიდოს 20 ტერავატ. სთ. ელექტროენერჯია დაახლოებით 28-30 ევროდ ყოველი მგვტ. საათისათვის, ანუ 34-36 აშშ დოლარად. ეს კი 25%-ით იაფია არსებულ საბითუმო ფასთან შედარებით. ასეთი ღონისძიების განხორციელება მთავრობას ნაგარაუდები აქვს ისეთი ელექტროტევადი საწარმოებისათვის, როგორცაა ალუმინის, ქიმიური, მეტალურგიული და ქაღალდის მრეწველობის ობიექტები.

დიდი ბრიტანეთის ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანო Ofgem კი ამჟამად აწარმოებს კონსულტაციებს ტარიფების გადასინჯვის პროცედურების საკითხში ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი გაზის მაგისტრალური ქსელებით გადაცემისას. აღნიშნული კონსულტაციებით უნდა გადაწყდეს ისეთი მთელი რიგი რთული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ათწლეულში ქსელების განვითარების მიზნით მიმართული ინვესტიციების მოცულობასთან. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში ტარიფების გადასინჯვის დროს მომხმარებელთა უკეთ დაცვის მიზნით, დაცული უნდა იყოს ბალანსი ქსელის საიმედოობის გაზრდისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოცულობასა და არაგონივრულ და არაეფექტურ საქსელო ინვესტიციებს, ანუ არაეფექტურ საოპერაციო ხარჯებს, შორის. ასეთი ტარიფები ძალაში უნდა შევიდეს 2007 წლის აპრილიდან.

ტარიფებში, მათ შორის ინოვაციურ ტარიფში, მოგებისა და ფასთა ინდექსაცია უნდა განხორციელდეს ქვეყანაში არსებული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმისა და ეროვნული ვალუტის ინფლაციის შესაბამისად. გაითვალისწინება თბოელექტროსადგურებში

გამოყენებული საწვავისა და იმპორტული ენერჯის ფასების მოსალოდნელი ცვლილება.

მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს შესყიდვის, საიჯარო კონტრაქტის ან მთავრობასა და პოტენციურ ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულების სახით ინდექსირებათა ნებისმიერი კომბინაცია. მაგრამ არ დაიშვება ისეთი ინდექსირების ფორმულის გამოყენება, რომელიც ტარიფს უფრო მეტად გაზრდის, ვიდრე სავალუტო ინდექსის, საწვავის ინდექსისა და ინფლაციის ინდექსების კომბინაცია.

საფეხურებრივ (ბიჯურ) ტარიფებს იყენებენ ქვეყანაში სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით, როცა საჭიროა მომხმარებელთა გარკვეული კატეგორიისათვის ტარიფის ზრდის გავლენის შემსუბუქება. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენება დიფერენცირებული ტარიფები. ეს შეიძლება გაკეთდეს რეგიონებისა და მომხმარებელთა კატეგორიების, აგრეთვე სისტემის საათობრივი, დღე-ღამური, პიკური, სეზონური და სხვა დატვირთვების მიხედვით. ტარიფი შეიძლება იყოს ერთგანაკვეთიანი და ორგანაკვეთიანი. მომხმარებლის ერთგანაკვეთიანი ტარიფი შეიცავს მოხმარებული ენერჯის საფასურს მხოლოდ ერთი განაკვეთით, მიუხედავად მოხმარებული ენერჯის რაოდენობისა. ორგანაკვეთიან ტარიფებში, გარდა მოხმარებული ენერჯის რაოდენობისა, გათვალისწინებულია გადახდა სიმძლავრის მოთხოვნილ მაქსიმუმზე.

ცნობილია, რომ დანახარჯები ელექტროენერჯის მოხმარებაზე დღე-ღამის გარკვეულ დროში არსებითად დაბალია, ვიდრე სხვა დროს. ამ შემთხვევაში მისაღებ ვარიანტად შეიძლება გახდეს ზონური ტარიფის დაწესება დღე-ღამის დროის დიფერენციაციით. ზონური ტარიფის დანერგვით ნაკლებუზრუნველყოფილ მომხმარებლებს საშუალება მიეცემათ გადაადგილონ ელექტროენერჯიაზე თავიანთი მოხმარების გრაფიკი და ამით შეამცირონ თავიანთი დანახარჯები. ზონური ტარიფის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ღამის ტარიფის დაწესება სომხეთში; მისი მიზანია მოსახლეობისათვის ზოგიერთი შეღავათის მიცემა. აქ ღამის ტარიფი ითვალისწინებს საფასურის შემცირებას არაპიკურ ელექტროენერჯიაზე 40%-ით

(არაპიკურ დროდ განსაზღვრულია 23.00-7.00-მდე). ვარაუდობენ, რომ ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლები ამით მიიღებენ გარკვეულ სარგებელს. მაგრამ ასეთი მექანიზმის დანერგვა ითხოვს შესაბამის ენერგეტიკულ საფუძველს, ასევე აღრიცხვის ხელსაწყოთა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას; ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებლის (განსაკუთრებით ნაკლებუზრუნველყოფილების) მიერ მოხმარება მცირეა, ზონური ტარიფის დანერგვა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის შეიძლება ეკონომიკურად გაუმართლებელიც კი იყოს.

ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც არის გამოყენებული ზონური ტარიფები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის; მაგალითად: რუმინეთში ასეთი ტარიფებია საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ორ ან სამ დროით ზონაზე დიფერენცირებით. გამოსასვლელი დღეების საათები ჩაითვლება არაპიკურად, ისევე როგორც ღამის საათები.

არსებობს სხვა საშუალებაც ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლების დასაკმაყოფილებლად. ეს არის ე.წ. მზარდი ბლოკური ტარიფი. ბლოკური ტარიფი შელავათებს აწესებს ენერგოკომპანიის საბაზო დონის მომსახურებისათვის (ჩვეულებრივ, ეს არის 100 კვტსთ თვეში). ეს საბაზო ბლოკი, ჩვეულებრივ, ანაზღაურდება საბაზოზე მეტი მოხმარების დონის ტარიფის ხარჯზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მზარდი ბლოკური ტარიფი შეიცავს სოციალურ შელავათებს. ნავარაუდებია, რომ მაღალი მოხმარების მომხმარებელი სუბსიდირებას გაუწევს ნაკლები მოხმარების მომხმარებელს. ერთადერთი სირთულე, რომელიც წარმოიშობა ამ შემთხვევაში, არის ინდივიდუალური ურთიერთკავშირის არსებობა ელექტრომომხმარებასა და შემოსავლურ შორის. თუმცა, არსებობს ამ სირთულის დაძლევის საშუალებაც. მაგალითად: აშშ-ში აუცილებელი არ არის მცირეშემოსავლიანმა მომხმარებელმა უფრო ნაკლები მოიხმაროს, ვიდრე სხვა მომხმარებელმა. ამდენად, ბლოკური ტარიფის არსებობის შემთხვევაში ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახს შეუძლია თავად გადაიხადოს სუბსიდიის ნაწილი იმის შესაბამისად, თუ მისი მოხმარება როგორ გამოდის მინიმალური შელავათით.



ანი ბლოკის ჩარჩოებიდან. ასეთივე პრინციპით შემუშავებულია სოციალური და სტანდარტული ტარიფები რუმინეთშიც.

დეფიციტური ენორგომომარაგების რეგიონებში პოტენციურად სასარგებლო შეიძლება გახდეს ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლებისათვის არაგარანტირებული ან წყვეტილი მომსახურების შეთავაზება სათანადო ტარიფით, ანუ მათთვის შეღავათიანი ტარიფის ორგანიზება დაბალი საიმედოობის ელექტრომომარაგების სანაცვლოდ. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლის მომსახურების ღირებულებას. და მაინც, ასეთი ტარიფების გამოყენების დროს არის პრაქტიკული სიძნელები. მაგალითად: აუცილებელია ისეთი ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც გამორთავს და ჩართავს მომხმარებელს დროის დადგენილ რეჟიმში. სისტემის საჭიროების მიხედვით, ამის გამო ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში ასეთი ინფრასტრუქტურა ჯერ არც არის დაწერგილი. თუმცა, იგი შეიძლება მისაღები იყოს ისეთი რეგიონებისათვის, რომლებსაც აქვთ შეზღუდული ელექტრომომარაგება და ჰყავთ დიდი რაოდენობის ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებელი. ამასთანავე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თუ ასეთი შეღავათიანი ტარიფი შემუშავდა ეკონომიკური ეფექტიანობის მეთოდით, მაშინ არ არსებობის მიზეზი, რომ იგი შემოეფარგლოთ მხოლოდ ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლებით. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანოსათვის ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლებისათვის დაბალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება პოლიტიკური თვალსაზრისით პრობლემატური იქნება. მაგალითად, როცა მომხმარებელთა ერთ ჯგუფს მიეცემა შეღავათიანი ტარიფი, ეს იწვევს უარყოფით შედეგებს ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით. ასეთი შედეგების შეზღუდვის მიზნით აუცილებელია:

- ტარიფების სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფა სექტორის ზღვრულ დანახარჯებთან;
- სახელმწიფოს მიერ ტარიფზე სუბსიდიების გაცემა პირდაპირ ენერგოკომპანიაზე ან მომხმარებელზე;

– შედარებით დაბალი ტარიფის დასადგენად მომსახურების ღირებულების შემცირების გზების მოძიება ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლებისათვის.

ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების დაცვის მიზნით ზამთრის თვეებში მიზანშეწონილია განხორციელდეს გამორთვების შეზღუდვა, თუმცა ამან შეიძლება სირთულეები გამოიწვიოს ენერგომომარაგებაში. ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების სიმრავლის გამო, ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლების მიერ ზამთრის თვეებში გადაუხდელობის შემთხვევაშიც კი, ენერგოკომპანიებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების დავალდებულება ნიშნავს საგრძნობ ფინანსურ ზეწოლას. ამასთან, მიღებულ უნდა იქნეს ზომები ელექტროენერჯის საერთო რაოდენობის შეზღუდვისათვის. ამის უზრუნველსაყოფად ასეთ მომხმარებლებს უნდა წაეყენოს მოთხოვნა, რომ მათ შეადგინონ დავალიანების რეგულარულად დაფარვის გრაფიკი.

ცხადია, ზემოთ აღნიშნული დაბალშემოსავლიანთა დაცვის მექანიზმები მოითხოვს გარკვეულ დანახარჯებს, რომლის წყარო შეიძლება იყოს სახელმწიფო ან სხვა მომხმარებლები (ტარიფზე დამატების გზით). გამანაწილებელ კომპანიას, ცხადია, არ უნდა მოეთხოვოს ამ დანახარჯების დაფარვა.

ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლების მხარდასაჭერად, ენერგოკომპანიების მიერ დაფინანსებული მიზანმიმართული ინიციატივები ენერგოკომპანიების გადასაწყვეტია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ეს დანახარჯი მაინც ტარიფით უნდა დაიფაროს. ერთ-ერთი მიდგომა – ნაკლებუზრუნველყოფილი მომხმარებლის მიერ ენერგოდაზოგვის ღონისძიებათა დანერგვაა, ელექტროენერჯის საბოლოო მოხმარების შემცირების მიზნით თუმცა, ასეთი მიდგომის სარგებლიანობა დაწვრილებითაა შესწავლილი და საკითხავია, რამდენად შეესაბამება იგი ენერგოკომპანიის შესაძლებლობას.

დაბალშემოსავლიანი მომხმარებლის მიერ ენერგოკომპანიებისათვის გადახდისუუნარობის პრობლემის გადასაწყვეტად შეიძლება სასარგებლო იყოს ზოგიერთი ტექნიკური ღონისძიების გატარება. სომ-

ხეთში სახელმწიფო უზრუნველყოფს დაფინანსებას, რომელიც საკმარისია 100 კვტსთ ელექტროენერჯის დასაფარად ერთ თვეში უშუალოდ ყველა დაბალშემოსავლიანი მომხმარებლისათვის, ხოლო რუმინეთში ზამთრის პერიოდში დაბალშემოსავლიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან კუპონებით, რათა გადაიხადონ საფასურის ნაწილი.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების საქმეში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია დაბალშემოსავლიანი მომხმარებლების გამოვლენა. როგორ უნდა გაირკვეს, რომ ოჯახი დაბალშემოსავლიანია და უფლება აქვს სპეციალურ ტარიფზე ან სპეციალურ პროგრამაში მონაწილეობაზე? ზოგიერთ სახელმწიფოში, არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების დასამტკიცებლად დაბალშემოსავლიანი ოჯახი ვალდებულია თვითონ მიუთითოს საკუთარი შემოსავლების შესახებ და წარმოადგინოს ამის მტკიცებულება. მომხმარებელთა უფლებამოსილება, როგორც ჩანს, უმჯობესია განსაზღვროს სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებიც ინტენსიურად უნდა მუშაობდნენ მომხმარებლის უფლებამოსილების განსაზღვრისათვის. ფინანსური დახმარების წყარო კი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამრიგად, როგორც არსებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, განხილული პრობლემის გადაწყვეტის იდეალური მიდგომა არ არსებობს, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა უფრო სახელმწიფოს ფუნქციებში შედის. მიუხედავად ამისა, მიზანი უნდა იყოს დროთა განმავლობაში ამ ფუნქციების შეზღუდვა. ამასთან, თუ ამის საჭიროება იქნება, უმჯობესია პირდაპირი გადახდა ან შეღავათიანი ტარიფები, ვიდრე ე.წ. ბლოკური ტარიფი. რაც შეეხება სუბსიდიებს, იგი გამოყენებული უნდა იყოს ერთი ტიპის მომხმარებელს შორის. დაუშვებელია მომხმარებელთა ერთი კატეგორიის ხარჯზე სხვა კატეგორიის მომხმარებელთა დაფინანსება (ე.წ. ჯვარედინი სუბსიდირება).

ექსპერტთა აზრი ერთია: სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა დაუჭიროს მხარი მარეგულირებელ ორგანოს თავისი ფუნქციების ნორმალურად შესრულებისათვის; არ უნდა დაუშვას მისი ხელყოფა და, შესაბამისად, დისკრედიტაცია.

### **3.2 ტარიფები თანამედროვე ეტაპზე**

სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა მარტო ენერგეტიკული სექტორისათვის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკისათვის და, მათ შორის, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ გაზზე ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძველია ენერჯიის წარმოებაზე, მიწოდებაზე, ტრანსპორტირებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციასა და განაწილებაზე, აგრეთვე ექსპორტსა და იმპორტზე გაწეული სრული დანახარჯების ანაზღაურება.

ამ თვალსაზრისით, სატარიფო სისტემის საბაზრო პრინციპებზე გარდაქმნა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე ეკონომიკურ გარდაქმნათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ელექტროენერგეტიკის სექტორში მიმდინარე ეკონომიკურმა და ორგანიზაციულ-სტრუქტურულმა რეფორმებმა უნდა უზრუნველყოს ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაცია და მისი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ორიენტირებულ ეფექტურ დარგად გადაქცევა.

ამ პროცესში ერთ-ერთი უმთავრესია ენერჯიის ყველა საფეხურის (წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, განაწილება, მიწოდება და მომსახურება) ტარიფების დადგენა და რეგულირება, რომელიც ეფუძნება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონს და საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ენერჯიის ტარიფების დადგენის პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ენერჯიის ტარიფი სრულად უნდა ასახავდეს, ერთი მხრივ, მის წარმოებაზე, გადაცემაზე, მიწოდებაზე, დისპეტჩერიზაციასა და განაწილებაზე გაწეულ დანახარჯებს, უზრუნველყოფდეს გაწეული კაპიტალური დაბანდების ამოგების სამართლიან დონეს, ენერგე-

ტიკული საწარმოების ფინანსურ და ტექნიკურ სტაბილურობას და, მეორე მხრივ, იცავდეს მომხმარებლებს ენერჯიაზე მონოპოლიური ფასებისაგან.

სემეკის დადგენილებით ენერჯიის, მათ შორის ელექტროენერჯიის ტარიფის სრულ (რეალურ) ღირებულებაზე გადასვლა, მრავალი ობიექტური მიზეზის გამო, ეტაპობრივად ხორციელდება. აქ, პირველ რიგში, გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული დარგის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობა.


უკანასკნელ პერიოდში სემეკ-ში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა სატარიფო სისტემის მოწესრიგების თვალსაზრისით. ამის საჭიროებას გარკვეულწილად განაპირობებს ენერგორესურსების არარეგულირებად ბაზარზე მიმდინარე პროცესებიც. როგორც ცნობილია, ენერჯიაშემცველების თავისუფალ ბაზარს არ გააჩნია შეზღუდვის მექანიზმები. საკმარისია ითქვას, რომ 2005 წლის უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაიზარდა ნავთის, ღიზელის საწვავის, თხევადი გაზის, ნახშირისა და შეშის საომომხმარებლო ფასები, თუმცა აღნიშნული ენერგორესურსები ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯიის ალტერნატიულ შემცვლელებად მოიაზრება. ცხადია, ობიექტური მიზეზების გამო რეგულირებად ბაზარზე ადეკვატური ცვლილებები არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, მაინც დღის წესრიგში დგება ენერჯიაშემცველების თავისუფალი ბაზრის საომომხმარებლო ტარიფების პროპორციების ანალიზის საფუძველზე, რეგულირებადი ტარიფების დონის შეფასება. გარდა ამისა, თავისუფალი და რეგულირებადი ენერგეტიკული ბაზრების ფასების პროპორციის მართლზომიერებაზე, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის, ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის ფორმირებისა და საერთო ენერგეტიკული დარგის აღმავლობის საკითხებიც (იხ. ცხრილი და გრაფიკი): ქვემოთ მოცემულია

თავისუფალი და რეკულირებადი ძაზრის ენერგორესურსების შესადარისი  
 ფასები საქართველოში  
 (2006 წლის მარტის მდგომარეობით)

ცხრილი 3.8

№	ენერგორესურსები	ზომის ერთეული	1 ტონა პ.ს. ფიზიკურ ერთეულში	ფიზიკური ერთეულის ფასი საბოლოო მოხმარებაზე	1 ტონა პ.ს. ღირებულება, ლარი	კოეფიციენტი, ბუნებრივი გაზი=1
1.	ბუნებრივი გაზი	მ <sup>3</sup>	1240	0,35	434	1
2.	ბენზინი	ლიტრი	980	1,5	1470	3,39
3.	ნავთი	ლიტრი	1000	1,4	1400	3,23
4.	დიზელი	ლიტრი	1000	1,3	1300	3
5.	თხევადი გაზი	კგ.	920	1.74	1600	3,69
6.	მაზუთი	ლიტრი	1050	0,45	473	1,09
7.	ნახშირი	კგ.	2500	0,2	500	1,15
8.	შეშა	მ <sup>3</sup>	7	50	350	0,81
9.	ელექტროენერჯია	კვტ/სთ	11630	0,09	1047	2,41


გრაფიკი №4



აგრეთვე ელექტროენერჯიის სამომხმარებლო ტარიფებისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის შედარებითი დინამიკა (პროცენტულად წინა წელთან) ბოლო ათი წლის განმავლობაში:

წლები	ქ. თბილისი	დანარჩენი რეგიონები	სამომხმარებლო ფასების ინდექსი
1) 1995	75	75	157,4
2) 1996	55	55	113,8
3) 1997	132,2	132,2	107,3
4) 1998	136,3	136,3	110,7
5) 1999	133,3	133,3	110,9
6) 2000	150	138	104,6
7) 2001	108,8	101,4	103,4
8) 2002	126,2	95,2	105,4
9) 2003	110,8	106,2	107
10) 2004	100	100	107,5
11) 2005	100	100	106,2
სულ 1995-2005 წწ	169,6	145,8	328,6

გრაფიკი №5



მოტანილი მასალები ნათლად უჩვენებს, რომ არარეგულირებად ბაზარზე ფასები გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე რეგულირებადზე. ამასთან დარღვეულია ენერგორესურსებზე ფასწარმოქმნის პრინციპი თბოუნარიანობის მიხედვით, რომელიც მომავალში გათვალისწინებული უნდა იქნეს.

საქართველოში სატარიფო სისტემის მოწესრიგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო სემეკის 2006 წლის 15 მაისის დადგენილება №18 „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“, რომლის თანახმად საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფები, არსებულთან შედარებით, არსებითად გაიზარდა. კერძოდ, თბილისში მან საშუალოდ მოიმატა 18,8%-ით, რეგიონებში – 65,1%-ით (იხ. ცხრილი 3.9).

როგორც ცნობილია, ელექტროენერჯის საცალო ფასი სხვადასხვა კომპონენტებისაგან ყალიბდება, სადაც ძირითადია მისი წარმოების, გადაცემა-დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ტარიფები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ამჯერად გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ტარიფი არ შეცვლილა, დანაკარგების კომპონენტი შემცირდა კიდევ 26,5%-ით, ხოლო ვალის მომსახურების კომპონენტი საერთოდ გაუქმდა.

წარმოების (გენერაციის) ტარიფი ყოველ კვტსთ-ზე გაიზარდა 1,636 თეთრით, ანუ 61,3%-ით. აღნიშნული ზრდის ძირითადი ნაწილი (84%) მოდის თბოსადგურებზე. ზრდა განაპირობა ბუნებრივი გაზის ფასისა და ელექტროენერჯის საერთო გამომუშავებაში თესების წილის მატებამ. კერძოდ, პირველი გაიზარდა თითქმის 70%-ით, ხოლო მეორე – 15 პროცენტული პუნქტით (12-დან 27%-მდე). ამის შედეგად ელექტროენერჯის წარმოების საერთო წლიურ ღირებულებაში თბოსადგურების წილმა 63%-ს მიაღწია. წლის განმავლობაში საჭირო ხდება (110 დოლარად ღირებული) 895 მლნ კუბ.მ. ბუნებრივი გაზის შესყიდვა, რომლის საერთო ღირებულება ტრანსპორტირების გათვალისწინებით 103 მლნ დოლარი, ანუ 187 მლნ ლარია. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ 2005 წელს თესებისათვის შესყიდული იყო მხოლოდ (მაშინდელი



60 დოლარიანი) 22 მლნ დოლარის საერთო ღირებულების 316 მლნ კუბ.მ. გაზი ე.ი. ბუნებრივი გაზის ფასი 4.7-ჯერ გაიზარდა. ელექტროენერჯიის წარმოების ტარიფის ზრდის დანარჩენი 16% მოდის ჰესებზე. ტარიფი გაეზარდა 6 ჰესს ლაჯანურ.ჰესს, გუმათჰესების კასკადს, შაორჰესს, აწჰესს, რიონჰესს და ძვერულ-ჰესს. ამის შედეგად საშუალო შეწონილი ტარიფი გაიზარდა 0,26 თეთრით.

*ცხრილი 3.9*

ელექტროენერჯიის ძველი და ახალი ტარიფები საქართველოში, თეთრი/კვტ სთ

დასახელება	ძველი	ახალი (2006 წ. მაისი)	სზვარობა	
			აბსოლ.	%
საბითუმო ტარიფი	3,897	5,48	1,583	40,6
აქელან გენერაციის	2,667	4,303	1,636	61,3
გადაცემა-დისპეტჩე- რიზაციის	1,03	1,03	-	-
დანაკარგები და ვა- ლის მომსახურება	0,2	0,147*	-0,053	-26,5
<b>განაწილების საშუალო ტარიფი:</b>				
თბილისი	7,52	8,08	0,56	7,4
რეგიონები	3,186	6,218	3,032	95,2
<b>საშუალო სამომხმარებლო ტარიფი (200/380 ე.)</b>				
თბილისი	11,417	13,56	2,143	18,8
რეგიონები	7,083	11,698	4,615	65,1

\* მხოლოდ დანაკარგები.

დღგ:				
თბილისი	2,055	2,441	0,386	18,8
რეგიონები	1,275	2,106	0,831	65,1
<b>სულ საშ. სამომხ, ტარიფი</b>				
თბილისი	13,472	16,00	2,528	18,8
რეგიონები	8,358	13,804	5,446	65,1

განაწილების ტარიფი (გამანაწილებელი კომპანიის მომსახურების ფასი) განისაზღვრა ცალკე ქ. თბილისისათვის და ცალკე დანარჩენი რეგიონებისათვის. როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ შემთხვევაში ტარიფი გაიზარდა სულ საშუალოდ 0.56 თეთრით. ზრდა, ძირითადად, განაპირობა განხორციელებულმა ჭარბმა ინვესტიციებმა და ინფლაციამ. აღსანიშნავია, რომ სს „თელასის“ მოთხოვნა განაწილების ტარიფზე სემეკის მიერ დაკმაყოფილდა მხოლოდ 7,4%-ით.

რეგიონებში განაწილების ტარიფი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უნდა ითქვას, რომ იგი ყველაზე მნიშვნელოვანია ტარიფების ახლანდელ მატებაში, რომელსაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მათ შორისაა გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაზე მაღალი ძაბვის ელექტროქსელის გადაცემა და, რაც მთავარია, განაწილების ქსელის სავალალო მდგომარეობა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში არამტოუ რაიმე მნიშვნელოვანი რეაბილიტაცია არ მომხდარა, იგი რამდენჯერმე გაიძარცვა. სწორედ ამიტომ ქსელი ძირეულ რეკონსტრუქციას საჭიროებს. მოსაწესრიგებელია აგრეთვე ელექტროენერჯის აღრიცხვა, პირველ რიგში, ინდივიდუალური. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის რეგიონებში არსებული 710 ათასი აბონენტიდან 540 ათას, ანუ 76% აბონენტებზე მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვა, ჯერჯერობით, კვლავ კომუნალური მრიცხველების მეშვეობით ხდება.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ტარიფების სერიოზული კორექტირებები ზორციელდება ელექტროენერგეტიკის უკლებლივ ყველა ქვესექტორში, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ყველაზე მეტი ზომის ცვლილებები გენერაციაში მიმდინარეობს. კერძოდ, თუკი 2003–2004 წლებში ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის ფაქტობრივი საშუალოშეწონილი ტარიფი თავსებადი იყო სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებულ პარამეტრებთან და საშუალო სიდიდიდან პერიოდული გადახრები, ძირითადად, ერთიმეორეს აბალანსებდა, 2005 წელს ელექტროენერჯის ბალანსში თბოსადგურების წილის არსებითი მატების (რაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საწვავის გაძვირების მიზეზით, მათი ტარიფების ზრდის ფონზე მიმდინარეობს) შედეგად ფაქტობრივმა საშუალოშეწონილმა ტარიფმა დამტკიცებულს (ნომინალურს) მნიშვნელოვნად გადააჭარბა. სესბის სპეციალურ ანგარიშზე სატარიფო დისბალანსით გამოწვეულმა ფინანსურმა დეფიციტმა 2006 წლის დასაწყისისთვის 30 მლნ ლარი შეადგინა.

ტარიფების მოწესრიგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ელექტროენერჯის წარმოების ახალი ტარიფების დაწესება „თბილსრესისათვის“ და „მტკვარი-ენერგეტიკისათვის“, აგრეთვე ბუნებრივი გაზის სექტორისათვის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, გამოიწვია რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის მკვეთრმა მატებამ. გაზის მოწოდების ორჯერადი გაძვირების პირობებში მოხერხდა მისი საცალო მოხმარების ტარიფის მხოლოდ 26-27%-ით გაზრდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ აუცილებელია ნომინალურ და ფაქტობრივ ტარიფებს შორის შეუსაბამობის აღმოფხვრა, რაც, საბოლოო ანგარიშით, გადაცემისა და დისტრიბუციის ტარიფების გარდაუვალ კორექტირებასთან ერთად, ქვეყანაში ელექტროენერჯის მოქმედი ტარიფების მთელი სისტემის შეცვლას გამოიწვევს.

განსხვავება „თელასისა“ და „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ ტარიფებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „თელასის“ მიერ განხორციელებულია დიდი მოცულო-

ბის ინვესტიციები, მაშინ, როდესაც „გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ“ ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ 2005 წელს დაიწყო.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ბუნებრივი გაზის ტარიფებში სემეის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით, რაც გამოწვეული იყო 2006 წლის იანვრიდან რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის მკვეთრი (110 აშშ დოლარამდე) გაძვირებით, რასაც, შესაბამისად, მოჰყვა საქართველოში მოქმედი ტარიფების მთელი სისტემის შეცვლა. გამოძინარე იქიდან, რომ ბუნებრივი გაზის მიწოდებელი (იმპორტიორი) კომპანიების მიერ ხელშეკრულებები სს „გაზექსპორტთან“ გაფორმდა მხოლოდ დეკემბრის ბოლო რიცხვებში და იმპორტის ფასიც ამ დროს იქნა საბოლოოდ გარკვეული, სემეკს მოქმედი ტარიფების კორექტირების რთული სამუშაოს განხორციელება ექსტრემალურ სიტუაციაში მოუხდა. აქ მეტად არსებითია ის გარემოება, რომ ვინაიდან იმპორტირებული გაზის ფასი 2006 წლის 1 იანვრიდან იცვლებოდა, სემეკის დადგენილება ასევე 1 იანვრიდან უნდა შესულიყო ძალაში.

აღნიშნული დადგენილებით, ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფების კორექტირება განხორციელდა, ძირითადად, საიმპორტო ფასის ცვლილების მიხედვით. ამასთან, შეიცვალა ზოგიერთი სხვა პარამეტრიც (ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსი, გაზის მიწოდების მოცულობები და სხვ.). აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით დამტკიცდა ბუნებრივი გაზის მიწოდების შემდეგი ტარიფები (დღგ-ის გარეშე):


ლარი/1000მ<sup>3</sup>

№	მიწოდებელი (იმპორტიორი) კომპანიები	მიწოდების (საბითუმო) ტარიფები
1	სს "იტერა-საქართველო"	209,05
2	სს "თბილგაზი"	200,07
3	შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია"	204,98
4	შპს "საქართველოს გაზის ტრან- სპორტირების კომპანია"	201,42

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე მოცემულია „თბილგაზის“ მოქმედი სამომხმარებლო ტარიფის სტრუქტურა:

ლარი/1000მ<sup>3</sup> დღ-ის გარეშე

სამომხმარებლო ტარიფი	289,8
მათ შორის:	
იმპორტი	196,5
მიწოდება	3,55
ტრანსპორტირება	13,83
განაწილება	75,93



ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მტკიცდება ბუნებრივი გაზის განაწილებისა და საბოლოო მოხმარების ტარიფები. ამ ეტაპზე განაწილების ტარიფების კორექტირება განხორციელდა მათში გაზის დანაკარგის კომპონენტის ცვლილების შესაბამისად, ხოლო საბოლოო მოხმარების ტარიფების ფორმირება მოხდა ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ტარიფების ცვლილებების შესაბამისად. ამასთან, მოსახლეობისათვის მოხმარების ახალი ტარიფები ამოქმედდა 2006 წლის 1 მაისიდან, ფასთასხვაობის დაფინანსება (სუბსიდირება) კი განხორციელდა ცენტრალიზებული წესით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

ელექტროენერჯის ტარიფების ფორმირებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ელექტრომომარაგების 24-საათიან რეჟიმზე გადასვლის განხორციელებაც, რომელიც გასული 15 წლის მანძილზე მხოლოდ ბოლო პერიოდში იქნა მიღწეული. ამ ფაქტორის გათვალისწინების საჭიროება კი სწორედ დარგის სპეციფიკითაა განპირობებული. ცნობილია, რომ ელექტროენერჯია განსაკუთრებული სახის საქონელია. მასზე მოთხოვნა – მიწოდების კანონი ისე არ მოქმედებს, როგორც სხვა ნებისმიერ საქონელზე; მაგალითად,

ელექტროენერგიაზე მოკლევადიანი მოთხოვნა მცირედ თუა დამოკიდებული მის ფასზე, თავად მოთხოვნა კი დიდ ფარგლებში მერყეობს, რომელიც ზოგჯერ 200%-საც აღწევს. ეს დამოკიდებულია დღე-ღამის პერიოდებსა და სეზონზე. მაგრამ ელექტროენერგიის ასეთი ოდენობის რეზერვის შექმნა შეუძლებელია. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ არასასურველი სიტუაციები, აუცილებელია დამატებითი თავისუფალი სიმძლავრეების არსებობა, რომელიც, ცხადია, შესაბამის დანახარჯებს საჭიროებს, მით უმეტეს, რომ დამატებითი და სარეზერვო სიმძლავრეების შექმნა თბოსადგურების(ძვირი ენერჯის) ხარჯზე ხდება. თუ ჩვენ უარვყოფთ ასეთი სიმძლავრეების საჭიროებას, ეს მხოლოდ ზიანს მოუტანს ელექტროსისტემასაც და ქვეყანასაც. მომხმარებლებიც შესაბამისად მოექცევიან ენერჯის მიმწოდებელთა გავლენის ქვეშ.

მართალია, ტარიფის უკვე განხორციელებული ზრდა გონივრული და მიზანშეწონილი ხარჯების თვალსაზრისით დასაბუთებულია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნაკლებგადახდისუნარიანია. თუმცა ამ სფეროშიც გარკვეული წინსვლა სახეზეა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2005 წელს ქვეყანაში საშუალო თვიური ხელფასი 204,3 ლარს შეადგენდა, ანუ 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (72,3 ლარი) 82,5%-ით მეტი იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით ელექტროენერჯის საფასურისაგან დაბალშემოსავლიანი მომხმარებლების დაცვის მიზნით დაწესდა ე.წ. „საფეხურებრივი ტარიფი“. კერძოდ, მოსახლეობას ტარიფი დახარჯული ელექტროენერჯის პროპორციულად დაუწესდა.

ამ გადაწყვეტილებით სემეკმა, ჯერ ერთი, ელექტროენერჯის საფასურის გადახდაში გარკვეული შეღავათი გაუწია სოციალურად დაუცველ ფენებს; მეორე, სტიმული მისცა ელექტროენერჯის მომჭირნედ ხარჯვას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერჯის დეფიციტის პირობებში; და მესამე, ყოველივე ეს გაკეთდა ისე, რომ

გამანაწილებელი კომპანიის საერთო შემოსავლები არ შემცირებულა.

ელექტროენერგია კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. თანამედროვე მსოფლიოში იგი ყველაზე უნივერსალური ენერგია-შემცველი და აუცილებელი კომპონენტია როგორც წარმოებისათვის, ისე მოსახლეობის არსებობისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, საზოგადოება ელექტროენერგიის ტარიფის ყოველ ცვლილებას შესაბამისად აღიქვამს. არადა, უკანასკნელ წლებში როგორც უკვე ითქვა, საქართველოში სხვადასხვა პროდუქციაზე სამომხმარებლო ფასები უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ელექტროენერგიაზე, თუმცა ამას მოსახლეობისაგან ადეკვატური გამოხმაურება არ მოჰყოლია – (იხ. ცხრილი 3.10). ამ ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ ჩვენს სინამდვილეში სახელმწიფო რეგულირებადი ფასები საბაზრო ფასებთან შედარებით, უფრო ზომიერია; მართალია, ელექტროენერგიის ახალი, 2006 წლის ტარიფების ამოქმედების შემდეგ სურათი შეიცვალა, მაგრამ არსებული ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მოკლე დროში ამ მხრივ არსებული წინანდელი სურათი აღდგება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის მატება მარტო საქართველოში არ ხდება და ეს ტენდენცია მთელი მსოფლიოსათვის, მათ შორის დსთ-ის ქვეყნებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგალითად, 2002-2005 წლებში ფასი (ტარიფები) გაიზარდა:



ცხრილი 3.10

საშუალო საცალო ფასები (ტარიფები) და მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში 2000-2005 წლებში, ლარი

№	დასახელება	განზ. ერთეული	2000 წ	2005წ	მატება პროცენტებში
I	საშუალო საცალო საბაზრო ფასები				
1.1	პური (ხორბლის, თეთრი)	1 კგ.	0.70	0.95	35.7
1.2	ხორბლის ფქვილი	„	0.79	0.99	25.3
1.3	სიმინდის ფქვილი	„	0.69	0.95	37.7
1.4	ღორის ხორცი	„	3.64	6.46	77.4
1.5	ძროხის ხორცი	„	3.71	5.86	58.0
1.6	კვერცხი	10 ცალი	1.40	2.05	46.4
1.7	ყველი	1კგ.	3.22	4.19	30.1
1.8	გაყინული თევზი	„	2.82	3.55	25.9
1.9	ყურძენი	„	1.76	2.46	39.8
1.10	ბენზინი (აი-92, აი-93)	1 ლიტრი	1.03	1.30	26.2
1.11	ნავთი	„	0.91	1.41	54.9
1.12	თხევადი გაზი	10 კგ.	12.03	16.33	35.7
II	სახელმწიფო რეგულირებადი ფასები (თბილისი)				
2.1	ელექტროენერგია	1 კვტსთ	9.8	12.07	23.2
2.2	ბუნებრივი გაზი	1 კუბ.მ.	25.0	27.0	8.0
III	შემოსავლები				
3.1	საშუალო ხელფასი	თვეში	72.3	204.3	182.5

სომხეთში – 26.8%-ით, მოლდოვაში – 20.2%-ით, უკრაინაში – 20.8%-ით, ლატვიაში – 27.8%-ით, ლიტვაში – 30.2%-ით, ესტონეთში – 55.7%-ით, ალბანეთში – 80.5%-ით, უნგრეთში – 87.9%-ით, რუსეთში – 97.9%-ით, და ა.შ.

ტარიფის სიდიდის მიხედვით კი საქართველოს შუალედური პოზიცია უჭირავს. მაგალითად, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ასოციაციის (ERRA) 2004 წლის მონაცემებით, ჩვენთან არსებული ტარიფი უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში, უკრაინაში და სხვაგან, მაგრამ დაბალია ესტონეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან, მოლდოვასთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ტარიფის ზრდის საკითხს ჩვენი ოპონენტები მხოლოდ ცხოვრების დონეს უკავშირებენ და არა ელექტროენერჯის წარმოება – მოწოდებისათვის საჭირო რეალურ დანახარჯებს. ტარიფების გადიდების მოწინააღმდეგეთა პოზიცია, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ერთ არგუმენტზეა დაყვანილი; ჩვენთან ცხოვრების დონე და შემოსავლები გაცილებით დაბალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ტარიფები ელექტროენერჯიაზე. ამიტომ, ჩვენთან ტარიფებიც გაცილებით დაბალი უნდა იყოს. არგუმენტაციის საწინააღმდეგო ერთადერთი სწორი პასუხი, ალბათ, ასეთი უნდა იყოს: მართალია, ჩვენ არ ვცხოვრობთ ისე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ ვერც ვერასოდეს ვიცხოვრებთ, თუ არ წაკედით რეალური ფასების დადგენის გზით. თუ ელექტროენერჯიას მუდმივად ვიყიდით იმაზე იაფად, ვიდრე ის ფასობს, მაშინ ელექტროენერჯის მწარმოებელი და მიმწოდებელი ვერასოდეს მიიღებს კუთვნილ ანაზღაურებას, დაიკარგება შრომისაღმდეგ ინტერესი: ღირსეული დარგი, უკეთეს შემთხვევაში, ისეთივე დეფიციტური იქნება, როგორც დღეს არის ან საესეებით შესაძლებელია, რომ იგი საერთოდ გაჩერდეს. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ახლაც, 21-ე საუკუნის თანამედროვე მსოფლიოში, ყველას როდი მიუწვდება ხელი ელექტროენერჯიაზე. მსოფლიო ენერგეტიკული საბჭოს მონაცემებით დედამიწის მოსახლეობის მესამედი, დაახლოებით 2 მლრდ ადამიან-

ნი, საერთოდ ვერ იღებს ელექტროენერგიას. არ უნდა დავუშვათ, რომ საქართველოს მომხმარებელიც მათ შორის აღმოჩნდეს.

### **3.3 ამოცანები ლიცენზირების სფეროში**

საქართველოს კანონმდებლობით (კანონი “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”) სემეკს თავისი არსებობის პირველი დღიდან მინიჭებული აქვს საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგებში ლიცენზიების გაცემის უფლება. კერძოდ, 2006 წლამდე კომისია უფლებამოსილი იყო გაცეა ლიცენზიები ელექტროენერგიის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციაზე, განაწილებაზე, იმპორტსა და ექსპორტზე, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე, ტრანსპორტირებასა და განაწილებაზე. ამჟამად “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონებში შეტანილი ცვლილებების თანახმად გაუქმებულია ელექტროენერგიის იმპორტისა და ექსპორტის, აგრეთვე, ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიები. ასე, რომ, ლიცენზიების სფეროში სემეკის ფუნქციები რეგულირების პირველ წლებთან შედარებით გარკვეულწილად შეიზღუდა.

2006 წლის 1 სექტემბრიდან სემეკის მიერ გაცემული ლიცენზიების ძირითადი მოთხოვნები და პირობები ასეთია.

*ელექტროენერგიის წარმოების სფეროში:*

1. კომისიის მიერ გაცემული წარმოების ლიცენზია უფლებას აძლევს ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს აწარმოოს ელექტროენერგია და ელექტროენერგიის და/ან სიმძლავრის მიწოდების მიზნით მიუერთოს შესაბამისი საშუალებანი განსაზღვრულ მიწების პუნქტებში გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელს.
2. წარმოების ლიცენზიატი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:
  - ა) ელექტროენერგიის რეალიზაციის ხელშეკრულების პირობების ან მომსახურების დამტკიცებული ფასების, ვადებისა და პირობების თანახმად უზრუნველყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენ-

ზიატისათვის წარმოების საშუალებების ხელმისაწვდომობა მიღების პუნქტში გადამცემი ქსელისა და მიერთებული საშუალებების უსაფრთხო, საიმედო, არადისკრიმინაციული და ეკონომიკური დისპეტჩერიზაციის მიზნით;

ბ) აკმაყოფილებდეს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

### *ელექტროენერჯის გადაცემის სფეროში:*

კომისიის მიერ გაცემული გადაცემის ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს განახორციელოს გადაცემის მომსახურება გადამცემი ქსელის საშუალებით.

ლიცენზიაში აღნიშნული უნდა იყოს ის გადამცემი სისტემა, რომელსაც ექსპლუატაციას გაუწევს ლიცენზიატი, რაც გულისხმობს ენერჯის გადაცემ საშუალებებს მიღების პუნქტსა და მიწოდების პუნქტს შორის.

თუ გადამცემ ქსელში ჩნდება ახალი გადამცემი საშუალების აუცილებლობა, გადაცემის ლიცენზიატს უფლება აქვს ახალი გადამცემი საშუალების დადგმის შესახებ განაცხადით მიმართოს კომისიას თავისი ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე. თუ კომისია დადგენილი წესების შესაბამისად მიიჩნევს, რომ ახალი საშუალება რეალურად საჭიროა და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, კომისია გადაცემის ლიცენზიატზე გასცემს მოდიფიცირებულ ლიცენზიას, რომელიც მოიცავს ახალ გადამცემ საშუალებას და უფლებას აძლევს ლიცენზიატს, ააშენოს ახალი საშუალება დამტკიცებულ მარშრუტზე.

თუ გადაცემის ლიცენზიატი მიიღებს უფლებას, ააშენოს ახალი გადამცემი საშუალება მითითებულ მარშრუტზე, მას უფლება ეძლევა მიიღოს ამ მშენებლობისათვის საჭირო მიწებით სარგებლობის ნებართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

- ა) უზრუნველყოს გადამცემი ქსელის ფუნქციონირება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად;
- ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა;
- გ) შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქციები გადამცემი ქსელისა და მიერთებული საშუალებების უსაფრთხო, საიმედო და არადისკრიმინაციული ურთიერთკავშირებისა და ექსპლუატაციის შესახებ;
- დ) მომსახურება განახორციელოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

*ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის სფეროში:*

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

- ა) უზრუნველყოს ენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირება, დააკმაყოფილოს ყველა შესაბამისი ლიცენზიატის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და პირდაპირი მომხმარებლის მოთხოვნები ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისა და მინიმალური ღირებულების პრინციპის შესაბამისად დამტკიცებული ბალანსებისა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მოთხოვნების თანახმად;
- ბ) დაამონტაჟოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ყველა იმ საშუალებას, რომელიც აუცილებელია ენერგოსისტემის ოპერატიული მართვისა და ელექტრული მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, დაამუშაოს რეჟიმები და გამოიყენოს სათანადო სადისპეტჩერო ოქმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკული სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას და ლიცენზიატის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მომხმარებლის მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად;

- გ) იხელმძღვანელოს დამტკიცებული ბალანსებით, სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოს საბალანსო ელექტროენერგითა და სარეზერვო სიმძლავრით ელექტროენერგიის მყიდველთა და გამყიდველთა დაკმაყოფილება, „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ გათვალისწინებული პირობებითა და წესით მოახდინოს ელექტროენერგიის მყიდველებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების სეზღუდვა და შეწყვეტა;
- დ) აწარმოოს პირდაპირი ხელშეკრულებების ერთიანი ნუსხა;
- ე) „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად სისტემის კომერციულ ოპერატორს მიაწოდოს ინფორმაცია პირდაპირ ხელშეკრულებებში გასაყიდად დაფიქსირებული და ფაქტობრივად გაყიდული ელექტროენერგიის ოდენობებზე;

*ელექტროენერგიის განაწილების სფეროში:*

კომისიის მიერ გაცემული განაწილების ლიცენზია უფლებას აძლევს ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, იყიდოს, გაატაროს, გაანაწილოს, და გაყიდოს ელექტროენერგია.

განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

- ა) საგანგებო პერიოდებში უზრუნველყოს ელექტროენერგიის გამოყოფილი ლიმიტების, დადგენილი რეჟიმების დაცვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების უპირატესი ენერგომომარაგება, მათ მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადახდის პირობით;
- ბ) უზრუნველყოს მიღებული ელექტროენერგიისა და მომსახურების ღირებულების დროული, სრული და გარანტირებული ანაზღაურება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად. ამ დებულების დამრღვევ განაწილების ლიცენზიატს პასუხისმგებლობა ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

## *ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სფეროში:*

კომისიის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება. ლიცენზიატმა უნდა განსაზღვროს შემოთავაზებული მომსახურებისათვის გამოსაყენებელი მარშრუტი, მილსადენები და სხვა მოწყობილობა, მიღებისა და მიწოდების პუნქტების ჩათვლით, რომლებიც გამოყენებული იქნება მის მიერ.

როდესაც ახალ მილსადენზე ან სხვა სატრანსპორტო მოწყობილობაზე არსებობს მოთხოვნა, შესაბამისმა მხარეებმა უნდა გააკეთონ განაცხადი ტრანსპორტირების ლიცენზიაზე, ხოლო ტრანსპორტირების ლიცენზიის ქონების შემთხვევაში – არსებული ლიცენზიის მოდიფიცირებაზე. თუ კომისია მიიჩნევს, რომ ახალი მილსადენი ან მოწყობილობა საჭიროა და შეესაბამება სახელმწიფო პოლიტიკას და კანონის მოთხოვნებს, იგი იღებს გადაწყვეტილებას, გასცეს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ახალი ან მოდიფიცირებული ლიცენზია.

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემასთან პირდაპირი მომხმარებლის ან გამანაწილებელი ქსელის მიერთება არ საჭიროებს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირებას, როცა ბუნებრივი გაზის მიწოდების სისტემაზე ხორციელდება ისეთი მიერთება, რომელიც ახალი მიწოდების პუნქტამდე იწვევს მილსადენის, გაზგამანაწილებელი სადგურის, რეგულატორის, სარქელის, აღრიცხვის კვანძის ან/და სხვა გაზომვის საშუალებების მიერთება-დამონტაჟებას.

ტრანსპორტირების ლიცენზიატი, ლიცენზიის პირობების თანახმად, ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

- ა) განავითაროს და შეაკეთოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემა ისე, რომ დააკმაყოფილოს ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიატის მოთხოვნები;
- ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა;

- გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ყველა შესაბამისი მითითება ტრანსპორტირების სისტემისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების უსაფრთხო, საიმედო და შეზღუდული გამოყენებისათვის;

**ბუნებრივი გაზის განაწილების სფეროში:**

კომისიის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს, ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და გაანაწილოს ბუნებრივი გაზი კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში.

განაწილების ლიცენზიატი, ლიცენზიის პირობების თანახმად, ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

- ა) მომსახურება განახორციელოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და ლიცენზიატის საინვესტიციო პროგრამის მიხედვით;
- ბ) შეიმუშაოს და კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს მომსახურების, აღრიცხვის, ანგარიშის მომზადებისა და დაგზავნის, აგრეთვე მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის პროცედურები;
- გ) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა და ინფორმაცია.

განვლილ პერიოდში სემეკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე, 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ფუნქციონირებდა ლიცენზიატები: წარმოების – 48; განაწილების – 15; გადაცემის – 5 და დისპეტჩერიზაციის – 1; სულ – 69. ხოლო ბუნებრივი გაზის სექტორში: ტრანსპორტირების – 1; განაწილების – 53; სულ – 54. მთლიანად საქართველოს ენერგეტიკაში აღნიშნული თარიღისათვის იყო 123 ლიცენზიატი.

განვლილ პერიოდში სემეკის მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად დარგში ლიცენზირე-



ბის პროცესის სწორად წარმართვისათვის. კერძოდ, ჩატარდა სამუშაოები, რომლებიც, ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა და პირველი ეხებოდა ენერგეტიკულ სექტორში შემავალი საწარმოების ლიცენზირების საკითხს, ხოლო მეორე – ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობებისა და წესების დაცვისა და ლიცენზიის დანართში მითითებული სამუშაოების შესრულების კონტროლს. ლიცენზიების გაცემა და მოდიფიცირება ხდება კანონით განსაზღვრულ ვადებში; რაც შეეხება ლიცენზიის პირობების შესრულების მონიტორინგს, იგი მიმდინარეობს სპეციალურად წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმა-გრაფიკების მიხედვით. შემოწმების შედეგები დადგენილი წესით აისახება სათანადო აქციებში, ისმინება ღია სხდომაზე, სადაც მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. განვილი პერიოდში რამდენჯერმე შემოწმდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, სს „თელასის“, წარმოების ლიცენზიატების და სხვათა მიერ ლიცენზიის პირობების შესრულება; დასახულ იქნა ღონისძიებები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ლიცენზირების პროცესის სწორად წარმართვა აუცილებელი პირობაა სექტორში ინვესტიციების მოზიდვისათვის, პროგნოზირებად და კომერციულ წესებზე დაფუძნებული ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისათვის, დარგის მინიმალური დანახარჯების უზრუნველყოფისათვის.

ქვემოთ მოცემულია ლიცენზირების სფეროში საერთაშორისო გამოცდილების ზოგიერთი საკითხი, რომელთა გონივრული გამოყენება საქართველოს პირობებში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს.

სალიცენზიო პირობებში სწორად უნდა დადგინდეს ენერგეტიკული კომპანიის (ლიცენზიატის) უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოს ზედამხედველობის ზარისხი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ცვლილებები სალიცენზიო პირობებში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში; შეც-

ვლა შეიძლება მოხდეს დროთა განმავლობაში ან ახალი ფაქტორების წარმოშობით, რომელიც ადრე არ იყო მხედველობაში მიღებული.

ლიცენზირების პროცესში აუცილებელია, ეს დოკუმენტები გამოირჩეოდეს გადმოცემის სიცხადითა და მრავალმხრივობით; ლიცენზიის პირობები არ უნდა საჭიროებდეს ახალ ცვლილებებს მოკლე დროში, ხოლო თუ ეს მოხდება, იგი ნაკარნახევი უნდა იყოს განსაკუთრებული აუცილებლობით, ისეთი ფაქტით, რომ მისი ადრე გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

ეს პრინციპი უნდა განვიხილოთ ენერგეტიკის სექტორში კერძო ინვესტორის მოზიდვისას, როგორც აუცილებელი პირობა. ინვესტორები მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩადებენ საგრძნობ თანხებს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიის ყიდვისას, ასევე სისტემის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის. ამ საკითხში მარეგულირებელმა ორგანომ უნდა გაატაროს სტაბილური პოლიტიკა; იგი ითვლება საკვანძო მომენტად ენერგოსისტემის ნორმალური ფუნქციონირებისა და ხელსაყრელი კლიმატის ფორმირებისათვის და უზრუნველყოფს უფრო დიდ წარმატებას სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვისათვის.

ლიცენზიებში ცვლილების შეტანის აუცილებლობა შეიძლება განაპირობოს შემდეგმა გარემოებებმა:

ლიცენზიის გაცემის დროს არსებული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა ან საჭიროებს შესწორებების შეტანას უახლოეს პერიოდში;

ლიცენზიის გაცემის შემდეგ გავიდა დიდი დრო, ხოლო ახალი გარემოებების წინასწარი გათვალისწინება მაშინ შეუძლებელი იყო;

ლიცენზია გაცემული იყო სახელმწიფო ორგანოების მიერ, ხოლო შემდგომში მისი პრივატიზაცია აუცილებელს ხდის შესწორებების შეტანას. ამისი განჭვრეტა კი მაშინ არ შეიძლებოდა.

მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია დაიწყოს ლიცენზიის პირობების შეცვლის პროცედურა იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის გაცემის მომენტში არსებული ძველი პირობები არსებითად შეიცვალა, კერძოდ:

ენერგეტიკის სისტემის ფუნქციონირების მოდელი ამ პერიოდში იმდენად შეიცვალა, რომ აუცილებელია შესწორებების შეტანა;

ლიცენზიის მფლობელი არსებითად არღვევს ლიცენზიის პირობებს;

თუ ლიცენზიის მფლობელი იცვლის თავის სახელს, საქმიანობის სახეობას ან კაპიტალის მოცულობას;

თუ არსებული ლიცენზიის პირობები ეწინააღმდეგება ახალ კანონს ენერგეტიკის შესახებ, ან სხვა ნორმატიულ აქტებს.

ლიცენზია, რომელშიც ნაკლებად სავარაუდოა ცვლილებების შეტანა, გაცილებით მიზიდველია ინვესტორებისათვის. ეს მათ საშუალებას აძლევს შეამცირონ ფინანსური რისკი. ასეთი რისკი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ნებისმიერ ქვეყანაშია. ეს განპირობებულია იმით, რომ მათ თითქმის არ გააჩნიათ კომერციული პრაქტიკის ან კერძო ენერგოსაწარმოების ეკონომიკური რეგულირების გამოცდილება.

ლიცენზიაში შესწორებების შეტანის პერიოდი და პროცედურები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც დომინირებს გაურკვევლობა. მარეგულირებელი ორგანო პასუხისმგებელია ამ დროს მდგომარეობის წონასწორობის დაცვაში. ეს გამოიხატება ინვესტორებისათვის მეტ გარკვეულობასა და ნაკლებ რისკში, ხოლო მომხმარებლებისათვის მათი უფლებების დაცვაში.

იმის გამო, რომ ცვლილებები ლიცენზიაში შეიძლება შეეხოს სხვადასხვა ინვესტორს (სხვა ლიცენზიის მფლობელებს, მომხმარებლებს და სხვ.), შესწორებები განხილულ და შეტანილ უნდა იქნეს გამჭვირვალობისა და საჯაროობის პირობებში. ეს უნდა მოხდეს

ლიცენზიატებისათვის წინასწარი შეტყობინებით და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი მოვალეობაა მომხმარებელთა დაცვა ზედმეტად მაღალი ფასებისაგან და შესაბამისად, ისეთი პოლიტიკის გატარება და გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმართულია ბაზარზე კონკურენციის სტიმულირებისაკენ და მონოპოლიური ძალაუფლების წარმოშობის აღკვეთისაკენ.

ძირითადად არსებობს საბაზრო კონცენტრაციის ორი ტიპი ჰორიზონტალური და ვერტიკალური:

- ა) ჰორიზონტალური საბაზრო კონცენტრაცია წარმოიქმნება მაშინ, როცა საქონლის მოძრაობა მწარმოებელიდან მომხმარებელამდე კონტროლდება მომსახურების გამწვეთა ძალიან მცირე რაოდენობით;
- ბ) ვერტიკალური საბაზრო კონცენტრაცია წარმოიქმნება მაშინ, როცა ერთ კომპანიას ეკუთვნის ყველა ფუნქციონალური კომპონენტი წარმოებიდან მომხმარებელამდე.

ბაზარზე კონკურენციის წარმოშობის სტიმულირებისათვის და მონოპოლიური ძალაუფლების გადამეტების აღსაკვეთად, მარეგულირებელ ორგანოებს შეიძლება დასჭირდეთ ენერგობაზრის მონაწილე ენერგოსაწარმოების საკუთრების სიდიდის შეზღუდვა როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური კონცენტრაციის აღსაკვეთად.

მარეგულირებელმა ორგანომ უნდა შეისწავლოს სალიცენზიო პირობების გავლენა ენერგობაზრის მუშაობაზე, მასში არსებულ კონკურენციაზე და არ დაუშვან ისეთი ლიცენზიების გაცემა, რომლებიც გამოიწვევს ზედმეტ ძალაუფლებას ელექტროენერჯის ბაზარზე.

მარეგულირებელმა ორგანომ თავიდანვე უნდა მიიღოს ზომები მონოპოლიური ფასების თავიდან ასაცილებლად, მომავალში ენერგეტიკულ საწარმოთა შერწყმის შემთხვევაში. იქაც კი, სადაც კანონით ან სალიცენზიო პირობით დადგენილია მონოპოლიური ფასების ეფექტური აკრძალვები, აუცილებელია მარეგულირებელი ორ-

განოს მხრიდან პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება ლიცენზიის მფლობელების მიერ ამ მოთხოვნების შესრულებაზე.

საკუთრების სტრუქტურის მონიტორინგი შეიძლება შეიცავდეს:

მოთხოვნას, რომ ლიცენზიის მფლობელმა მარეგულირებელ ორგანოს შეატყობინოს მის მფლობელობაში მყოფი აქციების საკონტროლო პაკეტის გადაცემაზე;

- მარეგულირებელ ორგანოს მიაწოდოს ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, რომელიც ეხება აქციების ყიდვას, გაყიდვას ან გაცვლას;

ლიცენზიის ერთი მფლობელის მიერ მეორის აქციის ყიდვა უნდა დადასტურდეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ;

- მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ერთი ლიცენზია უნდა გაუქმდეს და სხვა ლიცენზია გაიცეს;

უნდა არსებობდეს წესები, რომელიც მარეგულირებელ ორგანოს საშუალებას მისცემს წარმოაჩინოს, თუ როგორ საკუთრებას ფლობს პირდაპირ და უშუალოდ ლიცენზიის მფლობელი.

აუცილებელია ზემოთ აღნიშნული მონაცემების დაწვრილებითი ანალიზი; იგი შეიძლება საჯაროდ გამოქვეყნდეს კიდევ. ამ ანალიზის მიზანია გააწონასწოროს კომერციული კონფიდენციალურობა, თავიდან აიცილოს კომპანიისთვის ზიანის მიყენება და საზოგადოებრივი გამჭვირვალობა (საზოგადოების შესაბამისი ინფორმირება).

კონკურენცია უნდა განვიხილოთ არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც ელექტროენერჯის თვითღირებულების შემცირების ინსტრუმენტი.

საკუთრების ზომის შეზღუდვების მთავარი ნაკლია ის, რომ მათ შეუძლიათ ხელი ჰკრან პოტენციურ, განსაკუთრებით მცირე მასშტაბის ინვესტორებს; ხოლო კერძო ინვესტორებისათვის დაბრკოლებების შექმნამ შეიძლება უფრო დიდი ზიანი მიაყენოს სექტორს, ვიდრე ბაზრის ერთი ან რამდენიმე მონაწილის მონოპოლიურმა ძალაუფლებამ. კარგი რეგულირების შემთხვევაში ენერგეტიკულ სექ-

ტორს მაინც შეუძლია ეფექტიანად მუშაობა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ენერჯის მწარმოებელთა შორის კონკურენცია არ არსებობს. თუ მარეგულირებელი ორგანო დაადგენს გამჭვირვალე ნორმებს, შექმნის შესაბამის მარეგულირებელ მექანიზმებს და დააწესებს ხელსაყრელ ტარიფებს, ეს ხელს შეუწყობს ენერგეტიკულ სექტორში ახალი მონაწილეების შესვლას და, საბოლოო ჯამში, შეიქმნის კარგ პირობებს კონკურენციისათვის.

მარეგულირებელ ორგანოს აკისრია ყველაზე მნიშვნელოვანი და მძიმე პასუხისმგებლობა, რათა ნებისმიერი ენერგეტიკული ობიექტის პრივატიზაციის პირობები შესაბამისობაში მოიყვანოს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ საკანონმდებლო ბაზასთან და საბაზრო პირობებთან.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მარეგულირებელი ორგანოს მოვალეობაა წინ აღუდგეს პრივატიზაციის ისეთ ნებისმიერ პირობას, რომელიც არღვევს მარეგულირებელი ორგანოს ძირითად უფლებამოსილებას, განსაკუთრებით კონკურენციის სტიმულირებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. მაღალი კონკურენციის პირობებში მიზანშეუწონელია ერთი ლიცენზიის მიცემა ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის კომპანიებისათვის. ეს იძლევა სხვა სახეობის „საქმიანი თამაშის“ შესრულების საშუალებას, რომელსაც შეუძლია მიაყენოს პოტენციური ზიანი როგორც ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მფლობელებს, ასევე მომხმარებლებს.

ასეთი სიტუაცია წარმოიშობა იმის გამო, რომ ელექტროგადამცემი ქსელის კონფიგურაციის მიხედვით ელექტროსადგურის განთავსებასთან ან სხვა მომწოდებლისა და ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფის სტრუქტურასთან მიმართებაში, სისტემის ოპერატორს (ცენტრალური სადისპეტჩერო მართვა) შეუძლია ელექტროენერჯის ნაკადების მართვა ისეთნაირად, რომ გაიზარდოს მხოლოდ ელექტროენერჯის გადაცემაზე მომსახურე კომპანიების შემოსავლები.

ასეთი სიტუაცია წარმოიქმნება იმიტომ, რომ ქსელის გაყოფის ნებისმიერ წერტილში ელექტროგადაცემი ქსელის გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა არის ელექტროენერჯის წარმოებისა და ტრანსპორტირების მომსახურების ფუნქცია. ზოგიერთ შემთხვევაში სისტემის უსამართლო ოპერატორს შეუძლია სისტემაში ნაკადების მართვა ისეთნაირად, რომ უსამართლოდ ხელი შეუწყოს მხოლოდ გადაცემის კომპანიას.

მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან ბაზრის მკაფიო წესები და მონიტორინგი ეფექტიანი საშუალება იქნება უსამართლობის აღსაკვეთად. თუ ეს ორი ფუნქცია (გადაცემა და დისპეტჩერიზაცია) განხორციელდება ორი სხვადასხვა კომპანიის მიერ, მაშინ ასეთი სახის პრობლემები არ წარმოიშობა.

მარეგულირებელი ორგანოს უფლება-მოვალეობა, რომელიც ეხება საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების განხილვასა და გამოსწორებას, უნდა ემსახურებოდეს კანონით დადგენილ მტკიცე უფლებამოსილებას.

იმისათვის, რომ შეიქმნას რეალური კონკურენცია ელექტრობაზარზე, აუცილებელია კონკურენციის არსებობა ელექტროენერჯის წარმოების ბაზარზეც. თავის მხრივ, შეუძლებელია ეფექტიანი ელექტრობაზრის არსებობა, თუ არ არსებობს აქტიური კონკურენცია ბაზარზე საწვავის სხვადასხვა სახეებს შორის.

მარეგულირებელმა ორგანომ დაწვრილებით უნდა განიხილოს კერძო ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობის გაწონასწორების საკითხი და მონოპოლიური ძალაუფლების მინიმუმამდე შემცირებისა და ბაზარზე კონკურენციის სტიმულირების ამოცანები.

შესაბამისი პოლიტიკის გატარებისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს მარეგულირებელმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს კონკურენციის სტიმულირებისა და მონოპოლიური ბაზრის ფუნქციონირების შეზღუდვის აუცილებლობით. ამასთან, ასეთი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის სპეციფიკას, ენერგეტიკული ბაზრის შედარებით სიდიდესა და შეზღუდვებს.

სალიცენზიო პირობები ამ პოლიტიკის რეალიზაციის ხელსაყრელი ინსტრუმენტია. იგი ენერგეტიკული ბაზრის კონტროლის საშუალებას იძლევა აწმყოსა და მომავალში.

თავისუფალი შეზღუდვები საწარმოების აქტივების სიდიდეზე ან მფლობელობაზე უნდა იყოს გულდასმით შემუშავებული, რათა არ ეწინააღმდეგებოდეს სტრატეგიული კერძო ინვესტორების მონაწილეობას ენერგეტიკულ სექტორში.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა იყოს ენერჯის ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება, რათა დაცულ იქნეს ადგილობრივი მომხმარებლების ინტერესები.

ამ საკითხებში აუცილებელია, როგორც მთავრობის საერთო ინტერესების გათვალისწინება საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობების სფეროში, ისე მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების მხედველობაში მიღება.

ზრუნვა ადგილობრივი წარმოების ენერჯის მიწოდებაზე შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია ენერგეტიკული ნაგებობების გამოყენება როგორც იმპორტ-ექსპორტისათვის, ისე ელექტროენერჯის ტრანზიტისათვის. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია არსებული სიმძლავრეების პრიორიტეტულ გამოყენებასთან, უნდა გაანალიზდეს არსებული და მოსალოდნელი ხელშეკრულებებისა და საკუთარი მომხმარებლების მიერ გაწეული დანახარჯების მდგომარეობა.

ქვეყნის რესტრუქტურირებული ენერგეტიკული სექტორის ფარგლებში აუცილებელია იმპორტ-ექსპორტის რეგლამენტირებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია ქვეყნის ფარგლებში ჩატარებულ ოპერაციებთან. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს ის მახასიათებლები, რომლებიც განასხვავებენ ამ ოპერაციებს ქვეყნის ფარგლებში. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნებს შორის ელექტროენერჯის ნაკადების მოძრაობა ითვლება ევროკავრეთიანების ენერგეტიკულ ქარტიამი ჩართვის აუცილებელ პირობად.



ელექტროენერჯის იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტისათვის გამოყენებულ ენერგეტიკულ ნაგებობებზე, ცხადია, ითვლება ელექტრული ქსელებიც, რომელზედაც მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაიცა ლიცენზია ქვეყნის ფარგლებში ელექტროენერჯის ტრანსპორტირების ოპერაციის შესასრულებლად. ჩვეულებრივ, გადაცემის ლიცენზიის პირობების მოთხოვნებია, რომ ამ ლიცენზიის მფლობელებმა წარმოადგინონ თავიანთი ქსელების საკმარისი გამტარუნარიანობა ელექტროენერჯის საცალო მომწოდებლების მომსახურების საიმედო უზრუნველყოფისათვის. ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც გამოიწვევს საკუთარი მომხმარებლების მომსახურებისათვის ქსელის გამტარუნარიანობის შემცირებას, წინასწარ უნდა იქნეს განხილული მარეგულირებელი ორგანოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამ თვალსაზრისით, ელექტროენერჯის გადაცემის ექსკლუზიური უფლების მქონე ლიცენზიატებს წაყენებათ მოთხოვნა, რომ ლიცენზიის პირობების შესაბამისად მოქებნონ იაფი რესურსები. ასეთი იმპორტირებული ელექტროენერჯია მომწოდებელს აიძულებს შეამციროს ფასები, რათა იყოს კონკურენტუნარიანი და შეინარჩუნოს ბაზარი.

ელექტროენერჯის ექსპორტი შეიძლება შეიზღუდოს დღევანდელი ან მომავალი შიდა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შიდა მოთხოვნებისათვის პრიორიტეტის მინიჭებით.

საერთოდ, მარეგულირებელი ორგანო არ უნდა შეეწინააღმდეგოს ისეთ სავაჭრო ოპერაციებს, როცა განსაზღვრულ ტერიტორიაზე ექსკლუზიური უფლების მქონე მიმწოდებლებს არ ეზრდებათ ხარჯები საექსპორტო სავაჭრო ოპერაციების შედეგად (ამ შემთხვევაში დაუშვებელია გაზრდილი ხარჯების ტარიფში შეტანა). ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც გამოწვეულია ელექტროენერჯის ექსპორტთან (ან ტრანზიტთან), უნდა გამოიყოს შიდა მოხმარებისათვის ხაზების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან.

გარდა ამისა, ელექტროენერჯის ტრანზიტთან დაკავშირებული ხარჯებიც არ უნდა შედიოდეს ადგილობრივი მომხმარებლებისათვის მომსახურების გამწევი სატრანსპორტო კომპანიის დანახარჯებში.

ლიცენზირების სფეროში აქ აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა, ცხადია, ერთბაშად არ შეიძლება განხორციელდეს. იგი მიიღწევა თანდათანობით და ეტაპობრივად; მორიგი ეტაპი არ უნდა დაიწყოს ისე, თუ წარმატებით არ გადაწყდება წინა ეტაპის ამოცანები.

### 3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა

მარეგულირებელ ორგანოებს დიდი როლი ეკისრებათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. თუმცა, ხშირად მათ არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება უხდებათ. ამიტომ ისინი, როგორც წესი, არცერთ ქვეყანაში პოპულარული არ არიან. ასეა საქართველოშიც.

საგულისხმოა, რომ ჩვენთან მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების დასაწყისშივე კომისიის პირველ შემადგენლობასთან ოფიციალურ საუბარში აშშ საკონსულტაციო ფირმა „ჰაგლერბაის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც თავის დროზე თავისი ქვეყნის ერთ-ერთ შტატში ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავჯდომარე იყო, ასე განაცხადა: „თქვენი მუშაობის ეფექტიანობის საზომი საზოგადოებასთან ურთიერთობაა. თუ საზოგადოების ყველა ფენა, მათ შორის ხელისუფლება, თქვენი მუშაობით კმაყოფილია, ჩათვალეთ, რომ ვერ მუშაობთ ისე როგორც ეს საჭიროა“.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში; იგი მეტწილად არსებულ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სიძნელებებს უკავშირდება.

დარგში არსებული მწვავე პრობლემების ფონზე (ახლა საქართველო ელექტროენერჯის წარმოების მიხედვით 1967-1968 წლების დონეზეა) საზოგადოების ნაწილისაგან სემეკის მიმართ კრიტიკა ისმის. პირველ რიგში, ეს ითქმის ტარიფების შესახებ. ცალკეული პარტიები და პიროვნებები განსაკუთრებით აქტიურობენ არჩევნებისა და ზამთრის წინა პერიოდებში. მიაჩნიათ, რომ საქართველოში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფები „წარმოუდგენლად მაღალი და გაბერილია“; საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 2003 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ, ცხოპერების დონესთან ტარიფის შესაბამისობის მოტივით, გააუქმა სემეკის დადგენილება ტარიფების საკითხში, ხოლო 2004 წელს ე.წ. „მცირე ლიცენზიატებისათვის“, რომლებიც არღვევენ სალიცენზიო პირობებს (მათ შორის უსაფრთხოების მოთხოვნებს), ლიცენზიის ჩამორთმე-

ვის გადაწყვეტილებას, საზოგადოების ნაწილისაგან ხმაურიანი პროტესტი მოჰყვა.

ოპონენტების აზრით, სამომხმარებლო ტარიფის სიდიდე, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მოსახლეობის 1 სულზე (ან ოჯახზე) საშუალო თვიური შემოსავლის, ქვეყანაში არსებული საარსებო მიწის, მოხმარებული და ნორმატიული ელექტროენერჯის სიდიდის საფუძველზე და არა ენერჯის წარმოებაზე და მიწოდებაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ისინი ტარიფების ზრდის საკითხს მხოლოდ ცხოვრების დონეს უკავშირებენ და არა ელექტროენერჯის წარმოება-მიწოდებისათვის საჭირო რეალურ დანახარჯებს.

ზოგიერთები ეჭვქვეშ აყენებენ მარეგულირებელი ორგანოების ყოფნა-არყოფნის საკითხსაც. მათი აზრით, საქართველომ ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების დამოუკიდებელი სისტემის შემოღება უცხოეთიდან „კალკირების“ წესით მოახდინა და მოვიდა ღრო, სახელმწიფომ მასზე უარი თქვას.

ცხადია, ჯანსაღი კრიტიკა საჭირო და აუცილებელიცაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოპონენტებს დარგში არსებულ სიძნელეთა ფონზე ამ შემთხვევაში ობიექტურობის გრძნობა ღალატობთ და ეს, ჩვენი ღრმა რწმენით, მეტწილად საკითხის გაუთვითცნობიერებაში მდგომარეობს.

ვფიქრობთ, ამის გამო გახდა კრიტიკის ობიექტი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ენერგეტიკაში განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნების დიდი და რთული პროცესების უმნიშვნელოვანესი რგოლი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემის მოგვარების საჭიროების საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს. 2004 წელს ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ქვეყნის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა გაზეთმა ჩაატარა საზოგადოებრივი გამოკითხვა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამოკითხვის შედეგად, აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა 80 პროცენტზე მეტ-

მა ენერგოტარიფების დამდგენთა სიაში დაასახელა პრეზიდენტი, ენერგეტიკის სამინისტრო, პარლამენტი და ლეიბორისტული პარტია, ანუ ყველა, გარდა სემეკისა, ტარიფების დადგენაზე ერთადერთი პასუხისმგებელი ორგანო.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მუშაობაში საზოგადოებასთან ურთიერთობას თავიდანვე სერიოზული ყურადღება ექცევა. კერძოდ, საქმიანობის პირველ ეტაპზევე შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა ამ მიმართულებით. მას მუდმივი ურთიერთობა აქვს ქვეყნის ყველა საინფორმაციო საშუალებასთან, ამზადებს საინფორმაციო ყოველდღიურ და ყოველკვირეულ ბიულეტენებს მასმედისთვის, ასევე დაიჯესტის სახით ქართული, საერთაშორისო და რუსული პრესის ყოველდღიურ მიმოხილვებს. სემეკის საჯარო სხდომებზე დასასწრებლად უზრუნველყოფს ჟურნალისტების მოწვევას, ასევე სემეკის ვებგვერდზე სხდომის დღის წესით გათვალისწინებული საკითხების, პრესრელიზების და ინფორმაციის განთავსებას.

კომისიის მიერ მიღებული ყველა ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტი: წლიური ანგარიშები; ლიცენზიატების; სესბ-თან ურთიერთობისა და კომისიის საერთაშორისო კავშირების შესახებ ყველა აუცილებელი ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია. სემეკი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში ენერგეტიკის დარგში მომუშავე საერთაშორისო კომპანიების – ESBI, IBERDROLA, PA-Consalting და PAO ЕЭС РОССИИ-ის ადგილობრივ სამსახურებთან.

სემეკი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ (CENN); „მწვანე ალტერნატივა“; „ეკოხელვა“ და „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“, ასევე საერთაშორისო ორგანიზაცია **CORE international**-თან. შეხვედრები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება; ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ენერგეტიკულ

სექტორში მიმდინარე პროცესებზე; გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არასამთავრობო სექტორის გათვალისწინება; დარგში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო მონიტორინგის წარმართვა; საზოგადოებრივი კონტროლი ენერგორესურსების მიწოდებაზე; სატარიფო პოლიტიკის მონიტორინგი; ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის აუცილებლობის პოპულარიზაცია და სხვ.

მომხმარებელთან ურთიერთობას სემეკი ამ სფეროში მასთან არსებული საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მეშვეობით ახორციელებს. ასეთი სამსახური შეიქმნა 2003 წელს 22 ივლისს „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე არაკონკურენტული საბაზრო რეგულირების პირობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. მისი საქმიანობა ენერგეტიკის რეგულირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ფუნქციები განსაზღვრულია „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით. კერძოდ, იგი უფლებამოსილია:

- ა) დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;
- ბ) შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენის შედეგები;
- გ) მარეგულირებელ ორგანოში გამოვიდეს მხარედ მომხმარებელთა სახელით;
- დ) გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციასა თუ მასალას, რომელიც კანონმდებლობით შეადარებულია მარეგულირებელი კომისიის მიერ გასაცნობად;
- ე) წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების

მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ფაქტობრივად მთელი საზოგადოებაა. ამდენად ამ სამსახურის გამართულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

განვილილ პერიოდში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა მნიშვნელოვანი საშუალები განახორციელა. მაგ., 2005 წელს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოვიდა 260 განცხადება-საჩივარი, აქედან 214 – ელექტროენერგეტიკის, ხოლო 46 – ბუნებრივი გაზის სექტორში მომხდარ დარღვევებს ეხებოდა. ელექტროენერგეტიკის ხაზით შემოსული 214 საჩივრიდან 38% მოდიოდა კომუნალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, 28% – აღრიცხვიანობის საკითხებზე, 16% – დარიცხვის საკითხებზე, 11% – შეღავათების სისტემაზე, 6% – მომსახურების უკანონო შეწყვეტაზე, 1% – აღრიცხვის კვანძების შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გაზმომარაგების ხაზით შემოსული 46 საჩივრიდან 42% მოდიოდა აღრიცხვის შემოწმების საჭიროებაზე, 29% – დარიცხვის სისწორეზე, 27% – ტექნიკურ საკითხებსა და უსაფრთხოებაზე, 2% – შეღავათების სისტემაზე.

2005 წელს სამსახურმა სასამართლოს წესით დაიცვა ახალციხისა და ქუთაისის მცხოვრებნი სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ კომუნალურ აღრიცხვასთან დაკავშირებულ უკანონო ქმედებისაგან.

განცხადება-საჩივართა დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო წლების განმავლობაში მოქმედი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ფიქსირებული დარიცხვის წესით გამოწვეულ შედეგებთან. მომხმარებელთა დიდ ნაწილს ქვითრებით ერიცხებოდა გასულ წლებში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დიდი ოდენობით დავალიანება, მაშინ, როცა აბონენტებს, ფაქტობრივად, უფრო ნაკლები ელექტროენერგია ჰქონდათ მოხმარებული. სამსახურის ძალისხმევით მოხერხდა აბონენტთათვის უკანონოდ დარიცხუ-

ლი თანხის ჩამოჭრა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დეპოზიტის წარმოშობაც. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, ძველი ვალების გადაანგარიშების შედეგად ჩამოჭრილ იქნა ჯამში 14060.82 ლარი.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილებები ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის დატაცების შემთხვევებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, 2005 წელს ყველაზე მეტად იმატა მომხმარებელთა საჩივრებისა და განცხადებების რიცხვმა იმის თაობაზე, რომ ზორციელდება მოსახლეობის უკანონო დაჯარიმება. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ბუნებრივი გაზის მომხმარებლებთან მიმართებაში. ამ კუთხითაც მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შედეგები, კერძოდ, გაუქმდა ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი გაზის აღრიცხვიანობის ათობით შემოწმების აქტი, ვინაიდან მომწოდებელი ორგანიზაციების მხრიდან დარღვეული იყო აღნიშნული აქტების შედგენის სემეკის მიერ დადგენილი რეკვიზიტები. შედეგად მომხმარებლები გათავისუფლდნენ უკანონოდ დარიცხული თანხებისაგან.

ამავე დროს, უმეტეს შემთხვევებში, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის დატაცების ფაქტები დადასტურდა. აღნიშნულის თაობაზე სასამართლოში წარმოებულ საქმეებზე სამსახური რეგულარულად მონაწილეობს.

შემოსულ საჩივართა გარკვეული ნაწილი იმ კატეგორიის პრეტენზიებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც წარმოიშობა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, ნასყიდობის შედეგად, როდესაც მომსახურე კომპანია საცხოვრებელი სადგომის ან ბინის ახალ მესაკუთრეს ძველი მესაკუთრის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის საფასურის დავალიანებას არიცხავს და მომსახურების შეწყვეტის მუქარა-გაფრთხილებით აიძულებს სხვის მიერ დაგროვილი დავალიანების გადახდას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიგის ყველა საჩივარი თითქმის პოზიტიურად გადაწყდა. საფუძველად გამოყენებული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი,



რომელიც ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს განსაზღვრავს. მოქმედი კანონმდებლობით ვალდებულების არსებობის გარეშე არავის აქვს უფლება მოითხოვოს მისი შესრულება. ნივთი (ამ შემთხვევაში - საცხოვრებელი ბინა) არ შეიძლება სამართალურთიერთობის სუბიექტად იქნეს მიჩნეული, როგორც ამას ხშირად საღისტრიბუციო კომპანიები მიიჩნევდნენ. უძრავი ქონება ამ შემთხვევაში უფლებრივად უნაკლოა, ვინაიდან მომხმარებელი არის კონკრეტული აბონენტი და არა აბონენტის საცხოვრებელი მისამართი, ელექტროენერგიას ან/და ბუნებრივ გაზს მოიხმარს აბონენტი და არა აბონენტის საცხოვრებელი მისამართი. გამომდინარე აქედან, მომხმარებელთა ამ სახის უკლებლივ ყველა მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული.

საჩივართა ნაწილს წარმოადგენდა მრიცხველის გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრეტენზიები, როდესაც მომხმარებლებს ჰქონდათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ მრიცხველი არასწორად აღრიცხავდა მოხმარებული ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის მოცულობას, ანუ, ადგილი ჰქონდა ცდომილებას. ყველა ეს პრეტენზია რეაგირებულ იქნა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ და გადაწყდა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ არაერთხელ დაფიქსირდა საღისტრიბუციო ენერგოკომპანიების მხრიდან მომხმარებლებისათვის არაკანონიერი საფუძველით მომსახურების შეწყვეტის ფაქტები როგორც ელექტროენერგეტიკის, ასევე ბუნებრივი გაზის სექტორში (კერძოდ, იმ მიზეზით, რომ ზოგიერთ მობინადრეს ჰქონდა დავალიანება და ამის გამო ხდებოდა მთლიანად კონკრეტული უბანის ან საცხოვრებელი კორპუსის გამორთვა). ყოველ აღმოჩენილ ფაქტზე მისი შესწავლის შემდგომ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა სემეკის წინაშე დააყენა საკითხი ლიცენზიატის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის 92<sup>1</sup>-ე მუხლის (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებ-

ლობა) შესაბამისად დაჯარიმებაზე, კომპანიას მოსთხოვა მომსახურების უცილობელი და დაუყოვნებლივი აღდგენა, მომავალში მსგავსი ფაქტების აღმოფხვრისათვის პრევენციული ზომების მიღება. ზოგიერთ შემთხვევაში მომსახურების შეწყვეტის უკანონო ფაქტები დაფიქსირდა ტელეკამერების საშუალებით, დაიბეჭდა არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია, მოეწყო საჯარო განხილვები და ა.შ. შედეგად სახეზეა ამგვარი პრეცედენტების ნაწილობრივი აღმოფხვრა და ამ მოვლენის მასობრივი ხასიათის მატარებელი ნიშნის დაკარგვა, თუმცა პრობლემა საბოლოოდ ჯერ-ჯერობით მაინც არ არის გადაწყვეტილი.

საზოგადოებასთან მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობის სფეროში მნიშვნელოვანი გამოცდილებებია დაგროვილი აღმოსავლეთეუროპის ქვეყნებში. აქ მარეგულირებელი ორგანოების უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობს მომხმარებელთა მხრიდან საჩივრების განხილვაში, რომლებიც ეხება ენერგოკომპანიების მიერ ფასების პოლიტიკისა და ხარისხის სტანდარტის დარღვევას. მაგალითად, უნგრეთში მომხმარებელთა საჩივრების პრობლემების გადაწყვეტას საკმაოდ პერსპექტიულად მიუდგნენ. კერძოდ, ჩამოყალიბდა ენერგეტიკაში დაინტერესებულ მხარეთა საბჭო. იგი წარმოადგენს სამმხრივ ორგანიზაციას და შედეგადად მარეგულირებელი ორგანოს; ორგანიზაციების, რომლებიც წარმოადგენენ მომხმარებლებს; ლიცენზიატის წარმომადგენლებისაგან.

მომხმარებელთა საჩივრების განხილვის საკითხში საინტერესოა ლიტვის მოდელი. ამ ვარიანტის თანახმად, მარეგულირებელი ორგანო პერიოდულად ატარებს შეკრებებს ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში მომხმარებელთა პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ შეკრებებზე ხშირად მონაწილეობს მრავალი წარმომადგენელი, მათ შორის ენერჯის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების წარმომადგენლები, პასუხისმგებელი პირები მუნიციპალიტეტიდან და პარლამენტიდან, ექსპერტები, ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ა.შ. ასეთი მიდგომა წარმატებით გამოიყენება ლიტვაში უკვე დიდი ხანია და წარმოადგენს

რეგიონებში მომხმარებელთა პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტის კიდევ ერთ კარგ მაგალითს.

რეგულირებაში საზოგადოების მონაწილეობის როლის ამაღლების გასაძლიერებლად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საკანონმდებლო მხარდაჭერა. ცხადია, მარეგულირებელი ორგანო ისეთი იქნება, როგორ ჩარჩოებსაც განსაზღვრავს მისთვის კანონი და როგორი იქნება კომისიის დამოუკიდებლობის ხარისხი. ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე კომისიის წევრთა საჯარო გამოსვლები და პროფესიონალიზმი, განსაკუთრებით ტარიფების საკითხში. ცხადია, ტარიფების დადგენა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც იგი ისეთ სერიოზულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლებიც ღიდ გავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში როგორი ამოცანებია მარეგულირებელი ორგანოს წინაშე და რას მოითხოვს საზოგადოება მარეგულირებელი ორგანოსაგან?

როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა (ასეთი გამოკვლევა ჩატარდა რუმინეთში), საზოგადოება მარეგულირებელი ორგანოს მოღვაწეობისაგან ელის:

მარეგულირებელი ორგანოების მიერ დანახარჯების გამჭვირვალე წარმოდგენასა და ინდივიდუალური მომხმარებლების დაცვას (გამოკითხულთა 83%), აგრეთვე ბაზარზე ადეკვატურ ზედამხედველობას (67%), მომავალი დანახარჯებისა და ფასების სწორ პროგნოზირებას 50%), მეთოდოლოგიის, წესების, ბრძანებების და ა.შ. განმარტებას (33%) და ფასწარმოქმნაზე ღია პროცედურების მოწყობას (17%);

მარეგულირებელ ორგანოსადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მონაწილეობას რეგულირებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრიობის მიზიდვა რეგულირების ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა: პრივატიზაცია, ტარიფების დადგენა, ლიცენზირება, ინფორმაცია ელექტროსადგურებზე ენერგორესურსების შეზღუდვაზე და ა.შ.;

საზოგადოების ეფექტურმა ჩარევამ მარეგულირებელი ორგანოების გადაწყვეტილებები უფრო მეტად მისაღები უნდა გახადოს მათი არაპოპულარობის დროსაც კი. გარდა ამისა, საზოგადოების აქტიური მიზიდვა სასარგებლოა მარეგულირებელი ორგანოს შეცდომებისაგან დაზღვევის პოზიციიდანაც;

მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში განსაკუთრებით უნიკალურია ის ფაქტი, რომ იგი ერთადერთ ისეთ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც მიისწრაფვის უზრუნველყოს საზოგადოების მოზიდვა თავისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, დამახასიათებელია მოსახლეობის შემოსავლების შედარებით დაბალი დონე. ეს კი ხელს უწყობს მომხმარებლების მხრიდან მწვავე შეკითხვების აღძვრას, განსაკუთრებით ტარიფებთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ საოჯახო მეურნეობის საშუალო ბიუჯეტში ენერჯიაზე ხარჯების წილი საკმაოდ მაღალია. ეს კი ტარიფებს არსებით მნიშვნელობას აძლევს და მას პოლიტიზებულს ხდის.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში ელექტროენერჯიაზე ფასები ფაქტობრივად ხასიათდებოდა ტარიფების არასაკმარისი დონით და ინტენსიური სუბსიდირებით, ეს კი ამჟამად არსებითად ამწელებს მარეგულირებლის ამოცანას, როდესაც იგი იძულებულია არაპოპულარული გადაწყვეტილება მიიღოს. ამან კი შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს რეგულირების პროცესზე. ამ თვალსაზრისით, მან მნიშვნელოვანი ძალღონის დემონსტრირება უნდა მოახდინოს საზოგადოების გათვითცნობიერების დონის ასამაღლებლად. ამისათვის საჭიროა განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს პოლიტიკა. იმ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ტარიფში უნდა აიხაზოს.

საქართველოში არსებული და უცხოეთის მარეგულირებელ ორგანოთა მუშაობის გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მარეგულირებელი ორგანოს საზოგადოებასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად საჭიროა:

ფართო, რეზონანსის მქონე, (მაგ., ტარიფებთან დაკავშირებული) სხდომებში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა;

- მომხმარებელთა საჩივრების ღრმა ანალიზი ისეთ საკითხებში, როგორცაა: ანგარიშების მომზადება და წარდგენა; მომხმარებლების გამორთვა ან მომსახურების ხარისხი.

რეგულირებაში საზოგადოების შეგნებული მონაწილეობის ეფექტურობის შეფასებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

1) ინფორმაციის საჯაროობა:

- ა. რეგულარული ინფორმაცია მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსახილველი საკითხების შესახებ;
- ბ. რეგულარული ინფორმაცია კომისიის კონკრეტული ფუნქციონირების შესახებ;
- გ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებელთა უფლებების შესახებ;
- დ. ენერგოკომპანიების შესახებ კომისიაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ე. კომისიის გადაწყვეტილებების მიღების წინ დაწერილებით ახსნა-განმარტებების ჩატარება.

2) საზოგადოებასთან ურთიერთობაში კომისიის ლაინტერესების ხარისხი:

- ა. დედაქალაქის გარეთ ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება;
- ბ. მომხმარებლების წარმომადგენელთა ჯგუფებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება;
- გ. პრესასთან რეგულარული შეხვედრების გამართვა.

3) კომისიის გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიანობა:

- ა. ენერგოკომპანიაში არსებულ ინფორმაციულ მონაცემებთან დაშვება;

- ბ. ტარიფების შესახებ კითხვა-პასუხის მოწყობა;
  - გ. მოსმენების დროს მარეგულირებელ ორგანოსთან თავისი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.
- 4) კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების დროს საზოგადოების შემოფოთებისა და აზრის გათვალისწინების ხარისხი:
- ა. საზოგადოებასთან შეხვედრისა და საჯარო მოსმენების წესი.  
საზოგადოების მონაწილეობის მეტი ეფექტურობისათვის მარეგულირებელმა ორგანომ აუცილებელია გადაჭრას საზოგადოების მონაწილეობის საკითხი მოსმენებში, მათ შორის მტკიცებულებების წარსადგენად როგორც ენერგოკომპანიის წინააღმდეგ, ასევე ენერგოკომპანიის დასაცავად. ამასთან, კომისია დაცული უნდა იყოს უსაგნო მსჯელობებისაგან და არაპროდუქტიული დისკუსიებისაგან. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კომისიას ქონდეს საზოგადოებასთან შეხვედრისა და საჯაროდ მოსმენის მკაფიოდ განსაზღვრული წესი;
  - ბ. თავისუფალი დაშვება კომისიის გადაწყვეტილებებთან, მის დებულებებთან და საპროცედურო ნორმებთან; ინტერნეტში საკუთარი გვერდის ორგანიზება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება.  
კომისიის გადაწყვეტილებები ნათლად უნდა იყოს გადმოცემული წერილობითი ფორმით და მისი გაცნობა თავისუფალი უნდა იყოს. ისინი უნდა შეიცავდეს იმის ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მივიდა ამა თუ იმ შედეგთან კომისია და ამ დროს როგორი ალტერნატივები განიხილებოდა. სერვისი შეიძლება ისე შეიქმნას, რომ შესაძლებელი გახდეს კომენტარების გაგზავნა პირდაპირ კომისიის მისამართით;
  - გ. მუშაობის ორგანიზება საზოგადოების მოზიდვის სფეროს გასაფართოებლად. მაგალითად, საჯარო მოსმენები რეგიონებში. აქ შეიძლება განიხილონ, როგორც ადგილობრივი წარმომადგენლობის გამოყენება, ისე კომისიის წევრების პერიოდული

ვიზიტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ფართო კამპანიები და ა.შ.;

დ. რეგულირების საკითხებში სპეციალიზებული ლიტერატურის მომზადება და გავრცელება, რათა იგი თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს.

დოკუმენტების სერიის მომზადება ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მომხმარებელთა უფლებანი და მოვალეობანი; საჩივრის შეტანის წესი; თვით კომისიის როლისა და მოვალეობის ახსნა; რესტრუქტურისაციისა და პრივატიზაციის შესახებ თემატური ლიტერატურაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს საზოგადოებასთან დიალოგის დასამყარებლად და გასაფართოებლად;

ე. რეგულირების პროცესზე მომხმარებელთა ზემოქმედების გაძლიერების ერთ-ერთი გზა – რეგულირებაში მონაწილეობის მისაღებად ისეთი ორგანიზაციის შექმნაა, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლებს. აქ შეიძლება შედიოდეს საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მიღება როგორც მოსარჩელის მხრიდან, ისე ენერგოკომპანიის მხრიდან. ეს დაეხმარება კომისიას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, ამან შეიძლება გააძლიეროს კომისიისთვის საზოგადოების მხარდაჭერა და გაამყაროს ენერგოსექტორში მისი შეცნობის როლი;

ვ. აღიარებულ სპეციალისტებთან და შესაბამის საკვლევ ინსტიტუტებთან ურთიერთობა;

ზ. გამოკითხვისა და სპეციალიზებული ჯგუფების გამოყენება კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტურობის შესაფასებლად.

კომისიისა და მისი მოღვაწეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების დონის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოდგეს საზოგადოების აზრის გამოკითხვის ჩატარების მეთოდი. ეს ეხმარება კომისიას გაიგოს ენერგომომხმარებელთაზე მომხმარებელთა შეხედულებანი, მათი აზრი ლიცენზიატების მიერ მომსახურების ხარისხზე და ა.შ.

მომხმარებლებთან მარეკულირებელი ორგანოს ურთიერთობის მთავარი პრობლემებია:

- ა. მომხმარებელთა საჩივრები მომსახურების ხარისხისა და ტარიფების სფეროში;

კომისიის მთავარი დანიშნულებაა მომხმარებელთა საჩივრებისა და პრობლემების განხილვისა და გადაჭრის ცენტრად იქცეს. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია მომსახურების ხარისხთან და წარდგენილი ანგარიშების სისწორესთან. როგორი ნაბიჯები შეიძლება გადადგას კომისიამ, რათა ეს როლი განმტკიცდეს საზოგადოების ცნობიერებაში?

აქ ისევ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ მომხმარებლებს ზუსტად გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები.

- ბ. მომხმარებელთა მომსახურების სფეროში;

კომისიამ უნდა შეიმუშაოს წესი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული მომხმარებლის გამორთვის შემთხვევაში. ასეთი წესი სანდო რომ იყოს, უნდა იყოს ნათელი, მისაწვდომი და რამდენადმე ზღუდავდეს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას თითოეული მხარისაგან.

- გ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კომისიის საქმიანობის განმარტების სფეროში;

აქ ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მიღების მიზეზების დოკუმენტირება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელება, განსაკუთრებით იმათი, რომლებიც შეიძლება ნეგატიურად იქნეს აღქმული მოსახლეობის ან ცალკეული პოლიტიკური პარტიების მიერ (მაგალითად, ტარიფების გაზრდა).

- დ. საზოგადოების შემეცნებაში კომისიის როლის ამაღლების სფეროში;

1. ელექტროენერგეტიკისა და გაზომარაგების რესტრუქტურინაციის მაგალითები მოწინავე ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში.



როგორც აშშ-ში, ისე დიდ ბრიტანეთში, მარეგულირებელი ორგანოები ატარებდნენ თავის საგანმანათლებლო პროგრამებს რესტრუქტურისაციაში, რომელშიც ფართო საზოგადოებრიობას განუმარტავდნენ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს, მის გავლენას მომხმარებლებზე და მარეგულირებლის როლს.

აქ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ დიდ ბრიტანეთში ელექტროენერგეტიკის რესტრუქტურისაციის შემდეგ მომხმარებელთა ყველა ჯგუფი მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამასთან, წვრილმა მომხმარებლებმა ყველაზე მეტი მოიგეს.

ე. საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის კადრების შერჩევის სფეროში.

ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, აშშ-ში, მომხმარებელთან მომუშავე განყოფილება, როგორც წესი, კომისიაში ყველაზე დიდია, მაშინ, როცა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში ამ განყოფილებებმა ასეთი ყურადღება და მზრუნველობა ვერ მიიღეს. გადაწყვეტას საჭიროებს ისეთი საკითხები, როგორცაა: თანამშრომელთა რაოდენობა, საჭირო გამოცდილება და კვალიფიკაცია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, კომისიაში შეიქმნას შესაბამისი სულისკვეთება, რომელიც მუდმივად მიმართული იქნება მომხმარებელთა პრობლემების გადაწყვეტაზე. მაგ., დიდ ბრიტანეთში ენერგეტიკის მარეგულირებელმა ორგანომ Ofgem-მა ენერგომიმწოდებლებს 1-წლიანი ვადა მისცა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ანგარიშის წარდგენის პროცედურების გაუმჯობესებისათვის. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მომხმარებელთა მხრიდან შემოსული საჩივრების საფუძველზე. მარეგულირებელმა ორგანომ ენერგომიმწოდებლებს აუკრძალა გადახდის ქვითრების წარდგენა ისეთ დავალიანებაზე, რომელიც წარმოიქმნა ორ წელზე მეტი ხნის წინ, იმ შემთხვევაში, თუ ასეთ დავალიანებაზე ანგარიში ადრე წარდგენილი არ იყო, ან იგი წარმოიშვა მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა, გადაწყვეტილების თანახმად, ელექტრო-

ენერჯის მიმწოდებლები ვალდებულნი არიან შექმნან დამოუკიდებელი ორგანო უთანხმოებათა დარეგულირების მიზნით. ასეთ ორგანოს შეუძლია მომხმარებელს მისცეს კომპენსაცია, ხოლო კომპანიები ვალდებული არიან საყოფაცხოვრებო მომხმარებლებთან ხელშეკრულების გაფორმების დროს სრულად გაითვალისწინონ კანონის მოთხოვნები მათი უფლებების დაცვის შესახებ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში ზემოთ აღნიშნული პრობლემები და რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის, მეტ-ნაკლები ზომით მისაღებია ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოსათვის. რეკომენდაციათა ნაწილი ჩვენს სინამდვილეში განხორციელებულია, მაგრამ მათ კიდევ უფრო გაღრმავება და განმტკიცება ესაჭიროება; ნაწილი კი მომავალში უნდა განხორციელდეს. სრულიად ნათელია, რომ მარეგულირებელი ორგანოები რეგულირებაში საზოგადოების მონაწილეობის სფეროში სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან ენერჯეტიკულ საკითხებში საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებისა და მოზიდვის გამო;

იმისათვის, რომ მარეგულირებელმა ორგანომ წარმატებით იმუშაოს, მას თავის საქმიანობასა და ანალიზში საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება.

რეგულირებაში საზოგადოების მოსაზიდად საჭიროა:

- ა) კომისიის შიგნით ერთ-ერთ ფუნქციონალურ განყოფილებას გარკვეული მოვალეობები დაეკისროს საზოგადოების მოსაზიდად, რომელიც სულ უფრო სრულყოფილი უნდა გახდეს;
- ბ) მარეგულირებელი ორგანოსათვის მომხმარებელთან ურთიერთობისა და მობილური მუშაობის გეგმის შემუშავება და დანერგვა. აქ იგულისხმება პერსონალური დისკუსიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მობილური მუშაობა მომხმარებელთა ჯგუფებთან, შეხვედრები ქვეყნის რეგიონებში, პრეს-რელიზი, აგრეთვე სპეციალიზებული მასალების მომზადება საზოგადოების სწავლებისათვის;

გ) მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებებით დოკუმენტაციის აღდგენის გაუმჯობესება წარმოდგენილი მტკიცებულებების აღსაწერად, განხილვის პროცესისა და მსგავსი დასაბუთების ანალიზისათვის.

3) ამავდროულად, მთავარია იმის შეგნება, რომ ლიცენზიატებმა უნდა მოახდინონ რეგულირებაში საზოგადოების მონაწილეობის სტიმულირება. მარეგულირებელმა ორგანომ ლიცენზიატების ყურადღება უნდა მიაპყროს იმას, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოების ყურადღების მიქცევა თვით ლიცენზიატების ინტერესებში შედის და დაარწმუნონ ყველა (და არა მარტო მარეგულირებელი ორგანო) თავიანთი პოზიციის სისწორეში.

### 3.5 საკანონმდებლო ცვლილებები და სამომავლო გეგმები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის დეკემბერში და 2006 წლის ივნისში შეტანილ იქნა მორიგი ცვლილებები და დამატებები. ამის მიზნად წარმოდგენდა სექტორში გამოცხადებული ახალი საპრივატიზაციო პროცესის, კერძოდ, გამანაწილებელი და მწარმოებელი ენერგოკომპანიების გასხვისების მიზნით, ახალი, ლიბერალური და ინვესტირებისათვის მიმზიდველი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ გაცხადდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქ. თბილისისა და აფხაზეთის გარდა, სამი მსხვილი გამანაწილებელი ქსელის და დასავლეთ საქართველოში არსებული ექვსი ჰიდროელექტროსადგურის პრივატიზაციას.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, კანონი მიზნად ისახავს ელექტროენერჯით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე სუბიექტთა უფლება-მოვალეობების მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრას; სექტორის მართვის ერთიანი და ეფექტური სისტემის შექმნას; ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინებით, სექტორის სრულ რეგულირებადღე დარგის კონკრეტული სეგმენტების

ლიბერალიზაციას. მათ შორის აღსანიშნავია ელექტროენერგეტიკულ სექტორში ურთიერთობების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დანერგვა, როგორცაა ორმხრივი კონტრაქტების სისტემაზე გადასვლა, ელექტროენერგეტიკული სექტორის მონაწილეების ფინანსური დაინტერესების ზრდა არა მარტო თითოეულის უშუალო ბიზნესში, არამედ სისტემის კომერციულ ოპერირებაში მნიშვნელოვანი ფინანსური დაინტერესების გაჩენა და სხვ.

კანონის უმთავრესი სიახლეა ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის არსებითად ახალი სისტემის შემოღება. არსებული რეალობისგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს ქვეყნის შიგნით წარმოებული და იმპორტირებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილის საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე გაყიდვას; გათვალისწინებულია ელექტროენერგიით (სიმძლავრით) ვაჭრობა პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით. ამ პირობებში ელექტროენერგიის მწარმოებელი ორგანიზაციები და იმპორტიორები თავისუფალნი იქნებიან სახელშეკრულებო კონტრაგენტის შერჩევაში.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე, გათვალისწინებულ იქნა სარეზერვო სიმძლავრის განმარტება და მისი შესყიდვის ვალდებულება ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთათვის. სარეზერვო სიმძლავრე, გაუთვალისწინებელი ავარიების დროს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესაძლებლობას მისცემს, მაქსიმალურად მოკლე ვადაში მინიმუმამდე დაიყვანოს ვაჭრობის მონაწილეთა შესაძლო ზიანი.

ახალი კანონი ითვალისწინებს ასევე ელექტროენერგეტიკული სექტორის ნაწილობრივ დერეგულირებას. ენერგეტიკის სამინისტრო 2006 წლის 1 ოქტომბრისათვის ელექტრო-ენერგეტიკული ბალანსების დამტკიცებასთან ერთად, მოახდენს ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე პირებისათვის კატეგორიების მინიჭებას.

„მვირიანი“ ელექტროენერჯის (მათ შორის, თბოსადგურების ენერჯის, ახალი ელექტროსადგურების) გარანტირებული გაყიდვისათვის პირველი კატეგორიიდან შესყიდვა სავალდებულო იქნება. ამ კატეგორიაში მოხვედრილ ელექტროსადგურებს დაუწესდებათ ელექტროენერჯის გასაყიდი ტარიფის მაქსიმალური ზედა ზღვარი. ეს, ძირითადად, განპირობებულია საბაზისო ელექტროენერჯის აუცილებლობით და, ნაწილობრივ, დერეგულირების პირობებში მათი ინტერესების გათვალისწინებით.

მეორე კატეგორიაში მოხვედრილ ელექტროსადგურებს საშუალება ექნებათ ელექტროენერჯის რეალიზაცია მოახდინონ მყიდველებთან პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმების გზით, ხოლო მესამე კატეგორიაში მოხვედრილ ელექტროსადგურებს შეეძლებათ, ელექტროენერჯის რეალიზაცია მოახდინონ მყიდველებთან პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმების გზით მხოლოდ რეგულირებადი ტარიფებით. ამ კატეგორიაში, პირველ რიგში, მოიაზრება ენგურჰესი.

კანონი ელექტროენერჯით ვაჭრობის განსხვავებულ რეჟიმს ადგენს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისათვის. ისინი უფლებამოსილი არიან ელექტროენერჯით ივაჭრონ პირდაპირი ხელშეკრულებებით განაწილების ლიცენზიატებთან და პირდაპირ მომხმარებლებთან. თუმცა, ამავდროულად, ელექტროენერჯია მიჰყიდონ განაწილების ლიცენზიატის ქსელზე მიერთებულ საცალო მომხმარებელსაც.

კანონის სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე გრძელვადიანი, წინასწარ დაფიქსირებული ტარიფების დადგენის შესაძლებლობა, რაც, კომპანიებს საშუალებას მისცემს რამდენიმე წლით ადრე დაგეგმონ თავიანთი საქმიანობის ფინანსური შედეგები და, მეორე მხრივ დაიცვას ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებელი ტარიფების მოულოდნელი ზრდისაგან.

კანონს შემოაქვს პირდაპირი მომხმარებლის თვისებრივად ახალი განმარტება, რომლის თანახმადაც ელექტროენერჯის მომხმარებლები აღარ იქნებიან დამოკიდებულნი მიერთების ქსელის ძაბვაზე და ენერგეტიკულ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი

მიმართულებით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი ელექტროენერჯის მოხმარების შემთხვევაში საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ელექტროენერჯით საბითუმო ვაჭრობაში და თვითონ აირჩიონ ელექტროენერჯის მიმწოდებლები.

კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, მარეგულირებელ ორგანოს ეკისრება სისტემის სარეზერვო სიმძლავრეზე (ელექტროენერჯიაზე) და ელექტროენერჯის გატარებაზე ტარიფების დადგენა. რაც შეეხება ელექტროენერჯის (სიმძლავრის) და ბუნებრივი გაზის ბალანსებს, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) და ბუნებრივი გაზის ბაზრების წესებს, აგრეთვე ენერგეტიკაში ენერგობიექტების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობის და მათით სარგებლობის წესებს, ამტიციებს ენერგეტიკის სამინისტრო ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით-ბრძანებით. სამინისტრო უფლებამოსილია ასევე მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე ენერგეტიკის დარგში დერეგულირების შესახებ. ამ უკანასკნელში იგულისხმება ნებართვა წარმოების ლიცენზიატის საქმიანობაზე ტარიფის დადგენის გარეშე ან მცირე სიმძლავრის (10 მგვტ-მდე) ელექტროსადგურის ფუნციონირებაზე ლიცენზიისა და ტარიფის დადგენის გარეშე. კანონის მიხედვით, საქართველოში გამოქმუშავებული და იმპორტირებული მთელი ელექტროენერჯისა და სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა ძირითადად ზორციელდება პირდაპირი ხელშეკრულებების ან სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით.

ელექტროენერჯისა და სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულებების მხარეები ვალდებული არიან „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ დადგენილი ვადებისა და პროცედურების დაცვით დაარეგისტრირონ პირდაპირი ხელშეკრულება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან. პირდაპირი ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ რეგისტრაციის შემდეგ.

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს არ მოახდინოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში, თუ იგი არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან/და პირდაპირი ხელშეკრულების სარეგისტრაციოდ წარმოდგენის ვადებს.

გამყიდველის მოთხოვნის არსებობისას ელექტროენერჯის ან/და სიმძლავრის ყიდვა ხორციელდება მხოლოდ მისი საფასურის გადახდის უზრუნველყოფის კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალების წარმოდგენის შემთხვევაში.

სისტემის კომერციული ოპერატორის უმთავრესი ფუნქციებია:

- ა) საბალანსო ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მათ შორის, იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო- და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით);
- ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფა კანონითა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ განსაზღვრული წესით;
- გ) საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერჯისა და სიმძლავრის მიწოდება-მონხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;
- დ) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება;

ელექტროენერჯისა და სიმძლავრეზე დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების განხორციელებისას ელექტროენერჯისა და სიმძლავრის სახელშეკრულებო მოცულობებთან ფაქტობრივი სხვაობების შევსება, აგრეთვე მყიდველთა და გამყიდველთა ფაქტობრივი საჭიროების დაკმაყოფილება ხდება საბალანსო ელექტროენერჯით, რომლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება პირდაპირი ხელშეკრულებებით.

სისტემის კომერციული ოპერატორი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ ფუნქციებს, ხელმძღვანე-

ლობს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ და სხვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

კვალიფიციური საწარმოები და ტრანზიტის ურთიერთობების მონაწილენი ვალდებული არიან სისტემის კომერციულ ოპერატორს წარუდგინონ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სისტემის კომერციული ოპერატორის ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

განაწილების ლიცენზიატები და პირდაპირი მომხმარებლები „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი პროცედურისა და დამტკიცებული ბალანსების მიხედვით, საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, ვალდებული არიან ჰქონდეთ საჭირო მოცულობის სარეზერვო სიმძლავრე.

სარეზერვო სიმძლავრეს უზრუნველყოფენ:

- ა) საკუთარი წარმოების საშუალებებით;
- ბ) პირდაპირი ხელშეკრულებებით;
- გ) სისტემის კომერციული ოპერატორისგან.

შესყიდული სარეზერვო სიმძლავრე მუდმივად იმყოფება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის განკარგულებაში და გამოიყენება კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

როგორც ვხედავთ, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გარკვეული კორექტივებია შეტანილი დარგის სახელმწიფო რეგულირების სფეროშიც. კერძოდ, გაუქმდა ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია, ხოლო ბუნებრივი გაზის იმპორტი, ექსპორტი და ქვეყნის შიგნით ბუნებრივი გაზის მიწოდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საქმიანობებად ჩამოყალიბდა. ისინი, ელექტროენერჯის იმპორტთან და ექსპორტთან ერთად, აღარ საჭიროებენ ლიცენზირებას.

ყველა ცვლილება და სიახლე, რომელიც გათვალისწინებულია რეფორმის მიმდინარე ეტაპზე, ცხადია, უნდა აისახოს სემეკის სამომავლო საქმიანობაში. პირველ რიგში, კანონის შესაბამისად, უნდა



დაიხვეწოს არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. სატარი-  
ფო მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის მიმართული სამუშაოები  
მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით უკვე 2005 წელს დაიწყო. სატა-  
რიფო მეთოდოლოგიის სრულყოფის ფარგლებში უნდა დამთავრდეს  
ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის დანაკარგების ნორმირე-  
ბის ახალი მეთოდიკების შექმნა და მისი პრაქტიკული აპრობა-  
ცია.

სემეკის საქმიანობის პრიორიტეტად კვლავაც დარჩება სექტორის  
საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესება, მომხმარებელთა უფლებე-  
ბის მაქსიმალური დაცვა, ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პი-  
რობების შესრულება და ამ პროცესების მონიტორინგი. კვალიფი-  
ციურ საწარმოებს მიეკუთვნებიან წარმოებისა და განაწილების  
ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები, იმპორტიორები, ექ-  
სპორტიორები, აგრეთვე სისტემის კომერციული ოპერატორი და  
მცირე სიმძლავრის ის ელექტროსადგურები, რომლებიც კანონის  
შესაბამისად უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ელექ-  
ტროენერჯით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში. მოკლე პერი-  
ოდში უნდა დასრულდეს „ელექტროენერჯის მოხმარების წესების“  
განხილვა და საბოლოო სახით მიღება, რაც მეტად  
მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის მოხმარების სფეროში სრული  
წესრიგის დამყარებისათვის.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2006 წელს ენერგეტიკაში პრივა-  
ტიზაციის მორიგი ეტაპი ჩატარდა. შესაბამისად, კომისიამ ხელი  
უნდა შეუწყო ამ პროცესის და, საერთოდ, ეკონომიკური რეფორ-  
მების სწორად განხორციელებას, ქვეყანაში ინვესტიციების შემო-  
ღინების გაფართოებას, თანამედროვე მმართველობითი ტექნოლოგი-  
ების დანერგვას და კადრების ხარისხობრივ სრულყოფას, დარგში  
ლიბერალური და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

რეფორმების მიმდინარე ეტაპის არსის კონცენტრირებული გამოხა-  
ტულებაა ქვეყნის ენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი ლიბერალი-  
ზაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელების დაწყება.  
ამ თვალსაზრისით უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი  
ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის იმპორტისა და ექსპორ-

ტის, ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების სფეროებში. ამ მრავალმხრივი პროცესის ინსტიტუციონალური ასპექტია ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის არსებული მოდელის თანდათანობითი ტრანსფორმაცია სისტემის დაბალანსებულ მობილურ სტრუქტურად, რომლის სრულად ამოქმედების შემდეგ ელექტროენერჯის (მომსახურების) საბითუმო ყიდვა-გაყიდვა, ძირითადად, პირდაპირი კონტრაქტების საფუძველზე იწარმოება. აუცილებელი წინაპირობების შექმნის კვალობაზე დაიწყება ტარიფების ეტაპობრივი ლიბერალიზაცია საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან ტრადიციული ბუნებრივი მონოპოლიების სფეროს. მომდევნო ეტაპზე კი ამ უკანასკნელში დაიწყება რეგულირების შედარებით უფრო ლიბერალური საბაზრო მექანიზმების დანერგვის პროცესი.

# ნაწილი 4. საქართველოს ენერგეტიკის რეგულირების ოფიციალური დოკუმენტები

## 1. საქართველოს კანონი

### ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ

(გამოქვეყნებულია

საქართველოს პარლამენტის უწყებანი

1997 წელი - #33) პირველი ცვლილება

(30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22))

#### თავი I

#### ზოგადი ლეზულებანი

მუხლი I. კანონის მიზნები და ამოცანები

1. ეს კანონი აწესრიგებს ინდივიდუალური მეწარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობასა და ურთიერთობებს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, გრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში და უზრუნველყოფს საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად. ეს კანონი არ ვრცელდება ბუნებრივი გაზის ძებნა-ძიებაზე, მოპოვებაზე, დამუშავებასა და დაგროვებაზე, ბუნებრივი გაზის მწარმოებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობებზე, აგრეთვე ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გრანზიტზე საქართველოს ტერიტორიის გავლით. (27.12.2005 N 2537)

(1. ეს კანონი აწესრიგებს ინდივიდუალური მეწარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობასა და ურთიერთობებს ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის, ელექტროენერჯით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის, ელექტროენერჯის

წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, გრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში და უზრუნველყოფს საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად. ეს კანონი არ ვრცელდება ბუნებრივი გაზის ძებნა-ძიებაზე, მოპოვებაზე, დამუშავებასა და დაგროვებაზე, ბუნებრივი გაზის მწარმოებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობებზე, აგრეთვე ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გრანზიგზე საქართველოს ტერიტორიის გავლით. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

## 2. კანონის მიზანია:

ა) კონკურენციის განვითარების საფუძველზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და გარიფების სისტემების ჩამოყალიბება და ამ საფუძველზე ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, გრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების განსახორციელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების მუსტი ასახვა გარიფების სისტემებში; (27.12.2005 N 2537)

ბ. შექმნას ყველა კატეგორიის მომხმარებლის სტაბილური ელექტრომომარაგებისათვის და ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძველი;

გ. ხელი შეუწყოს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის დარგების რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით.

დ) ხელი შეუწყოს ბუნებრივი გაზის ადგილობრივი რესურსების გამოყენებას. (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22))

(დ) ხელი შეუწყოს პიდროენერგეტიკული, სხვა განახლებადი, ალტერნატიული და ბუნებრივი გაზის ადგილობრივი რესურსე-

ბის უპირატეს გამოყენებას. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან))

### 3. კანონის ამოცანაა:

ა) დააკისროს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკის დარგში, მათ შორის, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგებში, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და მიღება, აგრეთვე გაათავისუფლოს იგი ამ დარგებში მესაკუთრის, ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციებისაგან; (27.12.2005 N 2537)

ბ) განსაზღვროს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტისა და ექსპორტის, ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირებისა და განაწილების, ასევე მომხმარებელთა საქმიანობისა და ურთიერთობების რეგულირების ძირითადი პრინციპები საჯაროობისა და თანასწორობის საფუძველზე და ამ მიზნით შექმნას ენერგეტიკის დარგის მარეგულირებელი დამოუკიდებელი სისტემის ჩამოყალიბების სამართლებრივი საფუძვლები; (27.12.2005 N 2537)

გ) ხელი შეუწყოს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების ეფექტიანობის გაზრდას; (27.12.2005 N 2537)

დ) უზრუნველყოს კონკურენციის განვითარება საქართველოს ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის ბაზარზე.

ე) უზრუნველყოს საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და გარიფების სისტემების ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე შექმნას საგარიფო რეგულირების სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაიცავს მომხმარებელს მონოპოლიური გარიფებისაგან და ამავე დროს ხელს შეუწყობს ენერგეტიკული დარგის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობასა და განვითარებას. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

## მუხლი 2. განმარტებები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ელექტროენერჯის გადაცემის საქმიანობა – გადამცემი ქსელის ექსპლუატაცია გადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიღების პუნქტიდან მიწოდების პუნქტში გრანსპორტირების მიზნით; (27.12.2005 N 2537)

ბ) გადამცემი ქსელი – ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადამცემი საშუალება, რომელიც აკავშირებს მიღებისა და მიწოდების პუნქტებს. გადამცემი ქსელი მოიცავს 110 კილოვოლტზე მაღალი ძაბვის გადამცემ საშუალებებს, მათ შორის, ქვესადგურებს და ელექტროგადამცემ ხაზებს, აგრეთვე იმ 35- და 110-კილოვოლტიან გადამცემ ქსელებს და შესაბამის ქვესადგურებს, რომლებიც საგანგებოდ აღინიშნება გადაცემის ლიცენზიაში და გამოიყენება ელექტროენერჯის სასისტემო ან/და სისტემათაშორისი გრანზიგისათვის; სხვა 35- და 110-კილოვოლტიანი ქსელები გამანაწილებელი საშუალებების ნაწილია. ელექტროენერჯის სასისტემო ან/და სისტემათაშორისი გრანზიგისათვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზების სიას ამტკიცებს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; (27.12.2005 N 2537)

გ) გამანაწილებელი ქსელი – ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გამანაწილებელი საშუალება, რომელიც აკავშირებს მიწოდების პუნქტებს და მომხმარებელს. გამანაწილებელი ქსელი მოიცავს 0,4-6-10-35-110 კილოვოლტი ძაბვის ქსელებს, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გამონაკლისებისა. ამავე ტერმინით აღინიშნება აგრეთვე ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი, რომელიც მოიცავს 1,2-0,6-0,3-0,005 მპა წნევის გამსაღებებს; (27.12.2005 N 2537)

დ) ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობა – ორი ან მეტი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიწოდების პუნქტიდან ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიღება, გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და ელექტროენერჯის მომხმარებლებზე რეალიზაცია კონკრეტული გამანაწილებელი ქსელისა და აღმინისტრაციული ზონის (ზონების) ფარგლებში; (27.12.2005 N 2537)

(დ) ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობა – ორი ან ორზე მეტი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიწოდების პუნქტიდან ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიღება, გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და ელექტროენერჯის საცალო მომხმარებელზე „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოცულობაზე მეტი ელექტროენერჯის (სიმძლავრის) რეალიზაცია, აგრეთვე ელექტროენერჯის გატარება ელექტროენერჯის მომხმარებლებისთვის; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ე) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის საქმიანობა – ლიცენზიაგების და მომხმარებლების გექნიკური მართვა მიწოდებისა და მოხმარების სტაბილური რეჟიმის უზრუნველსაყოფად და საქართველოსა და სხვა ქვეყნის (ქვეყნების) ელექტროენერჯეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის განხორციელება. საქართველოში დასაშვებია მხოლოდ დისპეტჩერიზაციის საქმიანობის ერთი ლიცენზიის გაცემა; (27.12.2005 N 2537)

ვ) კომისია - საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

ზ) ლიცენზია – საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე პირისთვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული, ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების უფლება; (27.12.2005 N 2537)

თ) ლიცენზიის მფლობელი (ლიცენზიატი) – პირი, რომელსაც საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული აქვს ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება; (27.12.2005 N 2537)

ი) მიღების პუნქტი - პუნქტი, რომელშიც გადაცემის ლიცენზიატი გადასცემს ქსელში მიიღებს ელექტრულ სიმძლავრესა და ენერჯიას, სხვა ქვეყნის ენერჯოსისტემისაგან ელექტროენერჯის იმპორტის ჩათვლით ან პუნქტი, რომელშიც ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი ტრანსპორტირების სისტემაში მიიღებს ბუნებრივ გაზს, იმპორტის ჩათვლით;

(ი) მიღების პუნქტი – პუნქტი, რომელშიც გადაცემის ან/და განაწილების ლიცენზიატი გადამცემ ან/და გამანაწილებელ ქსელში მიიღებს ელექტრულ სიმძლავრესა და ენერგიას წარმოების ან/და სხვა გადაცემის ლიცენზიატის ან/და სხვა განაწილების ლიცენზიატის ქსელიდან, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების ქსელიდან და სხვა ქვეყნის ენერგოსისტემისაგან ელექტროენერჯის იმპორტის ჩათვლით, ან პუნქტი, რომელშიც ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ლიცენზიატი გრანსპორტირების სისტემაში მიიღებს ბუნებრივ გაზს, იმპორტის ჩათვლით;(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ) მიწოდების პუნქტი - პუნქტი, რომელშიც გადაცემის ლიცენზიატი გადამცემა ქსელიდან მიაწოდებს ელექტრულ სიმძლავრესა და ენერგიას განაწილების ლიცენზიატს პირდაპირ მომხმარებელს ან სხვა ქვეყნის ენერგოსისტემას, ან პუნქტი, რომელშიც ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ლიცენზიატი გრანსპორტირების სისტემიდან მიაწოდებს ბუნებრივ გაზს ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატს, პირდაპირ მომხმარებელს ან სხვა ქვეყნის გრანსპორტირების სისტემებს;

( კ ) მიწოდების პუნქტი – პუნქტი, რომელშიც გადაცემის ან/და წარმოების ლიცენზიატი გადამცემა ან/და წარმოების ქსელიდან მიაწოდებს ელექტრულ სიმძლავრესა და ენერგიას განაწილების ლიცენზიატს, პირდაპირ მომხმარებელს ან/და სხვა ქვეყნის ენერგოსისტემას, ან პუნქტი, რომელშიც ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ლიცენზიატი გრანსპორტირების სისტემიდან მიაწოდებს ბუნებრივ გაზს ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატს, პირდაპირ მომხმარებელს ან/და სხვა ქვეყნის გრანსპორტირების სისტემებს;(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ<sup>1</sup>) ელექტროენერჯის მომხმარებელი – პირდაპირი მომხმარებელი ან საცალო მომხმარებელი;(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ლ) პირდაპირი მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატის კუთვნილი ქსელიდან „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ ლადგენილი წესებისა და პირო-



ბების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხოლო ბუნებრივ გაბს – გრანსპორტირების სისტემიდან, და რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი; (27.12.2005 N 2537)

მ) რეგულირების საფასური – „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული გადასახდელი; (27.12.2005 N 2537)

ნ) ელექტროენერჯის წარმოების საქმიანობა – წარმოების საშუალების მიერთება გადამცემ ან/და გამანაწილებელ ქსელებთან და ელექტროენერჯის მიწოდება (ან მისი მიწოდებისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა) გადაცემის, განაწილების ან მომხმარებლის ელექტრულ ქსელში ამ ენერჯის გაყიდვის მიზნით; (27.12.2005 N 2537)

(ნ) ელექტროენერჯის წარმოების საქმიანობა – წარმოების საშუალების მიერთება გადამცემ, გამანაწილებელ ან/და მომხმარებლის ელექტრულ ქსელებთან და ელექტროენერჯის მიწოდება (ან მისი მიწოდებისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა) გადამცემ, გამანაწილებელ ან მომხმარებლის ელექტრულ ქსელში, აგრეთვე ამ ელექტროენერჯის გაყიდვა; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ო) ექსპორტიორი – პირი, რომელიც მიწოდების პუნქტში ყიდის ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) საქართველოს ფარგლებს გარეთ; (27.12.2005 N 2537)

პ) იმპორტიორი – პირი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარედან ერთ ან მეტ მიწოდების პუნქტში მიიღებს და გაყიდის ან/და თვითონ მოიხმარს ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს); (27.12.2005 N 2537)

(პ) იმპორტიორი – პირი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარედან ერთ ან ერთზე მეტ მიღების პუნქტში მიიღებს და გაყიდის ან/და თვითონ მოიხმარს ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს); (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ჟ) საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი (ელექტრობაზარი) – ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა მართვისა და ელექტროენერჯეტიკაში კონკურენციის ეტაპობრივი განვითარების მიზნით ჩამოყა-

ლიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირი; (27.12.2005 N 2537) (ამოღებულია 9.06.2006 N3292 2006 წლის I სექტემბრიდან)

რ) ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

ს) ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

გ) ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები – დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ელექტრობაზრის ფუნქციონირებას, მართვას, ელექტრობაზრის ან/და პირდაპირი ხელშეკრულებების მეშვეობით ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის, გადაცემის, გაგარების, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერჯეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, კომერციულ და ფინანსურ ურთიერთობებს, მათ შორის, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების შედგენისა და შესრულების წესებს და პირდაპირი ხელშეკრულებებით გასაყიდი ელექტროენერჯის კვოტებს, პირდაპირი ხელშეკრულებების დადებისა და ძალაში შესვლის პირობებს; (27.12.2005 N 2537)

(გ) ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები – დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ელექტროენერჯის ბაზრის ფუნქციონირებას, სისტემის კომერციული ოპერატორის საქმიანობას, პირდაპირი ხელშეკრულებების ან/და სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის, გადაცემის, გაგარების, დისპეტჩერიზაციის, ელექტროენერჯეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან და ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის საკუთარი საჭიროებისთვის მოხმარებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, კომერციულ და ფინანსურ ურთიერთობებს, მათ შორის, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების შედგენისა და მათი შესრულების წესებს, პირდაპირი ხელშეკრულებების დადებისა და ძალაში შესვლის პირობებს, განსაზღვრავს ელექტროენერჯის გამყიდველთა კატეგორიებს, მათ მიერ ელექტროენერჯის გაყიდვის განსხვავებული პირობების დაწესების მიზნით; (9.06.2006 N3292 2006 წლის I სექტემბრიდან)

უ) ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

ფ) ბუნებრივი გაზი ან გაზი - ნახშირწყალბადები, რომლებიც 1.2 მპა წნეეასა და 20°C ტემპერატურაზე აირად მდგომარეო-

ბაშია და რომელთა თბური შემცველობაა არანაკლებ 31.8მჯ/მ<sup>3</sup> (7600 კკალ/მ<sup>3</sup>);

ქ) ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების სისტემა ან გრანსპორტირების სისტემა - ყველა მილსადენი, საკომპრესორო სადგური, საზომი სადგური და სხვა მოწყობილობა, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის გრანსპორტირებისათვის, მუშაობს ან დაპროექტებულია 1,2 მპა-ზე მეტ წნევაზე სამუშაოდ, აკავშირებს მილების პუნქტს მიწოდების პუნქტთან და რომელთაც ფლობს ან მართავს ან/და ექსპლუატაციას უწეეს გრანსპორტირების ლიცენზიატი. გრანსპორტირების სისტემა მოიცავს ყველა მილსადენს და მოწყობილობას, რომელიც მუშაობს ან დაპროექტებულია 1,2 მპა-ზე მეტ წნევაზე სამუშაოდ, საკომპრესორო სადგურების, საზომი სადგურებისა და სხვა მოწყობილობების ჩათვლით, რომლებიც მოთითებულია გრანსპორტირების ლიცენზიაში;

ღ) „ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების საქმიანობა – გრანსპორტირების სისტემის ექსპლუატაცია გრანსპორტირების სისტემის მეშვეობით ბუნებრივი გაზის მიღების პუნქტიდან მიწოდების პუნქტში გრანსპორტირების მიზნით; (27.12.2005 N 2537)

ყ) ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობა – ერთი ან მეტი მიწოდების პუნქტიდან ბუნებრივი გაზის მიღება, გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და მიმწოდებლის მოთხოვნით ბუნებრივი გაზის მომხმარებლების მომარაგება კონკრეტული გამანაწილებელი ქსელისა ფარგლებში; (27.12.2005 N 2537)

შ) მიმწოდებელი – პირი, რომელიც იძენს ბუნებრივ გაზს და ყიდის მას სხვა მიმწოდებლებზე ან/და მომხმარებლებზე; (27.12.2005 N 2537)

ჩ) სამინისტრო – საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; (27.12.2005 N 2537)

ც) „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“ – ლოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის და გრანსპორტირების კომერციულ და ფინანსურ ურთიერთობებს, მათ შორის, ბუნებრივი გაზის ბალანსების შედგენისა და შესრულების წესებს; (27.12.2005 N 2537)

ძ) ელექტროენერჯეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობა – საქართველოსა და სხვა ქვეყნის (ქვეყნების) ელექტროენერჯეტიკული სისტემების შორის სინქრონული მუშაო-

ბის რეჟიმი, რომლის დროსაც ხორციელდება ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ურთიერთგადაღინება; (27.12.2005 N 2537)

წ) ელექტროენერჯის სალდო-გადაღინება – ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის დროს ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას ურთიერთგადაღინებული ელექტროენერჯის რაოდენობებს შორის წარმოქმნილი სხვაობა; (27.12.2005 N 2537)

ჭ) საიმედოობის სტანდარტები – გადაცემის ან გრანსპორტირების ლიცენზიაგის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სისტემის მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო მოთხოვნები, მიუხედავად მუშაობის პირობების ცვლილებისა. აღნიშნული სტანდარტი შეიძლება აისახოს შესაბამისი ბაზრის წესებში, ასევე შესაბამის ლიცენზიებში; (27.12.2005 N 2537)

ხ) ხელშეკრულების მხარის საიმედოობის სტანდარტი – მოთხოვნა, რომ დისპეტჩერიზაციის ან გრანსპორტირების ლიცენზიაგის და ხელშეკრულების სხვა მხარე ვალდებული იყენენ ადეკვატურად ასახონ მათი მოსალოდნელი დაგვირთვა და ცვლილებები ისე, რომ არ გამოიწვიონ გაუმართლებლად ზედმეტი სარჯების წარმოქმნა ხელშეკრულების მხარეების მიმართ. აღნიშნული სტანდარტი შეიძლება აისახოს შესაბამისი ბაზრის წესებში, ასევე, შესაბამის ლიცენზიებში; (27.12.2005 N 2537)

ჯ) ღერეგულირება – ამ კანონიდან გამომდინარე, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოების ლიცენზიაგის საქმიანობა გარიფის დადგენის გარეშე ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის საქმიანობა ლიცენზიისა და გარიფის დადგენის გარეშე; (27.12.2005 N 2537)

ჰ) ღერეგულირება – ამ კანონიდან გამომდინარე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოების ლიცენზიაგისათვის გარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის ლიცენზიისა და გარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭება; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ჯ<sup>1</sup>) ნაწილობრივი ღერეგულირება – ამ კანონიდან გამომდინარე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოების ლიცენზიაგისათვის მღვრული გარიფის

დადგენით საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური-სათვის ლიცენზიის გარეშე და ზღვრული გარიფის დადგენით საქმიანობის უფლების მინიჭება; *(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)*

ჰ) საგანგებო მდგომარეობა – „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სიგუაყია; *(27.12.2005 N 2537)*

ჰ<sup>1</sup>) „ბაზრის წესები“ – „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ და „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“; *(27.12.2005 N 2537)*

ჰ<sup>2</sup>) „მიწოდებისა და მოხმარების წესები“ – „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“ და „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“; *(27.12.2005 N 2537)*

ჰ<sup>3</sup>) „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“ – ლოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს განაწილების ლიცენზიაგასა და მომხმარებელს შორის განაწილების ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების ან/და მოხმარების დროს, გარდა პირდაპირ მომხმარებლებთან დაკავშირებული ურთიერთობებისა; *(27.12.2005 N 2537)*

ჰ<sup>4</sup>) „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“ – ლოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს მიმწოდებელს, განაწილების ლიცენზიაგას ან/და მომხმარებელს შორის განაწილების ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების ან/და მოხმარების დროს, გარდა პირდაპირ მომხმარებლებთან დაკავშირებული ურთიერთობებისა; *(27.12.2005 N 2537)*

ჰ<sup>5</sup>) მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური – ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე და წარმოებული ელექტროენერჯია საერთო წლიურ ბალანსში უმნიშვნელოა. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების კლასიფიკაცია და სტატუსი განისაზღვრება ენერჯეტიკის პოლიტიკით; *(27.12.2005 N 2537)*

ჰ<sup>6</sup>) საცალო მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) იღებს განაწილების ლიცენზიაგასგან, ხოლო ბუნებრივ გაზს – განაწილების ლიცენზიაგას ქსელიდან, და მოიხმარს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის. საცალო მომ-

ხმარებლის მიერ გარე მომარაგების ქსელის შეცვლა ან ახალი ქსელის აშენება დასაშვებია მხოლოდ განაწილების ლიცენზიაგის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების საფუძველზე. (27.12.2005 N 2537)

33) ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები – დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიაგებს, წარმოების ლიცენზიაგებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებსა და, მეორე მხრივ, საცალო მომხმარებელს შორის განაწილების ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გაგარების ან/და მოხმარების დროს;

34) ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები – დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს მიმწოდებელს, განაწილების ლიცენზიაგს ან/და საცალო მომხმარებელს შორის განაწილების ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების ან/და მოხმარების დროს;

35) მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური – ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 10 მეგავატს;

36) საცალო მომხმარებელი – პირი, რომელიც ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ქსელიდან, ხოლო ბუნებრივ გაზს – განაწილების ლიცენზიაგის ქსელიდან, მოიხმარს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ არის პირდაპირი მომხმარებელი; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

37) პირდაპირი ხელშეკრულება – ელექტროენერჯის შესყიდვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება ელექტროენერჯის საბითუმო მყიდველსა და გამყიდველს (კვალიფიციურ საწარმოებს) შორის, რომლის მიხედვით განისაზღვრება შესასყიდი ელექტროენერჯისა და სიმძლავრის აბონენტობა, ფასი, ვადა, პირობები და ხარისხობრივი მაჩვენებლები და რომელიც სათანადო წესით რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგის მიერ; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ8) საბალანსო ელექტროენერგია – კვალიფიციური საწარმოების მიერ შესყიდული ან/და გაყიდული ელექტროენერგია (სიმძლავრე), რომლითაც ხდება მყიდველთა და გამყიდველთა ფაქტობრივი საჭიროების დაკმაყოფილება, მათ შორის, პირდაპირი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ელექტროენერგიის სახელშეკრულებო მოცულობების დაბალანსება; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ9) სარეზერვო სიმძლავრე – ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში გამოუყენებელი სიმძლავრე, რომელსაც აქვს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ განსაზღვრული სტრუქტურა, სილიდე და დისპეტჩერებისათვის მზადყოფნის შესაბამისი ხარისხი და რომელიც შესყიდულია კვალიფიციური საწარმოს მიერ თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ10) კვალიფიციური საწარმო – წარმოებისა და განაწილების ლიცენზიაგები, პირდაპირი მომხმარებელი, იმპორტიორი, ექსპორტიორი, სისტემის კომერციული ოპერატორი, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური, რომლებიც ამ კანონისა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობაში; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ11) ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (სისტემის კომერციული ოპერატორი) – კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნების (ფაქტობრივი და საპროგნოზო) დაკმაყოფილების (დაბალანსების) უზრუნველყოფის მიზნით ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიას და სარეზერვო სიმძლავრეს. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი ახორციელებს მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ საქმიანობას; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

კ12) გრძელვადიანი გარიფი – წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული ან ზღვრული ფასი, რომელიც დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი პერიოდისთვის. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

## თავი II

### სახელმწიფო პოლიტიკა ელექტროენერგეტიკისა ბუნებრივი გაზის სექტორში

მუხლი 3. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

1. სამინისტრო შეიმუშავებს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. ამ ამოცანის გადაწყვეტის პროცესში სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია: (27.12.2005 N 2537)

ა) ენერგეტიკის დარგში განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტების, აგრეთვე მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული სექტორის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ბ) ენერგეტიკის დარგში რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი ინვესტიციებისა და საკრედიტო რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა, აგრეთვე სახელმწიფო ინვესტირების განხორციელება;

გ) ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურირებისა და პრივატიზაციის პროცესების ოპტიმალურად წარმართვისა და ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ამ დარგებში ობიექტების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის სტრატეგიისა და წესების შემუშავება;

დ) ენერგეტიკის დარგში საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნასა და განვითარებაში მონაწილეობა, დარგის ტექნიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მონიტორინგი;

ე) ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, გრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების ეფექტიანობის ამაღლების გაზრდის ღონისძიებათა ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია;



ვ) ენერგეტიკის დარგში სამეცნიერო-კელევიითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, ინვესტიციებისა და საკრედიტო რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა, აგრეთვე სახელმწიფო ინვესტირების განხორციელება;

ზ) ენერგეტიკის დარგში ბუნების დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, პროგრამების შემუშავებისას და განხორციელებისას ეკოლოგიური ასპექტების ოპტიმალურად გათვალისწინება;

თ) ლიცენზიატებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებსა და უცხო ქვეყნების ენერგეტიკულ საწარმოებს შორის ურთიერთობის დამყარების ხელშეწყობა, აგრეთვე, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში დარგებში საგრანტიზაციოსა და ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობების ხელშეწყობა;

ი) საგანგებო მდგომარეობისთვის ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება;

კ) ენერგეტიკის დარგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის განსაზღვრა, რეკომენდაციების შემუშავება, ასევე მომხდარი ავარიებისა და სხვა ტექნიკურ გაუმართაობათა მიზეზების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების მომზადება;

ლ) ენერგეტიკული რესურსების მოპოვების გაფართოების, განახლებადი (ალტერნატიული) ენერჯის წყაროების უპირატესი ათვისების, ენერგოეფექტიანი ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ეფექტიანობის გაზრდასთან.

2. სამინისტროს ფუნქციებს არ მიეკუთვნება ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში მესაკუთრის, მარეგულირებელი და ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება.

3. სამინისტრო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით ასევე ამტკიცებს შემდეგ ღოკუმენტებს: (27.12.2005 N 2537)

ა) ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსს;

ბ) ბუნებრივი გაზის ბალანსს;

გ) „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებს“;

დ) „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებს“;

ე) „ენერგეტიკაში ენერგობიექტების და სხვა გექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობის და მათით სარგებლობის წესებს“;

4. ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ღერეგულირების თაობაზე. (27.12.2005 N 2537)

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცემა (მიიღება) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. (27.12.2005 N 2537)

(4. ენერგეტიკულ დარგში სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ღერეგულირების ან ნაწილობრივი ღერეგულირების თაობაზე.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა, გამოიცემა (მიიღება) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, მათ შორის, კომისიისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან))

### თავი III

#### საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

მუხლი 4. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტატუსი და ფუნქციები

1. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში – კომისია) არის „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონით განსაზღვრული პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე. (27.12.2005 N 2537)

2. კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, კომისიის დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები.

3. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს კომისიის დებულებას, სტრუქტურასა და სამტაგო განრიგს.

4. კომისიას ენიჭება საქართველოს ელექტროენერგეტიკოსა და ბუნებრივი გაზის დარგებში ლიცენზიების გაცემის, ასევე ლიცენზიაგების, იმპორტიორებისა და მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირების უფლება. (27.12.2005 N 2537)

( 4. კომისიას ენიჭება საქართველოს ელექტროენერგეტიკოსა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემის, ასევე ლიცენზიაგების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, სისტემის კომერციული ოპერატორისა და მიმწოდებლების საქმიანობის რეგულირების უფლება. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან) )

5. კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა, აგრეთვე ლიცენზიების გაცემა, მათში ცვლილების შეგანა და მათი გაუქმება, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონისა და ლიცენზირების წესების შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

ბ) ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გაგარების, იმპორტისა და მოხმარების, სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების, სარეზერვო სიმძლავრის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების, განაწილების, მიწოდებისა და მოხმარების გარიფების დადგენა და რეგულირება, გარდა ავტოგამგასამართ სადგურებში რეალიზებული ბუნებრივი გაზის გარიფებისა, ამ კანონის, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციული

ციულ-სამართლებრივი აქტებისა და დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად; 9.06.2006 N3292 )

გ) ლიცენზიატებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, აგრეთვე სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; (9.06.2006 N3292 )

დ) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების პირობების დაცვის კონკრული და დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

ე) ენერგეტიკაში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია;

ვ) ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

ზ) ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

#### მუხლი 5. კომისიის სამართლებრივი აქტები

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას. კომისიის დადგენილებით მტკიცდება კომისიის დებულება, საქმისწარმოების წესები და პროცედურები, სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები, რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი, ლიცენზირების წესები, მიწოდებისა და მოხმარების წესები, გარიფების მეთოდოლოგია, ელექტრობაზრის საწევრო შენატანების ოდენობა, გარიფები (მათ შორის, მღვრული), ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი. კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებული იქნეს საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. (27.12.2005 N 2537)

(1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას. კომისიის დადგენილებით მტკიცდება კომისიის დებულება, საქმისწარმოების წესები და პროცედურები, სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები, რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი, ლიცენზირების წესები, მიწოდებისა და მოხმარების წესები, გარიფების მეთოდოლოგია, გარიფები (მათ შორის, მღვრული), ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი. კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებული იქნეს საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. (27.12.2005 N 2537)

ნობა და გაანგარიშების წესი. კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

2. ამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ ინდივიდუალურ, მათ შორის, დადგენილებიდან გამომდინარე, საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას. (27.12.2005 N 2537)

3. კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომებზე, კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის არანაკლებ 2 წევრისა. კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულება საეალღებულოა ლიცენზიანგების, მიმწოდებლების, იმპორტიორების, ექსპორტიორებისა და მომხმარებლებისათვის. (27.12.2005 N 2537)

(3. კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის არანაკლებ 2 წევრისა. კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულება საეალღებულოა ლიცენზიანგების, მიმწოდებლების, იმპორტიორების, ექსპორტიორების, მომხმარებლებისა და სისგემის კომერციული ოპერატორისათვის.(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

4. კომისიის თავმჯდომარე კომისიისა და კომისიის აპარატის შიღორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს ბრძანებებს.

მუხლი 6. კომისიის წევრები და წევრობის ვადები

1. კომისია შედგება სამი წევრისაგან. კომისიის წევრებს თანამღებობაზე ნიშნავს და თანამღებობიღან ათავისუფლებს საქართელოს პრემიღენტი.

2. კომისიის წევრად ინიშნება საქართელოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ამ კანონით დადგენილი ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი კვალიფიკაცია და გამოსდიღება. (27.12.2005 N 2537)

3. კომისიის წევრი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ინიშნება ექვსი წლით. კომისიის წევრი შეიძლება ხელახლა დაინიშნოს ექვსწლიანი ვადით. თუ კომისიის წევრის თანამდებობა ვადაზე აღრე თავისუფლდება, პრეზიდენტი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს ახალ წევრს დარჩენილი ვადით.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

მუხლი 7. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და თანამდებობიდან განთავისუფლება

1. კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება, თუ:

ა. ნებაყოფლობით გადადგა;

ბ. მის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამგყუნებელი განაჩენი;

გ. სასამართლომ ქმედუნაროდ ან უგზო-უკელოდ დაკარგულად აღიარა;

დ. დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ე. დაარღვია „საჯარო სამსახურში ინგერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

ვ. ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას;

გ. გარდაიცვალა.

2. კომისიის წევრის განთავისუფლება ხდება მხოლოდ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში.

3. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. კომისიის თავმჯდომარე და მისი მოვალეობანი

1. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის ერთ-ერთ წევრს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარედ. თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს ამ თანამდებობიდან, მაგრამ დარჩეს კომისიის წევრად დარჩენილი ვადით. თავმჯდომარე უფლებამოსილია, თავისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის რომელიმე წევრს დააკისროს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

2. თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომებს, პასუხს აგებს კომისიის მიერ დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას პროცედურული წესების დაცვისათვის დაცვაზე და მათ გამოქვეყნებაზე, აგრეთვე კომისიისა და მისი აპარატის აღმინის-გრაციულ მართვაზე.

მუხლი 9. კომისიის აპარატის თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება

კომისიას თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ჰყავს აპარატი. აპარატის თანამშრომელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის წევრების უფლებამოსილება, გარდა აღმინის-გრაციული მართვისა, თანაბრად ვრცელდება კომისიის აპარატის თანამშრომლებზე.

მუხლი 10. კომისიის წევრის პოლიტიკური საქმიანობა

კომისიის წევრი ვალდებულია კომისიაში მუშაობის პერიოდში შეაჩეროს პოლიტიკური პარტიის წევრობა. დაუშვებელია კომისიაში და მის აპარატში პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მათი სტრუქტურული ერთეულების შექმნა.

მუხლი 11. კომისიის ძირითადი უფლება - მოვალეობანი

1. კომისია ვალდებულია თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს ენერგეტიკის, ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკის, ბუნების დაცვისა და სხვა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული აღმინისგრაციულ-სამართლებრივი აქტებით. (27.12.2005 N 2537)

2. კომისია ვალდებულია თავის სხდომებზე შესაბამის მხარეებს, მათ შორის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის მომხმარებლებს, მისცეს თავიანთი ინტერესების დაუბრკოლებლად წარმოდგენის შესაძლებლობა.

3. კომისიის წევრს და აპარატის თანამშრომელს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეძლევათ ლიცენზიაციის, იმპორტიორის,

ექსპორტიორისა და მიმწოდებლის იმ პერსონალთან და იმ ლოკუმენტაციასთან შეუფერხებლად მუშაობის საშუალება, რომლებიც საჭიროა კომისიისთვის მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად. (27.12.2005 N 2537)

(3. კომისიის წევრს და აპარატის თანამშრომელს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეძლევათ ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორის, მიმწოდებლისა და ელექტროენერჯის სისტემის კომერციული ოპერატორის იმ პერსონალთან და იმ ლოკუმენტაციასთან შეუფერხებლად მუშაობის საშუალება, რომლებიც საჭიროა კომისიისთვის მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან))

4. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია გადასინჯოს წარმოდგენილი ლოკუმენტაციისა და მონაცემების სისწორე.

მუხლი 12. კომისიის სხდომები. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. კომისიის სხდომები საჯაროა. კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები ქვეყნდება დაგენილი წესით.

2. კომისია ვალდებულია თავის მიერ დადგენილი ვადით შეინახოს სხდომის ოქმები და სხვა შესაბამისი ლოკუმენტები. კომისიის წევრს უფლება აქვს დაუბრკოლებლად მიიღოს კომისიაში არსებული ინფორმაცია, ჩანაწერი და სხვა ლოკუმენტაცია.

3. კომისიის ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება, ბრძანება, ჩანაწერი და სხვა ლოკუმენტები ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისათვის. კომისიაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის წესს განსაზღვრავს კომისია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. კომისიის სხდომების წარმართვა

კომისია ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილების ან გადაწყვეტილების მიღებამდე აცნობოს დაინტერესებულ პირებს და მისცეს მათ კომისიის შესაბამის სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. კომისია უფლებამოსილია ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით გამართოს დახურული სხდომები. კომისიის დახუ-



რულ სხდომაზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის  
კომისია უფლებამოსილია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააკისროს პასუხისმგებლობა ამ კანონის ან კომისიის დადგენილების ან გადაწყვეტილების მოთხოვნათა დარღვევისათვის.

მუხლი 15. გასაჩივრება (23.06.2005 N 1738)

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. კომისიის შეხვედრები და კონსულტაციები მხარეებთან.

კომისიის წევრების და აპარატის თანამშრომლების დაინგერესებულ მხარეებთან შეხვედრების წესებს განსაზღვრავს კომისია. ამ წესების მიხედვით, კომისიის წევრი ვალდებულია კონსულტაციების ჩაგარების შესახებ წინასწარ წერილობით შეაგყობინოს დაინგერესებულ მხარეებს და მისცეს მათ კონსულტაციებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მუხლი 17. ინგერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრთა მოქმედების შეზღუდვის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ეკონომიკური ინგერესების დეკლარირების წესები განისაზღვრება "საჯარო სამსახურში ინგერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით; (17.10.97 პარლამენტის უწყებანი N (44))

2. აპარატის თანამშრომელს უფლება არა აქვს პქონდეს რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ქონებრივი და ეკონომიკური ინგერესი რომელიმე ლიცენზიის, იმპორტიორის, ექსპორტიორის ან მიმწოდებლის მიმართ, ან ეკავოს თანამდებობა რომელიმე მათგანის საწარმოში. (27.12.2005 N 2537)

(2. აპარატის თანამშრომელს უფლება არა აქვს პქონდეს რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ქონებრივი და ეკონომიკური

ინტერესი რომელიმე ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორის, მიმწოდებლის ან სისტემის კომერციული ოპერატორის მიმართ, ან ეკავოს თანამდებობა რომელიმე მათგანის საწარმოში. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

3. აპარატის თანამშრომელს უფლება აქვს იყოს რომელიმე ლიცენზიაგის, იმპორტიორის ან მიმწოდებლის მომხმარებელი, მაგრამ ლიცენზიაგს, იმპორტიორს, ექსპორტიორს ან მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შესთავაზოს, ხოლო აპარატის თანამშრომელს – მიიღოს უფასო ან ფასდაკლებით მომსახურება რომელიმე მათგანისგან. (27.12.2005 N 2537)

### მუხლი 18. პირადი უსაფრთხოება და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა

1. აკრძალულია კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიმართ ძალადობა, მუქარა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

2. კომისიის წევრს წევრობის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმებაში.

### მუხლი 19. კომისიის ბიუჯეტი. რეგულირების საფასური (27.12.2005 N 2537)

1. კომისია ვალდებულია ყოველი წლის 1 ოქტომბრისათვის დაამტკიცოს მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის, კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ხელფასები და შემოსავლები. კომისია ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის ლიცენზიაგებისგან, იმპორტიორებისგან და მიმწოდებლებისგან მიღებული მომავალი წლის საქმიანობის მოცულობის პროგნოზის საფუძველზე ადგენს რეგულირების საფასურს, როელიც უზრუნველყოფს კომისიის მომავალი საბიუჯეტო წლისათვის დაგეგმილი ხარჯების დაფარვას. კომისია ვალდებულია გამოაქვეყნოს თავისი ბიუჯეტი.

2. რეგულირების საფასური ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ამ ანგარიშზე არსებულ თანხებს განკარგავს მხოლოდ კომი-

სია. კომისიის მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადაიგანება მომავალი წლის ანგარიშზე, რეგულირების საფასურის შესაბამისი შემცირებით. თუ რეგულირების საფასურით მიღებული შემოსავალი არ ფარავს კომისიის მიმდინარე დანახარჯებს, კომისია უფლებამოსილია აიღოს სესხი. ამ სესხისა და შესაბამისი პროცენტის გადახდა ხდება მომავალი წლის რეგულირების საფასურიდან. დასაშვებია კომისიის სარგებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფა და გრანტების მიღება.

მუხლი 20. ფინანსური ანგარიშგება. რევიზია

1. კომისია ვალდებულია ყოველი წლის 31 მარტამდე მოამზადოს და გამოაქვეყნოს გასული წლის ფინანსური ანგარიში, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასურიდან მიღებული თანხები და კომისიის მიერ ამ თანხების წლის განმავლობაში გამოყენება, აგრეთვე წლის განმავლობაში აღებული სესხები და კომისიის მიერ გამოყენებული სხვა თანხები. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

2. კომისიის ფინანსური საქმიანობის კონტროლს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები, მათ შორის, კომისიის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი. კომისიის ფინანსური საქმიანობის შემოწმებამ არ უნდა გამოიწვიოს კომისიის მიმდინარე საქმიანობის შეჩერება ან შეფერხება.

მუხლი 21. კომისიის ყოველწლიური ანგარიში

კომისია ყოველი წლის 31 მარტამდე ადგენს თავისი საქმიანობის შესახებ გასული წლის ანგარიშს, რომელსაც უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და სამინისტროს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22))

**თავი IV**  
**საქართველოს ელექტროენერჯის**  
**საბითუმო ბაზარი (ელექტრობაზარი)**

მუხლი 22. ელექტრობაზრის სტატუსი და ფუნქციები

1. ელექტრობაზარი არის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა მართვისა და ელექტროენერჯეტიკაში კონკურენციის ეგაპობრივი განვითარების მიზნით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. (27.12.2005 N 2537)

2. ელექტრობაზარი დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ ფუნქციებს, რისთვისაც ხელმძღვანელობს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ და სხვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. (27.12.2005 N 2537)

3. საქართველოს ერთიან ელექტროენერჯეტიკულ სისტემაში შემავალი ყველა ელექტროსადგურის მიერ გამოძევაზე და საქართველოში იმპორტირებული მთელი ელექტროენერჯის (სიმძლავრის), აგრეთვე გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგების მომსახურების საბითუმო ყიდვა-გაყიდვა (გარდა პირდაპირი კონტრაქტებით გათვალისწინებული სიდიდეებისა) ხორციელდება ელექტრობაზარზე. საქართველოში დაშვებულია მხოლოდ ერთი ელექტრობაზრის ფუნქციონირება. (27.12.2005 N 2537)

4. ელექტრობაზრის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ელექტროენერჯეტიკის დარგის ლიცენზიაგტა, იმპორტიორთა, ექსპორტიორთა და პირდაპირ მომხმარებელთა, ანუ ელექტრობაზრის წევრთა ნებაყოფლობითი კავშირი. (27.12.2005 N 2537)

5. ელექტრობაზრის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო ენერჯეტიკული პოლიტიკისა და სახელმწიფო ენერჯეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებს და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს. (27.12.2005 N 2537)

6. ელექტრობაზრის მომსახურებას ელექტრობაზრის წევრები ანაზღაურებენ საწევრო შენატანების ხარჯზე. შენატანის ოდენობას განსაზღვრავს ელექტრობაზარი და ამტკიცებს კომისია.

შენატანი შედის ელექტროენერჯის გარიჟში. ელექტრობაზრის წევრობა სავალდებულოა მხოლოდ იმ ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და პირდაპირი მომხმარებლისთვის, რომლებიც ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) ან/და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურებას ყილიან და ყიდულუობენ ელექტრობა-ზარზე. (27.12.2005 N 2537)

7. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს იმ მომხმარებელთა ნუსხას, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების პოლიტიკის თყალსაზრისით არ შეიძლება ჩართულ იქნენ ელექტროენერჯის მიწოდების შეზღუდვის გეგმებში, განსაზღვრავს ნუსხაში შეგანილი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გარანტირებული ანაზღაურების წესსა და წყაროებს.

8. ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვისა და გრანზიტიის ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან ელექტრობაზრს წარუდგინონ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების დასაშუშავეზლად, გაყიდული, შესყიდული, მოხმარებული და გრანზიტიად გაგარებული ელექტროენერჯის აღრიცხვისა და ანგარიშსწორებისათვის, ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების შესასრულებლად. სამინისტრო ელექტრობაზრისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ახდენს მათ კორექტირებას. (27.12.2005 N 2537)

9. ამოღებულია(27.12.2005 N 2537)

10. ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

მუხლი 23. ელექტრობაზრის ფუნქციონირების პრინციპები  
ელექტრობაზრის ფუნქციონირების პრინციპებია:

ა. დამოუკიდებლობა;

ბ. ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სამართლიანობა;

გ. გარანტირებული და დროული ანგარიშსწორება;

დ. ბაზრის წევრების თანასწორუფლებიანობა;

ე. გამჭვირვალობა, საჯაროობა. (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22))

(თავი IV (9.06.2006 N3292 2006 წლის I სექტემბრიდან)

**ელექტროენერჯით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობა.  
სისგემის კომერციული ოპერატორი**

მუხლი 22. ელექტროენერჯით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობა

1. საქართველოს ერსიიან ელექტროენერჯეიკულ სისგე-მაში შემაჯალი ყველა ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებუ-ლი და საქართველოში იმპორტირებული მთელი ელექტროენერ-ჯისა და სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი ხელშეკრულებების ან სისგემის კომერციული ოპერა-ტორის მეშვეობით, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემ-თხვევებისა.

2. ელექტროენერჯისა და სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულებების მხარეები ვალდებული არიან „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი ვადებისა და პროცედურების დაცვით დაარეგისტრირონ პირდაპირი ხელშეკრულება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგთან. პირდაპირი ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ დისპეტჩერიზაციის ლიცენ-ზიაგის მიერ რეგისტრაციის შემდეგ.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგს უფლება აქვს არ მოახ-დინოს პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან/და პირდაპირი ხელშეკრულების სარეგისტრაცი-ოდ წარმოდგენის ვადებს.

4. გამყიდველის მოთხოვნის არსებობისას ელექტროენერ-ჯის ან/და სიმძლავრის ყიდვა ხორციელდება მხოლოდ მისი საფა-სურის გადახდის უზრუნველყოფის კანონმდებლობით გათვალის-წინებული საშუალების წარმოდგენის შემთხვევაში.

## მუხლი 23. სისგემის კომერციული ოპერატორი

### 1. სისგემის კომერციული ოპერატორის ფუნქციებია:

ა) საბალანსო ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მათ შორის, იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო- და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით);

ბ) ელექტროენერჯეტიკული სისგემის სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფა ამ კანონითა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ განსაზღვრული წესით;

გ) საქართველოს ერთიან ელექტროენერჯეტიკულ სისგემაში ელექტროენერჯისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;

დ) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება;

ე) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით ელექტროენერჯის გამყიდველების, მყიდველების, მათ მიერ გაყიდული და შესყიდული ელექტროენერჯის რაოდენობების განსაზღვრა და ანგარიშსწორებისათვის ინფორმაციის წარდგენა;

ვ) ამ კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. ელექტროენერჯისა და სიმძლავრეზე დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების განხორციელებისას ელექტროენერჯისა და სიმძლავრის სახელშეკრულებო მოცულობებთან ფაქტობრივი სხვაობების შევსება, აგრეთვე მყიდველთა და გამყიდველთა ფაქტობრივი საჭიროების დაკმაყოფილება ხდება საბალანსო ელექტროენერჯით, რომლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება პირდაპირი ხელშეკრულებებით.

3. სისგემის კომერციული ოპერატორი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ ფუნქციებს, ხელმძღვანელობს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ და სხვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

4. კვალიფიციური საწარმოები და გრანზიგის ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან სისგემის კომერციულ ოპერა-

გორს წარუღვინონ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სისგემის კომერციული ოპერატორის ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

მუხლი 23<sup>1</sup>. სარეზერვო სიმძლავრე

1. განაწილების ლიცენზიაგები და პირდაპირი მომხმარებლები „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი პროცედურისა და დამტკიცებული ბალანსების მიხედვით, საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, ვალდებული არიან პქონდეთ საჭირო მოცულობის სარეზერვო სიმძლავრე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები თავის სარეზერვო სიმძლავრეს უზრუნველყოფენ:

- ა) საკუთარი წარმოების საშუალებებით;
- ბ) პირდაპირი ხელშეკრულებებით;
- გ) სისგემის კომერციული ოპერატორისაგან.

3. შესყიდული სარეზერვო სიმძლავრე მუდმივად იმყოფება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგის განკარგულებაში და გამოიყენება კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 23<sup>2</sup>. ელექტროენერჯის იმპორტი და ექსპორტი

1. ელექტროენერჯის იმპორტის ან ექსპორტის განხორციელება შეუძლია ნებისმიერ პირს; იმპორტისა და ექსპორტის განხორციელება ხდება პირდაპირი ხელშეკრულებებით.

2. შესაბამისი საიმპორტო და საექსპორტო მიმართულებით სათანადო განაცხადის არსებობის დროს, იმ შემთხვევაში, თუ გადაამცემი ქსელის გამტარუნარიანობა ვერ უზრუნველყოფს ყველა განაცხადის დაკმაყოფილებას, გადაამცემი ქსელის მფლობელი ლიცენზიაგი აცხადებს აუქციონს ქსელის გამტარუნარიანობის უფლების მოპოვებაზე. აუქციონში გამარჯვებული გამოვლინდება უმაღლესი ფასის კრიტერიუმით.

3. ერთი და იმავე გადაამცემი ქსელის საიმპორტო და საექსპორტო მიმართულებით განაცხადის არსებობის შემთხვევაში,



აუქციონი ცხადდება ელექტროენერჯის ბალანსით გათვალისწინებულ იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება იმ ელექტროენერჯის იმპორტსა და ექსპორტზე, რომელიც არ შედის საქართველოს ელექტროენერჯეტიკულ სისტემაში.

5. ელექტროენერჯის იმპორტზე ხელშეკრულებების რეგისტრაციისას, სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია გამოუყენებლად დატოვოს ხაზის გამტარუნარიანობის გარკვეული მოცულობა (სარეზერვო სიმძლავრე).

მუხლის 23<sup>3</sup>. ელექტროენერჯის ბალანსები

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი შეიმუშავებს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ელექტროენერჯის საპროგნოზო ბალანსს, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების მაჩვენებლებს შესაბამისი პერიოდისათვის.

2. დამტკიცებული ელექტროენერჯის ბალანსის ფარგლებში გენერაციის საშუალებებისა და მიწოდების წყაროების ყოველდღიურ და საათობრივ დაგეგმვას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

მუხლის 23<sup>4</sup>. ელექტროენერჯით ვაჭრობა მცირე სიმძლავრის

ელექტროსადგურის მიერ

1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური უფლებამოსილია ელექტროენერჯია მიჰყიდოს:

ა) კვალიფიციურ საწარმოს;

ბ) საცალო მომხმარებელს.)

**თავი V**  
**ლიცენზიები და ლიცენზირების წესები**

მუხლი 24. ლიცენზიების გაცემა, სალიცენზიო საქმიანობა, გამონაკლისები

1. კომისია უეალოდ გასცემს ლიცენზიებს შემდეგ საქმიანობებზე: (27.12.2005 N 2537)

- ა) ელექტროენერჯის წარმოება;
- ბ) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია;
- გ) ელექტროენერჯის გადაცემა;
- დ) ელექტროენერჯის განაწილება;
- ე) ბუნებრივი გაზის გრანსპორტირება;
- ვ) ბუნებრივი გაზის განაწილება.

2. აკრძალულია კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ელექტროენერჯის წარმოება, დისპეტჩერიზაცია, გადაცემა და განაწილება, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გრანსპორტირება და განაწილება, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. (27.12.2005 N 2537)

3. პირი, რომელიც ელექტროენერჯიას აწარმოებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის და არ არის მიერთებული გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან, არ ექვემდებარება ლიცენზირებას.

მუხლი 25. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები (27.12.2005 N 2537)

1. ლიცენზიის მისაღებად საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების გარდა ამ კანონში აღნიშნული ლიცენზიის მაძიებლებმა სალიცენზიო განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) წარმოების საშუალებების ფლობის (მათით სარგებლობის) დამადასტურებელი ცნობა;
- ბ) წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დასკვნა;
- გ) ძირითად საშუალებათა (აქტივების) ჩამონათვალი და საწარმოს შეფასების (აუდიტის) დასკვნა;
- დ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა;

ე) საქართველოს ელექტრული ან ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის გექნიკური პირობა (გარდა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიისა);

ვ) მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი ელექტრული ან ბუნებრივი გაზის ქსელის სქემა (გარდა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიისა).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ დასკვნას ლიცენზიის გამცემი მოიპოვებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთი სარკმლის პრინციპის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების გამცემი პირები განისაზღვრება ლიცენზირების წესებში.

მუხლი 26. მოთხოვნები ლიცენზიების მიღებაზე, ლიცენზიების ვადები, მომსახურების შეწყვეტა

1. კომისია ლიცენზიას გასცემს მხოლოდ იმ ინდივიდუალურ მეწარმეზე ან სამეწარმეო იურიდიულ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს. (27.12.2005 N 2537)

2. სალიცენზიო მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს სალიცენზიო განაცხადში მითითებული მომსახურების სახე, მომსახურების საშუალებების ადგილმდებარეობა და გერიგორია, რომელზედაც გაერეცელდება ლიცენზიის მოქმედება, ლიცენზიის გაცემის თარიღი, ლიცენზიაში ცვლილების შეტანის და ლიცენზიის გაუქმების პირობები. (27.12.2005 N 2537)

3. ლიცენზიაგს არა აქვს უფლება, კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე შეწყვიტოს, შეამციროს ან გაზარდოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეწყვეტა ან შემცირება ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო ან/და გექნიკური ან უსაფრთხოების მიზეზით. აღნიშნული გამოწვევების გარდა, მომსახურების შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში ლიცენზიაგი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს განაცხადი მომსახურების შეწყვეტაზე ან შემცირებაზე. კომისიისგან მომსახურების შეწყვეტაზე ან შემცირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ ლიცენზიაგი აბარებს სალიცენზიო მოწმობას. ასეთ შემთხვევაში კომისია

უფლებამოსილია ცვლილება შეიგანოს ლიცენზიაში ან გააუქმოს ლიცენზია. (27.12.2005 N 2537)

4. სალიცენზიო და საგარიზო პირობებით არც ერთ ლიცენზიაგს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გააგრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, თუ მომსახურების მიმღები სხვა ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ან მომსახურების დამტკიცებულ პირობებს.

5. ბუნებრივი გამის მიმწოდებელი კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია კომისიას წარუდგინოს კომერციულ პირობებთან დაკავშირებული მონაცემები და ინფორმაცია, რომლებიც მოიცავს ბუნებრივი გამის შეძენის ფასს, თუმცა შეიძლება არ შემოიფარგლებოდეს ამ ფასით. კომისიამ უნდა დაიცვას ფასებთან დაკავშირებული ყველა ამგვარი და სხვა ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა და მიმწოდებელი. (27.12.2005 N 2537)

მუხლი 27. ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მიმწოდებლის

უფლება-მოვალეობანი. ინფორმაციის მომზადება (27.12.2005 N 2537)

1. ლიცენზიატი ვალდებულია დაიცვას ლიცენზიაში მითითებული მოთხოვნები. კომისიისა და სამინისტროს სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა ლიცენზიაგის, მიმწოდებლის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მომხმარებლისათვის. (27.12.2005 N 2537)

2. ლიცენზიატი, მიმწოდებელი, იმპორტიორი და ექსპორტიორი ვალდებული არიან შესაძლებლობის ფარგლებში იმოქმედონ მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

3. იმპორტიორი, ექსპორტიორი, მიმწოდებელი და ლიცენზიატი, ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევის გარდა, ვალდებული არიან კომისიას და სამინისტროს წარუდგინონ და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ შემდეგი ინფორმაცია: (27.12.2005 N 2537)

ა) გასული წლის საქმიანობის ანგარიში;

ბ) მომავალი წლის სამუშაო გეგმა;

გ) სხვა ინფორმაცია, რომელსაც კომისია ან სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (27.12.2005 N 2537)

4. ლიცენზიაგი, რომელსაც აქვს წარმოების ლიცენზია, გაცემული იმ საფუძველზე, რომ მისი ხელშეკრულება ელექტროენერჯის რეალიზაციის შესახებ სრულდება კონკურენციის პირობებში, ვალდებულია კომისიას წარუდგინოს ყველა ანგარიში და ინფორმაცია, რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს გადამცემი ქსელისა და მიერთებული სიმძლავრეების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

(მუხლი 27. სისგემის კომერციული ოპერატორის, ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი. ინფორმაციის მომზადება (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

1. ლიცენზიაგი ვალდებულია დაიცვას ლიცენზიაში მითითებული მოთხოვნები. კომისიისა და სამინისტროს საქართვებრივი აქტების შესრულება საეალებულაა სისგემის კომერციული ოპერატორის, ლიცენზიაგის, მიმწოდებლის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მომხმარებლისათვის.

2. სისგემის კომერციული ოპერატორი, ლიცენზიაგი, მიმწოდებელი, იმპორტიორი და ექსპორტიორი ვალდებული არიან შესაძლებლობის ფარგლებში იმოქმედონ მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

3. სისგემის კომერციული ოპერატორი, იმპორტიორი, ექსპორტიორი, მიმწოდებელი და ლიცენზიაგი ვალდებული არიან კომისიას და სამინისტროს წარუდგინონ და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) გასული წლის საქმიანობის ანგარიში;

ბ) მომავალი წლის სამუშაო გეგმა;

გ) სხვა ინფორმაცია, რომელსაც კომისია ან სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.)

მუხლი 28. ელექტროენერჯის აღრიცხვა, გაყიდვა, მრიცხველები

1. დადგენილი სტანდარტების, წესებისა და სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ლიცენზიატი ვალდებულია აღრიცხოს მის საშუალებებში გატარებული ელექტროენერჯის სრული რაოდენობა და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს. ელექტრობაზარი ვალდებულია, ხოლო სამინისტრო და კომისია უფლებამოსილი არიან ჩაატარონ მრიცხველების ინსპექცია „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად. (27.12.2005 N 2537)

2. ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურების ურთიერთობები ხორციელდება დადგენილი წესით, ელექტრობაზარზე ან/და პირდაპირი ხელშეკრულებებით. (27.12.2005 N 2537)

(1. დადგენილი სტანდარტების, წესებისა და სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ლიცენზიატი, პირდაპირი მომხმარებელი და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ვალდებული არიან აღრიცხონ თავიანთ საშუალებებში გატარებული ელექტროენერჯის სრული რაოდენობა და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადონ. სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებულია, ხოლო სამინისტრო და კომისია უფლებამოსილი არიან ჩაატარონ მრიცხველების ინსპექცია „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად.

2. ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურების ურთიერთობები ხორციელდება პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე, ამ კანონითა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 29. დაეები (27.12.2005 N 2537)

ლიცენზიატები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილი არიან კომისიაში შეიტანონ განაცხადი ელექტროენერჯითა და ბუნებრივი გაზით

მომარაგების სფეროში სადავო საკითხის განხილვაზე, თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება.

(*მუხლი 29. დაეხილეთ (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან* სისტემის კომერციული ოპერატორი, ლიცენზიაგები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილი არიან კომისიაში შეიგანონ განაცხადი ელექტროენერჯითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების სფეროში სადავო საკითხის განხილვაზე, თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება.)

**მუხლი 30. ამოღებულია (27.12.2005 N 2537)**

**მუხლი 31. ლიცენზიაში ცვლილების შეგანა. ლიცენზიის გაუქმება (27.12.2005 N 2537)**

ლიცენზიაში ცვლილების შეგანა ხდება მისი პირობების შესაბამისად, ხოლო გაუქმება – აღნიშნული პირობების, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისათვის. სხვა შემთხვევებში ლიცენზიაში ცვლილების შეგანის ან ლიცენზიის გაუქმების უფლება კომისიას აქვს მხოლოდ ლიცენზიაგის წინასწარი თანხმობით. ამასთანავე, კომისიას უფლება აქვს ლიცენზიაში ცვლილების შეგანისას ლიცენზიაგს მოსთხოვოს პირველად ლიცენზიაში აღნიშნული პირობებისაგან განსხვავებული, მათ შორის, უფრო მკაცრი მოთხოვნების შესრულება.

**მუხლი 32. შეზღუდვები აქციებისა და ლიცენზიების მფლობელობასა და გადაცემაზე (27.12.2005 N 2537) (ამოღებულია (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)**

1. ლიცენზიაგს უფლება არა აქვს კომისიის თანხმობის გარეშე ფლობდეს სხვა ლიცენზიაგის აქციებს, წილს ან პაის. ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან მართავს რომელიმე ლიცენზიაგის აქციებს, წილს ან პაის, უფლება არა აქვს კომისიის თანხმობის გარეშე ფლობდეს ელექტროენერჯეტიკის დარგის სხვა ლიცენზიაგის აქციებს, წილს ან პაის. კომისია უფლებამოსილია არ გასცეს ასეთი

თანხმობა, თუ ეს ეწინააღმდეგება მომხმარებელთა ინტერესებს ან კანონმდებლობას.

2. კომისია უფლებამოსილია ამ კანონის მოთხოვნათა და მომხმარებელთა ინტერესების ღაცვის მიზნით დაამტკიცოს, არ დამტკიცოს ან შეზღუდოს ლიცენზიაგის შემდეგი საქმიანობები:

ა) ამ კანონით განსაზღვრული ლიცენზირებადი საქმიანობების შერწყმა, ძირითადი საშუალებების, აქციების, წილის, პაის შექმნა ან/და გასხვისება;

ბ) ლიცენზიაგის საქმიანობის სფეროს გაფართოება.

3. ამ მუხლის დარღვევით დაღებული ნებისმიერი გარიგება, გამოცემული აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განხორციელებული სხვა ქმედება ბათილია. ბათილობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება ასევე აქვს კომისიას ან სამინისტროს.

## თავი VI ლიცენზიები: მოთხოვნები და პირობები

მუხლი 33. წარმოების ლიცენზია

1. კომისიის მიერ გაცემული წარმოების ლიცენზია უფლებას აძლევს ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, აწარმოოს ელექტროენერჯია და ელექტროენერჯის და/ან სიმძლავრის მიწოდების მიზნით მიუერთოს შესაბამისი საშუალებანი განსაზღვრულ მიწების პუნქტებში გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელს.

2. ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

3. წარმოების ლიცენზიაგი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში: (27.12.2005 N 2537)

ა) „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს ელექტროენერჯი რეალიზაციის ხელშეკრულებაში აღნიშნული მომსახურების ფასები, ვადები და პირობები. ასეთი დამტკიცება საჭირო არ არის, თუ კომისია დაადგენს, რომ წარმოების ლიცენზიაგი ელექტროენერჯიას აწარმოებს მხოლოდ საკუთარი მომხმარებლისათვის, მხოლოდ ექსპორტისათვის ან პროდუქ-



ციის რეალიზაციას ახდენს კონკურენტული ბაზრის პირობებში;  
(*ამოღებულია (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)*)

ბ) ელექტროენერჯის რეალიზაციის ხელშეკრულების პირობების ან მომსახურების დამტკიცებული ფასების, ვადებისა და პირობების თანახმად უზრუნველყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგისათვის წარმოების საშუალებების ხელმისაწვდომობა მიღების პუნქტში გადამცემი ქსელისა და მიერთებული საშუალებების უსაფრთხო, საიმედო, არადისკრიმინაციული და ეკონომიური დისპეტჩერიზაციის მიზნით;

გ) აკმაყოფილებდეს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ ელექტრობაზრის წარმოების საშუალებების ექსპლუატაციისა და გადამცემი და გამანაწილებელი საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგის მოთხოვნებს;

(*გ) აკმაყოფილებდეს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ გათვალისწინებულ, წარმოების საშუალებების ექსპლუატაციისა და გადამცემი და გამანაწილებელი საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგის მოთხოვნებს; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)*)

დ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მოთხოვნები.

#### მუხლი 34. გადაცემის ლიცენზია

1. კომისიის მიერ გაცემული გადაცემის ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს, განახორციელოს გადაცემის მომსახურება გადამცემი ქსელის საშუალებით.

2. ლიცენზიაში აღნიშნული უნდა იყოს გადამცემი სისტემა, რომელიც ჩართული იქნება გადამცემ ქსელში, რომელსაც ექსპლუატაციას გაუწევს ლიცენზიაგი, რაც გულისხმობს საშუალებებს მიღების პუნქტსა და მიწოდების პუნქტს შორის. თუ საჭიროა წარმოების ლიცენზიაგის საშუალებების პირდაპირი მიერთება გამანაწილების ლიცენზიაგის ან პირდაპირი მომხმარებლის საშუალებებზე, კომისიას უფლება აქვს, გადაცემის მომსახურების პარამეტრების დადგენის მიზნით მოითხოვოს მიღებისა და მიწოდების პუნ-

ქვეყნის ურთიერთდაკავშირების განცალკევება გადამცემი ქსელის მინიმალური სიქცით.

3. თუ გადაცემი ქსელში ჩნდება ახალი გადამცემი საშუალების აუცილებლობა, გადაცემის ლიცენზიატს უფლება აქვს ახალი გადამცემი საშუალების დაღვმის შესახებ განაცხადით მიმართოს კომისიას თავისი ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე. თუ კომისია შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნისა და სხდომის ჩატარების შემდეგ, კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად მიიჩნევს, რომ ახალი საშუალება რეალურად საჭიროა და დაადგენს, რომ ამ საშუალების საეარაულო მარშრუტი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს სხდომის დროს ან მის შემდეგ, მინიმალურ ნეგატიურ გავლენას ახდენს შერჩეულ გერიგორიაზე, შეესაბამება დარგში სახელმწიფო პოლიტიკას, რაც აღნიშნული იქნება კომისიის სხდომაზე, აგრეთვე შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, კომისია გადაცემის ლიცენზიატზე გასცემს მოდიფიცირებულ ლიცენზიას, რომელიც მოიცავს ახალ გადამცემ საშუალებას და უფლებას აძლევს ლიცენზიატს, ააშენოს ახალი საშუალება დამტკიცებულ მარშრუტზე.

4. თუ გადაცემის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად მიიღებს უფლებას, ააშენოს ახალი გადამცემი საშუალება მითითებულ მარშრუტზე, მას უფლება ეძლევა, მიიღოს ამ საშუალების მშენებლობისათვის საჭირო მიწებით სარგებლობის ნებართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

6. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

ა) უზრუნველყოს გადამცემი ქსელის ფუნქციონირება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

ბ. შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა;

გ. შეიმუშაოს სათანადო ანგარიშები გადამცემი ქსელისა და მიერთებული საშუალებების უსაფრთხო, საიმედო და არადისკრიმინაციული ურთიერთდაკავშირებისა და ექსპლუატაციის შესახებ;

დ) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

ე) ღრთულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მოთხოვნები. (27.12.2005 N 2537)

7. „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად გადაცემის ლიცენზიაგს შეიძლება მოეთხოვოს სისტემის ისე დაპროექტება, აშენება და მართვა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობა – მაშინაც კი, როდესაც სტიქიური უბედურების ან ბუნების სხვა მოვლენების გამო გაითიშება სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ერთი ან მეტი ელემენტი. (27.12.2005 N 2537) (ამოღებულია 9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

### მუხლი 35. დისპეტჩერიზაციის ლიცენზია

1. კომისიის მიერ გაცემული დისპეტჩერიზაციის ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს განახორციელოს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვა ცენტრალური და რეგიონალური სადისპეტჩერო სამსახურების საშუალებით; (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22))

2. ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

ა) უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირება, დააკმაყოფილოს ყველა შესაბამისი ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და პირდაპირი მომხმარებლის მოთხოვნები მინიმალური ღირებულების პრინციპის შესაბამისად. თუ ლიცენზიაგი ან პირდაპირი მომხმარებელი ხელშეკრულებას დებს წარმოების ლიცენზიაგთან ან იმპორტიორთან და ამ ხელშეკრულებით მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნას ელექტროენერჯიაზე, ან/და ხელშეკრულებას დებს გადაცემის ლიცენზიაგთან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიაგი არ არის პასუხისმგებელი ელექტროენერჯით (სიმძლავრით) სარეზერვო მომსახურებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, რო-

დესაც განაწილების ან ექსპორტის ლიცენზიაგი ან პირდაპირი მომხმარებელი იხდის კომისიის მიერ დამტკიცებულ ამგვარი მომსახურების საფასურს; (27.12.2005 N 2537)

ბ) დაამონტაჟოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ყველა საშუალებას, რომელიც აუცილებელია ენერგოსისტემის ოპერატიული მართვისა და ელექტრული მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, დაამუშაოს რეჟიმები და გამოიყენოს სათანადო სადისპეტჩერო ოქმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ელექტრობაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას და ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მომხმარებლის მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

გ). იხელმძღვანელოს ელექტრობაზრის მითითებებით, მათ შორის, საბაზრო წესების მოთხოვნების დამრღვევთა მიმართ ელექტროენერჯის მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის შესახებ; (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22))

(ა) უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირება, დააკმაყოფილოს ყველა შესაბამისი ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და პირდაპირი მომხმარებლის მოთხოვნები ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებისა და მინიმალური ღირებულების პრინციპის შესაბამისად დამტკიცებული ბალანსებისა და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მოთხოვნების თანახმად;

ბ) დაამონტაჟოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ყველა იმ საშუალებას, რომელიც აუცილებელია ენერგოსისტემის ოპერატიული მართვისა და ელექტრული მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, დაამუშაოს რეჟიმები და გამოიყენოს სათანადო სადისპეტჩერო ოქმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკული სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას და ლიცენზიაგის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და მომხმარებლის მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად;

გ) იხელმძღვანელოს დამტკიცებული ბალანსებით, სისტემის კომერციული ოპერატორის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოს საბალანსო ელექტროენერჯითა და სარემბერეო სიმ-

ძღაერით ელექტროენერჯის მყიდველთა და გამყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება, „ელექტროენერჯის (სიმძღაერის) ბაზრის წესებით“ გათღაღისწინებული პირობებითა და წესით მოახდინოს ელექტროენერჯის მყიდველეღისათღვის ელექტროენერჯის მიწოდების შეზღულღა და შეწყვეტა; (9.06.2006 N3292 2006 წღის 1 სექტემბრიღან)

ღღ). შეიმუღაოს და წარუღღინოს კომისიასა და საზოგადოეღბას საინღვისღციო პროგრამა;

ე) მომსახურეღბა განახორციეღღოს ამ კანონისა და მის საფუძვეღღზე გამოცემული კანონქვემღღბარე ნორმაღღიული აქტეღბის შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

ე) ღროულად გადაიხდღღოს კომისიის მიერ დაღღენიღღი რეღღულირეღბის საფასური და დააკმაყოფიღღოს ლიეენზიის მოთხოენეღბი. (27.12.2005 N 2537)

ზ) აწარმოოს პირდაპირი ხელშეკრულეღბების ერთიანი ნუსხა; (9.06.2006 N3292 2006 წღის 1 სექტემბრიღან)

თ) „ელექტროენერჯის (სიმძღაერის) ბაზრის წესეღბის“ შესაბამისად სისღღემის კომერციულ ოპერაღღორს მიაწოდღღოს ინფორმაღღია პირდაპირ ხელშეკრულეღბეღბში გასაღღილად დაფიქსირეღბული და ფაქტობრივად გაღღიღღული ელექტროენერჯის ოღღენობეღბეღღე. (9.06.2006 N3292 2006 წღის 1 სექტემბრიღან)

### მუხღღი 36. განაწილეღბის ლიეენზია

1. კომისიის მიერ გაცემული განაწილეღბის ლიეენზია უფლეღბას აძღღევს ინდივიღღულურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, გაანაწიღღოს და გაღღიღღოს ელექტროენერჯია კონკრეტული გამანაწილეღბელი ქსელის ფარგლეღბში. (27.12.2005 N 2537)

(1. კომისიის მიერ გაცემული განაწილეღბის ლიეენზია უფლეღბას აძღღევს ინდივიღღულურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, იღღიღღოს, გააღღაროს, გაანაწიღღოს და გაღღიღღოს ელექტროენერჯია. (9.06.2006 N3292 2006 წღის 1 სექტემბრიღან))

2. ამოღღეღღულია (27.12.2005 N 2537)

3. განაწილების ლიცენზიაგი ვალდებულია, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

ა). საგანგებო პერიოდებში უზრუნველყოს ელექტროენერჯის გამოყოფილი ლიმიტების, დადგენილი რეჟიმების დაცვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების უპირატესი ენერგომომარაგება, მათ მიერ ელექტროენერჯის საფასურის გადახდის პირობით;

ბ). უზრუნველყოს მიღებული ელექტროენერჯისა და მომსახურების ღირებულების დროული, სრული და გარანტირებული ანაზღაურება საბაზრო წესების შესაბამისად. ამ ღებულების დამრღვევ განაწილების ლიცენზიაგს პასუხისმგებლობა ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

(ბ) უზრუნველყოს მიღებული ელექტროენერჯისა და მომსახურების ღირებულების დროული, სრული და გარანტირებული ანაზღაურება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად. ამ ღებულების დამრღვევ განაწილების ლიცენზიაგს პასუხისმგებლობა ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი წესით; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

გ). საბაზრო წესების შესაბამისად ელექტრობაზრის მოთხოვნის შემთხვევაში დადგენილი წესით გახსნას ბანკში აკრედიტოვი; (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22)) (ამოღებულია 9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

დ). გაუწიოს მომხმარებელს გამანაწილებელი მომსახურება, კომისიის მიერ დადგენილი წესების და ლიცენზიაგის საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად;

ე) გადაცემის ან/და ლისპენსიონარის ლიცენზიაგისგან, აგრეთვე წარმოების ლიცენზიაგისგან ან/და იმპორტიორისგან მიიღოს უფლება სათანადო გასანაწილებელ ელექტროენერჯიან (სიმძლავრეზე); (27.12.2005 N 2537)

( ე) უზრუნველყოს იატაკის ლიცენზიის მოქმედების სფეროში მომხმარებელთა ელექტროენერჯით (სიმძლავრით) უწყვე-

გი მომარაგება შესაბამისი გადახდის პირობით;(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ე). შეიმუშაოს და კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს მომსახურების აღრიცხვის, ანგარიშის მომზადებისა და დაგზავნის და ელექტროენერჯის საფასურის მოკრების პროცედურები;

ბ). შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა;

თ) მომსახურება განხორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

ი). თავის სამუშაო ადგილზე უზრუნველყოს საზოგადოებისათვის შემდეგი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

ი.ა. ლიცენზია და დამტკიცებული გარიგები;

ი.ბ. მომსახურების დამტკიცებული პირობები, რომლებიც შეიცავს მომსახურების უფლების შექენისა და გაუქმების, აგრეთვე აღრიცხვის, ანგარიშის მომზადებისა და დაგზავნის და ელექტროენერჯის საფასურის მოკრების პროცედურებს;

ი.გ. ლიცენზიანის ფინანსირების სტანდარტების აღწერა, რომელიც შეიცავს ახალი მომხმარებლების მიერთების პირობებს.

კ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მოთხოვნები. (27.12.2005 N 2537)

4. განაწილების ლიცენზია ვალდებულია შესაბამისი გარიგვის საფასურად თავის განაწილების ქსელში გაუგაროს ელექტროენერჯია იმ პირობებს, რომლებსაც უფლება აქვთ, ელექტროენერჯია გაყიდონ უშუალოდ მომხმარებლებზე, ასევე შეიძლება (მათ შორის მომხმარებლებს). (27.12.2005 N 2537) (ამოღებულია 9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 37. იმპორტიორი (27.12.2005 N 2537)

1. იმპორტიორი ვალდებულია იმპორტის განხორციელების განმავლობაში იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“,

ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსებისა და კომისიის მიერ დადგენილი გარიფების შესაბამისად.

2. იმპორტიორი ვალდებულია დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური.

მუხლი 38. ექსპორტიორი (27.12.2005 N 2537)

ექსპორტიორი ვალდებულია ექსპორტის განხორციელების განმავლობაში იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ და ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების შესაბამისად.

მუხლი 39. ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი (27.12.2005 N 2537)

ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) დაამუშაოს განსაკუთრებულ ღონისძიებათა გეგმები საგანგებო მდგომარეობაში ასამოქმედებლად ან აწარმოოს შესაბამისი მოლაპარაკებები და შეთანხმებები სხვა პირებთან ასეთ შემთხვევებში ბუნებრივი გაზის მიღებაზე;

გ) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

დ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური.

მუხლი 40. ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ლიცენზია (გრანსპორტირების ლიცენზია)

1. კომისიის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს განახორციელოს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირება გრანსპორტირების სისტემით.

2. ლიცენზიაგმა უნდა განსაზღვროს შემოთავაზებული მომსახურებისათვის გამოსაყენებელი მარშრუტი, მილსადენები და



სხვა მოწყობილობა, მიღებისა და მიწოდების პუნქტების ჩათვლით, რომლებიც გამოყენებული იქნება მის მიერ.

3. როდესაც ახალ მილსადენზე ან სხვა საგრანსპორტო მოწყობილობაზე არსებობს მოთხოვნა, მასზე განმცხადებელმა მხარეებმა უნდა გააკეთონ განაცხადი გრანსპორტირების ლიცენზიაზე, ხოლო გრანსპორტირების ლიცენზიის ქონების შემთხვევაში – არსებული ლიცენზიის მოდიფიცირებაზე. თუ ასეთი განაცხადის შეტანისა და დადგენილი წესით საკითხის განხილვის შედეგად კომისია მიიჩნევს, რომ ახალი მილსადენი ან მოწყობილობა საჭიროა, შეძლებისდაგვარად ამცირებს უარყოფით ზემოქმედებას მოცემულ ტერიტორიაზე, შეესაბამება სახელმწიფო პოლიტიკას და ამ კანონის მოთხოვნებს, იგი იღებს გადაწყვეტილებას, გასცეს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ახალი ან მოდიფიცირებული ლიცენზია, რომელიც მოიცავს ახალ მილსადენს ან მოწყობილობას და დამტკიცებულ მარშრუტზე მისი მშენებლობის უფლებას იძლევა.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გრანსპორტირების ლიცენზიაგს უფლება მიეცემა, დამტკიცებულ მარშრუტზე ააშენოს ახალი მილსადენი ან სხვა მოწყობილობა, იგი უფლებამოსილია დადგენილი წესით მიიღოს ნებაართვა ასეთი მილსადენის ან მოწყობილობის მშენებლობისათვის საჭირო მიწების გამოყენებაზე.

5. ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების სისტემასთან პირდაპირი მომხმარებლის ან გამანაწილებელი ქსელის მიერთება არ საჭიროებს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების ლიცენზიის მოდიფიცირებას, როცა ბუნებრივი გაზის მიწოდების სისტემაზე ხორციელდება ისეთი მიერთება, რომელიც ახალი მიწოდების პუნქტამდე იწვევს მილსადენის, გამგამანაწილებელი სადგურის, რეგულატორის, სარქველის, აღრიცხვის კვანძის ან/და სხვა გაზომვის საშუალებების მიერთება-დამონტაჟებას. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

6. გრანსპორტირების ლიცენზიაგი, ლიცენზიის პირობების თანახმად, ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

ა). განაეითაროს და შეაკეთოს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების სისტემა ისე, რომ დააკმაყოფილოს ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიაგის მოთხოვნები;

ბ). შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა;

გ). შეიმუშაოს და განახორციელოს ყველა შესაბამისი მითითება გრანსპორტირების სისტემისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების უსაფრთხო, საიმედო და შეუზღუდავი გამოყენებისათვის;

დ) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად; (27.12.2005 N 2537)

ე) ღროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მოთხოვნები. (27.12.2005 N 2537)

მუხლი 41. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია (განაწილების ლიცენზია)

1. კომისიის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს, ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და განაწილოს ბუნებრივი გაზი კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში. (27.12.2005 N 2537)

2. ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

3. განაწილების ლიცენზიაგი, ლიცენზიის პირობების თანახმად, ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში:

ა) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და ლიცენზიაგის საინვესტიციო პროგრამის მიხედვით; (27.12.2005 N 2537)

ბ) შეიმუშაოს და კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს მომსახურების, აღრიცხვის, ანგარიშის მომზადებისა და დაგზავნის, აგრეთვე მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის პროცედურები;

გ) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომისიასა და საზოგადოებას საინვესტიციო პროგრამა;

დ) ამოღებულია (27.12.2005 N 2537)

ე) თავის სამუშაო ადგილზე უზრუნველყოს სამოგადოებო-სათვის შემდეგი ლოკუმენტაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

ე.ა. ლიცენზია და დამტკიცებული გარიფები;

ე.ბ. მომსახურების დამტკიცებული პირობები, რომლებიც შეიცავს მომსახურების უფლების შეძენისა და გაუქმების, აღრიცხვის, ანგარიშის მომზადებისა და დაგზავნის და მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის პროცედურებს;

ე.გ. ლიცენზიაგის ფუნქციონირების სტანდარტების აღწერა, რომელიც შეიცავს ახალი მომხმარებლების მიერთების პირობებს;

ე) ღრულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური და დააკმაყოფილოს ლიცენზიის მოთხოვნები. (27.12.2005 N 2537)

თავი VI<sup>1</sup> (27.12.2005 N 2537)

ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობა

მუხლი 41<sup>1</sup>. პარალელურ რეჟიმში მუშაობის მართვა და განხორციელება

1. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვა და რეგულირება ხორციელდება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების“ შესაბამისად.

2. ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია ელექტრობაზართან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, დადგენილი წესით გააფორმოს საქართველოს მეგობრული ელექტროენერგეტიკული სისტემების შესაბამის საწარმოებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულებები.

3. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის მიზანია ელექტროენერჯის (სიმძლავრის) დამტკიცებული ბალანსის შესრულება, ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების ეფექტიანი დაბალანსება და ელექტროენერგე-

ტიკული სისტემების გამართულ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა.

(მუხლი 41<sup>1</sup>. პარალელურ რეჟიმში მუშაობის მართვა და განხორციელება (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

1. ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი სისტემის კომერციულ ოპერატორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია დადგენილი წესით გააფორმოს საქართველოს მემზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემების შესაბამის საწარმოებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულებები.

2. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის მიზანია ელექტროენერჯის (სიმძლავრის) დამტკიცებული ბალანსის შესრულება, ელექტროენერჯის წარმოებისა და მოსმარების ეფექტიანი დაბალანსება, ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა და სისტემის საჭიროებიდან გამომდინარე სარეზერვო სიმძლავრით უზრუნველყოფა.

3. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მართვა და რეგულირება ხორციელდება პარალელურ რეჟიმში მუშაობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებისა“ და ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსების შესაბამისად.)

მუხლი 41<sup>2</sup>. პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულება და ელექტროენერჯის სალდო-გადადინება

1. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შესაბამისად უნდა შესრულდეს იმგვარად, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას მიღწეული იქნეს ელექტროენერგეტიკულ სისტემებს შორის ელექტროენერჯის ნულოვანი სალდო-გადადინება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შეუსრულებლობისა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადებითი ან უარყოფითი სალდოს არსებობის შემთხვევაში ელექტრობაზარი ელექტროენერჯის

დისპეგრერიზაციის ლიცენზიაგთან ერთად ვალდებულია გაითვალისწინოს სალდირებული ელექტროენერგია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში, რათა მომდევნო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნეს ელექტროენერგიის ნულოვანი სალდო-ურთიერთგადადინება. აღნიშნულის გექნიკური უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ელექტროენერგიის დისპეგრერიზაციის ლიცენზიაგმა.

(2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შეუსრულებლობისა და სახელშეკრულებო პერიოდის ბოლოს დადებითი ან უარყოფითი სალდოს არსებობის შემთხვევაში სისგემის კომერციული ოპერატორი დისპეგრერიზაციის ლიცენზიაგთან ერთად ვალდებულია გაითვალისწინოს სალდირებული ელექტროენერგია ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში, რათა მომდევნო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგიის ნულოვანი სალდო-ურთიერთგადადინება. აღნიშნულის გექნიკური უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ელექტროენერგიის დისპეგრერიზაციის ლიცენზიაგმა. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან))

მუხლი 41<sup>3</sup>. პარალელურ რეჟიმში მუშაობის სამართლებრივი სტატუსი

1. ელექტროენერგეტიკული სისგემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული ურთიერთობა არ წარმოადგენს ელექტროენერგიის იმპორტს ან ექსპორტს და არ ექვემდებარება ცალკე ლიცენზირებას ან ნებაართვის გაცემას.

2. ელექტროენერგეტიკული სისგემების პარალელურ რეჟიმში მუშაობა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ელექტროენერგიის სალდო-გადადინება, გარდა ნულოვანისა, განიხილება, როგორც ელექტროენერგიის ექსპორტი ან იმპორტი.

( 2. ელექტროენერგეტიკული სისგემების პარალელურ რეჟიმში მუშაობა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. პარალელურ რეჟიმში მუშაობის შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ელექტროენერგიის სალდო-გადადინება, გარდა ნუ-

ლოეანისა, განხილუება, რიგორც ელექტროენერჯის ექსპორტი ან იმპორტი. სალდირებული ელექტროენერჯის ნაწილში იმპორტიორს ან ექსპორტიორს წარმოადგენს ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.(9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

## თავი VII გარიფები

მუხლი 42. კომისიის უფლებამოსილება გარიფის დადგენაში (27.12.2005 N 2537)

1. კომისიას აქვს პროდუქციისა და მომსახურების გარიფების, ფასების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ ლიცენზიატის, იმპორტიორისა და მიმწოდებლის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და დამტკიცების, მოდიფიკაციის ან უარყოფის უფლება, გარდა ამ კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კომისია ვალდებულია ლიცენზიატის, იმპორტიორის, მიმწოდებლის ან/და მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით, ამ კანონის 43-ე მუხლში აღნიშნული გარიფის დადგენის პრინციპების გათვალისწინებით, ენერჯეტიკის, ენერჯეტიკული უსაფრთხოების, ეკონომიკის, ბუნების დაცვის, სოციალურ და სხვა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, საკუთარი ინიციატივით, დადგენილი წესით შეიტანოს ცვლილებები ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის მოქმედ გარიფებში.

(1. კომისიას აქვს პროდუქციისა და მომსახურების გარიფების, ფასების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ ლიცენზიატის, იმპორტიორის, სისტემის კომერციული ოპერატორისა და მიმწოდებლის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და დამტკიცების, მოდიფიკაციის ან უარყოფის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კომისია ვალდებულია ამ კანონის 43-ე მუხლში აღნიშნული გარიფის დადგენის პრინციპების გათვალისწინებით, საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, არსებული წესით დაადგინოს გარიფები ან/და შეიგანოს ცელილებები მოქმედ გარიფებში. (9.06.2006 N3292 2006 წლის I სექტემბრიდან)

მუხლი 43. გარიფის დადგენის პრინციპები (27.12.2005 N 2537)

1. კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი ფასები და გარიფები:

ა) იყავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;

ბ) შესაძლებლობას აძლევს ლიცენზიაგებს, იმპორტიორებს ან მიმწოდებლებს, დაფარონ თავიანთი ხარჯები, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურად გამართლებულ ფასად შექმნილი საწვავის ღირებულებას, საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების დანახარჯებს, საბრუნავი კაპიტალის სახით აღებული სესხების ძირითადი ნაწილისა და პროცენტის გადასახადებს. ამასთანავე, გარიფი უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალდაბანდების ამონაგების კეთილგონიერულ და სამართლიან დონეს, რომელიც საკმარისი უნდა იყოს დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოსაზიდად;

გ) ხელს უწყობს ლიცენზიაგის, იმპორტიორის ან მიმწოდებლის ფინანსური ამონაგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის გამზადის გზით მომსახურებაზე დანახარჯების შემცირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზიაგი, იმპორტიორი, ექსპორტიორი ან მიმწოდებელი აკმაყოფილებს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობების მოთხოვნებს მომსახურების ხარისხზე;

(ბ) შესაძლებლობას აძლევს ლიცენზიაგებს, იმპორტიორებს, სისტემის კომერციულ ოპერატორს ან მიმწოდებლებს, დაფარონ თავიანთი ხარჯები, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურად გამართლებულ ფასად შექმნილი საწვავის ღირებულებას, საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტ-

ბის დანახარჯებს, საბრუნავი კაპიტალის სახით აღებული სესხების ძირითადი ნაწილისა და პროცენტის გადასახადებს, შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად გაწეულ ხარჯებსა და რეგულირების საფასურს. ამასთანავე, გარიფი უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალდაბანდების ამონაგების კეთილგონიერულ და სამართლიან დონეს, რომელიც საკმარისი უნდა იყოს დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოსაზიდად;

გ) ხელს უწყობს ლიცენზიატის, იმპორტიორის, სისტემის კომერციული ოპერატორის ან მიმწოდებლის ფინანსური ამონაგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდის გზით მომსახურებაზე დანახარჯების შემცირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზიატი, იმპორტიორი, ექსპორტიორი, სისტემის კომერციული ოპერატორი ან მიმწოდებელი აკმაყოფილებს კანონმდებლობის ან/და სალიცენზიო პირობების მოთხოვნებს მომსახურების ხარისხზე; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

დ) ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგებში მოკლე- და გრძელვადიანი ზღვრული ფასების დადგენით და ფასთა დინამიკის პროგნოზირებით, ელექტროენერჯის წარმოების შესაძლო სიჭარბის ან უკმარისობის გათვალისწინებით;

ე) შესაძლებლობას აძლევს ლიცენზიატებს, იმპორტიორებს ან მიმწოდებლებს, დაფარონ ეკონომიკურად გამართლებული დანახარჯები, მათ შორის, შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად გაწეული ხარჯები და რეგულირების საფასური, აგრეთვე ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრობაზრის წევრობასთან; (ამოღებულია 9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ვ) ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკას ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა კატეგორიების პრიორიტეტების მიმართ, ამასთანავე, იგი არ ზღუდავს ლიცენზიატის, იმპორტიორის ან მიმწოდებლის უფლებას, მოსთხოვოს მომხმარებელს თავისი მომსახურების საფასურის გადახდა, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში – შეესაბამებოდეს მომსახურების გაწევას;

ზ) ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკას საგარიფო შეღავათების სფეროში, იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის საგარიფო შეღავათების



სუბსიდირება ლიცენზიაგის, იმპორტიორის, მიმწოდებლის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე;

(ვ) ითვალისწინებს საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა კატეგორიების პრიორიტეტების მიმართ, ამასთანავე, იგი არ მზღლავს ლიცენზიაგის, იმპორტიორის, სისტემის კომერციული ოპერატორის ან მიმწოდებლის უფლებას, მოსთხოვოს მომხმარებელს თავისი მომსახურების საფასურის გადახდა, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში – შეწყვიტოს მომსახურების გაწევა;

მ) ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის საგარიფო შეღავათების სფეროში, იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის საგარიფო შეღავათების სუბსიდირება ლიცენზიაგის, იმპორტიორის, სისტემის კომერციული ოპერატორის, მიმწოდებლის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე; (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

თ) ასახავს მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მომსახურების განსხვავებულ ღირებულებას.

2. ლიცენზიაგის, იმპორტიორისა და მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები იფარება მომხმარებელთა თითოეული კატეგორიისაგან მიღებული თანხებით, ამ კატეგორიის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების პროპორციულად.

3. მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით სხვადასხვა სახის გარიფის დადგენა შეიძლება პიკური სიდიდეების, საშუალო და მღვრული სიდიდეების, საერთო მოხმარების სემონურობის, მოხმარების სადღეღამისო ცვლილებების, მომსახურების გიპის ან ანალოგიური პარამეტრების ასახვის მიზნით. გარიფის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ინოვაციური საგარიფო მეთოდოლოგიები, რომლებიც ითვალისწინებს მოგების ინდექსაციის, ფასთა ინდექსაციის და სხვა ფაქტორებს, თუ ასეთი მეთოდოლოგიების გამოყენება შეესაბამება ლიცენზიაგების, იმპორტიორების, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ინტერესებს.

4. პირდაპირი მომხმარებლის გარიფი ღვინდება ინდივიდუალურად, ყველა შესაბამისი ლიცენზიაგის, იმპორტიორისა და მიმ-

წოდებლის მიერ ამ მომხმარებელზე გაწეული ხარჯების საფუძველზე.

(2. ლიცენზიაგის, იმპორტიორის, სისტემის კომერციული ოპერატორისა და მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები იფარება მომხმარებელთა თითოეული კატეგორიისაგან მიღებული თანხებით, ამ კატეგორიის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების პროპორციულად.

3. მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით სხვადასხვა სახის გარიფის დადგენა შეიძლება პიკური სიდიდეების, საშუალო შეწონილი და ზღვრული სიდიდეების, საერთო მოხმარების სემონურობის, მოხმარების საღებავის ცვლილებების, მომსახურების ტიპის ან ანალოგიური პარამეტრების ასახვის მიზნით. გარიფის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინოვაციური სატარიფო მეთოდოლოგიები, რომლებიც ითვალისწინებს მოგების ინდექსაციას, ფასთა ინდექსაციასა და სხვა ფაქტორებს, თუ ასეთი მეთოდოლოგიების გამოყენება შეესაბამება ლიცენზიაგების, იმპორტიორების, სისტემის კომერციული ოპერატორის, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ინტერესებს.

4. კვალიფიციურ საწარმოს, აგრეთვე ელექტროენერჯის მომხმარებელს, რომელიც მიერთებულია გადაცემის ქსელის (ქვესადგურის) გამანაწილებელ მოწყობილობასთან, განაწილების ან/და გადაცემის ლიცენზიაგების მიერ ელექტროენერჯის განაწილების, გადაცემისა და გაგარების გარიფები უდგინდება ინდივიდუალურად, ამგვარ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

5. საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით კომისია უფლებამოსილია დაადგინოს გრძელვადიანი ტარიფები. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

6. ელექტროენერჯის სარეზერვო სიმძლავრის ტარიფი განისაზღვრება სარეზერვო ელექტროენერჯის რაოდენობის, ამგვარი ელექტროენერჯის ღირებულებისა და განაწილების შესაბამისი ლიცენზიაგის მიერ რეალიზებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

7. ელექტროენერჯის გატარების გარიფი განისაზღვრება გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში იმ ელექტროენერჯის გატარებაზე, რომელიც არ არის შესყიდული ელექტროენერჯის მომხმარებლის მიერ ამ გამანაწილებელი ქსელის მფლობელი ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაგისაგან, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიაგი ახორციელებს მის მფლობელობაში მყოფ გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯის განაწილების სხვა ლიცენზიაგის კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებას. ამგვარი გარიფი გაანგარიშდება ამ ელექტროენერჯის გატარებაზე ელექტროენერჯის განაწილების შესაბამისი ლიცენზიაგის მიერ გაწეული ხარჯების საფუძველზე. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

8. ელექტროენერჯის სარეზერვო სიმძლავრისა და გატარების გარიფი აუნაზღაურდებათ ელექტროენერჯის განაწილების შესაბამის ლიცენზიაგებს. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

9. ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაგის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის იმ რაოდენობაზე, რომელიც განკუთვნილია ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაგის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის ან საჭიროებისთვის, არ განისაზღვრება წარმოების გარიფი. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

10. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისათვის ამ კანონის 23<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ელექტროენერჯის მომხმარებელზე გაყიდვის შემთხვევაში ამ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე ინდივიდუალურად ღვინდება განაწილების ლიცენზიაგების მიერ ელექტროენერჯის გატარების გარიფები: (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ა) განაწილების ლიცენზიაგის ქსელზე მიერთებული იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც ელექტროენერჯის იღებენ იმავე მიწოდების პუნქტიდან, რომელზედაც მიერთებულია მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური;

ბ) განაწილების ლიცენზიაგის ქსელზე მიერთებული ყველა დანარჩენი მომხმარებლისათვის.

მუხლი 44. გარიფის დადგენის წესები (27.12.2005 N 2537)

1. კომისია, ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, გარიფის დადგენის საკითხების განხილვისას აგარებს ღია სხდომებს. კომისია საგარიფო განაცხადის განხილვისას და გარიფის დადგენისას ეყრდნობა:

ა) დასაბუთებულ საგარიფო განაცხადს, რომელსაც ერთეის აუდიტორული და ფინანსური ინფორმაცია;

ბ) საგარიფო განაცხადის განხილვისა და შესაბამისი დადგენილების მიღების პროცედურებს;

გ) მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გარიფის დადგენის კომენტირების პროცედურებს;

დ) საგარიფო განაცხადის შეფასებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და მიღების პროცედურებს;

ე) რეგულირების საფასურის ფინანსური ანაზღაურების დადგენის პროცედურებს.

2. გარიფის დადგენაზე ან/და გარიფში ცვლილების შეტანაზე განაცხადის კომისიაში წარდგენის უფლება აქვთ ლიცენზიაგს, იმპორტიორს, მიმწოდებელს და პირდაპირ მომხმარებელს.

(2. გარიფის დადგენაზე ან/და გარიფში ცვლილების შეტანაზე კომისიაში განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ ლიცენზიაგს, იმპორტიორს, სისტემის კომერციულ ოპერატორს, მიმწოდებელსა და პირდაპირ მომხმარებელს. (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან))

მუხლი 45. გარიფის ამოქმედება და გარიფის დადგენის ანაზღაურება

გარიფი ძალაში შედის კომისიაში საგარიფო განაცხადის შეტანიდან 150 დღის განმავლობაში, თუ იგი აკმაყოფილებს კომისიის მოთხოვნებს საგარიფო განაცხადის მიმართ. საგარიფო განაცხადის შემტანი გარიფის დამტკიცების შემდეგ ანაზღაურებს კომისიის მიერ გარიფის დადგენაზე გაწეულ მომსახურებას.

მუხლი 46. ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა (27.12.2005 N 2537)

1. კომისია ვალდებულია გამოიყენოს ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ სტანდარტებზე. კომისიასთან ურთიერთობაში ასეთივე სისტემა უნდა გამოიყენონ ლიცენზიატებმა, იმპორტიორებმა, ექსპორტიორებმა და მიმწოდებლებმა. კომისია ვალდებულია გარიფების დადგენისას გამოიყენოს ლიცენზიატების, იმპორტიორების, ექსპორტიორებისა და მიმწოდებლების ფინანსური და ეკონომიკური ანგარიშები, აგრეთვე საკუთარი ანალიტიკური სისტემები. (ამოღებულია 9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

2. თუ პირი ფლობს ერთზე მეტ ლიცენზიას ან სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა სამეწარმეო საქმიანობას, იგი ვალდებულია ამ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯებისა და საფინანსო შედეგების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად.

(თავი VII<sup>1</sup> (9.06.2006 N3292 2006 წლის 1 სექტემბრიდან)

ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე მესამე მხარის დაშვება. ქსელზე მიერთება

მუხლი 46<sup>1</sup>. ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე მესამე მხარის დაშვება

განაწილების ან/და გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია კომისიის მიერ დადგენილი გარიფის საფასურად თავის ქსელში გაუგაროს ელექტროენერჯია იმ პირობებს, რომლებსაც ამ კანონით უფლება აქვთ ელექტროენერჯია გაყიდონ უშუალოდ ელექტროენერჯის მომხმარებლებზე.

მუხლი 46<sup>2</sup>. ახალი მომხმარებლის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური

კომისია ადგენს ახალი მომხმარებლის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურს, რომელიც აუნაზღაურდება შესაბამის ლიცენზიატს.

მუხლი 46<sup>3</sup>. საცალო მომხმარებლის მიერ გარე მომარაგების ქსელის შეცვლა ან ახალი ქსელის აშენება

საცალო მომხმარებლის მიერ გარე მომარაგების ქსელის შეცვლა ან ახალი ქსელის აშენება დასაშვებია მხოლოდ იმ წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიაგის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების საფუძველზე, რომლის მფლობელობაში მყოფ ელექტრულ ქსელზედაც არის მიერთებული. ტექნიკური პირობა ასევე უნდა გაიცეს იმ წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიაგის მიერ, რომლის ქსელზედაც აპირებს მომხმარებელი მიერთებას.

კანონში გათვალისწინებულია სხვადასხვა დროს მიღებული “ცვლილებები და დამატებები” 2006 წლის 9 ივნისის მდგომარეობით

## 2. საქართველოს კანონი

### დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ

#### თავი I ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. კანონის მიზნები

1. ამ კანონის მიზანია შექმნას მყარი სამართლებრივი საფუძველი და სრულყოფილი ინსტიტუციური გარემო საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტაბილური ფუნქციონირებისათვის, რათა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში უზრუნველყოფილი იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, მომსახურებისა და საქონლის ეფექტიანი ფასწარმოქმნა და მიწოდება.

2. ეს კანონი აწესებს: საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობას ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან, სახელმწიფო ორგანოთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს მათი დამოუკიდებლობა; კონკრეტული სფეროს სრულყოფილი რეგულირების განხორციელების უფლებამოსილებას; პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის გამჭვირვალებისა და საიმედოობის უზრუნველყოფაზე; დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შექმნის, საქმიანობისა და ორგანიზების ძირითად პრინციპებს.

##### მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ ორგანოზე, რომელიც ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს.

2. საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებია:

- ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- ბ) საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
- გ) საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
- დ) საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა – პირის ქმედება, კერძოდ, ზემოქმედება, ჩარევა, ხელის შეშლა ან სხვაგვარი ზეგავლენა დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოში მიმდინარე განხილვების შედეგებზე ან მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან კომისიონერის თავისუფალ და დამოუკიდებელ მსჯელობებზე ან აპარატის თანამშრომელთა საქმიანობაზე, იმ გზით, რომელიც არ შეესაბამება ამ კანონს და საქართველოს კანონმდებლობას, იმ მიზნით, რომ მიიღოს სარგებელი ან განსაკუთრებული მოპყრობა;

ბ) გადაწყვეტილება – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ კანონის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტი (დადგენილება, გადაწყვეტილება და ა.შ.);

გ) დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო – სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) დამოუკიდებლობა – როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს, ისე კომისიონერის შესაძლებლობა, არასათა-



ნადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევის გარეშე განახორციელოს მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება, მათ შორის, განისილოს, გამოიკვლიოს და გადაწყვიტოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები; დაუშვებელია ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ჩარევა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში, ამ საქმიანობის კონტროლი და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით;

ე) კომისიონერი – პირი, რომელიც ამ კანონითა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით დადგენილი წესით, სათანადო აქტის საფუძველზე დანიშნულია ამ მარეგულირებელი ორგანოს წევრად;

ვ) ოჯახის წევრი – კომისიონერის მამა, დედა, მეუღლე და შვილი;

ზ) პოლიტიკური ზეწოლა – არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევის განხორციელება, რომელიც მოტივირებულია პოლიტიკური მოსაზრებებით, ან პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ პოლიტიკური მიზნების მიღწევის სურვილით;

თ) უფლებამოსილება – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით განსაზღვრული და ამ მარეგულირებელ ორგანოზე სპეციალურად დელეგირებული უფლებები და მოვალეობები;

ი) უფლებაუნარიანობა – პირის შესაძლებლობა, იქონიოს უფლებები და მოვალეობები;

კ) შესაბამისი კანონი – საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ძირითად ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს;

ლ) პირი – ფიზიკური პირები და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, სხვა სახელმწიფო ორგანოები;

მ) რეგულირება – შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღება, ლიცენზიების/ნებართვების გაცემა, მონიტორინგის, კოორდინაციის, ზედამხედველობისა და სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

ნ) მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი (საზოგადოებრივი დამცველი) – შესაბამისი მომსახურების სფეროს მომხმარებელთა ინტერესების დამცველი.

#### მუხლი 4. კანონის პრინციპები

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებით.

2. დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში ჩარევა, ამ საქმიანობის კონტროლი ან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით.

3. დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპებია:

ა) დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიმართ ნებისმიერი სახის კონტროლის დაუშვებლობა; ანგარიშის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენა შესაბამისი კანონით დადგენილი წესით;

ბ) დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს და კომისიონერთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მხოლოდ სასამართლო მეშვეობით, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) კომისიონერთა დანიშვნა მხოლოდ შესაბამისი კანონით დადგენილი წესით;

დ) შესაბამისი კანონით მინიჭებული საჯარო ფუნქციების (მათ შორის, ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსების ფუნქციის) სხვა ორგანოებისა და კერძო სამართლის პირებისათვის გადაცემის დაუშვებლობა.

4. თუ ორგანო, შესაბამისი კანონის თანახმად, არ მოქმედებს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ყველა პრინციპით ერთდროულად ან მოქმედებს განსხვავებული წესებითა თუ პროცედურებით, იგი არ ჩაითვლება დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოდ.

5. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით მოაწყოს საჯარო განხილვები სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. ასეთი პროცედურის გარეშე გადაწყვეტილების მიღება იწვევს აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობას.

6. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

## **თავი II** **უფლებამოსილებათა ძირითადი მახასიათებლები**

**მუხლი 5. უფლებამოსილება**

1. შესაბამისი კანონი განსაზღვრავს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს. ეს უფლებამოსილება თავისუფალია არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევისაგან.

2. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს და კომისიონერს მინიჭებული აქვთ სრული დამოუკიდებლობა შესაბამისი კანონის ფარგლებში მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას და კანონიერი ქმედებების განხორციელებისას. კომისიონერის მიერ პროფესიული მოვალეობების შესრულებისას დაუშვებელია მის მიმართ არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა.

3. არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა ან ამგვარი ზემოქმედების და ჩარევის მცდელობა დამოუკიდებელი

მარეგულირებელი ორგანოს, კომისიონერის ან აპარატის თანამშრომლის გეგმის, რწმენის, გადაწყვეტილების, მოქმედების ან უმოქმედობის მიმართ უკანონოა, ხოლო არასათანადო ზემოქმედებით და არასამართლებრივი ჩარევით გადაწყვეტილების მიღება იწვევს ასეთი გადაწყვეტილების ბათილობას.

4. კომისიონერი უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს მის მიმართ არასათანადო ზემოქმედების და არასამართლებრივი ჩარევის თავიდან აცილების ან/და აღკვეთის მიზნით.

## მუხლი 6. დამოუკიდებლობა

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო და კომისიონერი თავისი საქმიანობის ფარგლებში დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას. მხოლოდ დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს უფლება, განახორციელოს სრული უფლებამოსილება იმ საკითხებზე, რომლებიც მასზე დელეგირებულია შესაბამისი კანონით.

2. ორმაგი, თანხვედნილი მარეგულირებელი უფლებამოსილება დაუშვებელია.

3. ნებისმიერი პირის მცდელობა, განახორციელოს იურისდიქცია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროზე, უკანონოა, ხოლო შედეგებს არა აქვს იურიდიული ძალა.

4. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო შეიძლება გაწევრიანდეს, ითანამშრომლოს, კონსულტაციები მიიღოს ან სხვაგვარი ურთიერთობა იქონიოს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან (ასოციაციებთან) და ფონდებთან, რომელთაც აქვთ იგივე ან მსგავსი უფლებამოსილების სფერო, როგორც ამ მარეგულირებელ ორგანოს.

5. დაუშვებელია, დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანომ დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი 7. ფინანსური დამოუკიდებლობა

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ხარჯები ფინანსდება რეგულირების საფასურიდან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლებიდან.

2. ყველა პირი, რომელიც ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს საქმიანობა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში, ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური.

3. რეგულირების საფასური ისე უნდა დადგინდეს, რომ საკმარისი იყოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. იგი გადაირიცხება ცალკე საბანკო ანგარიშზე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს სარეგებლობისათვის, რომელსაც ექნება მისი მიზნობრივი გამოყენების სრული უფლებამოსილება.

4. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წლის ანგარიშში და გაითვალისწინება რეგულირების საფასურის ცვლილებისას.

5. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ რეგულირების საფასურის მიღება არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას.

## მუხლი 8. ბიუჯეტი

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ყოველწლიურად, შესაბამისი კანონით დადგენილ ვადაში შეიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს.

2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი უნდა შედგებოდეს შესაბამისი კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ყოველწლიურად აუცილებელი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯებისაგან, აგრეთვე ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯებისაგან.

3. დაუშვებელია, დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანომ საკუთარი ბიუჯეტიდან შექმნას საქველმოქმედო თუ სხვა

მსგავსი ფონდები და გაილოს ისეთი ხარჯები (მათ შორის, სხვადასხვა სახის დახმარების, სპონსორობის გაწევის მიზნით), რომელიც არ შეესაბამება მისთვის შესაბამისი კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებში (ასოციაციებში) და ფონდებში გაწვევრიანებასთან დაკავშირებით გადახდილ საწვერო შენატანებზე.

#### **მუხლი 9. ნორმატიული აქტების მიღების უფლებამოსილება**

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს სამართლებრივი ხასიათის ზოგადსაგებობებზე კვების წესები (ნორმატიული აქტები) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

1<sup>1</sup>. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ნორმატიული აქტია ეროვნული კომისიის დადგენილება.

2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ნორმატიულ აქტებს იღებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

#### **მუხლი 10. სალიცენზიო და სანებართვო უფლებამოსილება**

1. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს სრული უფლებამოსილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ლიცენზიები და ნებართვები, შეაჩეროს მათი მოქმედება, გააგრძელოს მათი მოქმედების ვადა, მოახდინოს მათი მოდიფიცირება, გააუქმოს ისინი.

2. დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სალიცენზიო და სანებართვო უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ უფლებამოსილებაზე კონტროლის განხორციელება.

3. ამოღებულია

4. ამოღებულია

## მუხლი 11. სატარიფო უფლებამოსილება

1. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს სრული უფლებამოსილება, დაადგინოს და არეგულიროს ტარიფები თავისი კომპეტენციის სფეროში, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

2. დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სატარიფო უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ უფლებამოსილებაზე კონტროლის განხორციელება.

## მუხლი 12. დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის.

2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დავების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესით.

## მუხლი 13. მომხმარებელთა უფლებების დაცვა

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მომხმარებელთა საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფა, მათი განცხადებისა და საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა. განცხადებები და საჩივრები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს.

2. მომხმარებლის განცხადება და საჩივარი განიხილება საჯარო მოსმენის წესით, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სადავო საკითხების გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები საჯარო მოსმენის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე. მოწვევის შესახებ ცნობის გამოქვეყნება შეიძლება ნებისმიერი

საშუალებით, სადაც უნდა მიეთითოს საკ.თხი, მოსმენის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო.

3. საჯარო მოსმენას თავმჯდომარეობს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა და დამსწრე პირთა მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების განხორციელება. საჯარო მოსმენის შესახებ ღებვა ოქმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საჯარო მოსმენის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მხარეთა შორის სადავო საკითხის მორიგებით გადაწყვეტა.

5. საჯარო მოსმენის შესახებ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო კანონმდებლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მხარეებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში.

6. განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის სხვა პროცედურული საკითხები განისაზღვრება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებით.

7. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად მარეგულირებელ ორგანოსთან მარეგულირებელი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ყალიბდება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

#### მუხლი 14. კომისიონერი

1. კომისიონერი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება შესაბამისი კანონით დადგენილი წესით.

2. თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომისიონერი დაკავებული თანამდებობიდან თავისუფლდება ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:

ა) სასამართლოს გამამტყუებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ბ) ეთიკის ნორმების დარღვევა;



გ) პროფესიული მოვალეობების შეუსრულებლობა შესაბამისი კანონით დადგენილ ვადაში;

დ) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა კომისიონერის ქმედუნაროდ ცნობის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე;

ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

ვ) გადადგომა;

ზ) გარდაცვალება.

3. კომისიონერს უფლება აქვს გაასაჩივროს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 15. ეთიკის ნორმები

1. ეთიკასთან და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით კომისიონერზე ვრცელდება მხოლოდ ამ კანონით დადგენილი წესი.

2. კომისიონერი ვალდებულია შეაჩეროს პოლიტიკური პარტიის წევრობა კომისიონერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. დაუშვებელია დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოში და მის აპარატში პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მათი სტრუქტურული ერთეულების შექმნა.

3. კომისიონერს და მისი ოჯახის წევრს, აგრეთვე დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს აპარატის თანამშრომელს უფლება არა აქვთ პქონდეთ პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი ლიცენზიის მფლობელის მიმართ, ან ეკავით თანამდებობა ლიცენზიის მფლობელ საწარმოში.

4. კომისიონერს და აპარატის თანამშრომელს უფლება არა აქვთ მიიღონ საჩუქარი იმ პირისაგან ან ორგანიზაციისაგან, რომელიც ექვემდებარება შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას, ან ისარგებლონ ამავე პირის ან ორგანიზაციის შეღავათიანი ან უფასო მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ყველასთვის ხელმისაწვდომია.

5. კომისიონერს და აპარატის თანამშრომელს უფლება აქვთ იყვნენ იმ პირის მომხმარებელი, რომელიც ექვემდებარება შესაბა-

მისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებას.

ნ. კომისიონერი ვალებულია ყოველწლიურად შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციები „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## **თავი II<sup>1</sup>. მოქმედი მართალი ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი**

მუხლი 15<sup>1</sup>. საზოგადოებრივი დამცველის უფლებამოსილებანი

1. საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვს:

- ა) დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;
- ბ) შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენის შედეგები;
- გ) მარეგულირებელ ორგანოში მომხმარებელთა სახელით გამოვიდეს მხარედ;
- დ) გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციასა თუ მასალას, რომელიც კანონმდებლობით ნებადართულია მარეგულირებელი კომისიის მიერ გასაცნობად;
- ე) წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში;
- ვ) მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

2. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით საზოგადოებრივ დამცველს ჰყავს შესაბამისი სპეციალობის თანაშემწეები, რომელთა შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით.

3. საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობა რეგულირების შემადგენელი საქმიანობაა, ფინანსდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში.

4. საზოგადოებრივი დამცველისა და მის თანაშემწეთა ხელფასი განისაზღვრება საზოგადოებრივი დამცველისა და მის თანაშემწეთა შესარჩევი საკონკურსო პირობებით.

5. საზოგადოებრივ დამცველს და მის თანაშემწეებს არა აქვთ უფლება, მომხმარებელთაგან მიიღონ რაიმე ანაზღაურება.

6. საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა საქმისწარმოებაში არ ზღუდავს სხვა მხარეებს, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ მომხმარებლებს.

7. ეს თავი არ ზღუდავს მარეგულირებელი კომისიისა და მისი აპარატის უფლება-მოვალეობას, დაიცვან მომხმარებლები კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 15<sup>2</sup>. საზოგადოებრივ დამცველთა დანიშვნა და უფლებამოსილების ვადა**

1. საზოგადოებრივი დამცველი ინიშნება ღია კონკურსის წესით. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში ფორმდება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარის ბრძანებით.

2. საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ქმნის საქართველოს სახალხო დამცველი არანაკლებ 15 წევრის შემადგენლობით, რომელშიც შედიან სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს კომისიის თავმჯდომარის, საკონკურსო პირობებისა და საზოგადოებრივი დამცველის არჩევის შესახებ იღებს ხმათა უმრავლესობით.

3. საზოგადოებრივი დამცველი ინიშნება 2 წლის ვადით.

4. საზოგადოებრივი დამცველის ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ამ კანონის 15<sup>3</sup>, 15<sup>4</sup> მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში ან ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს ტუსადობას ან თავისუფლების აღკვეთას;

გ) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას მისი ქმედუნაროდ ცნობის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ანდა გარდაცვლილად გამოცხადების საფუძველზე.

**მუხლი 15<sup>3</sup>. საზოგადოებრივი დამცველის კვალიფიკაცია და სამსახურებრივი შეუთავსებლობა**

1. საზოგადოებრივ დამცველს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, ბუნებრივი მონოპოლიების შესაბამისი სფეროსა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

2. საზოგადოებრივი დამცველი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი.

3. საზოგადოებრივ დამცველზე ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ვრცელდება თანამდებობის პირზე “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 15<sup>4</sup>. საჯაროობა**

საზოგადოებრივი დამცველი შესაბამის მარეგულირებელ კომისიას არა უგვიანეს ყოველი წლის მარტისა წარუდგენს წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებასა და გაწეული საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მიაწვდის მათ საზოგადოებრიობას. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები ცალკე მუხლად უნდა აისახოს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში.

## **თავი III საჯაროობა**

**მუხლი 16. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სხდომები  
ინფორმაციის კონფიდენციალობა**

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სხდომები საჯაროა, გარდა შესაბამისი კანონით გათვალისწინებული შემ-

თხვევებისა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება დადგენილი წესით.

2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია შეინახოს სხდომის ოქმები და სხვა სათანადო დოკუმენტაცია არანაკლებ 7 წლით. კომისიონერს და დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად მიიღონ შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში არსებული ყველა ჩანაწერი და სხვა დოკუმენტაცია.

3. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ყველა გადაწყვეტილება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისათვის. დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის წესს განსაზღვრავს ეს მარეგულირებელი ორგანო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია ლიცენზიების გაცემის, მათი მოდიფიცირების ან გაუქმების, მათი მოქმედების შეჩერების, აგრეთვე ტარიფების დადგენის, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე მოაწყოს საჯარო განხილვები აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებამდე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით. ასეთი პროცედურის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები ბათილია.

## მუხლი 17. ანგარიშის წარდგენა

1. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ყოველწლიურად ამზადებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ატარებს თავისი ხარჯებისა და ბუღალტერიის ანგარიშების ფინანსურ აუდიტს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს აუდიტს ახორციელებენ დამოუკიდებელი აუდიტორები, რომელთაც შეარჩევს სატენდერო კომისია, რომლის შემადგენლობას დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი. ფინანსური საქმიანობის შესასწავლად შერჩეული აუდიტორის საკომპენსა-

ციო სახსრებს ყველა შემთხვევაში გაიღებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო საჯაროდ აქვეყნებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ფინანსური აუდიტის შედეგებს.

#### **მუხლი 18. გასაჩივრება**

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება განსჯადობის შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და საქართველოს საერთო სასამართლოებში. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებას საერთო სასამართლოების სისტემაში პირველი ინსტანციით განიხილავენ მხოლოდ საოლქო სასამართლოები.

#### **მუხლი 19. პასუხისმგებლობა**

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **თავი IV ბარდაშავალი დებულებანი**

#### **მუხლი 20. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები**

1. ამ კანონის გამოქვეყნიდან 5 თვის ვადაში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშაონ და მიიღონ შემდეგი მარეგულირებელი წესები:

ა) კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების პროფესიული და ეთიკური ქცევის შესახებ, მათ შორის, ექსპრტე შეტყობინების წესები და კომისიის ყოფილი წევრებისა და აპარატის ყოფილი თანამშრომლების ქცევის წესები კომისიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის პროცედურების შესახებ;

გ) კომისიის გადაწყვეტილებების, ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტაციის, მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის და განხილვების დროს მიღებული ინფორმაციის შენახვისა და ხელმისაწვდომობის შესახებ;

დ) რეგულირების პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჯარო განხილვების ჩატარების პროცედურების შესახებ;

ე) ლიცენზიების, ტარიფებისა და კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სხვა საკითხების თაობაზე განცხადებების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ;

ვ) კომისიის გადაწყვეტილებების მომზადებისა და გამოქვეყნების პროცედურების შესახებ;

ზ) კომისიის გადაწყვეტილებების შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და და მათზე რეაგირების შესახებ;

თ) ლიცენზიის მფლობელებს შორის, აგრეთვე ლიცენზიის მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის დაეების განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ;

ი) მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ.

2. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ამ კანონით განსაზღვრული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ რეგულირებად სფეროებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიზნით.

3. ამ კანონის მიღებამდე ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში ღია კონკურსის წესით შერჩეულ მომხმარებელთა უფლებების დამცველზე გავრცელდეს ამ კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დამცველის უფლებამოსილება.

## თავი V დასკვნითი ღებულება

მუხლი 21. კანონის ამოქმედება  
ეს კანონი ამოქმედდეს 2002 წლის 15 ოქტომბრიდან.

კანონი მიღებულია  
2002 წლის 13 სექტემბერს.



### 3. სპექტრის დადგენილებები ტარიფების შესახებ

#### 3.1. ელექტროენერჯის ტარიფები

(სემეკის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილება)

ელექტროენერჯით საქართველოს უწყვეტი და სტაბილური უზრუნველყოფის ამოცანიდან გამომდინარე ქვეყნის ელექტრობალანსში იზრდება ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის წილი, რაც, იმპორტირებული ენერგეტიკული საწვავის მკვეთრ გაძვირებასთან ერთად საბითუმო ბაზარზე მიწოდებული ელექტროენერჯის ტარიფების შესაბამის ზრდას განაპირობებს.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის, სააქციო საზოგადოებების „თელასი“, „რიონქესი“, „შორქესი“, „მეგრულქესი“, „ლაჯანურქესი“, „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“, „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „აწქესი“, „გუმათქესების კასკადი.“ „აჭარის ენერგოკომპანია“ მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადების, საგადასახადო კანონმდებლობის, „ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიის, დადგენის წესების და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 1998 წლის 1 ივლისის №3 დადგენილების, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე, 43-ე და 44-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

**ელექტროენერგიის წარმოების  
(ნიმუშების) ტარიფები**

მუხლი 1. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები ჰიდროელექტროსადგურებისათვის:

1.	შპს „ენგურქესი“	2.13	თეთრი/კვტსთ
2.	შპს „ვარდნილქესების კასკადი“	1.17	თეთრი/კვტსთ
3.	შპს „ვარციხე – 2005“	1.25	თეთრი/კვტსთ
4.	შპს „თბილწყალკანალი“ (ჟინვალქესი)	1.83	თეთრი/კვტსთ
5.	სს „ლაჯანურქესი“	3.8	თეთრი/კვტსთ
6.	სს „ხრამქესი 1“	1.76	თეთრი/კვტსთ
7.	სს „ხრამქესი 2“	1.51	თეთრი/კვტსთ
8.	შპს „გუმათქესების კასკადი“	3.64	თეთრი/კვტსთ
9.	სს „ძვერულქესი“	3.85	თეთრი/კვტსთ
10.	სს „რიონქესი“	3.5	თეთრი/კვტსთ
11.	ს.ს „შაორქესი“	3.82	თეთრი/კვტსთ
12.	შპს „ზაქესი“	1.42	თეთრი/კვტსთ
13.	შპს „ორთაჭალენერჯი“	2.5	თეთრი/კვტსთ
14.	სს „კასპიცემენტი“ (ბუუჟაქესი)	1.89	თეთრი/კვტსთ
15.	შპს „საქართველოს რკინიგზა“		
	ა) „კაბალქესი“	2.5	თეთრი/კვტსთ
	ბ) „საცხენისი“	2.33	თეთრი/კვტსთ
	გ) „ალაზანქესი“	2.33	თეთრი/კვტსთ
	დ) „მარტყოფქესი“	2.5	თეთრი/კვტსთ
16.	შპს „აწქესი“	3.85	თეთრი/კვტსთ
17.	შპს „სიონქესი – 98“	2.33	თეთრი/კვტსთ
18.	შპს „ბაკური“ (მაჭახელაქესი)	2.5	თეთრი/კვტსთ
19.	შპს „სანალიაქესი“	2.5	თეთრი/კვტსთ
20.	ინდ. საწ. „გივი გიუნაშვილი“ (ტირიფონქესი)	2.5	თეთრი/კვტსთ

21. შპს „ანგლო მესხეთი“ ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
22. შპს „მუნღეიკ-ჯორჯია“  
(ძვერულქესის I აგრეგატი) ————— 3,0 თეთრი/კვტსთ
23. შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია“ — .16 თეთრი/კვტსთ
24. შპს „ენტო“ (მისაქციელი ჰესი) ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
25. სს „ჩხორპესი“ ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
26. შპს "რიცეულაპესი" ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
27. სს „ქინძმარაული“ (ჩალაპესი) ————— 5.0 თეთრი/კვტსთ
28. შპს "ქცია-94" (დაშბაშპესი) ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
29. შპს „სინათლე“ (იგოეთიპესი) ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
30. შპს „აბჰესი-ელექტრო“ ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
31. შპს „ენერგეტიკი“ ————— 5.0 თეთრი/კვტსთ
32. შპს "სქური ჰესი" ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
33. შპს „აჭარის ენერგოკომპანია“  
ა) „აჭიპესი“ ————— 2.5 თეთრი/კვტსთ  
ბ) „კინკიშაპესი“ ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
34. შპს „რუსთავიპესი“ ————— 4.33 თეთრი/კვტსთ
35. შპს „ვალტ-ლთდ“ (კეხვი ჰესი) ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
36. გიორგი თარაშვილის  
ინდივიდუალური საწარმო ————— 5.0 თეთრი/კვტსთ
37. სს „ყაზბევიპესი“ ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
38. შპს „ენერგეტიკოსი“ (ხერთვისი ჰესი) — 2.5 თეთრი/კვტსთ
39. შპს „ენერგეტიკოსი“ (მექვენაპესი) ————— 2.5 თეთრი/კვტსთ
40. შპს „ლორეშა“ ————— 4.076 თეთრი/კვტსთ
41. შპს „ბმგ“ (სურამულა ჰესი) ————— 5.0 თეთრი/კვტსთ
42. შპს „ფერი“  
ა) „ინწობაპესი“ ————— 5.0 თეთრი/კვტსთ  
ბ) „მაშავერაპესი“ ————— 4.17 თეთრი/კვტსთ
43. შპს "MOS-99" ————— 5.0 თეთრი/კვტსთ
44. შპს „რიონი“ (ზვარეთი ჰესი) ————— 2.5 თეთრი/კვტსთ

**მუხლი 2. ელექტროენერგიის წარმოების (სიმძლავრის) ტარიფები თბოელექტროსადგურებისათვის:**

შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“

1. (თბილსრესის №9 ბლოკი) \_\_\_\_\_ 8.186 თეთრი/კვტსთ მათ შორის:
  - ა) გარანტირებული სიმძლავრისათვის \_\_\_\_\_ 1.6 თეთრი/კვტსთ
  - ბ) ქსელში გაშვებული ელექტროენერგიისათვის \_\_\_\_\_ 6.586 თეთრი/კვტსთ
  
2. სს „თბილსრესი“ (თბილსრესის №№3,4,8 ბლოკები)
  - ა) გარანტირებული სიმძლავრისათვის - 603.95 (ათასი ლარი/თვეში)
  - ბ) ქსელში გაშვებული ელექტროენერგიისათვის- 8.319 თეთრი/კვტსთ
  
3. სს „ენერჯი ინვესტი“ \_\_\_\_\_ 8.436 თეთრი/კვტსთ მათ შორის:
  - ა) გარანტირებული სიმძლავრისათვის \_\_\_\_\_ 2.202 თეთრი/კვტსთ
  - ბ) ქსელში გაშვებული ელექტროენერგიისათვის \_\_\_\_\_ 6.234 თეთრი/კვტსთ

**მუხლი 3. ელექტროენერგიის იმპორტის ტარიფები**

იმპორტირებული ელექტროენერგიის ტარიფები, ელექტროენერგიის დამტკიცებულ ბალანსში ასასული იმპორტის მოცულობის ფარგლებში, გათვალისწინებულია წარმოების (გენერაციის) საშუალო შეწონილ ტარიფში.

მუხლი 4. ელექტროენერჯის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფი (იმპორტისა და ენერჯოსისტემის ელექტრულ ქსელებში ნორმატიული დანაკარგების კომპონენტის ჩათვლით)

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2006–2007 წლების ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსიდან გამომდინარე, ელექტროენერჯის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფი (იმპორტისა და ენერჯოსისტემის ელექტრულ ქსელებში ნორმატიული დანაკარგების კომპონენტის ჩათვლით) განისაზღვროს 4.45 თეთრი/კვტსთ.

## თ ა ვ ი 2.

### ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები

მუხლი 5. ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები:

ც ხ რ ი ლ ი № 1

№	დასახელება	გამანაწილებელი კომპანიებისათვის (თეთრი/კვტსთ)	მომხმარებლებისათვის (თეთრი/კვტსთ)
1.	გადაცემა		
ა)	შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“		
	35–110–220 კვ	0.7	
	6–10 კვ	1.28	2.136
ბ)	სს „საქრუსენერჯო“	0.18	
2.	დისპეტჩერიზაცია შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	0.15	

**გაგანაწილებელი კომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის მოხმარების (საბითუმო) ტარიფები**

**მუხლი 6. ელექტროენერგიის საბითუმო ტარიფები**

1. ელექტროენერგიის საბითუმო ტარიფები, რომლებითაც განაწილებელი კომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები შეიძენენ ელექტროენერგიას საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან და/ან პირდაპირი კონტრაქტებით, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ც ხ რ ი ლ ი №2

№	დასახელება	თეთრი/კვტსთ
1.	წარმოების (იმპორტისა და ენერჯისისტემის ელექტრულ ქსელებში ნორმატიული დანაკარგების კომპონენტის ჩათვლით) საშუალო შეწონილი ტარიფი	4.45
2.	ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები: ა) შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა: 35-110-220 კვ 6-10 კვ ბ) სს „საქრუსენერგო“	0.7 1.28 0.18
3.	ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ტარიფი (შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“)	0.15
	ს უ ლ 35-110-220 კილოვოლტი	5.48
	ს უ ლ 6-10 კილოვოლტი	6.06

## თ ა ვ ი 4.

### ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

მუხლი 7. სს „თელასის“ განაწილების ტარიფები

1. სს „თელასის“ ელექტროენერგიის განაწილების საშუალო ტარიფი განისაზღვროს 7.89 თეთრი/კვტსთ.

2. სს „თელასის“ ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ც ხ რ ი ლ ი №3

№	ძ ა ბ ვ ე ბ ი	თეთრი/კვტსთ
1.	220/380 ვოლტი (საშუალოდ)	8.08
2.	6 – 10 კილოვოლტი	7.138
3.	35–110 კილოვოლტი	1.8

3. სს „თელასის“ მიერ სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის“ ელექტროენერგიის გადაცემაზე გაწეული მომსახურების საფასური განისაზღვროს 0,58 თეთრი/კვტსთ.

მუხლი 8. გამანაწილებელი კომპანიების (გარდა სს „თელასისა“) ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები:

გამანაწილებელი კომპანიების (სს „თელასის“ გარდა) ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები ძაბვების მიხედვით:

№	დასახელება	თეთრი/კვტსთ
1.	35–110 კილოვოლტ ძაბვაზე შესყიდული ელექტროენერგიის განაწილებისათვის: – 380/220 ვოლტი – 6–10 კილოვოლტი – 35–110 კილოვოლტი	6.218 2.626 0.932
2.	6–10 კილოვოლტ ძაბვაზე შესყიდული ელექტროენერგიის განაწილებისათვის: – 380/220 ვოლტი – 6–10 კილოვოლტი	5.638 2.046

**თ ა ვ ი 5.**

**ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები**

მუხლი 9. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ტარიფები:

1. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ტარიფები ძაბვების მიხედვით:

№	ძაბვა	თეთრი/კვტსთ
1	220/380 ვოლტი (საშუალო)	13.56
2	6–10 კილოვოლტი	12.618
3	35–110 კილოვოლტი	7.28



2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მოსახლეობისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სს „თელასის“ აბონენტებს 220/380 ვოლტ ძაბვაზე, მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები:

ც ხ რ ი ლ ი №6

№	მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობა (30 კალენდარულ დღეში)	თეთრი/კვტსთ
1	100 კვტსთ-ის ჩათვლით	11.424
2	101 კვტსთ-დან 300 კვტსთ-ის ჩათვლით	13.56
3	301 კვტსთ და მეტი	14.998

მუხლი 10. გამანაწილებელი კომპანიების (სს „თელასის“ გარდა) მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები:

1. გამანაწილებელი ენერგოკომპანიების (სს „თელასის“ გარდა) მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ც ხ რ ი ლ ი №7

№	ძაბვა	თეთრი/კვტსთ
1.	220/380 ვოლტი (საშუალო)	11.698
2.	6 – 10 კილოვოლტი	8.106
3.	35 – 110 კილოვოლტი	6.412

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში (სს „თელასის“ აბონენტების გარდა) მოსახლეობისთვის 220/380 ვოლტ ძაბვაზე, მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფები:

**ც ხ რ ი ლ ი №8**

№	მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობა (30 კალენდარულ დღეში)	თეთრი/კვტსთ
1	100 კვტსთ-ის ჩათვლით	11.0
2	101 კვტსთ-დან 300 კვტსთ-ის ჩათვლით	14.0
3	301 კვტსთ და მეტი	14.83

**მუხლი 11. მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები**

მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭოლია; ყოველი მომხმარებელი ელექტროენერჯის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე.

**მუხლი 12. საერთო მოხმარების მრიცხველების მქონე აბონენტების (მოსახლეობა) მიერ ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის ტარიფები**

საერთო მოხმარების მრიცხველების მქონე აბონენტები (მოსახლეობა) ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს იხდიან პირველი საფეხურის (100 კვტსთ-მდე) ტარიფით.

## თ ა ვ ი ნ.

### დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. დადგენილებაში მოცემულ ტარიფებზე დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დარიცხვა

1. ამ დადგენილებით განსაზღვრული ყველა ტარიფი გაანგარიშებულია დღგ-ს გარეშე.

2. დღგ-ს დარიცხვა წარმოებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ამ დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი ნორმატიული აქტი

ამ დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ სემეკის 2003 წლის 15 აგვისტოს №14 დადგენილება.

მუხლი 15. დადგენილების ამოქმედების ვადა

ეს დადგენილება ძალაშია 2006 წლის 1 ივნისიდან.

მიღებულია სემეკის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილებით. რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.008.6 08 გამოქვეყნებულია “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში”.

### 3.2. ბუნებრივი გაზის ტარიფები

(სემეკის 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილება)

2006 წლის 1 იანვრიდან რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის მკვეთრმა გაძვირებამ, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა მხოლოდ 2005 წლის დეკემბრის მესამე დეკადის დასაწყისში, განაპირობა ბუნებრივი გაზის ტარიფების მთელი სისტემის დროის უმოკლეს პერიოდში გადაანგარიშებისა და სახელმწიფოს მხრიდან 2006 წლის იანვარ-აპრილში მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების (გაზრდილი ხარჯების სუბსიდირების) განხორციელების აუცილებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქარველოს კანონის მე-4, მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების, აგრეთვე სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული “ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის” შესაბამისად, კომისიამ დადგინდა:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ბუნებრივი გაზის მიწოდების (საბითუმო) ტარიფები დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ლარი/1000 კუბ. მეტრი:

**მუხლი 2.** უცვლელი დარჩეს სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებით (მუხლი პირველი, პუნქტი 3) შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის” დამტკიცებული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფები დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ლარი/1000 კუბ. მეტრი:

ა. თბოელექტროსადგურებისთვის	—	9,0
ბ. სს “ყაზბეგიგაზისთვის”	—	9,0
გ. სს “დუშეთიგაზისთვის”	—	11,67
დ. დანარჩენი მომხმარებლებისათვის	—	13,83

**მუხლი 3.** ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდების ტარიფი დამტკიცდეს 42,37 თეთრი/კუბ. მეტრზე დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

**მუხლი 4.** დამტკიცდეს ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მოხმარების ტარიფები დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე გაზგამანაწილებელი კომპანიების მიხედვით, თეთრი/კუბ. მეტრი:

№	მიწოდებელი (იმპორტიორი) კომპანიები	მიწოდების (საბითუმო) ტარიფები
1	2	3
1	სს "იტერა-საქართველო"	209.05
2	სს "თბილგაზი"	200.07
3	შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია"	204.98
4	შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"	201.42

№	გამანაწილებელი კომპანიების დასახელება	მიწოდების (საბითუმო) ტარიფები ტრანსპორტირების ტარიფის ჩათვლით (მიწოდებულების მიხედვით)	განაწილების ტარიფები	მომხმარებლის ტარიფები (3+4)
1	2	3	4	5
		სს "თბილგაზი"		
1	სს "თბილგაზი" :	21,390	7,593	28,983
		სს "იტერა-საქართველო"		
2	სს „ქეთისიგაზი“	22,288	8,678	30,966
3	სს „კასპიგაზი“	22,288	8,678	30,966
4	სს „კორეაგაზი“ :	22,288	8,678	30,966
5	სს „ზუგდიდგაზი“	22,288	11,186	33,474
6	სს "დუშეთიგაზი"	22,072	4,589	26,661
7	სს „მცხეთაგაზი“	22,288	8,678	30,966
8	სს „ბოლნისიგაზი“	22,288	10,339	32,627
9	სს „მარნეულიგაზი“ - სამრეწველო მომხმარებელთა (საშუალო წნევა) - დანარჩენი მომხმარებლები (დაბალი წნევა)	22,288 22,288	7,288 11,186	29,576 33,474
10	სს „ცენტრალიგაზი“	22,288	11,186	33,474
11	შპს „ბორჯომიგაზი“	22,288	8,678	30,966
12	სს „გარდაბანიგაზი“	22,288	8,678	30,966
13	სს „არუსთაიგაზი“	22,288	8,678	30,966
14	სს „გურჯაანიგაზი“	22,288	10,339	32,627
15	სს „მღებრიშვილი XXI საუკუნე“	22,288	10,339	32,627
16	შპს „ივანაშვილი და ოროველაშვილი“	22,288	10,339	32,627
17	სს „დმანისიგაზი“	22,288	11,186	33,474
18	სს „თერჯოლაგაზი“	22,288	10,339	32,627
19	სს „წყალტუბოგაზი“	22,288	9,500	31,788
20	სს „თერინწყაროგაზი“ - სამრეწველო მომხმარებელთა (საშუალო წნევა) - დანარჩენი მომხმარებლები (დაბალი წნევა)	22,288 22,288	5,170 11,356	27,458 33,644
21	შპს „სამტრედიგაზი“	22,288	10,339	32,627

1	2	3	4	5
22	სს „დელოელისწარმოვაზი“	22,288	11,186	33,474
23	სს „საშურივაზი“	22,288	10,339	32,627
24	სს „თელავივაზი“	22,288	9,263	31,551
25	შპს „აირი“	22,288	7,416	29,704
26	შპს „განთიადი“	22,288	7,831	30,119
27	სს „ხესტაფონივაზი“	22,288	9,500	31,788
28	სს „ქარელივაზი“	22,288	8,246	30,534
29	სს „ლაგოდეხივაზი“	22,288	8,678	30,966
30	შპს „ახალგორივაზი“: - სამრეწველო მომხმარება (საშუალო წნევა) - დანარჩენი მომხმარებლები (დაბალი წნევა)	22,288 22,288	5,254 9,500	27,542 31,788
31	შპს „ბრეთივაზი“	22,288	12,941	35,229
32	სს „ეანივაზი“	22,288	10,339	32,627
33	სს „ბაღდათივაზი“	22,288	9,500	31,788
34	შპს „ორუჯკეცი და განმრთელობა“ - სამრეწველო მომხმარება (საშუალო წნევა) - დანარჩენი მომხმარებლები (დაბალი წნევა)	22,288 22,288	4,492 9,365	26,780 31,653
35	შპს „ინიკა“	22,288	11,186	33,474
36	შპს „გაზმშენი“	22,288	4,28	26,568
37	შპს „მილი“	22,288	7,373	29,661
38	სს „სილნალივაზი“	22,288	10,83	33,118
39	შპს „აქარის ბუნებრივი აირი“	22,288	10,83	33,118
40	სს „სართიჭალავაზი“ - სამრეწველო მომხმარება (საშუალო წნევა) - დანარჩენი მომხმარებლები (დაბალი წნევა)	22,288 22,288	4,780 10,110	27,068 32,398
41	სს „აეროვაზი“	22,288	1,681	24,169
42	სს „ენერგოკავშირი“	22,288	7,61	29,898
43	სს „ოზურგეთივაზი“	22,288	11,356	33,644
	<b>შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“</b>			
44	სს „საჩხერევაზი“	21,881	9,17	31,051
45	შპს „გამა“	21,881	4,78	26,661
46	შპს „თქმქაური“	21,881	4,78	26,661
47	სს „ჭიათურევაზი“	21,881	12,102	33,983
	<b>შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“</b>			
48	სს „ყაზბეგივაზი“	21,042	0,526	21,568
	<b>სს „თბილვაზი“</b>			
49	შპს „იბერია - 2004“	21,39	9,118	30,508
50	შპს „ვარკეთილიარი“	21,39	6,61	28,000
51	შპს „გაქე“	21,39	9,118	30,508
52	შპს „დაკვის უზრუნველყოფის სამსახური“	21,39	6,609	28,000
53	შპს „დიდი დილომი“	21,39	7,593	28,983

მუხლი 5. 1. 2006 წლის იანვარ-აპრილში მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების (გაზრდილი ხარჯების ცენტრალიზებულად სუბსიდირების) გათვალისწინებით, მე-4 მუხლით განსაზღვრული ტარიფები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ამოქმედდეს 2006 წლის 1 მაისიდან;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის 2006 წლის 1 მაისამდე ძალაში დარჩეს სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილებით (მუხლი 1, პუნქტი 4) დამტკიცებული მოხმარების ტარიფები.

მუხლი 6. შპს “გაზის ტრანსპორტირების კომპანია” და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელმა კომპანიებმა 2006 წლის 1 მარტამდე სემეკში წარმოადგინონ განაცხადები შესაბამისად ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების ტარიფების კორექტირების შესახებ.

მუხლი 7. ამ დადგენილებით განსაზღვრული ყველა ტარიფი დადგენილია დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) გარეშე, დღგ-ის დარიცხვა წარმოებს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს და მისი მოქმედება ვრცელდება 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარუ-ად ჩაითვალოს “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომიის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილება (გარდა პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა).

რეგისტრირებულია საქართველოს  
იუსტიციის სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
300.320.000.16.009.007.955



The present book is addressed to the basic issues of the Energy Regulation Theory and Practice, existing experience in the foreign countries. It precisely describes energy regulation models in Great Britain, Italy, Germany, Japan and other countries. The monograph is focused on the first results and tendency of Georgian energy regulation during last 10 years, challenges and future perspectives. It also provides the list of existing Regulations of the Georgian energy sector.

The book is provided for a wide range of readers including everyone who has an interest in Energy Regulation issues.



# Energy Regulation

Theory and Practice

Tbilisi 2006